


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

22 იანვარი 2010 №2(106)



ო' პენრის ნოველა  
პოლემიკური კულტურა  
გია ლომაძის ახალი ბაბილონი  
პაატა ნაცვლიშვილის ლექსები  
საუბარი ინესა მერაბიშვილთან  
პაატა ჩხეიძე კლაივ სტეიპლ ლუისზე  
ნინო დარბაისელი ზვიად გამსახურდიაზე  
შოთა ბოსტანაშვილი ვახტანგ დავითაიაზე

## შინაარსი

<b>წარსული მომავლისათვის</b>	<b>2</b>	<b>გიორგი გოგოლაშვილი პოლემიკური კულტურა — დაკარგული ტრადიცია</b>
<b>მსურავს-ინტერვიუ</b>	<b>6</b>	<b>ამირან არაბული „ბიჰვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“</b> (მომზადა ნატა ვარადაძე)
	<b>7</b>	<b>„ამ გცირა მონომგრაფიების დროც დადგა“</b> (საუბარი როსტომ ჩხეიძესთან)
<b>კავასია გუშინ, დღეს, ხვალ</b>	<b>8</b>	<b>მარინე ტურავა ტკივილის მიღმა</b> (შორენა ლებანიძის „კამანის ალყა“)
<b>პროზა</b>	<b>10</b>	<b>გია ლომაძე ახალი გაბილონი</b>
	<b>21</b>	<b>შორენა ბერელიძე ნოველები</b>
<b>პოეზია</b>	<b>25</b>	<b>პაატა ნაცვლიშვილი თანხმომ(ა)ნებანი</b> (პოსტმოდერნისტული ლექსები ნინა ათასწლეულიდან)
<b>გაფი კასისა</b>	<b>29</b>	<b>ნინო დარბაისელი ზვიად გამსახურდია — ამერიკული პოეზიის მკვლევარი და მთარგმნელი</b>
<b>უსმოეთის ცხოვრებიდან</b>	<b>33</b>	<b>პაატა ჩხეიძე რწმენა მარადიული ღირებულებისა</b> (კლაიფ სტივლ ლუისი)
<b>გამომხატვა</b>	<b>35</b>	<b>ნინო ვახანია „პარბ საქმეზადა მიგაქვა“</b> (კიდევ ერთი ბიოგრაფოსი — ზვიად კვარაცხელია)
<b>ღიალოგი</b>	<b>37</b>	<b>სხვისი სამყაროს ერთგული მსახური</b> (რიტა ბაინდურაშვილს ესაუბრება ინესა მერაბიშვილი)
<b>წოთები და წლები</b>	<b>40</b>	<b>მერაბ კალანდაძე „ღმერთო, იტალია გაანთავისუფლა“</b> (ალექსანდრე ორბელიანი იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე)
<b>რეპორაჟი</b>	<b>45</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი ქართულ ფიჭასავით...</b> (გია კობახიძის პოეზიის საღამო)
<b>კრიტიკა</b>	<b>47</b>	<b>ქეთევან ტომარაძე ომრი — მთელი ცხოვრება</b> (ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიული რომანი)
<b>გამომხატვა</b>	<b>51</b>	<b>ნინო ოქროშიაშვილი მარცხლების დაბრუნების იმედად</b>
<b>შტრახი პორტრეტიანთის</b>	<b>52</b>	<b>შოთა ბოსტანაშვილი შენი ამინდი</b> (სიტყვა ვახტანგ დავითაიაზე)
<b>საორბი</b>	<b>53</b>	<b>როცა ჰიმნი გიხმომს</b> (ნინო დეკანოიძეს ესაუბრება ზურაბ აზმაიფარაშვილი)
<b>პოეზიის მერიანება</b>	<b>55</b>	<b>ოქტაი ქაზუმოვი რაქსაბს შუა — სიყვარულის შმაგი წერილი</b> (სალიმ ბაბულაოღლის ერთი ლექსის ირგვლივ)
<b>უსმოური მოვლა</b>	<b>57</b>	<b>ო' ჰენრი ხალივა, კუპიდონი და საათი</b>
<b>კულტურული ცხოვრება</b>	<b>60</b>	<b>რაც სარადაქციო ფოსტას შემორჩა</b>
<b>ნაქვსები</b>	<b>61</b>	<b>მანვილსიტყვაობის ნიშუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>აკვანი კაცობრიობისა</b>

**ორკვირული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
გავრცელება – (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
E\_mail: info@mtserloba.ge



დაბაჟილი საბაჟო "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საქართველო, თბილისი, სარაქვილი 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მწვერვალი „გურამ რჩეულიშვილი“, ბაბუა ალუდაურის ფოტო  
ალექსანდრე ორბელიანი

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 თებერვალს**

გიორგი გოგოლაშვილი

# პოლემიკური კულტურა — დაკარგული ტრადიცია

პოლემიკა ბერძნული წარმოშობის სიტყვა ყოფილა; საომარს, მტრულს ნიშნავს თურმე დედნის ენაზე; ჩვენი ლექსიკონები ამ სიტყვას ასე განმარტავენ: კამათი რაიმე მეცნიერული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას; პაექრობა...

დღევანდელ ქართულ სინამდვილეში გახშირებული პოლემიკა უფრო მეტად დედნისეულ მნიშვნელობას უახლოვდება, ვიდრე ლექსიკონებში აკადემიურად წარმოდგენილ განმარტებას... ამ თემაზე გვინდა დღეს საუბარი...

დიახ, გახშირდა პოლემიკა. საჯარო შეხვედრებზე, პრესასა თუ ტელევიზიაში არაერთი დაპირისპირების მოწმენი გავმხდარვართ. სპორტული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, არ ერიდებიან აკრძალულ იღეთებს: ლანძღვა, გინება (პირდაპირი მნიშვნელობით), პიროვნული დამცირება-შეურაცხყოფა, წინაპართა ცოდვების გახსენება, გენეტიკური მონაცემების ძიება და მისთანანი...

ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, მოპაექრეს საქმე არ აინტერესებს; მისი მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის დამცირება, გამასხარავება, შეურაცხყოფა... და ასეთი რამ ხდება ზოგჯერ სერიოზულ გამოცემებშიც...

როგორც ჩანს, თავის დროზე ამან შეანუხა აკაკი ბაქრაძე და ათქმევინა: „მოაზროვნეა ის, ვინც არცერთ უშეერ სიტყვას არ იხმარს და მეტოქეს თავის სიმართლეს დაუმტკიცებს მხოლოდ არგუმენტებითა და საბუთებით. ის, ვინც ლანძღვა-გინებას მიმართავს, არ ეძებს ჭეშმარიტებას, მას მხოლოდ მეტოქის დამცირება-შეურაცხყოფა სურს. ხოლო ის, ვინც ჭეშმარიტებას არ ეძებს, არ შეიძლება იყოს მოაზროვნე“.

არადა, პოლემიკის მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა!.. ჩემთვის საოცარი აღმოჩენა იყო, როცა გავიგე, რომ XII საუკუნეში გელათის აკადემიაში სასწავლო საგანთა ნუსხაში შვიდიდან ერთი რიტორიკა იყო; რიტორიკა სამი სახისა — თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა.

დიახ, საუნივერსიტეტო საგანი იყო რიტორიკა და, თუ გელათის აკადემიის იმდროინდელ დონეს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საგანიც ღირსეულად იქნებოდა დამუშავებული...

და ასწავლიდნენ რიტორიკის წესებს; გვქონდა დიდი ტრადიცია; თუ როგორი იყო ის და რა სახისა, ეს კვლევის

საგანია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ტრადიციას ვკარგავთ!.. დღევანდელ ქართულ პოლემიკას რომ ვადევნებ თვალს, ძნელად წარმიდგენს კაცი, რომ ასეთი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გვქონდა...

XII საუკუნის კი არა და, XIX საუკუნის „ცოცხალი“ მაგალითები გვაქვს და ის დავივიწყეთ. არადა, XIX საუკუნეში საოცარი დაპირისპირებანი გვქონდა, მკაცრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ურთიერთობანი. გავიხსენოთ: „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა; აკაკისა და იაკობის, ილიასა და აკაკის, აკაკისა და ვაჟას პაექრობანი და სხვა და სხვა... ეს იყო კლასიკური გაკვეთილები პოლემიკური კულტურისა...

დიახ, ასეთი გაკვეთილები ჩაგვიტარეს... ვისწავლეთ?... — ნაკლებად...

მინდა მაგალითისთვის თვალი გავადევნოთ ილიასა და აკაკის პაექრობას „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე.

ამჯერად ჩვენ არ გვავინტერესებს, ვის მხარეზეა ჭეშმარიტება. ყურადღებას მივაქცევთ, როგორია დამოკიდებულება მოპაექრეებისა; დამოკიდებულება სადისკუსიო თემისადმი, ერთმანეთისადმი...

გავყვეთ მსჯელობას და დასკვნა შემდეგ შევთავაზოთ მკითხველს.

\*\*\*

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე კამათობენ ილია და აკაკი... უაღრესად კოლორიტულად წარმოჩნდება როგორც ერთი, ისე — მეორე.

ურთიერთპატივისცემა, მოპაექრისადმი ანგარიშის განევა, ერთმანეთის დაფასება... მაგრამ ჭეშმარიტებისადმი უსაზღვრო ერთგულება: უკომპრომისობა საზოგადო ინტერესებით ნაკარნახევი.

მწარეა კრიტიკა ილიასი აკაკის მიმართ:

„ეს მეტისმეტი დაქვეითება პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა“...

„ეს ამისთანა გზა კვლევისა სად მიიყვანს კაცსა?!...“

„ჩვენ ვერ მიგვიგნია, რისთვის მოჰსურვებია ბ-ნს აკაკის რუსთაველის ასე დაქვეითება“.

„რუსთაველის ტიპებს იმ პაწა ჯუჯურტანიდამ სინჯვა-კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-ნოდებული კაცი დაინა-



აკაკი წერეთელი

ხება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეფლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“...

„ეს ნაწილი ლექციისა მეტისმეტად უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი იყო“...

„ჩვენის ფიქრით, შემცდარი დედააზრი წარმოდგარა ბ-მა ლექტორმა წინ“...

დიახ, ის, ვინც რუსთაველი დააქვეითა, მცდარი გზა აირჩია კვლევისა, პაწია „ჯუჯურუტანიდამ“ სინჯავს რუსთაველის პოემას, უგემურ ლექციას სთავაზობს მკითხველს, მცდარ დედააზრზე დამყარებულს — აკაკი წერეთელია, ილიას აზრით.

მიუხედავად ამგვარი შეფასებისა, ყურადღება მივაქციოთ ილიას დამოკიდებულებას აკაკის პიროვნებისადმი — როგორ მიმართავს, როგორ მოიხსენიებს:

„ბ-მა აკაკი წერეთელმა საჯარო ლექცია...“

„ბ-ნ აკაკის აზრსა...“

„პატივცემულ ლექტორს კვალდაკვალ მივყვით...“

„ბ-ნი ლექტორი თავის რთულს და მძიმე საქმეს...“

არც ერთხელ აკაკი წერეთელი ეპითეტის გარეშე არაა მოხსენებული; მითუმეტეს, მხოლოდ გვარით. თუმცა, ერთგანაა მხოლოდ ეპითეტის გარეშე **ლექტორად** მოხსენებული, ისიც დადებით კონტექსტში: „ლექტორმა მწარე მართალი ამჯობინა ტკბილსა ტყუილსა...“

უფრო მეტიც: არათუ აუგად მოხსენიება, უპატივცემულო დამოკიდებულება პიროვნებისადმი, არამედ აკაკის დამსახურების, ღვანლისა და ტალანტის ილიასული შეფასებაც უშურველად გვაქვს ამ წერილში:

„ეს აზრი, რომ რუსებსაც აცოდინოს კაც-მა — რა ღირსებისაა ის სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახლოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენ ერსა, — მეტად მოსაწონი აზრია და დიდის თანაგრძობის და მადლობის ღირსიცა ჩვენს მიერ...“

„ამიტომაც მეტის-მეტად ბედნიერ აზრად ვსახავდი ბ-ნ აკაკის აზრსა...“

„ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონებამახვილობისა, ლამაზის შედარებებისა, როგორც აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგესხენებათ...“

„ჩვენის ფიქრით, ამ საზომით, ამ სანყაოთი უნდა შედგომოდან ბ-ნი ლექტორი თავის რთულს საქმეს...“

ფაქტია: **პატივისცემა პიროვნებისადმი, თუმცა უგუებლობა მიუღებელ აზრთან.** სხვაგვარად: პიროვნულმა პატივისცემამ, პიროვნებისადმი კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ საზოგადო ინტერესი არ უნდა დააზარალოს; ჭეშმარიტებისათვის არ უნდა გვალაღატეზინოს.



ილია ჭავჭავაძე

ეს წერილიც ილია ჭავჭავაძისა ერთგვარი გაკვეთილია, მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პიროვნული დამოკიდებულება საზოგადო ინტერესით ნაკარნახევი.

გავიხსენოთ პრინციპი ილიასი, საფუძველი კრიტიკული განწყობილებისა, თავის პირველ წერილში რომ გადმოსცა: „იქნება თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირმოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდიდება? ნეტავი ორიოდ კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე“.

დიახ, მამულისმოყვარეობა, მწარე სიმართლის თქმა ტკბილი ტყუილის ნაცვლად; მოყვრისადმი პირში ძრახვა...

იმ პირველ წერილში ილია განაცხადის სახით წარმოგვიდგენს თავის აზრს: „სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“.

მამული, ენა, სარწმუნოება — სამება და ერთარსებაა ილიასათვის; მამულისმოყვარე — ამ სამების ერთგული და უანგარო მსახური. მამულისმოყვარეობას დაფასება უნდა; მამულისმოყვარის დამცირება ეროვნული ინტერესის შელახვაა; აი, ეს არ უნდა ეპატიოს ვინმეს, თვით აკაკისაც კი, — ესაა ილიას აზრი: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვანჩია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ“, — ასე დაასრულებს ილია წერილს და „მოგვიტევონ“, უპირველესად, აკაკის მიემართება; და მიემართება უმთავრესად მკითხველს, რათა კრიტიკა აკაკის აზრისა აკაკის პიროვნების აუგად არ მიიჩნიონ; რომ ამით აკაკის დამსახურება ერის წინაშე, მამულისმოყვარის ღვანლი მამულის წინაშე არ დაამცროს; გავიხსენოთ: ცოტა ადრე (ეს კრიტიკული წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო ილიამ 1887 წელს გამოაქვეყნა) აუცილებლად მიაჩნდა: „... პატივისცემა ერისათვის გარჯილი კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდგია, სიტყვით თუ საქმით შესწევნა თავის მამულსა და თანამემამულესა...“ — აკაკის შესახებაა საუბარი!...

ერთგან ილია თავის მომავალ კრიტიკოსებს წინასწარი მადლობით მიმართავდა: „თუ ღმერთი გაგვიწყრა და უხეიროდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ“. ამ შეგნებით აკრიტიკებს ილია სხვასაც... და კერძოდ, აკაკის.

ესეც გაკვეთილია, მაგალითი საშვილიშვილო... მიზანი და განწყობა ილიასი ნათელია.

როგორ აღიქვა და მიიღო კრიტიკა აკაკიმ?

ერთი მოგონება გავიხსენოთ. გრიგოლ რობაქიძე სტუმრობს აკაკისთან. წერს:

„მახსოვს: ჩამოვარდა ლაპარაკი რუსთაველზე.

— ჩემი წერილი ხომ წაგიკითხავს რუსთაველზე? (აკაკი ამბობდა — „რუსთაველი“, ყოველთვის).

მეკითხება იგი.

— როგორ არა?!

ვაძლევ პასუხს. პაუზა.

— ალბათ ილიას გარჩევაც გექნება წაკითხული, ჩემი წერილის გარჩევაც!

— წაკითხული მაქვს.

პაუზა.

— მერე, იცი რა? მე ამ პასუხის პასუხი დავწერე. ილიას აზრები დავარღვიე.

— სადაა ეს პასუხი?

— წარმოდგინე: ილიამ გაიგო ეს, მოვიდა სტამბაში, შეისყიდა მთელი გამოცემა, — ილია მდიდარი იყო, — და ცეცხლს მისცა.

მე გაშტერებით ვუცქერდი (აბა, „გაშტერების“ გარდა სხვა რა არგუმენტი „მოგვივიდოდა“ ამ წამს?).

— ეს კიდევ არაფერი.

ეს შეთხზული ამბავი მან სიტყვა-სიტყვით საჩხერეში გაიმეორა. იქაც გაშტერებული ვუცქეროდი“.

იცის გრიგოლ რობაქიძემ, რომ უცნაურ მოგონებას გვთავაზობს და კომენტარიც ისეთი გაუკეთა, ილიას, აკაკის და გ. რობაქიძეს რომ ეკადრებოდა:

„ეს ამბავი ორივეჯერ ისე მოჰყვა, რომ არც ერთხელ არც ერთი ხაზი ღვარძლისა მის სახეზე არ შემინიშნავს. ეს უფრო მისი ფანტაზიის „თამაში“ იყო: „გათამაშებული“, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც სჯეროდა“.

იონა მეუნარგიას მოგონებაც მოვიშველიოთ:

„როგორც ჰინე, აკაკიც მახვილსტყვაობისათვის ხანდახან ჭეშმარიტებასაც ღალატობს.

თვითონ ამბობს „ტყუილასა, ბზუილასა...“ ტყუილას ხმა რომ გაუგდეს აკაკის, იყო დრო, მართალსაც არ უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაუჯერა რაღაც იყო აკაკის, დანაძლევდნენ და, რომ აკაკი მართალი გამოდგა, ლეჟავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის სახლში“.

თვითონაც თითქოს დასცინისო თავის თავს.

„თამარ ცბიერი“ რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად. რომ დაანერა წიგნზე — „სახსოვრად იონა მეუნარგიას აკაკისაგან“, მას უნდოდა რიცხვიც მიენერა, მაგრამ რომ მოაგონდა პირველი აპრილი იყო, კალამი ხელიდამ გააგდო — „არ დამიჯერებენო...“

ამ თემაზე საუბარს გრიგოლ რობაქიძე „ფანტაზია თუ ფანტასტიკას“ დაარქმევს. სათაურშივე ჩანს შეფასება აკაკის ამგვარი ქცევისა...

თუმცა მოუუსმინოთ:

„აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე: ტყუილი იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე, თითქო ჰსურდა ესიამოვნებინა მობაასე. უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ

თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა... ეს უფრო ფანტაზიის „თამაში“ იყო“...

ასე რომ, ილიამ გაზეთის ნომერი შეიძინა და ცეცხლს მისცაო, „აკაკური“ ფანტაზია ჩანს (ტერმინისათვის: აკაკი თავად წერს ერთგან — „აკაკურად ვწერო“).

მაგრამ სათავეს საიდან იღებს? ჩემთვის გამოცანაა ის, რასაც აკაკი საპასუხო წერილში წერს:

„ჩემი საუბარი რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ არ დაბეჭდილა, და თუ რატომ არა, ეს ბატონმა ჭავჭავაძემ ყველაზე უკეთ იცის...“ რა იცოდა ბატონმა ილია ჭავჭავაძემ ყველაზე უკეთ? მაგრამ ამას არა აქვს ახლა არსებითი მნიშვნელობა მკითხველისთვის. მთავარი ჩვენთვის ისაა, როგორ შეხვდა, როგორ აღიქვა კრიტიკა აკაკიმ.

აკაკი პასუხს წერს; ცალკე წიგნაკად იბეჭდება იმავე 1887 წელს. წერილს ასე დაასრულებს:

„რაცა ვთქვი — გულწრფელათ იყო გამოთქმული. და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატვრით ველი იმ დროს, როდესაც იმავ საგანზე ბატ. ჭავჭავაძე წარმოთქვამს თავის საკუთარ აზრს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სიამოვნებით ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისდაგვარათ და ცხრა თავიან დევივით ისრებს არ გავტყორცნი ძლევამოსილი უეჭველობით. ამას, მოითხოვს, როგრც რუსთაველის დიდი ვინმეობა და ბატ. ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის პატივისცემა“.

მივაქცვიოთ ყურადღება: პოლემიკისათვის, დისკუსიისთვის აკაკი სამ პირობას წამოაყენებს:

**1. საპოლემიკო, სადისკუსიო საგნის, თემის ღირებულება** („რუსთაველის დიდი ვინმეობა“).

**2. მოპაექრის ღირსება, უნდა ღირდეს მასთან კამათი** („ბატონ ჭავჭავაძის ღირსება“).

**3. საკუთარი თავის ღირსებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნება** („საკუთარი თავის პატივისცემა“).

საპასუხო წერილი აკაკი წერეთლისა ამ პრინციპების მიხედვით აიგო. საერთოდ, ვისაც აკაკის პოლემიკური წერილებისათვის თვალი გადაუვლია, დამეთანხმება, რომ საკმაოდ მკაცრი, დაუნდობელი, ენამწარეა აკაკი — როგორც პოლემიკოსი. ილიას მიმართ ტონი სხვაგვარია, უღრმესი პიროვნული პატივისცემით გამსჭვალული. რამდენიმე ამონარიდი ამის დასტურად:

„ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულისხმოსა და ყურადსაღებს, ცალყბად მიგებება არ შეჭფერის და ჩვენც ჩვენი შეძლებისა და გვართ სიმდაბლით, გულწრფელათ მივეგებებით“.

„ბატონი ილია ჭავჭავაძე გამოზრდნდა მოძღვრათ...“

„ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ პატ. ილია ჭავჭავაძეზე, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს...“

„თავის წერილებს ილია ჭავჭავაძე ისე ათავებს, როგორც შემეგნის სახელგანთქმულ კაცს...“

ასეთი შთაბეჭდილებაც რჩება: მახვილი და „მწარე“ სიტყვის დიდოსტატს, აკაკის, ზოგჯერ თითქოს კალამი გაექცევა ჩვეულებისამებრ, მაგრამ ახსენდება, რომ ილიასთან აქვს საქმე და დროზე დაიოკებს სურვილს... მაგრამ სათქმელს მაინც ამბობს, ოღონდ ქარაგმულად, თითქოს მკითხველი ამბობს, სხვა ამბობს და არა აკაკი წერეთელი!...

ამონარიდი აკაკის საპასუხო წერილიდან: „ხანდახან არათუ ფრაზებისა და სიტყვის, ერთი მარცვლის ჩამატებით ან გამოკლებითაც შეიძლება აზრი შესცვალოს კაცმა. აი, თუ გინდა ეს მაგალითი ავიღოთ: მე ვამბობ: „ბატონი ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოსთქვა მის შესახებ, გულწრფელად მოსვლია და არა სხვაგვარ რამ კრიმინალურებით და სხვ.“ ეს რომ ვინმემ შესცვალოს ამგვარით: „ბატ. ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა ლექციაზე და რაც წარმოუთქვამს მის შესახებ, გულწრფელობით არ მოსვლია, გარნა სხვაგვარკრიმინალურებით და სხვ.“ ეს ჩემი ბრალი იქნება?..“

საინტერესო ფაქტია: აკაკის წერილი არ დაბეჭდილა; ილიას ლექცია არ მოუსმენია; სხვის ნაამბობს, ინფორმაციას დაეყრდნო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აკაკის ნააზრევი. საპასუხო წერილში აკაკი მისამართებს დააზუსტებს, ამბის მიმტანს დააკისრებს უპირველეს პასუხისმგებლობას.

„საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მე არ ვეგულეობდი იმ ზოგიერთებს, რომლებსაც თვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა კი ჭავჭავაძის წერილებით ჩანს, რომ თურმე ჩიჩინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ შევჰკადრებ საზოგადო მსმენელებს და მით უფრო ჭავჭავაძეს... „საჩინო“ მიმანია მხოლოდ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომელთაც ჩემი სიტყვები თავისებურათ გაიგეს და რომლის აყოლითაც ბატ. ილია ჭავჭავაძემ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის სათქმელად“.

ამას აკაკი წერილის დასაწყისში ამბობს. ამით თითქოს ილიას პიროვნებისადმი ბოდიში მოიხადა, რალაც ტვირთისაგან თავი გაითავისუფლა, მეტი თავისუფლება შეიძინა და მეტი პილპილი გაურია სათქმელს; მწარე და დაუნდობელი ხდება:

„ნამეტანი გამჭრიახობა იგივე გულთამხილობაა, მაგრამ გულთამხილავმა მხოლოდ ის უნდა ამოიკითხო სხვის გულში, რაც იქ წერია და არა ის, რაც თვითონ სურს, რომ ჩანეროს...“

„ეს კილო ბატ. ჭავჭავაძესაც კარგად შეუთვისებია, რომ მით უფრო ხელმარჯვეთ გვტყორცნოს ისარი, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ ისრათ ნამდვილი საბუთი უნდა იხმაროს და არა მისგანვე შენამებული!..“

„თუ მე მართლა ვერ მოვახერხე ჩემი აზრის ნათლად და გასაგებათ გამოთქმა და საბუთებიც ხეირიანი ვერ მოვიტანე, მაშინ ჯერ უნდა ის ჩემი საბუთები გაერჩია, დაემტკიცებინა მათი უვარგისობა ბატ. ჭავჭავაძეს და მერე თავის საკუთარი საბუთებითა და უფრო საგულისხმო ლოლიკით გამოელაშქრა“.

რასაც აკაკი ამბობს, ანბანური ჭეშმარიტებაა პოლემიკისა. მწარე საყვედურს ვერ ასცდა ილია; ვერ უშველა მისამართების დაზუსტებამ. გრძნობს ამას, როგორც ჩანს, აკაკი. ეხამუშება კიდევ ამგვარი საყვედურები ილიას მიმართ და თვითონვე ცდილობს, ილიას ამგვარ ქცევას ახსნა მოუძებნოს, გამართლებას:

„აქ რასაც ბრძანებს ბატ. ჭავჭავაძე, ყველა კარგია, მაგრამ საიდან წარმოუდგენია ის, რომ ვითომ ჩემი აზრი და ჩემი ნათქვამი იყოს ესეები ყველა და არა საკუთარი მისი ოცნება?... მე ფიქრადაც არ მომსვლია, რასაც ბატ. ჭავჭავაძე ასე გულდაგულ მწამებს. და რამ აიძულა? ვერ გაიგო? შეუძლებელია! განზრახვით გადაასხვაფერა? რა საფიქრებელია! აბა, რა? ის, რომ, უთუოდ, როდესაც მე დაბლა ვიდოდი, ის აღმა ჰფრენდა მაშინ: არ მისმინა, არ უგდო ყური ჩემ საუბარს და განაგონებს მიენდო!..“

იშვიათი მაგალითია და დიდი გაკვეთილი პოლემიკური კულტურისა; საკუთარი ნააზრევის სისწორის მტკიცების ცდა, მოპაექრისა თუ საკუთარი თავის პატივისცემა, თავმდაბლობის მომენტის წინა პლანზე წამოწევა, საკუთარი პატივმოყვარეობის შელახვის ხარჯზე ოპონენტის პიროვნული ღირსების ხელუხლებლობა:

„ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგანაც მე ვერ ვახერხებ კეცა-კეცათ საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბიო ლექსებით გამოვთქვამ ჩემ აზრს?..“

თუმცა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს ჩემი კომენტარი — საკუთარი პატივმოყვარეობის შელახვის ხარჯზე-მეთქი. როცა აკაკი ოპონენტის ღირსებას უფროხილდება და იცავს, ამით საკუთარ თავს სცემს პატივს, საკუთარ ღირსებასა და ავტორიტეტს იცავს!

\*\*\*

დაიხ, იციან ერთმანეთის ფასი. პატივს სცემენ ერთმანეთს; წარმოაჩენენ და ბაირალივით მაღლა ასწევენ ერთმანეთის ღირსებებს — სხვათა დასანახად და სამაგალითოდ... თუმცა არ ივინყებენ საკუთარ თავს და, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას...

არც პირადი პატივისცემის გამო მორიდებიან ერთმანეთის საქვეყნოდ გაკრიტიკებას, თუ ამას საზოგადო საქმე მოითხოვდა... კამათობდნენ იმ შემთხვევაში, თუ თვლიდნენ, რომ საზოგადო ჭირი არ ითმენდა დუმილს... მამულისმოყვარეობა არ აძლევდათ უფლებას დუმილისას...


\*\*\*

რა ვისწავლეთ კლასიკოსებიდან?

ამგვარი ტრადიციების მქონე პოლემიკური კულტურის ქვეყანაში რა ხდება? სად გაქრა ეს ტრადიცია? ბოლო წლებში ჩვენს პრესაში გამართული უმეტესი ნიმუში პოლემიკისა და ცინვაა ჩვენი ისტორიისა, დავინყებთ კლასიკოსთა გაკვეთილებისა...

იქნებ გვეფიქრა ამაზე...

იქნებ უფრო ღრმად გამოგვეკვლია ისტორია ქართული რიტორიკისა, მჭევრმეტყველებისა; ჩამოგვეყალიბებინა და გვექცია სახელმძღვანელოდ თანამედროვეთათვის... აღგვედგინა დაკარგული ტრადიციები...



ამირან არაბული

# „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— თვალხილული რომ ხარ და ვერ ხედავ (ვერც ხვდები!), რა ხდება შენს ირგვლივ.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სამოთხეში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სულის და სხეულის სიმთელე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— შელის ნუკრი, მთის წყარო, ხმელი ნიფელი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— თამარ მეფე. და კიდევ: ხარი ლომა და მწყემსი თევდორე – გერგეტის სამების მშენებლობის შემნენი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— თენგიზ მირზაშვილი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბიძინა კვერნაძე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— თავმოყვარეობას, დიდსულოვნებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ბუნებრიობას, ქმარ-შვილის ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— საპყართა და უპოვართა თანადგომა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— სიარული საქართველოს გზებზე; ზეპირსიტყვიერების ჩანერა და გადანერა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არავინ. „ესა ვარ, რაცა ვარ“.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— შეურიგებლობა უზნეობასთან („ბილნთ არ შავეკვირი ზავითა...“).

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სულის სისუფთავეს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ნათლულებისადმი უყურადღებობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ნამიერია, ნუთიერია, წარმავალია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ცის ჩამოქცევა („ცანი დაეცნეს არხოტსა...“)



— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მომთმენი, დამთმობი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— „რა ფერისაა ქვეყანა, ნეტავ მაჩვენა თვალითა“. და, მაინც: საჯიხვეების.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— დევის და ბრონეულის; ენძელა და სასუტელა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შურთხი („გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარია...“)

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ხმით მოტირლები – „მგოსანნი გლოვისანი“.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ალაზა, დედუნა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ყველა, ვინც მითმენს, მიტანს და მთანობს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა.

— საყვარელი სახელები?

— წყალობა, უშიშა, სევდია, მინანი.

— რას ვერ იტან ყველაზე მეტად?

— რიგში დგომას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ზიზღი არა, სიბრაღული – სერგო ორჯონიკიძემ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?!

— ახვერდი – მაჰმადის ხუთიათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ სამოცი შატილიონის ბრძოლა (და საარაკო გამარჯვება) 1843 წელს.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ყურადღების გასამმაგება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— პირადი ავ-კარგის ბოლომდე გარკვევის.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— ვალმოხდილი ღვთისა და კაცის წინაშე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ნალღვლნარევი და იმედიანი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ღია კარის მტვრევა და ცისთვის კიბის მიდგმის მცდელობა.

— თქვენი დევიზი?

— „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი!“

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ამქვეყნად შენი ცხოვრება ღირდა.

# „ამ მცირე მონობრაფიების დროც დადგა“

□

საუბარი  
როსტომ ჩხეიძესთან

– თქვენი დეტექტიური ცდის – „ეკლიანი და პატარა გზა“ – მეორე გამოცემას, 2007 წელს, ბოლოში დაერთვის სია იმ წიგნებისა, რომელიც მალე უნდა დასტამბულიყო.

– საიდან მოგაგონდათ?

– მომაგონდა იმიტომ, რომ მათგან მხოლოდ ელიზბარ ერისთავისა და არჩილ ჯორჯაძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანები გამოიცა. „მზის შვილები“ და „თვითმკვლელობა – გარდუვალი მოვალეობა“ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გაგრძელებებით, ასე რომ, ხელმისაწვდომია მკითხველისათვის, ხოლო დანარჩენები – „გრიგოლ რობაქიძე და ახალი მითოსი“, „ორი დრო: ტრაგიკომი, მესიანიზმი, დემონიზმი“, „ბახტრიონი: ლეგენდა და სინამდვილე“ და „გარნიის ველის საიდუმლო“ – არსად დაბეჭდილია, არც ცალკეული ფრაგმენტები მათგან, და მკითხველს აინტერესებს, ეს რა ყაიდის წიგნებია:

**მონობრაფიები, როგორც შეიძლება ივარაუდოს ადამიანმა, თუ ნარკვევთა კრებულები? და კიდევ – დასრულებულია თუ ჩანაფიქრს რაიმე მიზეზით ველარ შეასხით ხორცი და ის სია რჩება სურვილთა ნანგრევებად?**

– გასაგებია მკითხველის ეს ინტერესიც და ეს სკეპსისიც, თუ დამთავრებულია, რატომ არ ქვეყნდება, ბოლოსდაბოლოს ჟურნალის ფურცლებზე მაინცო. არადა, როდესაც იმ დეტექტიურ ცდას უახლოეს ხანს გამოსაცემ წიგნთა ჩამონათვალი დაერთო, ყველა ეს მონობრაფია – და ერთიც არაა მათ შორის ნარკვევთა კრებული – დამთავრებულიც გახლდათ და სასტამბოდ გამზადებულიც. და მაინც, უპირველესად მოვიხილო ბიოგრაფიული რომანების გამოცემა, ელიზბარ ერისთავისა და არჩილ ჯორჯაძის ცხოვრების ქრონიკების გარდა შიო არაგვისპირელისა და ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნების, ისევე, როგორც შემდგომ უკვე მიხაკო ნერეთლისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკების.

რაც შეეხება იმ ოთხ მცირე მონობრაფიას – მათგან ყველაზე ვრცელია „გრიგოლ რობაქიძე და ახალი მითოსი“,



რომელიც დაახლოებით ექვსი საავტორო თაბახია – ძალიან მაკლია გულს, რომ მათი დაბეჭდვა დღემდე ვერ მომიხერხდა, „ჩვენი მწერლობა“ ველარ აუვიდა ამდენ მონობრაფიას, სხვა სალიტერატურო პერიოდიკიდან კი არავითარი ყურადღება არ მიგრძენია და ტყუილბრალოდ დავშვრებოდი, რომელიმესთვის რომ შემეთავაზებინა თუნდაც ერთი-ორი თავის გამოქვეყნება.

– ამასობაში „ქართული დუელიანას“ გამოქვეყნება მოგიხერხდათ ამ ჟურნალის ფურცლებზე.

– ეს მცირე მონობრაფია მართალია მათზე გვიან დაინერა, მაგრამ თემის ორიგინალურობამ ამიყოლია და დავანინაურე, თუმცა ჯერჯერობით ცალკე ისიც არ გამოცემულა.

– აპირებთ კიდევ მცირე მონობრაფიათა ციკლის გაგრძელებასაც თუ დაელოდებით, ვიდრე ამ ნიმუშთაგან ზოგიერთი მაინც დაიბეჭდებოდეს?

– გამომზეურებას რომ ველოდებოდე ხოლმე, უამრავი რამ დამრჩებოდა დაუნერელი. მითუმეტეს, წერა შენს სურვილზე ნაკლებადაა დამოკიდებული. ეს ის მოურეველი სენია, რომელიც თვითონვე დაგატარებს თავის ნებაზე და, თუ ბიჭი ხარ, გაუძელი მის შემოტევას. აგერ ახლახან მოვათავე კიდევ ერთი ასეთივე მონობრაფიული თხზულება: „და ჟამისა მე ვარ იმედი“.

– ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონს დასესხებიან ნაპოლეონ ბონაპარტესადმი მიძღვნილი ლექსიდან.

– დავესესხებოდი, აბა, რა იქნებოდა, როდესაც ჩემი მონობრაფიაც ამ იმპერატორზეა. ქვესათაური სწორედ ამას აუწყებს მკითხველს: „ბონაპარტისტული ჩანაწერები“.

– ბონაპარტისტული? ნუთუ ასე ეთაყვანებიან ნაპოლეონს?

– ცხადია, კარგა ხანია გამინელდა მის მიმართ თაყვანება თუ სიყვარული, მაგრამ ეს მინაწერი ხარკის გადახდა ჩემი სიყმანვილისადმი, როდესაც პირდაპირ

ვშთანთქე ყველაფერი, მისი მემუარებიც და რაც კი ნაპოლეონს ეხებოდა და სადამდეც ხელი მიმიწვდებოდა. წინასიტყვაში იმასაც ვამბობ: რალა მე და რალა ფაბრიციო დელ დონგო-მეთქი.

– სტენდალის „პარმის სავანის“ მთავარ გმირს გული-სხმობთ.

– დიახ, სტენდალის გმირს, თუმცა ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება იმხანად მაინც ეგგენი ტარლეს მონობრაფია გახლდათ ნაპოლეონზე. რას ნიშნავს, როდესაც ისტორიკოსი მწერლის ნიჭითაცაა დაჯილდოებული და ექსპრესიულ და მომხიბლავ თხრობაში გითრევს!.. ერთი სიტყვით, ძველი ბონაპარტისტი ვარ და მიხარია, რომ ეს პატარა წიგნი დაუნერელი არ დამრჩა.

– ცამონმენდილზე ნამოგეშალათ სიყმანვილის-დროინდელი განცდები?

– ცამონმენდილზე რატომ. გამომხაურების დანერა განვიზრახე მერაბ კალანდაძის ახლახან გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომზე „ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში“, ისტორიკოსის თვალთ რომ იკვლევს ქართულ



მხატვრულ ნაპოლეონიანას. გამომხაურება რეცენზიაში გადაიზარდა, რეცენზია ცოტა გაიწვია და მივხვდი – ან იქვე უნდა მომეთავებინა, ანდა შესაფერისი ფორმის გამოძებნაზე მეზრუნა და სულაც მონოგრაფიად მექცია.

– და ასეთ ფორმას მიაგენით კიდევ.

– მივაგენი, დიახ. დიდხანს თავისმტვრევა არ დამჭირებია. კომპოზიციური ქარგაც უკვე იოლად გამოიკვეთა და მონოგრაფიის თავსა და ბოლოში ბელეტრიზებული სურათებიც ჩავდგი, როგორც მხატვრული ფორმის განმსაზღვრავი. ეს ის ეპიზოდებია ნაპოლეონის ცხოვრებიდან, ყველაზე მკაფიოდ რომ წარმოსახვენ მის პიროვნულ თვისებებს და ვერანაირი აუსტერლიცი ვერ გაუტოლდებათ თავიანთი შინაგანი სისავსით, განსაკუთრებით მაინც პირველს, კუნძულ ელბადან გამოქცეულმა საფრანგეთის მინას რომ შეახო ფეხი და კიდევ დაიძრა პარიზისაკენ.

– რა არის მაინც ამისთანა, ასე უეცრად ვერ ვხვდები.

– წინასწარ გაცხადება რა აუცილებელია, როდესაც იქ ყველაფერს იპოვნით – ეპიზოდებსაც და მათ კანთიელად წარმოსაჩენ ისტორიულ-ლიტერატურულ ფონსაც.

– ისე „ბონაპარტისტული ჩანაწერები“ მაინც ნამეტანი ხომ არ არის?

– ერთი შეხედვით მართლაც შეაცბუნებს ადამიანს მაგრამ თუ გაეხსენებთ, რომ ქართული მწერლობის ბონაპარტისტულ ფრთას წარმოადგენენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, კონსტანტინე გამსახურდია თუ ანა კალანდიაძე, და მათთან ერთად უნდა ვიგულისხმობთ სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავიც, ნამეტანი კი არა, სწორედაც საამაყოა ამ წრესთან მიახლოება.

– გამოქვეყნებას როდის უნდა ველოდეთ, ნიგნად თუ ჯერ ვერა, ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებზე?

– აბა, რა მოგახსენოთ, თუმც მგონია, რომ ამ მცირე მონოგრაფიების დროც დადგა. და კიდევ ერთი მონოგრაფიისაც „კონსერვატიზმის ისტორია პიტერ ვიერეკის თარგზე“, რომელიც პაატა ჩხეიძესთან ერთად მოვამზადე.

– როგორ, „კონსერვატიზმის ისტორიაც“ გაქვთ დანერგილი?

– ასეა, და შესაძლოა ჯერ ის დავანინაურო, რადგანაც ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას მოსაწესრიგებლად და გზის გასაგნებლად ძალიან ესაჭიროება კონსერვატიული მსოფლმხედველობის შეცნობა-გასიგრძელება იმთავიდან ამთავამდე, მისი ლაკონური, ოღონდ ტევადი და, რაც მთავარია, მიუკერძოებელი სურათის წარმოსახვა მრავალფეროვანი განშტოებებითა და დანაშრეგებით. ეს ის სამყაროა, რომელში შეუბიჯებლადაც ყოველთვის ბუნდოვანი წარმოდგენა გვექნება, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო ზოგადად და საქართველოს სახელმწიფო კერძოდ, და როგორ უნდა შევიქნეთ ნამდვილი და უშუალო მონაწილენი საკაცობრიო ცხოვრების.

– „კონსერვატიზმის ისტორიისათვის“ პოლიტიკური პამფლეტის ნიშნებიც ხომ არ იქნება დამახასიათებელი, რაც მეტ-ნაკლებად სჩვევია თქვენს ნაწერებს და ალბათ ის გამოუქვეყნებელი მონოგრაფიებიც ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული?

– უამისოდ ჩვენს ბედში მყოფი ქვეყნის შვილი ვერც გადარჩება და არც გასურს გამოეცალო, როგორც სიყრმიდანვე ქართლის ბედს აყოლილი.

ესაუბრა  
თამარ ღონდაძე

მარინე ტურავა

## ტკივილის მიღმა

□

### შორენა ლებანიძის „კამანის ალყა“

ვერ ვიტყვი, რომ შორენა ლებანიძის „კამანის ალყამ“ („ჩვენი მწერლობა“, №25) მომუშებელი ტკივილი გამახსენა, რადგან ეს ტკივილი არ შუშდება, არ ყუჩდება, უბრალოდ მასთან ერთად ცხოვრებას ეჩვევი, სწავლობ. ბევრი რამ კი გამახსენა, თავიდან განმაცდევინა. თბრობის საოცარმა დინამიკამ, არაჩვეულებრივმა ექსპრესიულობამ ამ ტკივილის მიღმაც გამახედა, რადგან ცოდვა გამხეილი სჯობს და ტექსტს მხოლოდ შინაარსის აღსაქმელად ან ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად დიდი ხანია ვერ ვკითხულობ. ძნელია ზუსტად განსაზღვრო ეს დოკუმენტური მოთხრობა, რეპორტაჟი თუ მხატვრული პროზა, თუმცა ყველა მათგანის ელემენტს შეიცავს, დოკუმენტურ მასალაზე, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, ალბათ, აფხაზეთის ომის მონაწილეთა მონათხრობის გათვალისწინებით, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარეც (შორენა ლებანიძე ომის დროს ხშირად ჩამოდიოდა სოხუმში როგორც ჟურნალისტი) ავტორი საოცარი სიმამხვილით ალადგენს თექვსმეტი წლის წინანდელ ამბებს.

კამანი, ეს პატარა ლამაზი სოფელი მთელი ომის მანძილზე სოხუმის გასაღებად, მის კარიბჭედ აღიქმებოდა, მის მიმართ ყველას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა: თუ კამანი დაცული და ჩვენი იყო, დაცული და მტერთაგან შეუფალი რჩებოდა ქალაქიც. ამიტომაც, როდესაც ჩვენი ბიჭები საბრძოლო ოპერაციაზე კამანში მიდიოდნენ, ამას ისინიც განსაკუთრებულად აღიქვამდნენ და ჩვენც, არაერთი საბრძოლო ისტორია და ამბავი, რომელიც დღემდე კარგად მახსოვს, სწორედ კამანის დაცვას უკავშირდება. ის ამბები კი ძალიან ჰგავს შორენა ლებანიძის მონათხრობს, სპეციფიკური და ზუსტი სამხედრო ტერმინოლოგიით, ნამდვილი და გამოგონილი პერსონაჟით, ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებით – შიშით, ზოგჯერ უიმედობით, მაგრამ ყოველთვის თავგანწირვით.

კამანი კიდევ ერთი რამით შემორჩა ჩვენს მეხსიერებას, ყველა ხაზს უსვამდა სოფლის ცენტრში, პატარა გორაკზე მდგარ ეკლესიას, რომელიც საოცარი სიმყუდროვით გამოირჩეოდა. ადამიანი განსაცდელის ჟამს უფრო ახლოსაა უფალთან, იქ დავანებული სულიერება და მისი ახალგაზრდა მოძღვარი ბიჭებს ყოველთვის იმედად ესახებოდათ. შორენა ლებანიძემ ეს ყველაფერი ოსტატურად, ზომიერად და გემოვნებით გააცოცხლა.

27 წლის ბალდათელი მამა ანდრიას თავგანწირვა XX საუკუნის დასასრულის ზნეობრივი მაგალითია.

ამ საუკუნეს ხშირად ზნეობის უკმარისობაში სდებდნენ ბრალს და არც თუ ისე უსამართლოდ, თუმცა ამ ეპოქაშიც კი არსებობენ მამა ანდრიას მსგავსი თავდადებულები, ცოტანი არიან, მაგრამ მათი ღვაწლი უფრო სათნოა უფლისათვის.

ახალგაზრდა მოძღვრის სიტყვებმა: „განსაცდელი უფ-  
ალმა სულის საცხოვნებლად მოგვივლინა მხოლოდ ღვთის  
წმინდა ნებას ვემორჩილები“ წმინდა მეფე ვახტანგ გორგას-  
ლის სიტყვები მომაგონა: „ვეძიებ სიკვდილს ქრისტესათვის“.  
ქართველები ომში ყოველთვის უფლის სახელისა და საკუთარ-  
ი სამშობლოს დასაცავად მიდიოდნენ, ამან გაგვაძლევინა  
საუკუნეების მანძილზე, მოგვიყვანა დღემდე.

რიგითი მებრძოლი ჯიმშერ გად-  
რანი კი ასე ლოცულობს: „ღმერთო,  
მაპატიე კაცის კვლა, თან დამეხმარე,  
რომ ყოველი მეორე ტყვია მაინც არ  
ავაცდინო სამიზნეს“ კარგად მახს-  
ოვს, ომის პირველ თვეებში სოხუმელ  
ქართველებს ძალიან გაუჭირდათ  
იარაღის ხელში აღება, გუშინდელ მე-  
გობრებს როგორ ვესროლოთ?!  
მხოლოდ გაგრის დაცემის შემდეგ  
გახდა გასაგები, რომ აფხაზებს კი  
არა, საქართველოს დაუნდობელ  
მტერს ვებრძოდით, ამიტომაც ეს  
ბრძოლა უკომპრომისო, დაუნდობე-  
ლი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამგვარ  
ბრძოლებში მიუძღოდა წმინდა გი-  
ორგი ქართველებს, დიდგორის ბრძო-  
ლის დროს კი ხორციელად, ხილუ-  
ლად ეხმარებოდა ჩვენს ლაშქარს.



რევაზ კვარაცხელია საღამო ფანჯარასთან

წინაპრების თავგანწირვა და სამშობლოსათვის თავდა-  
დება ოდენ წარსულის საკუთრება რომ არ ყოფილა, ეს  
აფხაზეთის ომშიც დაადასტურა და ბოლოდროინდელმა  
მოვლენებმაც, ამიტომაც თითოეული მათგანის შთამომავ-  
ლობისათვის შენახვა მნიშვნელოვანი საქმეა.

აღამ გვიჩიანის თავგანწირვამ – მარჯვენა ფეხში დაჭ-  
რილი, თანამებრძოლებს ზურგს უმაგრებს და გაქცევის სა-  
შუალებას აძლევს, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჩვენს მე-  
გობრებში ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი – ალიკა გეორ-  
ბელიძე გამახსენა, უზრუნველ ოჯახში, ბედის ნებიერად  
გაზრდილს იმავე ბედმა სხვებისთვის სიკვდილი რომ არგუ-  
ნა – შტაბიდან ბრძოლის წინა ხაზამდე ტყვია-წამლით სავ-  
სე ყუთის მიტანისას მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა. ამ ყუთ-  
ზე, 1993 წლის 5 იანვრის სისხამ დილას, სოხუმზე პირველი  
გადამწყვეტი შეტევის მოგერიება იყო დამოკიდებული.  
ალიკას მაგალითმა არაერთ სოხუმელ ბიჭს ააღებინა იარა-  
ღი ხელში. ჩვენი მეგობრები, ჩვენზე უფროსები, ქალაქის  
ცნობილი ბიჭები – ბევრ მათგანს სანაპიროდან ვიცნობ-  
დით, ბევრს უნივერსიტეტიდან, ბევრს სკოლიდან – უცებ,  
რამდენიმე დღის, კვირის, თვის მანძილზე დაკაცდნენ, ნამ-  
დვილად ჯარისკაცებად იქცნენ, ნამდვილ მებრძოლებად...

„კამანის ალყა“ არ ჰგავს ქალის პროზას, იმდენად კარგად  
ერკვევა ავტორი საომარ ტერმინოლოგიასა და ომის სტრა-  
ტეგიაში, მაგრამ მაინც არის ერთი დეტალი – ქალების განსა-  
კუთრებული როლის ჩვენება, რაც მონათხრობს მხოლოდ მეტ  
ექსპრესიას მატებს. აქ ქალები მამაკაცთა მხარდამხარ, მათ-  
ზე არანაკლებ გმირულად იბრძვიან, ხან ხელყუმბარას აფეთ-  
ქებენ, ხან იარაღს ამზადებენ, ხან მამაკაცებს ტყვია-წამლს  
ანვდიან, მაგრამ არსად ქალური სისუსტის გამოვლინება, არ-  
სად ზედმეტი ნუნუნია, შიში ან ისტერია.

მამის თვალწინ მოკლული შვილი, ამონყვეტილი ოჯახე-  
ბი, დახოცილი ბავშვები და ქალები, მონამეობრივად აღს-

რულებული სასულიერო პირები – აფხაზეთის ომის მთელ  
საშინელებას აშიშვლებს კამანის ტრაგედია.

კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ უბრალო, რიგითი მეომ-  
რების თავგანწირვას, სწორი ორგანიზება და სტრატეგია, გა-  
მართული სახელმწიფო პოლიტიკაც რომ მიმატებოდა, ყველა-  
ფერი ბევრად უკეთესად დასრულდებოდა. სწორედ ამ პოლი-  
ტიკის გაუთვალისწინებლად, საკუთარ ძალებსა და თანამებრ-  
ძოლების გმირობაზე დაყრდნობით

ამბობდნენ ბოლო დღემდე ბიჭები:  
სოხუმის ალყა შეუძლებელი იყო,  
მტერი ვერაფერს დაგვაკლებდაო.

დღეს იგივე ბიჭები, მათთან  
ერთად ყველა სოხუმელი, იმედს არ  
კარგავს, რომ ისევე მოულოდნე-  
ლად, ღვთის ნებით, დავიბრუნებთ  
მშობლიურ ქალაქს, როგორც დავ-  
კარგეთ იგი. სკეპტიკოსი გაიცი-  
ნებს და საკმაოდ ირონიულადაც,  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გა-  
დაჭიმულ საქართველოსაც მოიგო-  
ნებს და გუშინ დაკარგულ სამაჩაბ-  
ლოსაც, მაგრამ ამ სკეპტიკოსის  
გასაგონად უნდა ვთქვა, რომ უფ-  
ლის ნებას, მის სიტყვას აღარაფე-  
რი დაუდგება წინ – იბერია გაბრ-  
წყინდება. აფხაზეთში კი სწორედ

ჩვენი თაობა ბრძოლას მისი ალორძინებისათვის, აფხაზეთი  
საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდება.

მადლობა შორენა ლებანიძესა და „ჩვენს მწერლობას“ ამ  
ყველაფრის გახსენებისა და ხელახლა განცდისათვის.

**ჩვენი ზოსტა**

ბატონო როსტომ,

2009 წლის 11 დეკემბერი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის  
გამორჩეულ დღედ იქცა. ამ დღეს ჩვენ 16 წლის წინანდელ  
აფხაზეთში აღმოჩნდით. ამ დღეს წავიკითხეთ თქვენს ჟუ-  
რნალში დაბეჭდილი შორენა ლებანიძის „კამანის ალყა“...  
ვისხედით, ხმამაღლა ვკითხულობდით... უცრემლოდ ვერ-  
ცერთმა შეეძლოთ ამ სტრიქონების წაკითხვა და მოსმენა.  
ჩემთვის ყველა გმირი ნაცნობი იყო, ყველას ამბავი ხელმე-  
ორედ განვიცადე. ხელმეორედ განვიცადე და დავინახე  
სისხლის ბოლო წვეთამდე დაცლილი კამანი...

კამანის დაცემიდან 21 დღის — ე.წ. სამშვიდობო  
ხელშეკრულების დადების — შემდეგ მე აღმოვჩნდი მათ  
შორის, ვინც მიცვალებულები გადმოასვენეს.

დალუპულებს შორის იყო ჩემი უმცროსი ძმა, 26 წლის  
ზურაბ გიორბელიძე (ტექსტში წერია გიორხელიძე). ისიც  
გავიგე, რომ პირველი დალუპულა. ჩვენი მამაპაპისეული  
სახლი იყო სოფელ ამზარაში, რომელიც ოკუპანტებმა აიდ-  
ეს და ზურა უკვე კამანს იცავდა.

დიდი მადლობა თქვენ, რომ კიდევ გახსოვთ ჩვენი და  
მთელი ერის ტკივილი. მადლობა ჩემი ძმის გახსენების-  
თვის. მადლობა იმ გმირების გახსენებისთვის, ვინც თავი  
სამშობლოს შესწირეს. მათი სახელები ხომ ეცოდინება  
შთამომავლობას...

პატივისცემით,

**ოზარ გიორგალიძე**

გია ლომაძე

# ახალი გაბილონი

ნაირა

ციოდა. ქალაქში დაბუდებულ სიცივეს თითქოს ქუჩები დაევიწროებინა და დამზრალი სახლების ფასადები ერთმანეთს მიტმასნოდნენ. სიბნელესა და სიცივეს დაეპყრო ქალაქი.

ნაირა ფანჯარასთან იდგა, თუკი რამ გააჩნდა თბილი, ზედ ეცვა. შუა ოთახში მაგიდაზე დადგმული ლამპის ფითრი-მოყვითალო ნათება კიდევ უფრო ამძაფრებდა ბინაში თითქოს სამუდამოდ დაბუდებულ სიცივეს. ნავთქურა გამორთული ჰქონდა. სამიოდ ლიტრი ნავთილა ჰქონდათ დარჩენილი და ზამთრის კიდევ უსასრულოდ, უსაშველოდ გრძელი თვე. არც ბუნებრივი აირი იყო და არც ელექტროენერგია. ერთადერთი, ტელეფონი მუშაობდა შეუფერხებლად, მაგრამ ჯობდა, იმასაც არ ემუშავა, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში, სატელეფონო ზარი კარგს არაფერს მოასწავებდა: „გურამი და ნანა დააყაჩაღეს!“ „თემური მოკლეს!“ „ირაკლის მანქანა წაართვეს!“ და ყოველივე ეს დედამისის, ნორას რეფრენის — „შვილო, გადმოიდი ჩემთან!“ — ფონზე...

ნაირა იდგა ფანჯარასთან და მიშიკოს ელოდებოდა. ქვემოთ, სიბნელით სავსე ქუჩაში კანტიკუნტად, დროგამოშვებით თუ ჩაივლიდა მანქანა (წყვეტილი პულსი — სამოქალაქო ომის დიაგნოზი). ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარის კიდევ მდგარ რკინის ჯიხურში მკრთალად ციმციმებდა სანთელი. ჯიხურში საპონი, მარილი, ჩაი, ყავა, ფალსიფიცირებული არაყი, ლუდი, სიგარეტები „პრიმა“, „ასტრა“ და პატარა ოთხკუთხედ სარკმელსმიღმა, სიღრმეში ციალა შვანგირაძე — დამწყები კომერსანტი. ეს ერთადერთი სავაჭრო ობიექტი იყო მთელ კვარტალში, დღედაღამ მუშაობდა. ციალას ხანდახან მისი მუხლზე ლონგინოზ შვანგირაძე ენაცვლებოდა და ასევე ხანდახან ჯიხურს სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ფორმირების წევრები აყაჩაღებდნენ ძალზე მარტივად — სარკმელში ავტომატის ლულას შეყოფდნენ და უსასყიდლოდ მიჰქონდათ არაყი, სიგარეტი და ლუდი, სწორედ იმდენი, რამდენიც ეყოფოდათ. შიგადაშიგ სასწაულიც ხდებოდა — შეიარაღებულები ფულს იხდიდნენ, გაცილებით მეტს, ვინემ ნავაჭრი ღირდა და ამ გარემოების გამო ძნელი არ იყო ამ ფულის წარმომავლობის ამოცნობა...

— ვქეიფობთ! — მოესმა ნაირას უეცრად. მიშიკო გელაძე შუა ოთახში იდგა, ცალ ხელში პლასტმასის მოზრდილი ჭურჭელი ეჭირა, მეორეში ზონრით შეკრული მუყაოს ყუთი, ილღიაში კი ორი შოთი პური. თვალები ჩვეულებრივ უცინციმებდა და ლამპის ფითრი, ყვითელი ნათება ორ მხიარულ ანც ნაპერწკლად ერეკლებოდა თვალის გუგებში.

— ოი, მიშიკო, როგორ შემაშინე?! — ნაირას ლოდინის დაძაბულობა უეცრად მოეხსნა, მიუახლოვდა და სახით მკერდზე მიეკრა.

— კაი, — თქვა მიშიკომ. — კაი, ახლა საქმეს მივხედოთ. — მეუღლეს გამოეცალა და ხელბარგით სამზარეულოსკენ წავიდა.

ნაირა ლამპით ხელში გაჰყვა.

— ეს ნავთია! — პლასტმასის ჭურჭელი კარებლია, ცარიელი მაცივრის გვერდით დადგა მიშიკომ. — ათი ლიტრაა. ერთი თვე მინც გვეყოფა. ახლა კი ყუთში ვნახოთ რაებია. — მუყაოს ყუთი მაგიდაზე შემოდგა და ზონარი შეხსნა.

— ვა! — შესძახა ყუთის გახსნისას. — ეს რა ამბებია, კაცო?! — ძალზე დამაჯერებელი გაოცებით დააცქერდა გახსნილ ყუთს.

ნაირა ღიმილით უყურებდა. ყოველი მოთამაშე, ყველა თამაში მაყურებელს მოითხოვს. მიშიკო გამონაკლისი უდავოდ არ იყო... და ნაირას უყვარდა იგი ისეთი, როგორც იყო: ხმაურიანი, მხიარული, ანცი, მიამიტი, ცოტა ნაკითხი, ცოტა მომღერალი, ცოტა მოცეკვავე და ცოტა ტრაბახა; ცოტა მამაცი, ცოტა მშობარა, ცოტა მატყუარა — ესენი კი იმ დასაშვებ დოზით, რომელიც ადამიანთა მოდგმაზე ნახევრადხელჩაქნეულმა ღმერთმა დაუდგინა კაცობრიობას.

თორმეტი წელია, ცოლქმარნი იყვნენ. აქედან ათი წელი ორივემ იცოდა, რომ ნაირას შვილი არ გაუჩნდებოდა და ამ ათი წლის მანძილზე ერთხელაც არ დასცდენია რამე, არც ერთხელ! თუნდაც უნებლიეთ, თუნდაც სიმთვრალეში...

მიშიკომ ხელი ყუთში ჩაყო და პირველი მაგიდაზე შებოლილი ძეხვი დადო, შემდეგ ოთხი ქილა შედედებული ტყბილი რძე, ათი ცალი ბულიონის პაკეტი, ხუთი ქილა თევზის კონსერვი, ნახევარი თავი შევიცარული ყველი, ერთი პარკი წინიბურა, ერთი პარკი ბრინჯი, შაქარი, ბურღული, ჩაი, ერთი თუნუქის ქილა ყავა...


— საიდან ეს ყველაფერი? — გაოცებით აღმოხდა ნაირას.

— „ტუმბორჩიდან!“ — მოუჭრა მიშიკომ. — მოიცა, მოიცა... ეს რა არის? აი, ეს შენ! — ყუთიდან შოკოლადის სამი მოზრდილი ფილა ამოიღო და თვალების ციმციმით გაუნოდა ნაირას.

— ეს კი მე! — და ყუთიდან ამჯერად არყის ბოთლი ამოაძვრინა. — „სტო-ლიჩ-ნო-ე!“ — ნაიკითხა დამარცვლით.

ნაირას გაეცინა და ნავთქურასთან მივიდა ასანთებად. — აჰ, შენ არა! — მივარდა მიშიკო. — მე, მხოლოდ-დამხოლოდ მე! — ასანთი გამოართვა, პატრუქს მოუკიდა და ნავთქურიდან ამოსული ალი დამოძღვრა: „სოფელსა თუ ქალაქში, სახიფათოა ცეცხლთან თამაში!..“

სახეზე ღიმილმოცული ნაირა შებოლილ ძეხვს ჭრიდა თხელ, სიფრიფანა ნაჭრებად, ნავთქურაზე დადგმულ



ქვაბში ლობიო ცხელდებოდა. სიმყუდროვეს სიცივე და სიბნელე განედევნა ბინიდან...

\* \* \*

— ნაირა, გძინავს? — ჩუმად იკითხა ნაშუაღამევს მიშიკომ.

— არა... — თქვა ნაირამ, თავი მიშიკოს მკერდზე ედო, მთელი სხეულით მიკრობოდა, სითბოს იღებდა და სიცივედ უბრუნებდა მერე.

— ნაირა, მაპატიე, რა... — თქვა მიშიკომ

— რა გაქვს საპატიებელი? თუ ყველა მიდის, შენც უნდა წახვიდე, ვისზე ნაკლები ხარ?

— არა, მაგაზე არ გეუბნები...

— აბა?

— აი მაშინ... — ენა დაება მიშიკოს... — აი მაშინ დედაშენს რომ ვაწყენინე.

— როდის?

— „ყოველთვის!“ — გაიფიქრა მიშიკომ. — აი მაშინ, თითქოს ძალღად რომ გადავიქეცი და ფეხზე ვუკბინე... მაპატიებ?

— კარგი რა, მიშიკო! — გაეცინა ნაირას. — შენ ხომ იხუმრე მაშინ?

— ჰო, ვიხუმრე, სულელურად ვიხუმრე, ახლა ვხვდები, რა იდიოტიც ვიყავი!

— კაი, მიშიკო, დაიძინე ახლა, ხვალ ადრე უნდა ადგე, წასასვლელი ხარ. ნაირა კიდევ უფრო მოეხვია. საძინებელ ოთახში სიჩუმემ დაისადგურა.

— ნაირა! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ მიშიკომ. — დედაშენს გადმოიყვან აქ?

— კი, გადმოიყვან.

— წამოგყვება?

— კი, ალბათ.

— სულ ერთი კვირით, ერთ კვირაში დედას ვუტირებთ ამათ და დავბრუნდები.

— ჩემზე ნუ დარდობ. ორი კვირა იყოს, თუ გინდა.

— ორი კვირა რად უნდათ მაგ მაიმუნ სეპარატის-ტებს?!

— კარგი, მიშიკო, დავიძინოთ ახლა, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, ხომ უნდა გავიმზადო ყველაფერი?

— არაფერი მინდა.

— მე მინდა. — თქვა ნაირამ

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

\* \* \*

მიშიკო გელაძე ისევე, როგორც ბევრი მისი თანამოქალაქე, დიდი ქალაქის სახელობის ბატალიონში ჩაენერა მოხალისედ, რიგითად და დილით ადრე რკინიგზის სადგურზე იყო მისასვლელი. თავისი ვაგონის ნომერი იცოდა და თავისი ოცეულის მეთაურს იცნობდა მხოლოდ; თანამებრძოლებს კი იქ გაიცნობდა, მატარებელში...

სურსათ-სანოვაგე კი, სახლში რომელიც მიიტანა, ოქროს ჯვრისა და ძენკვის გაყიდვის შედეგად შეიძინა.

„პლასტმასის ჯვარიც დამიცავს!“ — გაიფიქრა მაშინ, ყუთს როცა კრავდა ზონრით. — „უფრო დამიცავს!..“

## ვანო და ლუბა

მოკვდა ლუბა — ვანო დიასამიძის მეუღლე. გარდაიცვალა ჩუმად და უდრტივინველად, ძილში. სათბურა, რომელიც საბნის ქვეშ, ფეხებთან ედო, ჯერ ისევ თბილი იყო, ლუბა კი ცივი.

ვანო დიასამიძე მეუღლის ფერხთით, სანოლის კიდეზე იჯდა, ხელში სათბურა ეჭირა და გახევებული დაჰყურებდა ლუბას მშვიდ, უძრავ სახეს. უეცრად თავსდამტყდარი სიცარიელით იგსებოდა მოხუცი კაცი და ცივი იყო ეს სიცარიელე, ალბათ, ისეთივე ცივი, როგორც ლუბა იყო ახლა.

ცოტა ხანში წამოდგა, სათბურა უნებლიეთ ისევ ტერფებქვეშ ამოუდო მიცვალებულს და სათუთად შემოუქეცა საბანი. სანოლის გვერდზე მდგარი ძველებური კომოდის ზედა უჯრა გამოწია, თეთრი ზენარი ამოიღო, გაშალა და ლუბას გადააფარა. ზენრის ოთხკუთხედ, ამობურცულ ნაკეცებში მიცვალებულის სხეულის კონტურები გამოიკვეთა, საოცრად პატარა და სუსტი იყო ლუბა

ვანო დიასამიძემ კედლის საათს გახედა — დილის შვიდი ხდებოდა. „ჯერ ადრეა“. — გაიფიქრა, სკამი აიღო, სანოლთან, სასთუმალთან დადგა, ჩამოჯდა და თეთრ ზენარს დააცქერდა

ცხრა საათზე ვანო დიასამიძემ მორიდებით დააკაკუნა მეზობლის — ფრიდონ ცერაძის კარზე.

— ვინ არის? — მოისმა დახშული კარიდან.

— მე ვარ, ვანო დიასამიძე!

კარი გაიღო. ზღურბლზე ტრუსებისა და მაისურის ამარა, თმააბურძგნული მეზობელი ფრიდონ ცერაძე გამოჩნდა.

— მობრძანდი, ვანო ბიძია. — შეიპატიჟა სახლში მოხუცი. — ბოდიშს გიხდი, ახლა ავდექი

— ლუბა გარდაიცვალა. — ჩუმად თქვა ვანო დიასამიძემ.

ფრიდონ ცერაძემ დაბნეულად გამოხედა, ეტყობოდა, ვერ გაიგო.

— ლუბა გარდაიცვალა ამ დილით. — დამარცვლით გაიმეორა ვანო დიასამიძემ და ასევე დამარცვლით თავიდან გაიზრა ეს ამბავი.

— რას ამბობ, კაცო! — ფრიდონს სახის გამომეტყველება შეეცვალა. — ახლავე, ვანო ბიძია, — ამოძრავდა. — ახლავე ჩავიცვამ და მოვალ

ვანო დიასამიძე თავის ერთოთახიან ბინაში შებრუნდა ლუბასთან, თავის ლუბასთან

— რა ვქნათ, ვანო ბიძია? — ჰკითხა მიცვალებულის თავით მდგარ ვანო დიასამიძეს ფრიდონ ცერაძემ.

— მონშობა გვინდა, აქტი — თქვა ჩუმად ვანომ. სიტყვა „გარდაცვალება“ არ ახსენა. — საფლავი კუკიაზე გვაქვს, დედაჩემისა და მამაჩემის გვერდით, ორი ადგილია დარჩენილი კიდევ. მერე სასახლეა საჭირო, რაც შეიძლება უბრალო

— რას ბრძანებ, ვანო ბიძია? უბრალო არ ეკადრება ლუბა დეიდას. ფულის ნუ გეშინია. აგერ არ ვარ მე? წავალ ახლა, საქმეს მივხედავ. შენ ნურაფრის გეშინია, მარინა და მეზობლის ქალები გადმოვლენ სულ მალე.

როცა ფრიდონ ცერაძემ უზნის ექიმი მოიყვანა გარდაცვალების აქტის შესადგენად, მისი მეუღლე მანანა და რამდენიმე მეზობელი ქალი ჩუმად ალაგებდნენ ლუბასა და ვანოს ბინას. თვითონ მოხუცი კი კართან იდგა მხრებჩამოყრილი და წელში მოხრილი.

— იქნებ გეჭამა რამე, ვანო ბიძია? — სთხოვა ფრიდონმა.

— არაფერი მინდა. — თქვა ვანო დიასამიძემ. ცდილობდა, ცხედარზე დახრილი ექიმისკენ არ გაეხედა. — ფრიდონ, ექიმს რომ წაიყვან, ერთ ადგილზე ვერ დამტოვებ?

— სად უნდა დაგტოვო, ვანო ბიძია, ყველაფერს მე გავაკეთებ.

— არა, კაცო, არა. აი აქვე, ნოტარიუსის გვერდით რომ შემნახველი სალაროა, იქ მინდა მივიდე, ცოტადენი დანაზოგი გეკონდა მე და ამ უბედურს, ასეთი შემთხვევისთვის ვაგროვებდით. ოღონდ ჯერ ჩემთვის

— ამოიოხრა ვანო დიასამიძემ.

„რა უნდა დაეზოგა ამ საცოდავს?“ — გაიფიქრა ფრიდონმა. — „ერთ კოლოფ სიგარეტს თუ იყიდის ახლა იმ ფულით“.

— კი, ვანო ბიძია, მიგიყვან, აბა, რას ვიზამ? ექიმს რომ დავტოვებ, გამოვივლი მერე.

— არა, შენ სასახლისთვის წადი, მე ჩემით მოვბრუნდები.

— მარტო როგორ წამოხვალ, ვანო ბიძია?

— წამოვალ, მოვალწევ

\*\*\*

— რა ვქნა, ჩემო ფრიდონ? — ხელები გაშალა სასაფლაო კომბინატის დირექტორმა. — შენს გამო წყალში და ცეცხლში გადავვარდები, იცი შენ. არ არის, ძმაო, ერთი ღერი ფიცარიც კი არ მაქვს არც აქ და არც ბაზაში. ატყდა თუ არა ეს ბაზარ-ვაგზალი, ქალაქში პირველებს ჩვენ დაგვეცნენ და თუკი რამე იყო, დახერხილი თუ დაუხერხავი, ყველაფერი თურქეთისკენ გააქანეს.

— კი, მაგრამ, ღმერთი არ წამთ?

— ვის, კაცო, ვის?! კაცი რომ იარაღით სირბილს დაიწყებს, იმას თხოვ მაგას?

— რა ვქნა აბა?

— ჭირისუფლებს მასალად კარები მოაქვთ ხოლმე; ხსნიან სახლში ან ყიდულობენ სადმე სხვებისგან და აქ ჩალიჩობენ ჩემი დურგლები. ექვსი კარი მაინც ჭირდება თითო კუბოს.

— სად ვიშოვო ამდენი კარი?

— რა ვიცი, ძმაო, ჩემს კანტორაში ერთადერთი ჩემი კაბინეტის კარი-ლა დარჩა.

— აბა, რა ვქნა?

— მოგიწევს ცელოფანში დამარხვა

— ეგ როგორ ვუთხრა საწყალ კაცს?

— სხვა გამოსავალი არაა. ვილაც-ვილაცეებმა კუბოს გამო ახალდამარხული მიცვალებულების ამოთხრა დაიწყეს კუბოს გაყიდვის მიზნით და ახლა თუ ვინმე სასახლის გაკეთებას მოახერხებს, მიცვალებულის დამარხვის წინ კუბოს ნაჯახით ჩეხავს, მოსაპარად რომ უვარგისი გახდეს. ასეა საქმე, ასე!..

\*\*\*

როცა ფრიდონ ცერაძე დაბრუნდა, ვანო დიასამიძე მოსული დახვდა. ისევ ისე იდგა თავისი ბინის კართან.

— ყველაფერი გავაკეთე, ვანო ბიძია. — უთხრა ფრიდონმა. კუბო რომ ვერ იშოვა, ამაზე არაფერი უთქვამს. მეორე დღისთვის იმედოვნებდა რალაცას.

კიბეზე კანტიკუნტად, ლოკოკინებივით წელა ამოდიოდნენ მეზობლები, უხმოდ შემოუვლიდნენ ზენარგადაფარებულ ლუბას, გამოსვლისას ცოტა ხანს კიბის ბაქანზე ჩერდებოდნენ და მერე თავთავიანთ ბინა-ნიჟარებში ბრუნდებოდნენ.

შუალამისას ვანო დიასამიძემ მარტო დარჩენა ისურვა.

— წადით, მეზობლებო, დაისვენეთ. მე და ლუბა დიდი მადლობლები ვართ თქვენ.

მერე კი, მარტო დარჩენილი, სააბაზანოში გავიდა, უსაფრთხო სამართებლით წვერი გაიპარსა, გამოვიდა, თეთრი პერანგი და მედალ-ორდენებით დახუნძლული შავი კოსტიუმი ჩაცვა, ლუბას ზენარი ჩამოუნია და შუბლზე ეამბორა.

\*\*\*

დილით მეზობლებს ვანო დიასამიძე ფანჯრის სახელურზე ჩამომხრჩვალნი დახვდათ. განზრახულის სისრულეში მოყვანამდე ლუბას გვერდით მეორე ტახტი მიედგა, ფარდაგი გადაეფარებინა და სათავისო ზენარიც იქვე დაედო. ზენარზე გაუფასურებული ფულის დასტა იდო და პატარა ბარათი წარწერით: „ლუბასთან ნავედი! მაპატიეთ, მეზობლებო, სხვანაირად არ შემეძლო!“

ვანო და ლუბა დიდი ქალაქის ასევე დიდ, ძველ სასაფლაოზე დამარხეს ცელოფანში გახვეულები. არავის მიუყრია ტრადიციისამებრ თითო მუჭა მინა განსვენებული ცოლ-ქმრისთვის, კუბოს გარეშე დაუცველ მიცვალებულებს მოუფრთხილდნენ და მოერიდნენ. იანვრის სუსხიანი დღე იყო. ცივი მზე ცელოფანის შიგნით აღწევდა და მკრთალად ირეკლებოდა ვანო დიასამიძის ორდენებსა და მედლებზე

\*\*\*

სამიოდ დღეში, ადრე დილით, ფოსტალიონმა დაზღვეული წერილი მიუტანა ცერაძეების ოჯახს.

— აქ მომიწერე ხელი. — ქიმიური ფანქრის ნარჩენი მიანოდა ფრიდონ ცერაძეს ფოსტალიონმა და გაქონილყდიან გადაშლილ წიგნაკში შესაბამის გრაფაზე მიუთითა.

ფრიდონ ცერაძემ ხელი მოაწერა. ერთი წუთით დაცდა თხოვა ფოსტალიონს, ოთახში შებრუნდა და ფული გამოუტანა.

დაზღვეული წერილის კონვერტში ვანო დიასამიძის მიერ ნოტარიალურად გაფორმებული საბუთი იდო ფრიდონ ცერაძისთვის თავისი და ლუბას კუთვნილი ბინის ანდერძით გადაცემის თაობაზე. საბუთი იმ დღეს გაეფორმებინა, ფრიდონს რომ შემნახველ სალაროში წაყვანა და იქ დატოვება თხოვა დანაზოგის გამოსატანად — ლუბას გარდაცვალების დღეს.

## ირინე ზანდუკელი

სამნი იყვნენ. კამუფლირებული თბილი ქურთუკები ეცვათ, კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი, ლურჯი საიზოლაციო ლენტით შეკრული ტყუპი სავაზნეებით. ორს მოკლე „აკს-უ-47“ ჰქონდა, მესამეს კი კონდახიანი „აკმ“, რომელიც მფლობელის დაბალი ტანის გამო კიდევ უფრო გრძელი ჩანდა. სამივეს ნაქსოვი თალფაქი ქუდ-ნიღაბი ჰქონდა ჩამოცმული თავზე, ჭრილებით თვალებსა და პირზე.

ირინე ზანდუკელი — ოცდაათი წლის, ჩალისფერთმიანი, მაღალი, გამხდარი ქალი ფართო სავარძელში იჯდა თავის 12 წლის ვაჟიშვილთან, ზაზასთან ერთად. შვილისათვის თავზე ორივე ხელი მოეხვია და გაფართოებული მწვანე-მონაცრისფრო თვალებით, გაყინული მზერით მისჩერებოდა მომხდურთ. ხუთიოდ წუთი იქნებოდა, რაც სამივენი მის ოროთახიან ბინაში იმყოფებოდნენ. სროლის ხმაზე ბავშვური ცნობისმოყვარეობით ატაცებული ზაზას მიერ გაღებულ შემოსასვლელ კარში შემოცვივდნენ, რკინის კარი მიხურეს.

ჩაკეტეს თუ არა, კიბეზე სართულ-სართულ დადევნებულ სისხლის სამართლის სამძებროს ოპერაგუფის წევრებს დედა-შვილი დაუყოვნებლივ მძევლებად გამოუცხადეს, სანავით სავსე ავზიანი მანქანა მოთხოვეს და მძევლების სადმე, ქალაქგარეთ უვნებლად დატოვება აღუთქვეს პირობად; ხოლო თავიანთი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, წინააღმდეგობა, ბრძოლა ბოლო ვაზნამდე და გარედან განხორციელებული პირველივე გასროლისას ჯერ ბიჭის მოკლა, მერე კი — ქალის. თავისი განცხადების დასტურად ქუჩაში გამავალ ერთ ფანჯარასთან ირინე მიიყვანეს და ქუჩაში სახლის წინ მდგომ ავტომანქანებს ამოფარებულ იარაღმომარჯვებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს დაანახეს, მეორე ფანჯრიდან კი ზაზა...

— ეი, ახვრებო! კარგად გაიგეთ? — გასძახა ირინეს მიერ გამოღებული ფანჯრიდან ქალის ზურგს ამოფარებულმა ბოროტმოქმედმა მოალყეებს. — ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, არც პასუხს ვაგებთ რამეზე! თქვენ იკითხეთ!..

რის შემდეგაც, ორნი ქუჩაში გამავალ ფანჯრებთან დადგნენ ირიბად, ნახევრად კედელს აკრულები და ავტომატმომარჯვებულები. მესამე კი, დაბალი, გრძელკონდახიანი ავტომატით დედა-შვილს ადგა თავზე...

ფანჯრების მიღმა სიჩუმე იყო, ავი სიჩუმე; სიჩუმე იყო ირინე ზანდუკელის ბინაში, მძიმე და უშეღავათო, რომელსაც დაბალი ნიღბიანი კაცის მიერ ავტომატის ნახევრად ამონეული საკეტის ტკაცანი კვეთდა შიგადაშიგ...

— რას გვიპირებთ? — იკითხა ირინე ზანდუკელმა გაბზარული, ჩავარდნილი ხმით.

— ხომ გაიგეთ, ქალბატონო? თქვა დაბალმა. — ჩვენ არაფერს, ეგენი რას გიპირებენ, თორემ ჩვენ რა... გაგასეირნებთ მანქანით ქალაქგარეთ და სადმე გადმოგვამთ მერე...

დაბალმა ქურთუკი გაიხადა. სქელი შალის მუქი მწვანე სვიტრი ეცვა, მის ზემოდან, ეგრეთ წოდებული,

ლიფჩიკი, შიგ ჩანყობილი სამი მჭიდით. ქურთუკის ჯიბიდან რკინის პრიალა მოგრძო კოლოფი და უჯრულა, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი ამოიღო. იქვე, სავარძლის გვერდზე, ტახტზე ჩამოჯდა, ავტომატი გვერდით მოიღო, ფრთხილად გახსნა კოლოფი, პლასტმასის შპრიცი და გამჭვირვალე სითხით სავსე ამპულა ამოიღო.

— ჰა, რას იზამთ, გინდათ? — გასძახა ფანჯრებთან მდგომთ. — თქვენი ნებაა... — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, როცა პასუხი ვერ მიიღო. — მე კი უამისოდ არ შემიძლია! — ამპულას თავი ნაატეხა და შპრიცი სითხით აავსო. ფანჯრისკენ მიბრუნდა და შპრიცი დღის შუქს მიუშვირა, ნელა მიაწვა დგუშს. ნემსის წვერზე ამობრწყინებულ სითხის ნვეთს გახედა და შპრიცი ფრთხილად დადო რკინის კოლოფის სახურავზე. დაჭმუჭნული ცხვირსახოცის ბოლოები კბილებში მოიმწყვდია და დაატრიალა, როცა ნაჭერი დაიგორგლა, დაჭიმა და თასმად აქცია, რის შემდეგაც მარცხენა ხელის მაჯაზე შემოიხვია, ცხვირსახოცის ცალ ყურს კბილებით დაწვდა და მეორე ხელით მეორე ბოლო დაქაჩა, განასკვა, შემდეგ კბილები და ხელი გაუშვა და მაჯაგადახვეული ხელის მტევანი რამდენჯერმე მომუშტა და გაშალა. ხელზე ვენები, ეგრეთ წოდებული, ბეგუშკები ამოიბურცა. კოლოფზე დადებული სავსე შპრიცი აიღო და ნემსის წვერი ამოიბურცულ ვენას დაადო, ცერის ფრჩხილით დგუში ოდნავ ამონია, გამჭვირვალე სითხე შპრიცში სისხლისგან განითლდა, ნელ-ნელა დაანვა დგუშს და ნარკოტიკი ბოლომდე შეიყვანა. ცარიელი შპრიცი ტახტზე დააგდო, მაჯაზე შემოჭერილი ცხვირსახოცი სწრაფად მოიხსნა, ხელი თავზევით დაიჭირა და ტახტზე გადაწვა თვალებდახუჭული.

ირინე ზანდუკელი გარინდებული მისჩერებოდა ყოველივეს. შემოხვეული მკლავით თვალებს უფარავდა შვილს, რომ არ დაენახა და გრძნობდა, თუ როგორ თრთოდა მთელი სხეულით ბიჭი...

— „ბეტეერი“ მოიყვანეს! — წამოიძახა ფანჯარასთან მდგომმა ერთ-ერთმა ნიღბიანმა. — კომენდატურის ტურები არიან!

— რამდენი არიან? — ტახტიდან წამოდგა დაბალი და ავტომატი აიღო.

— ათეულია.

— ცნობ რომელიმეს?

— საიდან? — კითხვა შეუბრუნა ფანჯარასთან მდგომმა. — ვისაც ვიცნობდით და ვცნობდით იქ დარჩნენ, გაგრასთან და ტამიშთან. ესენი სულ ახალი „როჟები“!

— სანამ ჩვენ იქ ვიბრძოდით, ეს ახვრები „ემვე-დესთან“ ერთად ჩვენი სახელით აქ მოსახლეობას ძარცვავდნენ და ხალხს ანიოკებდნენ! — ყრუ ხმით წამოიძახა დაბალმა და ავტომატი გადატენა. — ჩაშვებულები ვართ, მაგათი ჩაშვებულები! შემოვდგით თუ არა ფეხი „პადიუნში“, ძალები უკვე გველოდებოდნენ. საიდან, როგორ?

ფანჯრებთან მდგომნი ჩუმად იყვნენ, ოდნავ წელში მოხრილნი, დაძაბულნი და იარაღმომარჯვებულნი.

— ვინც „ნაკოლი“ მოგვცა და აქ გამოგვგზავნა, იმან ჩავვიშვა სწორედ! — განაგრძო ნარკოტიკებისგან ლაპარაკის საღერღელაშლილმა დაბალმა და მხარზე გადაკიდებული ავტომატი შემართა. — არავის

ვჭირდებით უკვე. ამათვის კი ყველაზე დიდი პრობლემა გავხდით, იმიტომ, რომ მაყუთს ვანერტ და ნილებში ვუჯდებით. ესენი, ძმაო, ცოლს მოგცემენ, შვილს, დედას, მამას, ოღონდ ნილში არ ჩაუჯდე, ოღონდ მაყუთი არ წაართვა. უნდათ ამათ ეხლა, სამშობლოსთვის ნაბრძოლი ბიჭები? რა არის ამათვის სამშობლო? ღორისთვის სამშობლო სალაფავით სავსე გეჯაა! ყველაფერი რომ ამოუნყვიტო, გეჯიდან თავს ვერ ამოაყოფინებ!.. რა უნდოდათ, ძმაო? რას გვერჩოდნენ, ეს რკინები რომ დაგვაჭერიან ხელში და მკვლელებად გვაქციეს? რა უნდოდათ? ვიყავით ჩვენთვის, ზოგი ვსტუდენტობით, ზოგი ვძველებიჭობით, ზოგი ვკაიფობით, ზოგი ვპოეტობით, ნიგნებს ვკითხულობით, კინოებში და „სვიდანიებზე“ დავდიოდით... და ყველაფერი ეს ტყვიით, სიკვდილით, ოპიუმით, მორფით და ფულით შეგვიცვალეს... გამოგვიყენეს, გაგვათახსირეს და აღარ ვჭირდებით უკვე. ამიტომ გვიშორებენ ტექნიკურად — „ნაკოლებს“ გვაძლევენ საძარცვავად და ფულის ამოსაღებად, მერე კი ჩასაფრებულები გვხვობენ. თანაც ნახე, ვისი ხელით აკეთებენ ამას?! ამ უბედური, სოფელ-სოფელ ახეკილი საცოდავი ჯარისკაცების ხელით...

გარედან შიშინი გაისმა და მეგაფონიდან ნასროლი ხრჭილა ბგერები ოთახში შემოიჭრა: „დაყარეთ იარაღი და გამოდით! ალყაში ხართ, წინააღმდეგობას აზრი არ აქვს!“

ფანჯრებთან მდგომნი კიდევ უფრო დაიძახნენ, ცალ მუხლზე ჩაცუცქედნენ, ავტომატები გადატენეს და ფიქსატორები გრძელჯერიან სროლაზე დააყენეს.

— გაგვიშვით! — ჩუმად თქვა ზანდუკელმა. — გემუდარებით, გაგვიშვით!

— სად გაგიშვით, ქალბატონო? — დედაშვილს დახედა დაბალმა. ნილბის ჭრილებიდან ნითლად ამღვრეული თვალები იმზირებოდნენ. — თქვენი გაშვება იქნება ახლა? ჰა, მიდი! — უეცრად გაცხარდა ნილბიანი და ირინე ზანდუკელს მხარში ხელი ჩაავლო. — ჰა, მიდი ფანჯარასთან და დაელაპარაკე ამ ნაბოზვრებს!

— თავი გაანებე დედაჩემს! — უეცრად იყვირა ზაზა ზანდუკელმა, სავარძლიდან წამოიჭრა და დაბალს ეცა. ავტომატის ლულას გადაანყდა მუცლით, იარაღის ნახევრად ამონეული საკეტი დაეშვა და „აკმ“-ის ტყვიამ წამის მესამედში გაიარა მანძილი ლულიდან ბიჭის სხეულამდე, რომელიც ავტომატის ლულაზე ორივე ხელით ჩაჭიდებული ნელა დაეშვა იატაკზე. ფართოდ გახელილ თვალებში ჯერ კიდევ სასონარკვეთილი რისხვა ედგა...

— ზაზა! ზაზა! — იკვილა ირინე ზანდუკელმა და შვილის სხეულს დაემხო...

დაბალმა უაზროდ დახედა იატაკზე გართხმულ დედაშვილს, მერე სწრაფად მიბრუნდა, იარაღი გადატენა და ფანჯარასთან მიიჭრა.

— ბოზებო! ნაბიჭვრებო! პიდარასტებო! — რამდენიმე გრძელი ჯერი მიაყოლა ერთმანეთს. ფანჯრებთან მდგომნიც აყვნენ, ოღონდ გამოზომილად ისროდნენ, ნანყვეტ-ნანყვეტ.

წამიერი სიჩუმე ქვემოთ, ქუჩაში მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ხაფმა, მძიმე ხმამ გაკვეთა და მყისვე ფანჯრების შუშები ნამსხვრევებად აქცია. გარედან სროლა გაძლიერდა და ოთახში გრივალმა დაისადგურა...

— დედა... — თქვა უეცრად ჩამონოლილ სიჩუმეში ბიჭმა. — დედა, არ უნდა გამელო კარი, მაპატიე, დედა...

— არა, შვილო, არა, ნუ ნახვალ! არ დამტოვო! — შვილს ჩაეკრა ირინე ზანდუკელი და იგრძნო, როგორ შესუსტდა თრთოლა ბიჭის სხეულში და რამდენიმე წამში საერთოდ შეწყდა.

— ზაზა! ზაზა!.. — ჩასძახა ღიად დარჩენილ თვალებში ირინე ზანდუკელმა. — ზაზა, შვილო, სად ნახვედი უჩემოდ, სად ნახვედი? ახლავე მოვალ, ახლავე, შვილო. სულ ერთი წამი, ერთი წამი დამიცადე! — ქალი ფეხზე წამოდგა, ოთახს გაყინული მზერა მოავლო. ნილბიანები ფანჯრებთან, იატაკზე უძრავად იწვნენ სისხლის გუბებში, კიდურები არაბუნებრივად ამობრუნებოდათ. დაბალი გულაღმა იწვა, ხელებგაშლილი, დაფლეთილი მკერდით და ღიად დარჩენილი ნითელი მზერით.

ირინე ზანდუკელი დაიხარა და დაბალს ნილბი გადააძრო, მერე თავად მოირგო თავზე, ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა...

— ზაზა, ნუ გეშინია, ახლავე შენთან გავჩნდები! — მოასწრო ეთქვა, სანამ მკერდში მძიმე დარტყმას იგრძნობდა და მუხლები მოეკეცებოდა...

სროლა გარედან კარგა ხანს გაგრძელდა. ირინე ზანდუკელი კი თავის ბიჭთან, ზაზასთან ერთად იყო საბოლოოდ და სამუდამოდ.

ნაშუადღევს ოთხ საათზე გამოვიდნენ დასახლებიდან. კაცი მანქანას მართავდა, სიგარეტს ეწეოდა და მდუმარედ გაჰყურებდა გზას. მონოტონურად ქოთქოთებდა ძრავა, სიჩქარის მაჩვენებელ პანელზე უხილავი, ზუსტი მექანიზმი ცივი, მექანიკური ლოგიკით აღრიცხავდა გავლილ მანძილს და ციფრებად აყალიბებდა მანძილმზომზე; ციფრებს კი გზისპირა, ერთმანეთისაგან ზუსტი ინტერვალებით დაშორებული თეთრი, ლურჯფერხიანი ბოძები ამონმბე-დასტურებდნენ მერე.

და უახლოვდებოდნენ ქალაქს, რომელსაც ამ დღით გამოექცნენ; თბილისში ბრუნდებოდნენ — პატარა ბაბილონში. როგორც კი ავტომაგისტრალზე გამოვიდნენ, ქალმა ქურთუკი გაიხადა. მოყვითალო ანგორის სვიტერი ეცვა, დიდი, მწვანე-მოცისფრო თვალები ჰქონდა და ოქროსფერი, ჯიუტი, სავარცხელს დაუმორჩილებელი თმა.

— გი! — თქვა ქალმა, — გი!

კაცმა კითხვით გამოხედა.

— გი, ნახე, კიდევ ერთი ღილი აწყდა... — ქალს ქურთუკის აწყვეტილი ღილი ხელისგულზე ედო და სინანულით დასცქეროდა ადგილს ქურთუკზე, სადაც ღილი უნდა ყოფილიყო. კაცს გაეცინა და ხელი გადახვია.

— რა გაცინებს? — გაებუტა ქალი, — არ გეცოდები?

— არა!

— რატომ?

— ძალიან გაინტერესებს, რატომ?

— ჰო, ძალიან.

— არ გეტყვი! — გულგრილი იერი მიიღო კაცმა.

— უჰ, რა აუტანელი ვინმე ხარ! — ქალმა ხელი მოიშორა და ზურგი ნახევრად შეაქცია, გვერდითა სარკმელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. სახეზე ღიმილი

დათამაშებდა. საოცარი თამაში იყო, მათ მიერ გამოგონილი თამაში... კაცმა გახედა.

— კარგი! — თქვა ბოლოს. — ჯანდაბას ჩემი თავი, გეტყვი იმიტომ, რომ მე შენ ძალიან მიყვარხარ!

— კიდეც!.. — ჩურჩულით თქვა ქალმა.

— მიყვარხარ...

— მე უფრო. — ისევ ჩურჩულით თქვა ქალმა.

— ვერ გავიგე, რა თქვი? — კაცმა თითქოს მართლა

ვერ გაიგო და ქალისკენ გადაიხარა. ქალი უეცრად მოეხვია. კაცმა ძლივს მოასწრო სიჩქარის კოლოფის გადართვა და დამუხრუჭება... საყვირის მჭახე, გაბმულმა ხმამ გამოარკვია ორივე. შუა გზაზე იდგნენ და თავს ვეებერთელა, რუსი ტურისტებით გადატენილი „იკარუსი“ ნამოდგომოდათ.

— გიჟი ხარ! — თქვა დარცხვენილმა კაცმა, ძრავა ჩართო და ავტობუსი გაატარა. შენელებული კადრებით გაიარეს სახეებმა „იკარუსის“ სარკმლებში. თითოეულ სახეზე გამკიცხავი გამომეტყველება: „ნახეთ რა, ადგილი!“

— უცნაურია, — თქვა კაცმა, როცა ავტობუსმა ჩაიარა. — როგორ უყვართ ყველასათვის ჭკუის სწავლება და რა გიჟურად, ერთად და ერთნაირად ამჟღავნებენ ემოციებს...

— გიი... — თქვა ქალმა. — მართლა გიჟი ვარ?

— ჰო, მართლა!

— შენ?

— მე შენზე უარესი გიჟი ვარ!

— ესე იგი, ჩვენ ორივენი გიჟები ვართ!

— ჰო, ასე გამოდის, — დაეთანხმდა კაცი (გიო ერქვა და ქალი შემოკლებით გის ეძახდა) და მანქანა დაძრა. ქალმა ხელის მტევნები კეფაზე შემოიჭდო, სვიტერი მკვრივ, პატარა მკერდზე შემოეტმასნა.

— რა მემართება მაინც? — ჩუმად ჩაილაპარაკა.

— რა თქვი?

— შენთან როცა ვარ, ტვინი მეკეტება!

— რაა? რა უცნაური გამოთქმაა...

— მე თვითონ გამოვიგონე... „ტვინის დაკეტვა“. — დამარცვლა ქალმა. — კარგია, არა?

— არ ვიცი. — მხრები აიჩეჩა გიომ.

— სამაგიეროდ ზუსტია! ვერასდროს წარმოვიდგენდი ამას!

— რას ვერ წარმოვიდგენდი?

— რომ ასე საოცრად მეყვარებოდი!

— მე კიდეც სულაც არ მიკვირს! — გადაჭარბებული გულგრილობით თქვა გიომ. — ისევ მათთვის ჩვეულ თამაშზე იწვევდა.

— გი... მე არ ვხუმრობ, მე მართალს ვამბობ... თხუთმეტი წლის წინ გნახე პირველად და არაფერი, საშინლად არ მომეწონე; მერეც არაფერი, წლების განმავლობაში და უეცრად...

— მართლა არ მოგეწონე მაშინ?

— არა! რალაცნაირი იყავი... მეტიჩარა და მოძველებიჭო.

— მე კი ის, თხუთმეტი წლის წინანდელი, უფრო მომწონს ჩემი თავი... — მე? მე სულ არ გახსოვარ მაშინდელი?

— არა... თოთხმეტი წლის გალეულ გოგოს რანაირად უნდა მიექცია ჩემი ყურადღება? მით უმეტეს, მაშინ.

— ჰო... — ქალის ხმაში სევდა გაერია. — გი... მართლა გიყვარვარ?

— ჰო.

— იცი რა... არ მჯერა! სულ მგონია, რომ მიმატოვებ...

— საიდან მოიტანე?

— არ ვიცი...

— მართლა უცნაურია, — თქვა გიომ და სიგარეტს მოუკიდა. — უცნაური. თხუთმეტი წელია ერთმანეთს ვიცნობთ, თხუთმეტი წელია, არ შეგვიხედავს ერთმანეთისათვის და უეცრად... რა მოგვივიდა მაინც?

— არ ვიცი. — თქვა ქალმა და მართლაც არ იცოდა. — შენ კაცი ხარ და შენთვის იოლია ყველაფერი. ჩემთვის? მე ხომ თითქმის მისი გაზრდილი ვარ. აი, ასე იტყვიან, როცა გაიგებენ.

— რაც უნდათ, ის თქვან! — მოკლედ მოჭრა გიომ.

— შენ კაცი ხარ, გი! მე კიდეც არავინ არასდროს მაპატიებს ამას.

— რას არ გაპატიებენ? — უეცარი ბრაზით თქვა კაცმა. — ნუთუ არ შეიძლება გიყვარდეს? ნუთუ არ გვაქვს უფლება ერთმანეთი გიყვარდეს?

— არა...

— რატომ?

— არც შენ მაპატიებ მერე, თუკი მიმატოვებ!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაფერს მე დამაბრალებ მერე და სწორი იქნები, ყველაფერი ჩემი ბრალი იქნება!



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი



— შენ? შენ არაფერს დამაბრალებ?

— არა, გი... მე საოცრად, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ! შენ რომ რამე მოგივიდეს, იმავე დღეს მოვკვდები...

გიოს არაფერი უთქვამს. იცოდა, რომ ქალი გულწრფელი იყო და გული დაწყდა, რალაცნაირი დანაშაულის გრძნობა დაეუფლა, ვინაიდან თვითონ არასდროს შეეძლო ვინმე ასე ყვარებოდა; ასე ბოლომდე, ასე მთლიანად, იმ ზღვარს გადაღმა, სადაც ეგოცენტრული „მე“ თავდებოდა და იწყებოდა ვეება, უსასრულო, იღუმალი სამყარო, რომელსაც ინტუიციითა და ინსტინქტით გრძნობდა მხოლოდ...

— გი, — თქვა ქალმა. — გი... მე ლამაზი ვარ, არა?

— ჰო, — შეხედა გიომ. — საოცრად ლამაზი ხარ. — მარჯვენა ხელი საჭეს მოაშორა და გადახვია.

მართალიც იყო. მარადიულობასთან ნილნაყარი სილამაზე ჰქონდა. — მე შენ მიყვარხარ!

— ვიცი. — თვალები დაეხუჭა ქალს. — რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა, ამ წუთას მანქანით გადავიჩვიოთ ხრამში... თუკი ოდესმე დამთავრდება, ახლა დამთავრდეს.

— საინტერესოა, ვინმე იკისრებს ჩვენს დამარხვას?

— თუკი რამე არსებობს ამქვეყნად, თუკი ვინმეა კიდეც ჩვენს გარდა, სიყვარულის რომ სჯერა, ერთად უნდა დაგვმარხოს.

კაცს არაფერი უთქვამს. გზას ადევნებულ მდინარეს გახედა, უნებურად სიჩქარეს მოუმატა, პირველსავე ჩასახვევში ჩაუხვია ქვემოთ, მდინარისკენ. ღრმად შევიდნენ ბუჩქნარში. ქალმა თვითონ გადაწია სავარძელი. თვალები არ გაუხელია, სახე რალაც დიდის, მწველის, მხურვალის მოლოდინით აევსო...

ცოტა ხნის შემდეგ კაცი ჩამცხრალი, გამოფხიზლებული, ქალის თავსზე მოთ, მანქანის უკანა სარკმელს მიღმა იხედებოდა და საოცარი უბადრუკობის გრძნობა ეუფლებოდა, რასაც დაბანგული ქალის სლოუკუნი ამაფრებდა უფრო. სარკმელში კი მღვრიე მდინარე ჩანდა დაზვირთული, ფოთლებგაძარცვული ბუჩქის ტოტეცხაურში გამომწყვდეული თითქოს.

ქალი ჩუმად იწვა, დაძაბული, გარინდული, თითქოს რალაცას, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანს ითვლიდა, მერე კი უეცრად გაიღვიძა თითქოს, წამოიწია და თავი გაიქნია; თვალები არ გაუხელია მხოლოდ, ისევ დახუჭული ჰქონდა. გიომ ათასწლოვანი რეფლექს-მოვალეობის გამო აკოცა...

\*\*\*

ჩვეულებრივი გზისპირა რესტორანი იყო, მდინარისპირა, საზაფხულო რესტორანი და ახლა, ზამთარში უფრო იგრძნობოდა სიმარტოვე. გზისპირა რესტორნების განუყრელი ატრიბუტი — უჯიშო ნაგაზიც იქვე, ელექტროლუმელთან იწვა მორჩილი, ტევადი მზერათვალეობით. იქ, სიღრმეში მანანწალათა ფარული, მხოლოდ მათთვის გასაგები სიბრძნე იგრძნობოდა.

მზარეული იქვე, რესტორნის უკან აშენებულ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. ფანჯრიდან თუნუქის მილი გამოჩრილიყო, მილიდან მღვრიე ბოლი

გამოდებოდა და სახლი თავზე ტომარანაფარებულ, ჩაცმულ, ჩიბუხიან მენისქვილს ჰგავდა. ეზოში, დაჭირხლულ თოკზე მამაკაცის შარვალი და პერანგი შრებოდა თუ ლღვებოდა თებერვლის მკრთალ მზეზე.

ჩუმად ისხდნენ ცარიელ დარბაზში. რალაცნაირი სიცივე იყო, ელექტროლუმელით გაბზარული სიცივე. გიო ვიტრინის მწმენდავ ხნიერ დედაკაცს უყურებდა; უზურგო სკამზე ასულიყო, ნაცრისფერი დოლბანდით წმენდავ ჯერ დაორთქილ, მერე დაცვარულ შუშას და მისი ხელის ყოველ მოსმაზე იბადებოდა ზამთრის სევდიანი პეიზაჟი ვიტრინის მიღმა. დედაკაცს რეცხვისგან განაცრისფრებული, ნაკერებზე ძაფგათეთრებული შავი ფლანელის ხალათი ეცვა, გამხდარ ფეხებზე — ზამბის წინდები; ხალათი თედოზე ასჩაჩოდა და მონაცრისფრო საცვლის ტოტები თითქოს ქალაქის ნაკუნებით გამოეტენათ... გიოს უეცრად გაეხარდა, რომ ამ საოცრად ლამაზი, ჯანსაღი სხეულითა და სიხარულით სავსე მწვანეთვალეობიან ქალთან იყო.

— რატომ უყურებ? — ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— ფულს ინახავს, ალბათ, იქ. — ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიომ, — ახალგაზრდობაში ხომ არასდროს შეინახავდა იქ...

ქალმა დედაკაცს გახედა და გაეცინა.

— ახლა სულ ერთია მისთვის ყველაფერი! — უეცარი ბრაზით თქვა გიომ და გაცინებულ ქალს შეხედა. — მას არც კი ახსოვს ის, რაც შენ ასე გსიამოვნებს და გახარებს. არადა, მასაც ხომ ჰყავდა ოდესღაც კაცი, სახით თითქოს თიხისგან გამოძერწილი, უტყვი, უენო, მორჩილი, როგორც ჯაგლაგი ცხენი გარეთ და უხეში, ტლანქი, მომთხოვნი სახლში, ღამით... მერე კი, თიხისფერი სახე — დაგრძელებული, დახუჭული თვალები — ჩალრმავებული, გამხდარი კისერი სრული, ჩაუცმელი, საყელოგაუტეხელი თეთრი პერანგის გამო და სხეულის მთელი სიმძიმე ჩავარდნილ მკერდზე — გულზე დაკრებილი ვეება ხელის მტევნები; იქვე კი მეზობლის გულუბრყვილო პატარა ბიჭი, ალვისხის მწვანეთვალეობიანი ტოტით ხელში — ბილნი, მსუქანი, ჯიუტი ბუზების გამრეკი... მერე კი, შავი ფლანელის ხალათში გახვეული მარტოობა, გაუაზრებელი, უტყვი, გაუმხელებელი, უთქმელი, შეგუებული, თვინიერი, როგორც ძროხა, დაბმული მინდვრად წვიმაში და ბოლოს, იქნებ ერთადერთი ჯილდო — ძილში სიკვდილი, ბედნიერთა ხვედრი...

ქალი ჩუმად იჯდა და ფანჯრის მწმენდავ დედაკაცს უყურებდა...

\*\*\*

— რატომ დაინახე იგი ასე? რატომ მაინცადამაინც ასე? — ჰკითხა, მანქანაში როცა ჩასხდნენ.

— არ ვიცი, — მხრები აიჩჩა გიომ და მანქანა დაძრა. — ცინიკოსი ვარ, ალბათ.

— არა, არა ხარ ცინიკოსი, შენ საოცრად კეთილი ხარ... მაგრამ არ გეწყინება, რომ გითხრა?

— არა...

— შენ ძალიან ცოტა ვინმეს უყვარხარ... იმიტომ, რომ არავინ იცის, სინამდვილეში როგორი ხარ...

— რატომ, ნუთუ ასე ძნელია ამის გარკვევა?

— ჰო, ძალიან ძნელია! შენ თამაშობ მუდამ, მუდამ ნილაბს ატარებ თითქოს და მხოლოდ მაშინ იხსნი, როცა მარტო ხარ. შენ შეგნებულად აძულე თავს ყველას. რატომ აკეთებ ამას?

— არ ვიცი... თავს ვიცავ, ალბათ. „იქნებ მარტოობას ვიცავ“. — გაიფიქრა გიომ.

— შენ ხომ ადამიანები გიყვარს, გი... — კაცს არაფერი უთქვამს.

— ისინი ხომ ყველანი კარგები არიან... ყოველი ქართველი საოცრად ღამაზია.

— შენ ხარ კარგი... — თქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ გიომ.

— მე მაგაზე არ ვამბობ. — თავი გააქნია ქალმა.

— შენ სულ კარგზე ფიქრობ?

— ჰო... სულ...

— არაფერი გწყინს?

— არა!

— არასდროს? — გიომ იცოდა, რომ ეს მართლაც ასე იყო და უეცრად შეშურდა მისი, მისი ასაკის, ოპტიმიზმის...

— ჰო, არასდროს. — გაეცინა ქალს; გადამდები სიცილი ჰქონდა და გიოს საოცრად უყვარდა მისი ეს თვისება...

— ერთხელ, მხოლოდ ბავშვობაში, სულ პატარა როცა ვიყავი, — განაგრძო ქალმა. — იაფფასიანი ჭყეტელა მძივები გამეზნა ბალახში... დიდხანს ვეძებე და ნახევარი ძლივს შევაგროვე. საოცრად დამწყდა გული, დიდხანს ვტიროდი, ძილშიც კი ვტიროდი, მგონი. მეორე დღეს ახალი ყელსაბამი მომიტანეს, ისეთივე, მაგრამ იმ პირველს, გაბნეულს, ბალახში დიდხანს ვეძებდი კიდევ... რა სულელი ვიყავი, არა?

— არა!

— რა მოგივიდა? სიცილი შეაცივდა ქალს. — რა მოგივიდა? — გაიმეორა ჩუმად, დაბნეულად.

— არ ვიცი... დავიღალე, საოცრად დავიღალე, ყველაფრით დავიღალე, ჩემი თავით კი, ყველაზე უფრო დავიღალე... არ შემიძლია ასე!

— როგორ?

— აი, ასე, როცა ყველას და ყველაფერს უნდა დავემალეთ, როგორც დამნაშავენი.

— ჩვენ დამნაშავენი ვართ, გიომ... — ჩუმად თქვა ქალმა.

— რა დავაშავეთ მაინც?

— მე ბევრი რამ, — თქვა ქალმა. — და ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს ამას.

— რას ვერ აპატიებ? იმას, რომ ჩემთან ხარ, ერთად რომ ვართ?

— ჰო... ჩვენ არა გვაქვს ამის უფლება.

— კი, მაგრამ, მაშინ რატომ მელოდები საათობით ტელეფონთან? რატომ გხვდებით ერთმანეთს?

— ეგ შენზეა დამოკიდებული, გი... შენ კაცი ხარ...

— მე რე რა, რომ კაცი ვარ?

— შენ უნდა გადამწყვიტო ყველაფერი...

— მე არ შემიძლია! — თქვა გიომ და უკვე მერამდენედ გაიხარა ბოლომდე, რომ არ შეეძლო! ყველაფერი შეეძლო ამის გარდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ შემიძლია უშენოდ! შენ?

— მე მითუმეტეს. — ქალმა მხარზე თავი მიაცურდნო. ფრანგულ სუნამოში შეზავებული ნუშის სურნელი ასდიოდა თმას.

— აბა, რა ვქნათ?

— არ ვიცი, ის ვიცი მხოლოდ, რომ ძალიან ცუდად ვიქცევი.

— რატომ არ მომიშორე თავიდანვე? — თითქოს გული ამოაყოლა გიომ ნათქვამს.

— რანაირად?

— სრულიად მარტივად, ისევე, როგორც მილიონობით ქალი იშორებს კაცს.

— არ შემეძლო გი... გესმის, არ შემეძლო. თვითონ არ ვიცი, რა დამემართა. დაგინახე თუ არა, რალაცამ საოცრად მიმიზიდა. მეორე დღეს, სახლში რომ წამიყვანე, ვიჯექი მანქანაში შენს გვერდით, მელაპარაკებოდი და მე კი ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა იქნება, მაკოცოს-მეთქი. არასდროს არავისზე მიფიქრია მსგავსი რამ! გჯერა ჩემი?

— კი. — თქვა გიომ. იცოდა, რომ მართლაც ასე იყო; იცოდა, რომ პირველი იყო ქალისთვის...

— არა, შენ არ გჯერა. ალბათ, ათას რამეს ფიქრობ ჩემზე. მე რომ კაცი ვიყო, მეც ეგრე ვიფიქრებდი...

— გეყოფა, არაფერს არ ვფიქრობ...

— არც გამტყუნებ. ღმერთო ჩემო, პირველად გნახე, მეორედ — მანქანაში ჩაგიჯექი, მესამედ კი ლოგინში აღმოვჩნდი შენთან ერთად...

— კარგი, გეყოფა!

— მე თვითონ არ ვიცი, რა დამემართა...

— მე ხომ ძალა არ დამიტანებია. — თქვა გიომ და მიხვდა, რომ უხეშად გამოუვიდა.

— არა, რასაკვირველია, არა. მე რომ არ მდომებოდა, არც არაფერი მოხდებოდა. სწორედ ეგ მაგიჟებს. მსგავსი რამ რომ ეთქვათ ჩემთვის ადრე, სასაცილოდ არ მეყოფოდა...

— მართლაც რა უცნაურად და სწრაფად მოხდა ყველაფერი. — ჩაილაპარაკა გიომ.

— რატომ? — თქვა ქალმა. — რატომ მოხდა ასე?

— არ ვიცი, ალბათ, ორივეს გვაგვიანდებოდა, ორივემ ძალზე ბევრი დრო დავკარგეთ ერთმანეთთან შეხვედრამდე. — თქვა გიომ და წამსვე მიხვდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. სიცარიელე და უზადრუკობა იყო მანამდე, გრძობებისა და განცდების იმიტაცია მხოლოდ, მის მიერვე გამოგონილი და გარემოებებთან შეზავებული. სიყვარული კი, ნამდვილი სიყვარული, მწველი, ვეება, დამხუთავი, ამ ლურჯ-მწვანეთვალეა ქალში იყო. ეს მყარად იცოდა ახლა, როცა უკვე გვიან იყო...

— იცი, — თქვა ჩუმად ქალმა. — უბრალოდ, ყოფნა მინდა შენთან, სექსი მეორადა...

— მე კი, — გაეცინა გიოს. — ორივე მინდა, ვინაიდან სხვაგვარად არ ვიცი და არც წარმომიდგენია. შენ ჯილდო, ნადავლი ხარ ჩემი, რომელსაც არავის არასდროს დაუთმობ... თანაც ის გარემოება, რომ საოცრად ღამაზი ხარ, ჩემი მამაკაცური ხიბლის ხილული დადასტურებაა... ხომ კარგად ჩამოვყალიბე, არა?

— მე კი, პირადად, ამ კონცეფციაში ყველაზე მეტად სიტყვები, საოცრად ლამაზი, მხიბლავს და მანყობს.

— შენ წარმოიდგინე, მეც!

ქალს გაეცინა თავისი გადადებები სიცილით.

— ჩვენ ორივენი ლამაზები ვართ, გი! — თქვა ბოლოს.

— იცი, როგორ მინდა შენთან ერთად ქუჩებში ვისეირნო? იცი, როგორ მინდა ყველამ დაგვინახოს ერთად, სტუმრად ვიართო ერთად?

გიოს თითქოს რაღაცა ჩაწყდა სხეულში. თვითონაც იგივე უნდოდა და იგივეს ფიქრობდა. არაფერი უთქვამს.

ქალიც დუმდა. იცოდა, როცა უკან, ქალაქში ბრუნდებოდნენ, კაცს ყოველთვის უფუჭდებოდა გუნება.

თბილისამდე უხმოდ იარეს. კაცს სწრაფად მიჰყავდა მანქანა. სალამო ჟამს მიაღწიეს ქალაქს. ცას მოგვიანებული სილურჯე შეპარვოდა და ქვის სახლებით ჩახერგილი დღე დასაძინებლად გაძრომას ლამობდა.

სანამ მანქანიდან გადავიდოდა, ქალი მოეხვია და აკოცა. გიო იჯდა საჭეზე ხელებდამწყობილი და უყურებდა, თუ როგორ მიდიოდა იგი სადარბაზოსკენ — საოცრად ლამაზი, ამაყი, მჩატე ასაკითა და მსუბუქი სხეულით.

\* \* \*

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ტიპიური ქართული ოჯახი იყო, ერთშვილიანი ოჯახი. მოსამსახურე წასულიყო, ბიჭი ბებიასთან იყო ალბათ და მანქანასთან მოუხდა მიბრუნება სახლის გასაღებისთვის. წინკარში, ტანსაცმლის საკიდზე მიბნეული ბარათი დახვდა: „გელოვანებთან გელოდები“... გრძელი ასოები იყო, ძლიერი, გაკრული ხელით ნაწერი, ტექსტი — ლაკონური, შინაარსი — აქსიომა... კაცმა ბარათი უკანვე დაამაგრა და ზემოთ, სახელოსნოში — თავშესაფარში ავიდა. ქურთუკი გაიხადა, ანტრესოლის ქვეშ ტახტზე წამოწვა, ტრანზისტორი ჩართო, პოლიტიკური მიმოხილვა იყო და ხმას დაუწია...

ცოლი შვიდი წლით იყო მასზე უფროსი და მან ყველაფერი იცოდა ამქვეყნად. კაცს არც კი ეგონა, თუ იყო ვინმე კიდევ სადმე, მასავით რომ სცოდნოდა ყველა გასასვლელი იმ ვეება ლაბირინთიდან, რასაც ცხოვრება ჰქვია; ტანთხელი იყო, სწორ, სიმეტრიულნაკვთებიანი, ძლიერი ნებისყოფის, მიზანდასახული, გონებას დაქვემდებარებული სხეულით, პრაქტიკული აზროვნების ყაიდიდან გამომდინარეობდა მისი უპირატესობა კაცის მიმართ. მასთან ყველაფერი ნათელი იყო, იგი ქმნიდა მათი ერთობლივი ცხოვრების არსს მხოლოდ მისთვის ცნობილი ფორმულებით და რეცეპტებით, რასაც კაცი უსიტყვოდ, მორჩილად მიჰყვებოდა და ყველაფერი კარგად იყო, სწორად იყო, სიმშვიდე იყო ყველგან, ყველაფერში. ემოციებიც გონებას ჰქონდა დამორჩილებული და კაცს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ საოცარი სილამაზის მოაზროვნე ქანდაკება იყო იგი... არასდროს შემოდოდა სახელოსნოში, როცა კაცი იყო აქ, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სადღაც, რომელიღაც კედელში უხილავი სამზერი მილი იყო გამადიდებელი შუშით და იქიდან უთვალთვალებდა იგი მის ყოველ ნაბიჯს, მოქმედებას, ფუნჯის მოსმას (არადა, როგორ უყვარდა თხუთმეტი წლის წინ, ოცდასამი წლის მეოცნებე მხატვარს ეს ბრწყინვალე, მიუნვდომელი, იდუ-

მალი არსება და ხატავდა მისთვის, მხოლოდამხოლოდ მისთვის). გავიდოდა თუ არა სახელოსნოდან, რაღაც იცვლებოდა აქ მის დაბრუნებამდე და სახელოსნო თანდათან ემსგავსებოდა ტურისტების დასათვალიერებელ ადგილს, სახლი კი — მუზეუმს, მემორიალური დაფით შემოსასვლელზე. ხელოვნური არეულობა იგრძნობოდა აქ, სახელოსნოში, გააზრებული უნესრიგობა — მეოცე საუკუნის მიწურულის მაღალი სტილი...

კაცი იწვა ტახტზე და თავის სახელოსნოს ათვალიერებდა, თითქოს პირველად იყო აქ. გრძელ და მაღალ კედელზე, სიგრძე-სიგანეზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ეკიდა მისი ნამუშევრების ორიგინალები თუ ასლები (ასლებს შემოქმედებითი უძღურების დროს აკეთებდა, ხელი რომ არ გამრუდებოდა, გაუხეშებოდა); კუთხეში — ერთადერთი ქანდაკება მთელ სახელოსნოში — ასლი ჰენრი მურისგან; იქვე, კედელთან დაუდევრად მიწყობილი ესკიზები, დაუმთავრებელი პორტრეტები, კომპოზიციები, სტუდენტობისდროინდელი დაღურსმული მოლბერტი, ცარიელი ჩარჩოები, სადღაც, მდინარის ხეობაში ნაპოვნი ნაცრისფერი ქვა, შესწორებული და უფრო დამსგავსებული ლომის თავს; განივ კედელზე ახვედნიან ორი სურათი: წითელი და შავი, ერთში კი საოცარი ფერი, გაზაფხულის ნესტიანი, ნაზამთრალი მიწის ფერი, არსად გამეორებული და გაგრძელებული მერე („უცნაურია“, — გაიფიქრა, — „რა ცოტას სჯერდებიან ქალები ხელოვნებაში; კარგად აგნებენ, მაგრამ ცოტას სჯერდებიან...“), კაკაბაძის ორი კოლაჟი, გუდიაშვილის ორიგინალი, მის მიერვე ნაჩუქარი (კაცს არ უყვარდა ეს სურათი; ნაბან წყალს გადაყოლებული ბავშვივით იყო — თვითმიზანმა თუ ვირტუოზულმა ტექნიკამ დაახრჩო იგი, ნამდვილი სისხლით სავსე ვარდისფერ-მოყვითალო ტიკინებად აქცია ფიგურები და ღვთაებრივი სახეები ავხორც სხეულებზე. კაცმა გაიფიქრა, რომ არასდროს უთქვამს ეს ხმამაღლა და არც იტყოდა ოდესმე, ისევე, როგორც მრავალ სხვა რამეს), ფიროსმანის (აისორის ქალისაგან ხუთ მანეთად ნაყიდი) საოცარი პეიზაჟი კახეთის სერიიდან — პურის ყანებში ჩაუბრუნებული მარიამობის თვის მხურვალეობა და ოფლის მლაშე სუნი, ბაჭებუქ-მელიქოვის ორი ორიგინალი (საოცარი შრომა, ჩუმი ნიჭი), რამდენიმე მისი თანამედროვე ეპიგონი მეგობრობისა და კაცთმოყვარეობის გამო ჩამოკიდებული მათ გვერდზე, თავისი ორიგინალი — ცოლის პორტრეტი, დახატული თხუთმეტი წლის წინათ (ცდა სიყვარულის სინამდვილედ ქცევისა და არა ისე, როგორც იყო სინამდვილეში და ახლა იცოდა), გაურანდავი ხისგან ნაკეთები თაროები, თაროებში წიგნები, წიგნებში გამომწყვდეული ექსპრესიონიზმი, პოსტ-ექსპრესიონიზმი, მოდერნიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, აბსტრაქციონიზმი, სიურრეალიზმი, სოც-რეალიზმი, პრიმიტივიზმი... უმრავლესობა ნანახი ორიგინალებში, მაგრამ გვიან, ძალზე გვიან; იქვე დაუდევრად დაწყობილი საკუთარი გამოფენების კატალოგები, გამოცემები, სადაც მისი ნამუშევრები იყო შეტანილი, წერილები, სტატიები სათაურებით: „ახალი სტილი“, „საკუთარი მანერა“, „ორიგინალური ხელნერა“, „თვითმყოფადი“, სათაურებს მიღმა სხვის ნასუფრალზე გამძღარი

სნობები, აქვე, კედლებზე კი ზოგი მათგანის პორტრეტ-ჰონორარი... ფოტოსურათები ცნობილ პიროვნებებთან, თანამედროვეებთან, უძღურება ფოტობიექტივის უცთუნებელი თვალის წინაშე და შედეგი-განაჩენი: ეპიკურიზმის დალი სახეებზე; იქვე პიკასოს შავ-თეთრი ფოტოსურათი წარწერით (ფლომასტრის მსუქანი კვალი კუთხეში. გაახსენდა, როგორ აღმოჩნდა იუგოსლავიელ კინოდოკუმენტალისტებთან ერთად უეცრად, მოულოდნელად სხვა განზომილებაში. ისეთივე გაუგებარი იყო მხატვრის თანხმობა გადაღებაზე, როგორც ბევრი მისი ნამუშევარი. თვითონ კი მოძრავი, როგორც მინდვრის პატარა მღრღნელი, სამყაროსთან ერთად გაჩენილი და მარადიული. კაცს არ უთქვამს მაშინ, რომ მხატვარი იყო თავად. „სნობი ვარ“. — გაიფიქრა მერე, მადრიდის იმ სასტუმროში, სადაც „მეხუთე კოლონა“ იწერებოდა. — „სნობი ვარ, ბითური სნობი...“ გაოგნებული იყო ნანახით, ფრთებშეტრუსული, პატარა და უმწეო, უფერული, ღამის პეპელასავით. ერთი წლის შემდეგ მოკვდა ევროპის უკანასკნელი მხატვარი, დასრულდა უწყვეტი ჯაჭვი, მაზაჩოთი დაწყებული; მოკვდა ევროპის უკანასკნელი მხატვარი და გაუგებარი წინასწარმეტყველება დატოვა სხვა გალაქტიკებიდან მოსულ მკვლევართათვის, ალბათ...), მიუნჰენში ნაყიდი დიურერის ავტოპორტრეტის ასლი (ნამდვილი მხატვარი ნამდვილი სიცოცხლით! ღვთაებრივად ღამაზი, სიცოცხლით სავსე მარადი შეყვარებული, სავსე ცხოვრების ტრფიალით და სამყაროს სიყვარულით, ნამდვილი, თბილი ფერებით დახატული სიმართლე, ქცეული ფერწერად და არა ტოტალური სიცრუე მოპირდაპირე კედელზე...)

კაცმა მის მიერ დახატულ ქალებსა და კაცებს გახედა: „ნებისმიერი გამოადგება ცოლად ნებისმიერს“, — ირონიით გაიფიქრა. — „ბანქოსავით შეიძლება აიჭრას სუყველა, უთვალავჯერ შეცვალო ხან ცოლი, ხან ქმარი და კმაყოფილება იქნებიან, ერთნაირები არიან, ერთი აზრით დამუხტულები“. მაგრამ ეს ნაფიქრი არც ერთ სახეზე არ ჩანდა, არც ერთ მის მიერ დახატულ სახეზე, ყველა პორტრეტში სიცრუე იყო, მონონებული, აღზევებული სიცრუე. გაახსენდა ერთ-ერთი თავისი სტუდენტის ნათქვამი წრფელი: „მე არ შემოძლია თბილი ფერებით ხატვა ჯერ, არ გამომდის და არ მინდა მოვიტყუო, არავის მოტყუება არ მინდა!“ და ამ გახსენებაზე კაცი მიხვდა, რომ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ მასზე, წერდნენ, ისეთივე სიცრუე იყო, როგორც მისი პორტრეტები. ფერები კი, რომელსაც თვითონ ქმნიდა, შუქრდილების შეხამებით მოჩანდა თბილი, სინამდვილეში კი ცივი იყო, ცივი, როგორც სიცარიელე... „ცხოვრება კი, — გაიფიქრა კაცმა. — აუტანელია, იქნებ მკაცრი, მაგრამ თბილი, ბოლომდე თბილი!“...

ადგა და შუქი გამორთო. სიბნელეში უფრო ხმამაღლა გაისმა მელოდია ტრანზისტორიდან. სწორედ ამას უსმენდნენ ის და გარეკა პლენერისტი ოციოდ წლის წინ. გარიკას საოცრად უყვარდა ვან გოგის „ტუსალთა სეირნობა“ და „ავტოპორტრეტი მოჭრილი ყურით“, ჯიმი ჰენდრიქსი და ბრაი ჯონსი; მას კი ბოსხი და ედუარდ მუნკის „კივილი“, ჯონ ლენონი და ჯიმი მორისონი. გახუნებული ჯინსები ეცვათ ორივეს და მაღალყელიანი, ზონრებზე შესაკრავი, დაჭრილძირიანი ფეხსაცმელები;

წვერმოშვებულნი, გამხდარი მხრებით და სახეებით... გარიკა პლენერისტი უცნაური პეიზაჟებით: ზემოთ ცა, ქვემოთ — ხეები უმინოდ, კბილებში პაპიროსი „ყაზბეგი“, პაპიროსში ანაშა. „რას აკეთებს ახლა გარიკა, სად არის?“ — გაიფიქრა კაცმა. გარიკა პლენერისტი თხუთმეტი წელია, ავსტრალიაში იყო ბიძამისთან „მარიხუანას ენევა, უცნაურ პეიზაჟებს ხატავს ისევ, ოღონდ ახლა ხეები მინაზე დგანან, ალბათ...“

ნოსტალგია — პეიზაჟისტა კიბო... ჯიმი ჰენდრიქსი ნარკოტიკებისგან მოკვდა, ბრაი ჯონსი — საკუთარ აუზში იპოვეს დამხრჩვალი, ჯიმი მორისონს გული გაუსკდა, ჯონ ლენონი კი მოკლეს...

რეტროპროგრამას ასე გადმოსცემდნენ ტრანზისტორიდან: „მანკისები“ და ერიკ ბერდონი მღეროდნენ...

„ორმოცდარვა ზომის ფეხსაცმელს ვატარებდი მაშინ, რა შეუმჩნევლად გადავედი ორმოცდათორმეტზე, სამოცდაათი კოლოგრამიდან — ოთხმოცდაშვიდზე... წელიწადში თითო კილო; კიდევ ოცი წელი — ოცი კილო. ზომა? რომელია ყველაზე დიდი ზომა? სამოცი?...“

თამაზ დიასამიძე რესტორნის ინტერიერებს აფორმებს ფიროსმანის მოტივებზე; კვადრატული მეტრი ხუთასი მანეთი! ფიროსმანის მთელი მიწიერი ცხოვრების საფასური ერთ კვადრატულ მეტრში!

მაია მეტრეველი — ვიქტორ ცარას ერთგული მიმდევარი... ყურადღების მიმქცევი ქუჩაში ხმამაღალი ლაპარაკითა და მანერებით, ზეთის საღებავებით დალაქავებული ქვედატანით, ქუსლებმოთეილი ფეხსაცმელებით, სატინის დაჭმუჭნული ლურჯი ბლუზითა და კონტრასტული, კარატიანი ბრილიანტის თვლით საჩვენებელ თითზე. სოც-რეალიზმზე წერს ახლა, არაფერს ხატავს და სხვის ნახატებზე წერს. ჩემზედაც აქვს სამი ბითური წერილი.

გია ლალიძე?.. მეოთხე სასჯელს იხდის ახლა. მალე გამოვა და ჯერ სანახავად, მერე ფულის სათხოვნელად მოვა, მორცხვად აიღებს და ნავა დასალევად და მეხუთედ ჩასაჯდომად...

ეკა იაშვილს სამი ბავშვი ყავს და მეღვინე ქმარი, გულთა მხარჯველი, მაგრამ გულღიაობის მიღმა თავის ქალაში პატარა ნადირივით გამოწყვედული ფხიზელი გონება და უნდობლობა არა მისი წრის ხალხის მიმართ... ეკას გია ლალიძე უყვარდა, სანამ მესამედ ჩაჯდებოდა, მანამდე უყვარდა, მერე კი ვერ გაუძლო...

ლალის მეოცე წელია ვუყვარვარ! ბედნიერი და უბედურია ერთად... საბავშვო ყურნალს აფორმებს, ძალიან კარგად გამოსდის და ლექსებსაც წერს, ოღონდ დიდებისათვის...

დიტო გაბუნია კი ხატავს, ჯიუტად ხატავს. ხელის ცეცებით მიიკვლევს გზას ბნელ გვირაბში და გააღწევს, აუცილებლად გააღწევს სინათლეზე, ოღონდ იმ ილუზორულ სინათლეზე არა, მე რომ გავაღწიე, ნამდვილ სინათლეზე გააღწევს...

გელა არსაძე? საწყალი გელა, „ძველი ბიჭი გელა“, ვითომ სასტიკი, გულგრილი, პოზიორი ბავშვი, კომბინაციით ნოქსირონ-კოტაპრინი წაყვანილი დაინწყების ქვეყანაში. რა საწყლად, მიუსაფრად ინვა ნაცრისფერი სხეულითა და ლაქებით ტანზე იქ, პროზექტურის მაგიდაზე...

მერაბი? საოცარი ჭაბუკი! ღამაზი, სავსე გადამდები სიხარულით, დარჩენილი სამუდამოდ ოცი წლის ექსპან-

სიურ ჭაბუკად... თავიდან ყოველ წელს იკრიბებოდნენ მის საფლავზე, მერე კი ხან ვინ არ მოვიდოდა, ხან ვინ. თვითონ ათი წლის წინათ იყო უკანასკნელად...

„არასდროს ვითვლიდი თარიღებს საფლავებზე ადრე“, — გაიფიქრა კაცმა. — „ახლა კი ვითვლი: 1945-1946 — სინანული, 1930-1980 — შიში, 1899-1989 — შური, იმედი, იქნებ მეც? რატომაც არა?!. რა კარგი იყო, წიგნებს როცა ვკითხულობდი, რა საოცარი დრო იყო, კითხვა რომ მიყვარდა... „ბედნიერი უფლისწული“ და „პატარა პრინცი...“ „არა, მახრჩობელა გველის დახატვა კი არ მინდა, სპილო რომ გადაყლაპა, ბატკანი დამინახტე!“

საოცარი იყო... ბედნიერი უფლისწულის თვითგვემა ყველაზე მაღლა რომ დგას და ამიტომ ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს ცუდს... „ესენიც მაღლა დგანან! — გაიფიქრა კაცმა თავის პორტრეტებზე. — მაგრამ ვერაფერს ხედავენ! არ უნდათ, დაინახონ...“

კაცი იწვა ბნელ სახელოსნოში, რეტროპროგრამას გადმოსცემდნენ ტრანზისტორიდან: „ნარმოიდგინე, რომ ქვეყანა მშვენიერია!“ — ისმოდა შორიდან ლენონის სევდიანი ხმა. ბალახში გაბნეული მძივების მძებნელი გოგონას დახატვაზე ფიქრობდა გიო, მაგრამ ეშინოდა, ვერ დახატავდა, ვინაიდან ბევრი, ძალზე ბევრი მძივი იყო დაკარგული და აქამდე არც უფიქრია, არ დაუთვლია ისინი... „ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ, — ორმოცისაც არა ვარ...“

\*\*\*

— რატომ არ მოხვედი გუშინ გელოვანებთან? — ჰკითხა დილით საუზმისას ცოლმა (ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც ოცი წლის წინ — არც ერთი ნაოჭი). — ყველანი გელოდნენ.

გიომ მხრები აიჩეჩა.

— რა უგუნური ხარ. — გაეცინა ქალს, მაგრამ უბრალოდ, ლაღად, დაცინვის გარეშე. — ნუთუ მართლა ფიქრობ მასზე?

— ვისზე?

— ამბობენ, მის ქმარს დიდი ფული აქვსო. — განავრძო ცოლმა. — სიტყვა „ფული“ ოდნავ შესამჩნევ, ციცი, აბუჩადამგდებ ინტონაციაში გაახვია, ირონიულობის ბრჭყალებში გამომამწყვდია თითქოს. — ისევ ისეთი

ლამაზია? საოცარი ფერის თმა ჰქონდა, ოქროსფერი და ჯიუტად ხშირი. რამდენი წელია არ მინახავს, ათი მაინც იქნება. მამამისის დაკრძალვაზე ვნახე ბოლოს. შენ საზღვარგარეთ იყავი მაშინ.

გიო დუმდა.

— არც მიკვირს, ასე რომ იქცევა. აბა, რა შეუძლია ფულს იმაზე მეტი, რაც შეუძლია. მუდამ ასე ხდება, როცა ფულზე თხოვდებიან!

„ნიჭზე როცა თხოვდებიან?“ — გაიფიქრა გიომ. — „და მერე ისრუტავენ, ნოვენ ამ ნიჭს, რათა თავიანთი ყოფა გაიხანგრძლივონ, ობობათა ყოფა...“ არაფერი უთქვამს, ეს ადრე უნდა ეფიქრა, ჩვიდმეტი წლის წინ.

— თუმცა, არც ვამტყუნებ. აბა, რა უნდა ექნა? ძალიან უჭირდათ. სულ გული მწყდებოდა, როცა წამოიზარდა, იმდენად ლამაზი იყო, კარგი და სულ ჩაუცმელი. ჩემს კაბებს ვაძლევდი მუდამ. არ იხსენებს? ძალიან უცნაური გოგო იყო. წარამარა გარბოდა სახლიდან და ამიტომაც გათხოვდა ასე ადრე, მგონი ჩვიდმეტისაც არ იყო. ახლა რამდენის იქნება? ოცდაცხრის ან ოცდაათის. ღმერთო ჩემო, რა სწრაფად გარბის დრო... იქნებ მოგეყვანა ჩვენთან?

— არა! — თქვა გიომ, — არა!

— როგორც გინდა, იქნებ მისთვის ასე ჯობდა... შენ ხომ იცი, მე შენი გართობის წინააღმდეგი არ ვარ. იმის შემდეგ, რასაც შენ აკეთებ და მუშაობ, სამართლიანად იმსახურებ ისეთ გართობას, როგორიც განყოფილს! — ქალმა საშაქრიდან შაქრის ნატეხი ამოიღო და ფინჯანში ჩაუღო. — მაგრამ ის, რაც გართობაა შენთვის, მისთვის შეიძლება სატანჯველად გადაიქცეს. გინდ დაიჯერე და გინდ არა, არ შემეტება საამისოდ...

გიოს რალაცა ჩასწყდა, მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა ერქვა ამ რალაცას, არაფერი უთქვამს

— არ დაგავინყდეს კულტურის სამინისტროში შევლა, გელოდებიან. — უთხრა ცოლმა, როცა სახლიდან გადიოდა. — ახალ გამოფენაზე მოველაპარაკე საშა გელოვანს! — დედოფალი იყო ბუნებით და შინაარსით და როგორც ყოველ დილით, ლოყა მიუშვირა საკოცნელად. გიომ აკოცა და გარეთ გავიდა.

ქარი ქროდა, თებერვლის ქარი იყო, თოვლნარევი...



**ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** წევრები ნახალწლევს ტრადიციულად გორში, უნივერსიტეტის მიმდებარე სკვერში, **ელიზბარ ერისთავის** ძეგლთან შეიკრიბნენ და, ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, პატივი მიაგეს 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თაოსნის, შემდგომში კი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ხსოვნას.

შეკრებაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა ელიზბარ ერისთავის და მისი მსგავსი ეროვნული გმირების ღვაწლი.

სიტყვით გამოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარე **როსტომ ჩხეიძე**, გორისა და სოხუმის უნივერსიტეტების პროფესორები: **ელდარ მამისთვალიშვილი**, **ნინო ვახანია**, **სალომე კაპანაძე**, **პაატა ჩხეიძე**, **მარინა გიგაშვილი**, მწერლები: **ჯემალ ინჯია** და **ზაურ ნაქაძე**, არქიტექტორი **გია სოსანიძე**, გორის უნივერსიტეტის რექტორი **ზაზა ცოტნიაშვილი**, სტუდენტი — **ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი — თეონა ქურთაული**.

შემდეგ შეკრებილებმა გორის ხარების ეკლესიაში გადაინაცვლეს, სადაც **მამა იოანემ** (ცეცხლაძე) გადაიხადა ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ სტიქაროსნები: **ნიკოლოზ რევაზიშვილი**, **უშანგი ენუქიძე**, **გაბრიელ მაზმიშვილი** და **გიორგი კლიმიაშვილი**.

დაიბადა 1975 წლის 30 მაისს, ონის რაიონში, სოფელ საკაოში. სკოლა დაამთავრა იქვე. 1997 წელს ჩააბარა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, ლიტერატურული დაოსტატების სპეციალობაზე, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელოსნო ჯგუფში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი მასწავლებლად მუშაობდა მშობლიური სოფლის სკოლაში. ამჟამად ცხოვრობს თბილისში. წერა ლექსებით დაიწყო. ეს ნოველები მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრებია. ჰყავს მუულღე და ერთი ვაჟი: დაჩი აბესალაშვილი.

შორენა ბერელიძე

# ნოველები

ჭირისუფალი

ასე ხუთი-ექვსი საათი იქნებოდა, ძაღლის უსაშველოდ ტკივილიანმა ყმუილმა რომ სოფელი შეძრა. ევგენას მონაცრისფრო-მორუხო გოგნია დასდგომოდა თავგაწყლეთილ მოფართხალე ლეკვს და თავის ენაზე გულსაკლავად დასტიროდა. ერთი თუ თანდათან ანელებდა ციებთანით კანკალს, მეორე წუთს უმატებდა შემადრწუნებელ ყმუილს. ევგენაც ზომაზე მეტად შეწუხებული ადგილს ვერ პოულობდა. თავისი ეზოს მესრიდან, მეზობელ გურგენას მესრამდე, გზა აგერ უკვე მეცხრედ გადაკვეთა და გადმოკვეთა.

...არა მაინც რას დაატარებს გიჟივით თავის ტურტლიან მანქანას აქეთ-იქით ეს ცინგლიანი ბიჭი. უსაქმურია და მეტი არაფერი... არა, ეს ლეკვიც საიდან გამოძვრა. ოჰ, სანყალი გოგნია... არა, მაინც რა გული ჰქონია, ადამიანით არ დასტირის თავის ნაშიერს?!—ფიქრობდა ევგენა და მწუხარებისაგან აყმუვლებულ ძაღლს თვალს ვერ უსწორებდა. რა ქნას ასეთი მოუშუშებელი გამოუვიდა ეს ნაბოლარა ბიჭი. თან ასაკში შესულს ძალაც აღარ ეყო, ისევე მკაცრად მოეკიდა ხელი, როგორც უფროსი ბიჭებისათვის და ჰა შედეგი — ზომაზე მეტად გათამამდა, დღე არ გავა უგვანი რამ არ ჩაიდინოს, აგერ გუშინაც ნასვამმა მეზობლის ღობე შეარღვია და კინაღამ მოსაგებ ძროხას დაეტაკა, დღეს კიდევ ეს ამბავი.

ბინდებოდა, როცა ლეკვი მდინარესთან ახლოს, ხის ძირში დამარხეს. გოგნია, როგორც ნამდვილ ჭირისუფალს შეეფერება, განზე იდგა და ნალვლიანი თვლებით შესცქეროდა პატრონის საქმიანობას. მერე საფლავთან ახლოს მივიდა, თათები ახლად ამონასუნთქ ბორცვზე დააღაგა, ზედ თავი დადო და გაინაბა. ევგენას ენა არ უბრუნდებოდა, რომ ძაღლისათვის სახლში წასასვლელად მოეხმო, იჯდა თვითონაც მდინარის პირას და წყალში კენჭებს უგულოდ ისროდა. მერე ზღაზვნით ნამოდგა, ძაღლთან მივიდა, როგორც ჭირისუფალს ხელი ზურგზე მოუთათუნა და სახლისაკენ გაიყოლია. მიდიოდა გოგნია ფეხათრევით და თან დროდადრო უკან იცქირებოდა.

სალამოს სალაფავით გავსებული ჯამი ევგენამ ძაღლს წინ დაუდო, ერთხელ კიდევ მიეფერა და შორიდან უცქერდა, აბა შეჭამს თუ არაო. ძაღლმა თათები ჯამს გვერდით დანა-ჩანგალივით დაუნყო და გამჭვირვალე წყვილი ცრემლი ზედ დააგორა. კაცმა ნერვიულობას უმატა, ენა-ნებოდა ოთხფეხა მეგობარი ამხელა წუხილისათვის. მერე

საკუჭნაოსაკენ გასწავლია. გაუჭრელ ფელიქს კაი დიდი ნაჭერი მოათალა და ძაღლისაკენ სასიკეთო მოლოდინით აღტკინებულმა გააქანა. გოგნიამ დაყნოსა, მადლიერი თვალები შეანათა პატრონს და დრუნჩი განზე გასწავლია. ევგენა მთლად გადაირია და გვერდით მდგარ ღორების საჭმელ გოგბს



ისე ძლიერად დაჰკრა ფეხი, რომ საქათმიდან დამფრთხალი ქათმების კრიახი, ხორბლის მარცვლებივით მოებნია ბინდში გახვეულ ეზო-კარს. მერე გაცეცხლებული შევარდა სადგომ ოთახში და ბრაზი ახლა მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქანცულ ცოლს გადმოანთხია. ასეო, ისეო, შენი ბრალიაო ეს ბიჭი რომ ასეთი უსაქმური და უნდელი გამოვიდაო. შენ ათამამებდი და შენ აფარებდი ხელსაო. უჩინა სათქმელს კალაპოტი და კაი ნახევარი საათი ისე ადინა წყრომის მონოლოგი, რომ წინაღობად ცოლის არც ერთი სიტყვა არ დახვედრია, მერე დაღლილ-დაქანცული ტანსაცმლიანად მიწვა და უმაღლე ჩაეძინა.

დილით ეზოში გამოსულმა გოგნიას მოუხბმო, ჩვეულებისამებრ ელოდა, როდის მოვიდოდა და ფეხებთან მიელაქუცებოდა. ბუნაგში შეიხედა, ეზოს უმაღ გადაჰკრა-გადმოჰკრა მზერის შოლტი, მაგრამ ძაღლი არსად ჩანდა. ჯოხს ხელი მოჰკიდა და ეზოდან გადავიდა. სტვენითა და ძახილით გასცდა სოფელს და მდინარისკენ დაიქვეითა. შიგადაშიგ ტყის პირებთანაც შეიბილიკებდა ხოლმე და მაღალ ხმაზე ეძახდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაღლილმა და იმედგადაწურულმა ლეკვის საფლავს მოჰკრა თვალი და ზედ განოლილი გოგნიაც შენიშნა. ევგენა ახლოს მივიდა ძაღლთან... ვიჩინის ნაჭერი საკურთხევით იდო საფლავზე... კაცი გააოცა, რაღაც უცნაურ ხასიათზე დააყენა ნანახმა და ფეხმოკვეთილი ჩამოჯდა ქვაზე. დიდხანს ისხდნენ ასე. ძაღლი თავისას სწუხდა, ევგენა თავისას და შვილზე აქოთქოთებულ ბრაზს უხმოდ იკლავდა გულში. მერე ძაღლს თითქოს შეეცოდა პატრონიო, თავი მუხლის თავზე აუსვა და შეუნკმუტუნა.

სალამოუჟამს ისევ დაბრუნდნენ სახლში, გოგნიამ ისევ პირი არ დააკარა სალაფავს, ევგენამ ისევ უჩინა კალაპოტი სათქმელს და რისხვა ახლა თავად ნაბოლარა ბიჭს დაატეხა... ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ძაღლი დასუსტდა, დაილია, ძლივსლა დალასლახებდა. კაცი ყოველ დილით ლეკვის საფლავზე მიტანილ საკვებთან ერთად პოულობდა და ყოველ საღამოს წვალე-წვალეებით მოჰყავდა შინ. ერთ დილასაც აიღო ნიჩაბი და წარბშეკრული გაემარ-

თა მდინარისაკენ. სურათი იგივე დახვდა: გოგნიას პურის ნატუნები კობხად დაეწყო საფლაგზე და თავადაც გვერდით მოსწოლოდა. ეგგენა ძაღლს მიელაპარაკა, ნიჩაბი მოიმარჯვა და საფლაგის თხრას შეუდგა. ძაღლმა წამოიწია, განზე გადასა და რალაც დიდის მოლოდინში გაფართოებული თვალებით უცქერდა პატრონს. ნახევრად გახრწნილი ლეკვი კაცმა მინიდან ცელოფნის პარკში მოათავსა და გოგნიას მოუხმო. ძაღლი მიხვდა პატრონის ჩანაფიქრს და ირგვლივ წკმუტუნ-წკმუტუნით დაუნყო რბენა.

ეგგენამ ეზოში, ზედ ბუნაგთან გათხარა საფლაგი. ლეკვი დიდი პატივით ჩაანვინა შიგ და გადმოსვენების ცერემონიალის დასამთავრებლად, ერთი მინის მიყრალა დარჩა შესასრულებელი. ცოლი გაცეხული აივანზე იდგა და გაცეხული შესცქეროდა ქმრის საქმიანობას. სიტყვის თქმას ვერ უბედავდა, თუმცა კი გულში ქოქოლას აყრიდა კაცის ახირებულ ხასიათს. ლეკვს ბოლო ნიჩაბი მინაც მიაყარა, დალილმა ხელები დაიბანა, მერე ძმარც გადაივლო, რადგან ვერა და ვერ მოიშორა უსიამოვნო სუნი და ბუნხართან დადგმულ ხის ტახტზე წამოწვა. როცა გაეღვიძა, უკვე ბინდი იდგა ეზოში, გაიზმორა, გულიანად დაამთქნარა, გარეთ გამოვიდა, თვალი ძაღლის ბუნაგისაკენ გაექცა და გაცეხული შედგა: გოგნია დასდგომოდა სალაფავის ჯამს და გულიანად თქვლეფდა. ეგგენამ ერთი მაგრად გადაიხარხარა, ძაღლისაკენ გაიქცა, ხელები ზურგზე შემოარტყა და ტანზე მიეხუტა. გოგნიამ მაღლიერებით საესე თვალები მიანათა პატრონს და ჭამა განაგრძო. არა მგონია იმ სალამოს ეგგენაზე ბედნიერი ყოფილიყო ვინმე. ამაცობდა ამხელა საშველი რომ მისცა ოთხფეხა მეგობარს და სანუხარი თუ არ გაუქრო, გაუნახევრა მანაც.

ამის შემდეგ ყველაფერი ძველებურად აენყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გოგნია ბუნაგის ნაცვლად, ახლა ლეკვის საფლაგზე ჭამდა და იძინებდა. ზამთარშიც კი, როცა თოვლი სითეთრეში გაახვევდა ეზოს და ყინვაც თავის ღონესა და შეძლებას ყველასა და ყველაფერზე ცდიდა, ძაღლი იწვა შვილის საფლაგზე და საკუთარი სხეულით ცდილობდა ერთი გოჯი მინის გათბობას. ეგგენამ აქაც იპოვა საშველი: ბუნაგი ზედ საფლაგზე აამენა და დედაცა და შვილიც ერთი ციდა სახურავის ქვეშ მოაქცია. ამ ამბის შემდეგ კაცი უფრო გულჩვილი და მგრძობიარე გახდა, ბევრ რამეზე დაიწყო ფიქრი, გულში ათასი გზა და ბილიკი გაჭრა და ზედ სიკეთის უცნაური არსებები ააფუთფუთა.

გოგნია კი ცხოვრობდა ბუნაგში თავისი შვილის საფლავთან ერთად და გულდამშვიდებული კვლავ ძველებურად განაგრძობდა პატრონის ეზო-კარის საგულდაგულო დარაჯს.

**გზადაზნა**

სამარშრუტო ტაქსში მოკალათებულ ოფლის სუნს ქალები ატმისა და ვარდის სურნელით გაჟღენთილი სველი ხელსახოცებით, კაცები კი ფანჯრისაკენ მიქცეული უსიამო სახეებით ებრძვიან. მძლოლი ზის გაბღენძილი, პერანგი შუამდე გაულეღავს, შუის ქვემოთ ტანჯვით შეკრული ღილები საზამთროსებრ ღიბს ვითომდა აკავებენ.

შთაბეჭდილება გექმნება ერთი ღრმად თუ ამოისუნთქა, ამწყდარი რგოლები უმისამართოდ ნასროლი კენჭებით რომელიმე უიღბლო მგზავრს წკიპურტებს უთავაზებენ (ალბათ უფრო იმას, ვინც წინ, მძლოლთან ახლოს ჯდამა არჩია. აი, კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ყველანაირ უპირატესობას ხეირი არ მოაქვს). რალაცნაირი მედიდური იერი აქვს ჩვენს “საჭეთმპყრობელს”... ნეტავ რის გამო? აა, მივხვდი, ეს იმ მაგნიტოფონის დამსახურებაა, თავნაკული რომ ცდილობს დამაჯეროს შემსრულებლის მუსიკალურ გემოვნებასა და ვოკალური მონაცემების “სიდიადეში”.

“ნითელი მზე, შავი ზღვა, ზღვაზე თეთრი აფრები, ამ სალამოს შენთან ვარ, არ დამიწყო ზღაპრები, ზღაპრები, ზღაპრები, არ დამიწყო ზღაპრები”...

...ააუუუ... უცნაურ მელოდიას აყოლილი, ეს უცნაურ სიტყვათა ჯაჭვი, ბლაგვი და ჟანგისანი ლურსმანივით მიჩიჩქნის ტვინის რომელიღაც ნაოჭს და პირს მაგრად ვკუჟმავ, რადგან გამძვინვარებული გულის ზიდვას ვგრძნობ (ეტყობა მოვიწამლე, ბოლოსდაბოლოს ლურსმანი ხომ ჟანგისანი). მძლოლს მედიდურობასთან ერთად, რალაც გაუგებარი ღიმილი “ნაკლეკასავით” ანებებია სახეზე და არ ვიცი რას იტყვს: მუსიკით მოგვიროლ სიამოვნებას, თუ ჩემი ტანჯვის ცქერით ტკბობას. სიმართლე უნდა დავადგინო, უცნაური კვლევის სურვილით შეპყრობილი “საჭეთმპყრობელის” წინ ვდგები და ვცდილობ სახეში შევხედო... არა, მზეერა უფრო ბრიყვისაა, ვიდრე მწვალეზლის. ვტრიალები და გაჩერებიდან გაჩერებამდე “დაზნაიტეზულ” ჩემს კუთვნილ სკამზე ვჯდები. ყურში “ნაუშნიკებს” ვირჭობ და ბობ მარლის მოსმენას ვინყებ... გაჩერებაა... ჩემს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა, ხორცსავსე ქალი, უფრო გოგონად რომ უნდა თავი მოგაჩვენოს, დგება, რალაცას მეუბნება ალბათ – უკაცრავად გამაბარეთო. მე “ნაუშნიკებს” ყურიდან ვიძრობ და გზას ვუთმობ. ყოფილი თანასკამელი თუ თანარიგელი მოკლე მაისურის ქვემოთ ქაჩვით გადის; რაც შეუძლია ინდომებს, რომ დაბალწელიან შარვალსა და ტოპს შორის ამოჩენილი თეთრი, ფუმფულა ზოლი დაფაროს. ამ ტანჯვამა და მძლოლს ქალღალდის ღარინას აწვდის, ჩვენი “საჭეთმპყრობელი” მსუქანი თითებით უბრუნებს ვერცხლისფერ მონეტებს და ხურდაში მსუნავ მზეერასაც ატანს... “უხ შენი” – გამიელვა თავში. თუმცა რა, კაცი თუ ხარ, ასეთი ჰაბიტუსის და ჩაცმულობის მდედრისაკენ კი გაგექცევა თვალი (იმპოტენტებზე არ ვლაპარაკობ).

— გადახვალ თუ არა გამიჩერე — შუახნის გადაპრანჭული ქალი ფეხს უკვე კიბეზე დგამს და ჩასასვლელად ემზადება.

— რა გითხარით, გადახვალთ თუ არა გამიჩერეთმეთქი. პომადიანმა ტუჩებმა ახლა უკვე ბრაზით წარმოსთქვეს იგივე წინადადება და მძლოლს ფოცხვერივით შეანათა ვერმიჩქმალული ნაოჭების სიახლოვით ორმაგად გააღმასებული, სავარაუდოდ შინაბერას თვალები.

— ჰო, ქალბატონო გავიგე, ყრუ კი არა ვარ, მივალ კუთხესთან და გავაჩერებ... ჰადაჰა კუჭის თავთან წკიპზე მყოფ ღილს ერთი სული აქვს ინდოელის ნიშანივით დაექედოს ტონალურით გაპოხილ ქალის ვინრო შუბლს (ეს დეტალიდა აკლია მის მორთულობას).

— რა უცნაურად დაგყავთ მანქანა, აგვეთქვიფა გვერდები, არ შეიძლება ცოტა ნელა ატაროთ? — უკანა სკამზე მჯდომი ბავშვიანი ქალი ნაგუბებ საყვედურს ნამტყუნევი გვერდიდან უშვებს და ბავშვის ჭირვეულ ტირილს ტივივით ატანს.

— რა ვუყო გენაცვალე, რუსთაველი გადაკეტილია და ამ “ჩორნი ხოდებით” ცოტა ჩქარა თუ არ ვიარე დაიგვიანებთ სამსახურში და ჯავრს ისევ ჩემზე იყრით, მიტინგებისთვისაც თუ მე არ მომთხოვთ პასუხს მადლობელი ვიქნები... გაცხარებული აჭერს გახს ფეხს და პრეტენზიულ მგზავრს კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ ანჯღრევს. ქალი ცხადია უხმოდ, მაგრამ მომწყვდეულ ბაგეებში მომწყვდეული განინმატებით კარგა გვარიანად ლანძღავს ჩვენს მძღოლს, თუმცა ეს უჩუმარი ფაქტი აყალ-მაყალს აღარ იწვევს.

ნელან კი გამაცხარა ტიპიური “საჭეთმპყრობელისათვის” დამახასიათებელმა კლასიკურმა მუსიკალურმა გემოვნებამ, მაგრამ ახლა კი რალაცნაირი თანაგრძნობით შევხედე საზამთროს ღიპიანს. დღის განმავლობაში ათასი უცნაური, ნევროზების განსხვავებული ტიპებითა თუ ხარისხებით დაავადებული მგზავრი ამოვა და ყველაფერს უნდა უარო და ფონი უნახო, ასეა თუ გინდა ოჯახის რჩენა.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ვუახლოვდებით და ჩასასვლელად ვემზადები.

— ერთის აიღეთ! — ვუნოდებ ათლარიანს.

— ხურდა არა გაქვს? — ნაბლის ბუძგში გახვეული ბრაზით მიყურებს მძღოლი, თან ჯიბიდან ქალაღდის ფულის ამოღებას ქშენითა და ხვნეშა-ხვნეშით იწყებს.

ღიღები კვლავ საბედისწეროდ ცქმუტავენ და ინსტინქტურად თავი უკან მიმაქვს. ოფლისაგან დაცვარული მსუქანი და წითელი სახის წყენაკიდებული იერით, ვითომდა რამდენი მანვალეო, ქალაღდის ფულს მანვდის, მერე ორ ოცთეთრიანს და ერთ ათთეთრიანს იქვე წამოსკუპებულ მაგნიტს გაგულისებული აგლეჯს და, ვიცე, გულში ჯანდაბაში მისტუმრებს.

მანქანის კარს ვხურავ და სუფთა ჰაერს რალაც სხვანაირად ღრმად და დაგემოვნებით ვსუნთქავ.

ფულს არც კი ვითვლი, ისე ვიკუჭავ შარვლის ჯიბეში და სიამოვნებით, ნელა და რწევა-რწევით მივუყვები დაღმართს.

### ტიპური ქალის რაჭული პარიაცია

- დედა, დედა რა ქალი მოკვდა, რა ქალი?!
- აბა, აბა, ნუ იტყვი. აფსუსს, მაგის მინაში ჩადება ცოდვა არ არის?
- არა, მინაც რავა არ გაუფრთხილდა თავს, ერთხელ რო დაგარტყა ი ტიალმა, მოერიდე რა.

— მოერიდე კი ვიტყვით მარგალიტა მარა, ცოცხალი ადამიანი რავა დაიკრფე გულზე ხელებს.

— ახლა უარესი არ მოუვიდა შე ქალო თინა? ამ წყვილად წყვილად კაცებს ვინ უპატრონებს. გიორგუნა მინაც იყოს დაქორწინებული. ახლა თენგიზა თავისი ცოლ-შვილით აქ აღარ დაბრუნდება და მარინიკასაც თავისი ოჯახი აქ მოსავლელი.

— არ გახდება უსაშველო, ბრალი ამ საცოდავს ამას, მინას რო ამოეფარა, თვარა ყველას ეშველება. ვა, საცოდაო ეთერ, რავა უდროოდ გამოაკლდი სოფელ-ქვეყანას.

ასე ქოთქოთით მიჰყვებიან მიცვალეულ შავებში გამონყობილი, შავი ქოლგების ქვეშ ორ-ორად დამწკრივებული გულნარა და მერი, მედიკო და ლენა, მარო და დამა, მარგალიტა და თინა. ენვით და ეთუთქებათ

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

გული, ებრალებათ ამდენ ჭირ-ვარამ გამოვლილი და გაუხარეული ქალი. აქ ხომ ყველას ბედი თითქმის ერთნაირია: გათხოვება, შვილების გაჩენა, ოჯახისა და ეზო-კარის მოვლა, მუშაობა ბოსტანში, მუშაობა ყანაში, მუშაობა სათიბში, სულ მუშაობა და მუშაობა. მოისვენებენ მაშინ, ოთხ ფიცარს რომ შეუკრავენ და ეთერის გზას გაუყენებენ. კარგად იციან ეს. ყოველ ჯერზე ერთით ნაკლები გაჰყვება პროცესიას და ერთით ნაკლები იქოთქოთებს გარდაცვლილის მწარე ბედსა და იღბალზე. ისევ დაენვებათ და დაეთუთქებათ გული, მაგრამ მოსათმენად, როგორც ყოველდღიური ყოფის ისევე აუცილებელი და შესასრულებელი ნაწილი, როგორც მაგალითად ბოსტნის გამარგვლაა.

— არა, საცოდავი ახალი წნევადარტყმული ხარებს რავა გაუძღვა წინ, სულ გადარეულა ე შეჩვენებული ალექსი. ის დააძალედა გინდა თუ არა გაუძენიო. ახლა ეტირება ყოფა მოიცა, ახლა გაიგებს ცოლის ფასს ეგ უბედური ევა. არა, მართალია კაცი და ძალი ერთიაო. არა, ავადმყოფი რავა არ უნდა დაზოგო და დაინდო. მინა და სხვისი ჯიბრი მოკლავს მაგ საცოდავს მაგას.

ქმარი, შვილები და შვილიშვილები ახლოს მივიდნენ ეთერის კუბოსთან, სათითაოდ გამოეთხოვნენ და შუბლზე აკო-





ცეს. გიორგი დარჩა ყველაზე დიდხანს დედის ცხედართან, მერე მკერდზე დაემხო და კაცური ცრემლით აქვითინდა.

— ო, შენ მოგიკვდი გიორგუნა, შენა ხარ ყველაზე ცოდვა, უფროსებს ოჯახები ქე აქვთ და გადაიტანენ რა-ფერმე. შენ რა გეშველება, შე საცოდაო შენა, მაგ უხასიათო მამაშენის ხელში გაძლება არ გინდა? — ბუტბუტებდნენ აქეთ-იქიდან შაოსნები.

მერე პროცესია ნელი სვლით უკან მობრუნდა. სახლთან, კაკლის ჩრდილში მოიყარეს ქალებმა თავი. კაცები კი სახელდახელოდ გადახურულ სამზარეულოსთან შეგროვდნენ და უშველებელ ქვაბებთან მოტრიალე მზარეულს საუბარი გაუბეს. ეზოში სუფრები სამ რიგად იყო გაშლილი. პირველ რიგში სოფლის კაცები დასხდნენ, მეორე რიგი სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მესამე ქალებისა და დამხმარეებისათვის.

სუფრასთან დასხდომიდან პირველი ათი წუთის განმავლობაში მანც არავის გახსენებია ეთერი. სანამ სათანადოდ გამოპრანჭულმა თამადამ მისი შესანდობარი არ თქვა. “ო, საცოდავი, საბრალო, რა ქალი იყო, რა ქალი, რა საქმე და რა ნამზადი იცოდა” — ისმოდა აქეთ-იქიდან მიცვალებულის საქებარი თუ შესაბრალო სიტყვები. ერთი-ორი ჭიქის დალევის შემდეგ შეთამამებულმა შაოსანმა ქალებმა თავს უფლება მისცეს ცოტა წაეჭორავათ კიდევ:

— ვა, ბეჩა, ბეჩა, ჩვენი ბუჟანას ბოშუნა რავარი გამხდარა, პერანგივით არ გადაუღებია ცხვირისა. შეხედე, შეხედე, ავ თვალს არ დაენახებდა.

— ე, მერაბიკას ცოლი რავა გადღვეფილა, აფსუს რა გოგო იყო.

— ამისთანა ამბავში ამისთანა ჭრელი კაბის ჩაცმა იქნება, ე, ქალაქელებს რას გაუგებს კაცი, ან თვალის ასე ჩადაბნა რა უბედურებაა. რავა იქნება სატირალში ერთი კურცხალი მანც არ გადმოგვარდეს თვალიდან.

— ე, ალექსის დას ნამეტანი მაღლა უჭირავს თავი, რავა რა გონია დიდი ხანია აღარ ზილავს სოფლის ტალახებს. ვა, ბეჩა თმებიც რავა გადაუღებია ყვითლად.

— არა, ამდენი თევზი რა საჭირო იყო, ნამეტანი არაფერი ვარგა.

— აპა, აპა, ამ დროს ისედაც ხარჯი ადგია ოჯახს და თავი გამოჩენი გულითვინ ვალის ვალზე დამატება იქნება.

— ე, შესანევარის ალებაც გლახად გადავარდა ჩვენში, ამ დროს უნდა ოჯახს თუ უნდა ხელი წაკვრა.

— კაი შეძლებული ძმები ყავს ეთერის, ისინი დაეხმარებოდნენ, თვარა ალექსის სად შეეძლო ამითანა სუფრი გაშლა. შეხედე, შეხედე ყველაფერი ბლომით არი — ხორციულიც და ფხალეულიც.

— ღვინო, ღვინო მერე რავარია?!

— ვა, სანყალო ეთერი, შენთვის რაღა, შე საცოდაო შენა, — შიგადაშიგ მიცვალებულსაც ახსენებდნენ, მთლად მივიწყებაც არ ივარგებს.

— ე, თამადა რამდენს ლაპარაკობს, ქორწილში ხო არ გონია თავი.

— მოიტანონ ახლა ფლავი და ნავალთ სახლში, სური-ელსაც პატრონობა უნდა.

— ხაშლამა რავარია?! რა ოთარიკას მარჯვე ხელი აქ, ეგ არი გადაკვრა უყვარს და ყურადღება უნდა მიაქციო, რო ნამზადი არ წაახდინოს.

— შეხედე ნოდარა რავა გალემილა, სირცხვილი არ არი ბეჩა, ჭირის სუფრიდან ასე ადგე?! სად არის ციალა, სულ

ტაი-ტაი. თუ ჩაირთო ველარ გააჩუმებ. არ უნდა მიაქციო ქმარს ყურადღება?!

— ოო, ფლავი მოოდის, ფლავი, რა სუნი აქ, გემოსაც რა უშავს, ცოტა მეტი სიცხარეც შეიძლებოდა.

— ავდგეთ ახლა, მაღლობა გადავუხადოთ ოჯახს და ნავიდეთ. ე, მზე სად გადაინვერა დაინახე?

— ჰო, ჰო, თვარა საქონელი თუ დაიბნა, რაღა მოუყრით მაგათ თავს.


მივიდნენ ჯერ ალექსისთან ვიშვიშითა და უნდა გამაგრდე, უნდა გამაგრდეს ძახილით, გადაუხადეს მდა დაემვიდობნენ. მერე შვილებს მიადგნენ. თენგიზას ხელი ჩამოართვეს, გიორგი გულში ჩაიხუტეს, აბა შენ იცი, არ შეშინდეთო. აგერ არა ვართო, თუ რამე დაგჭირდეს არ მოგერიდეთო. ქალი და რძალი შეაგულიანეს თქვენ იცით და თქვენმა მარიფათმა, როგორ მიხედავთ და უპატრონებო ოჯახსაც და კაცებსაცო. ანი სულ სიკეთე, ლხინის სუფრები, სულ მალე გიორგის ქორწილი ამ სახლსო — ხელების ცაში აწვდენით მოჰყვენენ ლოცვას და თან ნელი ნაბიჯით ეზოს გასცდნენ. გზაგასაყარზე შაოსნები ორად გაიყვნენ. ნანილმა აღმა ქნა პირი, ნანილმა დაღმა. “აბა, სულ კაი საქმეში ქალებო” და დაშორდნენ ერთმანეთს.

სალამოს ბრძოლაგამოვიღოს ჰგავდა ეზო. აქეთ საქმლის ნარჩენები, იქეთ გამოხრული ძროხის თავი, აივანზე ერთმანეთში არეული დასარეცხი თევზები. ქვაბებში თავმოყრილი მორჩენილი საქმელი. ასაკეცად გამზადებული აყირავებული მაგიდები და სკამები. ყველგან ქალაღის თეთრი ნაგლეჯები, რამოდენიმე საათის წინ სწორედ ამ მაგიდებსა და სკამებს რომ უფარავდა წუნსა და ხარვეზს. ერთგან უკვე გაეჩაღებინათ მათგან ცეცხლი, მაგრამ მანც იმდენი ქალაღი მიმოფანტულიყო ირგვლივ, რომ სალამოს ბინდში თეთრი ლაქებით მორთულს ჰგავდა ეზო. თონესთან სამფეხაზე დიდი ქვაბით დაედგათ წყალი და აცხელებდნენ, ექვსი-შვიდი ქალი მიესევა და უცებ გაირეცხება ყველაფერი. მთავარია საქმელს მიხედონ, მაცივრებში დაანაწილონ რომ დილაზე არ ამჟავდეს. ჩამოსულ სტუმრებსაც ხომ უნდა ყურადღება და მიხედვა. არის საწოლების მზადება და გაშლა, შინ თუ მეზობლისას. რის ერთი ამბავი და დავი-დარაბა. ვილას ახსოვს ეთერი. მხოლოდ სახლის უკან, ვაშლის ძირას დამჯდარიყო გიორგი, თავი მიწაში ჩაერგო და გულსაკლავად ქვითინებდა, ამ აურზაურში უფრო მეტად შენუხებული უდებობითა და მარტობით.

— გიორგი ბიჭო, სად დამჯდარხარ, ჯდომის დროა ახლა? ქვე დაამდა და რამდენი რამ გვაქვს მოსასწრები, მოდი შე გლახა შენა, დარდით რაღას უშველი. ეს იყო ალბათ საცოდავის წერა — ნამოაყენა მეზობლის კაცმა და წინ გაიძლოლა.

გვიან ღამემდე ისმოდა წყლის ჩხრიალი, დარეცხილი ჭურჭლის წკარუნნი, ჩაქუჩის კაკუნნი (მაგიდებს და სკამებს თუ შლიდნენ). ჭიშკართან ატუზული ძაღლის წკმუტუნნი და აქა-იქ ღრმა ამოოხვრა.

დილით ეზო ისე იყო მიწკრიალებული, რომ გუშინდელი აურზაურის კვალიც აღარ ემჩნეოდა. მოწესრიგებული ოთახები, ფანჯრისხელა თვალებით ისევ ისე დინჯად იცქირებოდნენ აივანიდან, როგორც უწინ. ქათმებიც ისევ ისე დაკაკანებდნენ ეზოში და ჩიტებიც ისევ ისე ჭიკჭიკებდნენ თხილის ტოტებზე... განსხვავება მანც იგრძნობოდა — ეთერი-სულ ეზო-კარს, ეთერის ნაცვლად თეთრი ქალაღის ნაგლეჯებითი აჩნდა მთელი კვირის ნაქვითინარის ჩვრებადქცეული სიტყვები: “ო, ეთერ ქალო, შე საცოდაო შენა!”



ყველა თამაში წესების დაცვას მოითხოვს, მით უმეტეს პოეტური თამაში.  
 პაატა ნაცვლიშვილი გვთავაზობს რიტმულ-ინტონაციურ თამაშებს, რომელიც სათურიდან  
 ბოლო სტრიქონამდე პოსტმოდერნისტულია, რაც ნიშნავს:  
 აქ არის ინტერტექსტი და სოციალურ-ისტორიული შიფრი;  
 დინამიზმი და მრავალმნიშვნელოვნება;  
 ირონია და პაროდია;  
 დისონანსური რითმა და ენობრივი კოდი.  
 რაც მთავარია, ეს არის წარმატებული გაგრძელება ექსპერიმენტული ციკლისა.  
 პაატა ნაცვლიშვილი ახლიდან ქმნის თავის ლიტერატურულ სახეს და ამაშიც არის რალაც პოს-  
 ტმოდერნისტული.  
 სანამ ცნობილი ჟურნალისტი გახდებოდა, პოეტი იყო. პოეზიას დაუბრუნდა და ჟურნალისტო-  
 ბა სქოლიოში ჩაიტანა:  
 ცხოვრება როგორც ინტერტექსტობრივი მონაცვლეობა!

პაატა ნაცვლიშვილი

# თანხმოვ(ა)ნებანი

პოსტმოდერნისტული ლექსები წინა ათასწლეულიდან

**03. 07. 08.**

სევდა პირამიდათა, ლუქსორთა<sup>1</sup> და გიზათა<sup>2</sup>,  
 მოაქვთ ღრუბლებს წინასწარ არჩეული გეზითა,  
 ეს სევდაა, რომელმაც შენი სახე გაზეთა,  
 და ხვალისა რომელმაც დაამძიმა გაზეთი.

1. ლუქსორი – ქალაქი ეგვიპტეში; ცნობილია თავისი ორი სატაძრო კომპლექსით.
2. გიზა – კაიროს გარეუბანი; ცნობილია თავისი პირამიდებით.

**03. 11. 02.**

ო, რა კარგი დილაა, შაშვის ისმის გალობა!  
 მსხლის ხეზე ზის – მსხალია ქარვისფერი გულაბი,  
 ღმერთო, შენ აგვაცილე ჩვენს კარებში გოლები  
 და გულშემატკივართა დახეთქილი გულები!

**03. 11. 08.**

აუ, რამდენი გეაჯე, გელაითე<sup>1</sup> და გელოთე,  
 ველად და ხელად გავარდნა დილიდან მწადადა გულითა,  
 სულ ორიოდ ნაბიჯზე აქედან არის გელათი<sup>2</sup>.  
 გზაზე კი აივანია მორთული ნივრის გალათი.

1. გელაითე, ლაითობა – (ნეოლოგ.) ავტორის აზრით, მსუბუქ თამაშობას, ლაზღანდარობას შეიძლება ნიშნავდეს.
2. გელათი (XII-XIII სს) – სამონასტრო კომპლექსი დასავლეთ საქართველოში.

**03. 11. 13.**

ანგელოზების მარკიზამ<sup>1</sup> (ავტორი – ორი გოლონი<sup>2</sup>),  
 მაყვალამ<sup>3</sup> თავის ალმანახს დაარქვა თურმე „გულანი“<sup>4</sup>  
 და პრეზენტაციისათვის მოიხმო იან გილანი<sup>5</sup>,  
 ხოლო ბენზინი გაძვირდა – თუმანი გახდა გალონი.

- 1-2. ორი გოლონი – ან და სერჟ გოლონები, მწერალი ცოლ-ქმარი – სიმონა შანჟე (დ. 1921) და ვსევოლოდ გოლუბინოვი (1903-1972), რომელთაც ეკუთვნის რომანების ციკლი ანჟელიკაზე; მათგან პირველია „ანჟელიკა – ანგელოზების მარკიზა“, რომლის მიხედვით გადაღებულია ფრანგულ-იტალიურ-გერმანული ფილმი მიშელ მერსიეს და რობერ ოსეინის მონაწილეობით; ამას მოჰყვა ციკლის სხვა ნიგნები და ფილმები.
3. იგულისხმება პოეტი მაყვალა გონაშვილი (დ. 1956).
4. 1990 წელს მაყვალა გონაშვილის რედაქტორობით გამოიცა ლიტერატურული ალმანახი „გულანი“.
5. იან გილანი (დ. 1945) – ინგლისელი როკ-ვოკალისტი (ჯგუფები „Deep Purple“, „Black Sabbath“ და სხვა). 1990 წლის მაისში მეუღლესთან ერთად ეწვია საქართველოს, იმდერა კიდეც და ქორნილიც გადაიხადა.

**03. 12. 17.**

ჯოჯოხეთის გოგირდი – სუნი რაა, გემო რა, –  
 ხრჩოლავს, ცაზე გაშლილი ღრუბლებიც კი გამურა,  
 სულერთია: სასახლე, ოფისი თუ გომური...  
 ეს ქალაქი ყოფილა სოდომი და გომორა<sup>1</sup>!

1. სოდომი და გომორა – ცუდი რეპუტაციის მქონე და ამის გამო დასჯილი ბიბლიური ქალაქები.

**03. 13. 02.**

კატა მიწვა ბუხართან და თვალეები განაბა,  
 როგორც ელვა სიბნელეს, ყურებს კანრავს გინება,  
 თავის დედას აგინებს ვილაც ძალით განაბი,  
 ვერ დაუშლი, რას იზამ – კაცია და გუნება.

**03. 13. 18.**

ამხანაგი მდივანი და პარტი-გენოსე<sup>1</sup>,  
 ვინ არს დამდგინებელი სიგრძისა და განისა,  
 მოყვარული ოპერის – ბიზესი<sup>2</sup> თუ გუნოსი<sup>3</sup>,  
 შავს ლუდსა სვამს, რომელსაც ჰქვია თურმე გინესი<sup>4</sup>.

1. პარტი-გენოსე [გერმ. Parteigenosse] – პარტიული ამხანაგი.
2. იხ. შენიშვნა 2 ლექსისათვის 02.07.07.
3. შარლ გუნო (1818-1893) – ფრანგი კომპოზიტორი (ოპერები „ფაუსტი“, „რომეო და ჯულიეტა“ და სხვა).
4. „გინესი“ – ირლანდიური შავი ლუდი. გინესის ნიგნი სხვაა.

**03. 19. 17.**

განგა რაა, ჯამნა რა! ზიტა რაა, გიტა! რა!  
ო, რა ტყვილად ვიტირე, ო, რა ტყვილად გატირე,  
ამ ეკლებშიც რა ტყვილად მატარე და გატარე,  
რამ წამოგალებინა ბანტიანი გიტარა!

1. განგა და ჯამნა, ზიტა და გიტა – ცრემლისმომგვრელი ინდური ფილმების პერსონაჟები.

**03. 24. 06.**

„რა მიყავი“, ისე მკითხე, თითქოს რამე გიყავი,  
ლოგინიდან წამოდექი, ჯემპრში ხელი გაყავი,  
მერე ხურდა გუშინდელი ზუსტად ორად გაყავი  
და სიტყვაც კი აღარ გითქვამს, ქუჩას ისე გაყევი.

**04. 02. 11.**

თუმცა არის ეს ჩაქუჩი უსაშველოდ დებილი,  
თუმცა არის ეს კედელი უსაშველოდ დაბალი,  
ლურსმანი ვერ მოერევა, უნდა დასცხო დუბელი<sup>1</sup>,  
დაძმარებულ ძმობილს გიჯობს დაბოლილი დობილი.

1. დუბელი – მაგარი, საბეტონო ლურსმანი; იხ. ელიავას ბაზრობაზე.

**04. 02. 25.**

რამ გამახსენა ბავშვობა და სტანისლავა დობოში!<sup>1</sup>..  
თუ არ მოვიდა დუშაში, ანდა სულ მცირე – დუბეში,  
უნდა ავტეხო ყვირილი, ჯერარნახული დებოში,  
რომ დიდუბეში ეგონოთ თავი პოლონურ დაბაში..

1. სტანისლავა დობოში (დ. 1952) – ავტორის მოსწავლეობისდროინდელი პოლონელი მეგობარი გოგონა, რომელთანაც მას რამდენიმენლიანი მიმოწერა აკავშირებდა, მეტი არაფერი.

**04. 03. 17.**

კედელზე ჩამწკრივებულან ბალერინები დეგური<sup>1</sup>,  
ყინულოვანი მწვერვალი – ტიანშანი თუ დიგორი<sup>2</sup>,  
და ფრანგი მწერლის პორტრეტი (ავტორი – ლუი დაგერი<sup>3</sup>),  
კომპიუტერის ეკრანზე დარბის თხუნელა (დიგერი<sup>4</sup>).

1. ედგარ დეგა (1834-1917) – ფრანგი მხატვარი, იმპრესიონისტი; ბალერინების ხატვა უყვარდა.  
2. ტიანშანი და დიგორი – მაღალმთიანი სისტემები აზიაში.  
3. ლუი დაგერი (1787-1851) – ფრანგი მხატვარი და გამომგონებელი, ფოტოგრაფიის მეთოდის ერთ-ერთი შემქმნელი; პირველ ფოტოსურათებს მისი გვარიდან მომდინარე სახელი ერქვა – დაგეროტიპები.  
4. დიგერი [ინგლ. Digger]– პირველი კომპიუტერული თაობის უსაყვარლესი თამაში.

**04. 04. 02.**

რუკაზე თითის ერთი დადება,  
ღმერთმა ინებოს შენი დიდება,  
შენ გაგვინო უნდა დედობა,  
„მატარებლებით კივის დიდუბე“<sup>1</sup>...

1. ციტატა გივი გეგეჭკორის (1933-1996) ლექსიდან „მე იმ ქალაქში ამ ქალაქიდან“ (1972).

**04. 04. 13.**

სმენად ლექები მოვიდიან, კიდევ დიდონი,  
მაგ უცხოთესლებს რას ასწავლი, მარქვი, დოდონა!<sup>1</sup>  
ო, აქ არაფერ შუაშია ანრი დიდონი<sup>2</sup>,  
არც ენეასი, არც ტიროსი, არცა დიდონა<sup>3</sup>.

1. უნდა იგულისხმებოდეს დოდონა კიზირია (დ. 1939) – ამერიკაში მოღვაწე მუსიკონი და პოეტი, ინდური ლიტერატურის სპეციალისტი, ინდიანის (აშშ) უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, სადაც ის ქართულ ენას, რუსულ ლიტერატურას და აღმოსავლეთ ევროპის კინოს ისტორიას ასწავლის.  
2. ანრი დიდონი (1840-1900) – ფრანგი თეოლოგი და მისიონერი, ავტორი ნიგნისა „იესო ქრისტე“.  
3. ენეასი, ტიროსი და დიდონა – ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟები; დიდონა კართაგენის დამაარსებელია, მეფე ტიროსი – მამამისი, ენეასი – მიჯნური.

**04. 06. 02.**

ამ ჭალაში არ იქნება, არ სახლობდნენ დევები,  
ფულზე ნარდს არ თამაშობდნენ: დავი-დავი-დავები...  
არ იქნება, არა ჰქონდეთ ერთმანეთში დავები,  
ამ ჭალაში დღეს სალამოს ჩემი ლურჯა დავაბი.

**04. 10. 19.**

როგორც პოლ და ვირჟინი<sup>1</sup>, როგორც ქეთო და კოტე<sup>2</sup>,  
როგორც ინ და იანი<sup>3</sup>, მონტანა და დაკოტა<sup>4</sup>...  
თუმც სჯობია, იშოვო ორიოდე დუკატი<sup>5</sup>  
და წარსულის კარები საიმედოდ დაკეტო.

1. პოლ და ვირჟინი – შეყვარებულთა წყვილი ჟაკ ანრი ბერნარდენ დე სენ-პიერის (1737-1814) რომანიდან „პოლი და ვირჟინი“.  
2. ქეთო და კოტე – შეყვარებულთა წყვილი ავქსენტი ცაგარელის (1857-1902) კომედიიდან „ხანუმა“.  
3. ინ და იანი – ენერგის ორი ტიპი (ურთიერთდაპირისპირებული, მაგრამ ერთიანი) ტანტრულ ფილოსოფიაში.  
4. მონტანა და დაკოტა – მომიჯნავე შტატები აშშ-ში.  
5. დუკატი – ყველაზე მაღალი სინჯის ოქროს მონეტა პირველ-მსოფლიომამდელ ევროპაში.

**04. 11. 17.**

აღარ მინდა მანეთი, აღარ მინდა დოლარი,  
გინდა ვიყო დალალი, გინდა ვიყო დილერი,  
მშობლიური მეყოფა ჩემი თეთრი და ლარი...  
მე ვიცეკვებ ბალდადურს, შენ დაუკა დოლური!

**04. 11. 18.**

ამ დოქტრინის ავტორი არის ალან დალესი<sup>1</sup>, კენედისთვის<sup>2</sup> დასკვნითი ქალაქია დალასი<sup>3</sup>, თბილისელმა მლესავმა დილას მოვლო დელისი და საჩვენო დანები სათითაოდ დალესა.

1. ალან დალესი (1894-1969) – აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი (1953-1961), აშშ სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის ძმა; მის სახელს უკავშირდება ცსს-ს „ოქროს ხანა“ ერთი მხრივ და ყველაზე შთამბეჭდავი კრაზი – კარიბის კრიზისი მეორე მხრივ; სწორედ კარიბის კრიზისის გამო გადააყენა იგი კენედიმ 1961 წლის 29 ნოემბერს; რომელ დოქტრინაზეა ლექსში ლაპარაკი, ავტორს აღარ ახსოვს...
2. ჯონ ფიცჯერალდ კენედი (1917-1963) – აშშ 35-ე პრეზიდენტი (1961-1963).
3. დალასი – ქალაქი ტეხასში, სადაც 1963 წლის 22 ნოემბერს მოკლეს პრეზიდენტი კენედი.

**04. 12. 13.**

აღისა და ბაზილიო<sup>1</sup>, ქილილა და დამანა<sup>2</sup>, ხურალეები, სტორტინგები, რადანი და დუმანი<sup>3</sup>, მამული და დედული და მეტოხი<sup>4</sup> და დომენი<sup>5</sup>, ფაუსტი და ლუციფერი, ეშმაკი და დემონი<sup>7</sup>.

1. აღისა (მელია) და ბაზილიო (კატა) – პერსონაჟები იტალიელი მწერლის კარლო კოლოდის (1826-1890) საბავშვო მოთხრობიდან „პინოქიოს თავგადასავალი“.
2. ქილილა და დამანა – პერსონაჟები (ტურები) ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლიდან „ქილილა და დამანა“, რომელიც იგაგების კრებულს წარმოადგენს და სპარსულიდან არის ნათარგმნი სხვადასხვა დროს.
3. ხურალი, სტორტინგი, რადა და დუმა – საქართველოს პარლამენტის მსგავსი სახელმწიფო სალამაგობები მონღოლეთში, ნორვეგიაში, უკრაინასა და რუსეთში.
4. მეტოხი – მონასტრის კუთვნილი მინა-წყალი მონასტრის ფარგლებს გარეთ.
5. დომენი – ფეოდალის კუთვნილი მიწის ნაწილი შუა საუკუნეებში.
6. ფაუსტი ფაუსტია, გოეთეს მიერ ნაქები; ლუციფერი, ეშმაკი და დემონი კი ყველა ერთი ეშმაკია.

**04. 13. 12.**

ჟუჟუნა წვიმამ დღეს დილით მწვანე მინდორი დანამა, ჟუჟუნა წვიმამ დაათრო და გააბრუა დინამო<sup>1</sup>, ჟუჟუნამ<sup>2</sup> ცუდი რამე თქვა – დეზოქსირიბო... დნმ<sup>3</sup>, მთვრალმა დინამომ წააგო, გული გაგვიპო დანამა!

1. დინამო – იგულისხმება თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი (დაარსებულია 1925 წელს).
2. ჟუჟუნა (გვარი უცნობია) – ავტორის სტუდენტობის დროს თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა.
3. დნმ – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმის ინდივიდუალური თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის პროცესში.

**06. 04. 02.**

როცა მოვა ამის დრო, ანუ გავა ვადები, წიგნად გადაქცეული შენს თაროზეც ვიდები,

იდებიან ჩემს გვერდით ზღაპრები თუ ვედები<sup>1</sup>, მანამდე კი ვთვრები და ღობე-ყორეს ვედები.

1. ვედები – ძველი ინდური (სანსკრიტული) ლიტერატურის უძველესი ძეგლები.

**06. 04. 04.**

მთვარე თავისთვის ცაზე ვიღოდა, მე მთვარის შუქზე ღმერთი ვადიდე, ჯერ არ ვასულა ჩემი ვადა და ჯერ არაფერი მომივა, დედი!

**06. 07. 06.**

ვერა, ვერ შავკარ ზავითა, თუმცა კი დიდხანს ვაზავე, ვერაფრით ვერ დავაკე მათი ვნებების ვეზუვი<sup>1</sup>, ქალმა ესროლა ვაზა<sup>2</sup> და უკან მიიღო ვაზავე, ფუჭი აღმოჩნდა შეხვედრა – ტეტატეტი<sup>3</sup> თუ ვიზავი<sup>4</sup>!

1. ვეზუვი – მოქმედი ვულკანი (1277 მ) იტალიაში, ნეაპოლთან ახლოს. მისი ამოფრქვევის შედეგად 79 წელს განადგურდა ქალაქები პომპეი და ჰერკულანუმი.
2. ვაზა [რუს. Васа] – ბარბარიზმია, ქართულად ლარნაკი ჰქვია.
3. ტეტატეტი [ფრ. tête-à-tête] – პირისპირ.
4. ვიზავი [ფრ. vis-à-vis] – პირისპირ.

**06. 08. 06.**

ათასი რამე ვიხელე, ათასი რამე ვითავე, ვინც შელავათი მამკერძა, მიიღო შელავათივე, როგორც სიზიფემ<sup>1</sup>, აღმართი ვათავე, ვერ ავათავე, თივაში ღამე ვათიე, ერთი სიტყვით ვთქვა – ვათიევი.

1. სიზიფე – კორინთოს მითოლოგიური მეფე, რომელსაც ღმერთების მიერ მთაზე ლოდის აგორება დაედო მუდმივ სასჯელად, რადგან უკვე მთაზე ატანილი ლოდი, მიწიყვ უკან უგორდებოდა.

**06. 11. 17.**

დრო მოვა, თქვენზე წიგნს დანერს ვინმე ამბრუაზ ვოლარი<sup>1</sup>, ქებას არ დაიშურებენ ანდრე მალრო<sup>2</sup> და ვალერი<sup>3</sup>, ჯერ კი ცხოვრება განვებათ, როგორც უცხო ქალს ველური, და კარგად იცით სიმნარე, ვახში რა არის, ვალი რა!

1. ამბრუაზ ვოლარი (1866-1939) – XX საუკუნის ფრანგული მხატვრობის უდიდესი კოლექციონერი და დილერი; თავის მემუარებში იხსენებს შეხვედრებს საუკუნის უდიდეს მხატვრებთან.
2. ანდრე მალრო (1901-1976) – ფრანგი მწერალი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის კულტურის მინისტრი (1958-1969); დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი „ანტიმემუარები“.
3. პოლ-ამბრუაზ ვალერი (1871-1945) – ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი.

**06. 13. 31.**

ვინახებო, მითხარით, ვინ ტყე გაჩეხა, ვინ ახო! ეს თქვენი ავგაროზები როდემდე უნდა ვინახო,

სისხლით დამბალი პერანგი ჩემს შვილებს როგორ ვანახო, ვაიმე ჩემო სახლ-კარო, ვაიმე ჩემო ვენახო!

**06.18.11.**

ვის ორივე წვავდა ერთობლივ, ვის – უაღობა, ვის – ალი, ვერავინ მიხვდა, რა იყო, ვის სოლში იყო ვისი ლა, გინდ იყოს წმინდა რაჟდენი<sup>1</sup>, გინდა ნეტარი ვასილი<sup>2</sup>, ჩემი ვასალის<sup>3</sup> ვასალი არ არის ჩემი ვასალი!

1. წმ. რაჟდენი († 457) – ქართველი პირველმონაშე, წრომს ნამებული; ხსენების დღეა 3 აგვისტო.
2. ნეტარი ვასილი (1469-1544) – მოსკოველი სასწაულმოქმედი; ხსენების დღეა 2 აგვისტო; მისი სახელობისაა თათართა სახანოზე გამარჯვების აღსანიშნავად 1550-1560 წლებში მოსკოვში, ნითელ მოედანზე აშენებული ტაძარი.
3. ვასალი – შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში: ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა უფრო მსხვილ ფეოდალზე (სიუზერენზე).

**06.30.17.**

შენი ჭირიმე, ჭერემო, მე შენი ჭირი ვიჭირე, მე გრემი კბილით მეჭირა და გრემსაც კბილით ვეჭირე<sup>1</sup>, გზაზე მოხუცი შამომხვდა, ვეზაასე და ვეჭორე, მე რომ ყარიბი მეგონა, აღმოჩნდა ყველის ვაჭარი.

1. რემინისცენცია ოთარ ჭილაძის სტრიქონისა: „და მე კბილებით მიჭირავს გრემი“.

**07.07.13.**

თამაშობდნენ ეზოში ზეზვანი და ზაზანი<sup>1</sup>, იდგა ყრიაშული და იდგა ერთი ზუზუნი, ზიზინიოს<sup>2</sup> ამგვარი არ შეჰფერის ზოზინი... ვიოლინოს ხერხავდა ბეთჰოვენის<sup>2</sup> ზაზუნა<sup>3</sup>.

1. ზეზვა და ზაზა – ავტორის მეზობლები და მეგობრები, რომელთაც ზეზვინიოს და ზაზინიოს ეძახდნენ.
2. ზიზინიო, ტომას სოარემ დე სილვა (დ. 1921) – ბრაზილიელი ფეხბურთელი; 54 მატჩი ნაკრებში, 30 გოლი; 1950 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; პელეს კუმირი; პელემდე ბრაზილიაში „ფეხბურთის მეფედ“ ითვლებოდა; 1958 წელს შედეგით ნაკრების გამგზავრებამდე სამი დღით ადრე თავისი ადგილი დაუთმო 17 წლის პელეს, რომლის წაყვანა მწვრთნელებს არ უნდოდათ.
3. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827) – დიდი გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი.
4. „ზაზუნა“ – (აქ) ბეთჰოვენის მცირე სავიოლინო ოპუსი, რომელსაც უკრავდა ავტორი, როცა გარეთ ზეზვანი და ზაზანი ბურთაობდნენ.

**07. 17. 02.**

ნაზირებო, ვეზირებო, მზირებო და გზირებო, თქვენგან არცერთს არ შერცხვება და არ დაეზარება, ცალი ხელით სიყვარულის ჩამორეკოს ზარები, მეორეთი კი კედელში ჩააშენოს ზურაბი!

1. იხ. დანიელ ჭონქაძის (1830-1860) მოთხრობა „სურამის ციხე“

**08. 06. 04.**

გინდა იყო გლეხი და გინდა იყო თავადი, სულ თავიდან დაიწყე, არ დაკარგო თავი და, ხელდახელზე გადადი, გადაგიტყდა თუ ვადა, არ შეშინდე, ამ დროს შიშს შიში იპყრობს თავადა.

**08. 08. 08.**

ძირს ჩამოცვივდა თუ თუთა, აკრიფეთ თითო-თითოთი, და ჩაიყარეთ ათ-ათი მუჭაში ხუთი თითითა!

**08. 10. 13.**

თინათინი, თინანი, თინიკონი, თიკანი<sup>1</sup>, ფამილია, იმია, ოტჩესტვო<sup>2</sup> და თიკუნი, ვერ გაიგებ ცხოვრება თეატრია თუ კინო, ვაშლის ხეზე ებაო გუშინ თეთრი თიკანი<sup>3</sup>.

1. თინათინი, თინანი, თინიკონი, თიკანი – ყველა ამათგანში იგულისხმება თინიკო ლლონტი, რომელიც ერთგვარი კრებითი სახეა (შდრ. ავტორის ლექსი „პიტიუნტი“).
2. ფამილია, იმია, ოტჩესტვო [რუს. фамилия, имя, отчество] – გვარი, სახელი, მამის სახელი.
3. რემინისცენცია გივი ძნელაძის (დ. 1927) სტრიქონისა „ამ ვაშლის ხეზე გუშინ სალამოს თეთრი თიკანი ება“.

**08. 12. 04.**

არავინ იცის, ეს რა არის – მადა თუ მოდა, ეს ჩემთვის არის სალალობო მხოლოდ თემა და საქართველოში ყველა კაცი არის თამადა, საქართველოში ყველა ქალი არის თემიდა<sup>1</sup>.

1. თემიდა – მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

**08. 12. 07.**

თურმე თამუზის სიზმარმა<sup>1</sup> სიზმარში ნახა თამუზი<sup>2</sup>, ერთმანეთს გაეზაასნენ სწორედ სიზმრების თემაზე, თუმცა მანამდე ურწმუნო იყო ურწმუნო თომაზე<sup>3</sup>, რომ გაიღვიძა თამუზი აღმოჩნდა პროსტა<sup>4</sup> თამაზი<sup>5</sup>!

1. იხ. ძველი შუამდინარული პოეზიის კრებული „თამუზის სიზმარი“ (შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ. თბილისი, 1969).
2. თამუზი – ნაყოფიერების მწყემსი-ღმერთი შუმერულ მითოლოგიაში.
3. ურწმუნო თომა – ახალი აღთქმის ყველაზე ურწმუნო პერსონაჟი.
4. პროსტა [რუს. просто] – (ბარბ.) უბრალოდ.
5. თამაზი (გვარი უცნობია) – ავტორის ერთი ნაცნობი.

ნინო დარბაისელი

# ზვიად გამსახურდია — ამერიკული პოეზიის მკვლევარი და მთარგმნელი

ქართული ამერიკანისტიკის ისტორიაში გასული საუკუნის 70-იანი წლები საეტაპო მოვლენით აღინიშნა. ამ დროს ქვეყნდება ზვიად გამსახურდიას ორი წიგნი: თარგმანთა კრებული „ამერიკელი პოეტები“ და გამოკვლევა „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“.

იმისათვის, რომ მეტ-ნაკლები სისრულით გავიაზროთ ამ გამოცემათა ხასიათი და ლიტერატურულ-კულტურული მნიშვნელობა, გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოებათა მთელი კომპლექსი: ამ გამოცემათა გამოჩენამდე როგორ, რა წყაროებით იცნობდა ქართველი მკითხველი ამერიკულ პოეზიას და ზოგადად ამერიკულ კულტურას, როგორ იყო დამუშავებული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში უცხოური, კერძოდ, ინგლისურენოვანი პოეზიის თარგმნის აქტუალური პრობლემატიკა და რა პრაქტიკული მთარგმნელობითი გამოცდილება იყო დაგროვილი ამ სფეროში, როგორი იყო 60-70-იანი წლების საერთო ლიტერატურული კონტექსტი, რომელშიაც ჩაერთო ზვიად გამსახურდიას თარგმანები გამოკვლევითურთ, რა კონკრეტული პრობლემები იდგა ქართული პოეზიის წინაშე მაშინ და როგორ ეხმარებოდა ეს გამოცემები.

ამერიკული პოეზიის თარგმნის ისტორია ქართულ ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. იმ დროის ერთ-ერთი პირველი ნიმუში ედგარ ალან პოს „ჟორანის“ ვაჟა-ფშაველასეული თარგმანია. შესრულებული 1906 წელს. ათიანი წლების ბოლოს, ოციანის დასაწყისში ჩნდება უოლტ უიტმენის თარგმანები. 1922-1923 წლებში ჟურნალ „ხომალდსა“ (1922, 3) და გაზეთ „ორიონში“ (1923) ქვეყნდება ხარიტონ ვარდოშვილისეული თარგმანები ველტ ველტმანის (ორთოგრაფია მთარგმნელისაა: ნ.დ.) ლექსები „ყველასადმი“ და „სალუტი მთვარეზე, დიდება ქვეყნად“. შემდგომ პერიოდში ამ დაინტერესებას სპონტანური ხასიათი აქვს, თუმცა ქვეყნდება არაერთი მნიშვნელოვანი თარგმანი კვლავ უიტმენის პოეზიის, რაც 50-იან წლებში მეცნიერული შესწავლის ობიექტად იქცევა (ლანა ლოლობერიძე, „უოლტ უიტმენი“, 1955).

XX საუკუნის 70-იან წლებამდე არათუ ამერიკული, ზოგადად ინგლისურენოვანი ლიტერატურით მთარგმნელობითი დაინტერესება ძირითადად პროზის, მეტადრე სათავედასავლო ჟანრის სფეროებს მიოცავდა, რაც შე-

ეხება პოეზიას, მთარგმნელობითი და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერესი ბრიტანული კლასიკური მექვიდრეობისკენ იყო მიპყრობილი.

გამოკვლევაში, რომელიც ქართული ევროპეიზმის პრობლემატიკას აშუქებდა, დავით ლაშქარაძე წერდა:

„ქართველმა მკითხველმა ნიკო ყიასაშვილის, ცილა თოფურიძის, ირაკლი კენჭოშვილის, ზვიად გამსახურდიასა და ინგლისური ლიტერატურის სხვა სპეციალისტების საინტერესო დისერტაციების გამოკვლევების, წერილების საშუალებით ინგლისური მწერლობის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაიცნო და შეიყვარა“.


მკვლევარი აქ ამერიკულ ლიტერატურას ბრიტანულისგან არ აცალკევებდა და „ინგლისური მწერლობის“ საერთო სახელით მოიხსენიებდა, ამავე დროს, აღნიშნავდა ღვანლს ზვიად გამსახურდიასი, რომლის ინტენციაც, სინამდვილეში იყო თვითმყოფადი და მრავალფერო-

ვანი ამერიკული ლიტერატურისა და კულტურისათვის კუთვნილი ადგილის მიჩენა ქართულ ცნობიერებაში.

ზვიად გამსახურდიამ სათარგმნი მასალის სელექციისას ძირითადი ყურადღება XX საუკუნის დასაწყისის ამერიკულ პოეზიას, ე.წ. ამერიკული ალორძინების პოეტებსა და განსაკუთრებით იმაჟისტებს მიაპყრო, მაგრამ წინ ნაშუადღვარა მეცხრამეტე საუკუნის ორი უმნიშვნელოვანესი პოეტური ფიგურა, უოლტ უიტმენი და ემილი დიკენსონი, რომელთა შემოქმედებამაც მთელი შემდგომი პერიოდის ამერიკული პოეზიის მაგისტრალურ დინებას უშუალოდ მისცა მიმართულება.

ინგლისურენოვანი პოეზიით დაინტერესებული მკითხველი აქ უთუოდ მოისაკლისებდა ედგარ ალან პოს, მაგრამ ამას თავისი ახსნა ეძებნება.

ედგარ პო, რომელსაც ფრანგი სიმბოლისტები საკუთარ უშუალო წინამორბედად მიიჩნევდნენ და რომლის შემოქმედებამაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ევროპულ, რუსულ და, ამისდა კვალად, ქართულ პოეზიაზეც, კერძოდ, გალაკტიონსა და ცისფერყანწილებზე, ამერიკული პოეზიისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა კარგა ხნის დაგვიანებით ხდება და, შეიძლება ითქვას, ციკლურად, ევროპული პოეზიის სიმბოლისტურ გარსში გავლით უბრუნდება მას.



ემერსონისა და მის ორბიტაზე განლაგებული სხვა პოეტების შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი მათი პოეტური ინდივიდუალიზმისა, XX საუკუნის დასაწყისამდე, კერძოდ 10-იან წლებამდე, მთელი ეს მემკვიდრეობა ინგლისური მრავალსაუკუნოვანი პოეზიის ამერიკულ განშტოებად მოიაზრება და მის კონტექსტში ეწერება. ანუ XIX საუკუნის ამერიკული პოეზია ისტორიული თვალსაზრისით — იმდროისათვის ახალგაზრდა, ჩამოუყალიბებელი ამერიკული კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ესთეტიკური თვალსაზრისით კი, მრავალსაუკუნოვანი ინგლისური პოეზიის, ვიქტორიანული პოეტების, ე.წ. „ტბის სკოლის“, გვიანი რომანტიზმის გაგრძელება.

თარგმანთა კრებულისთვის დართულ გამოკვლევაში ზვიად გამსახურდია აყალიბებს საკუთარ ხედვას ამერიკული პოეტური სამყაროსი, რომელთან გასაცნობათაც ამზადებს ქართველ მკითხველს, ხოლო წიგნი „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“, რომელიც გარდა ამ შესავალი ნაწილისა, შეიცავს ფართო მსჯელობასაც ფროსტის, ელიოტის და სხვათა ესთეტიკურ მრწამსზე, მსოფლმხედველობრივ თავისებურებებსა და ნანამძღვრებზე, მნიშვნელოვან ცნობებს გვანჯდის ასევე მათი ლექსების კონკრეტულ ფორმობრივ თავისებურებებზე.

\*\*\*

60-70-იანი წლების ქართულ პოეზიაში გამოკვეთილი სიახლე თავისუფალი ლექსით გატაცება იყო, მანამდე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული იყო აზრი, რომ „თავისუფალი ლექსი არსებითად, ტონური ლექს-წყობის ნაირსახეობაა და ფიქსირებული მახვილების ენაზე მას დიდი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ იგი ქართულად შესაძლებელია, მხოლოდ მტკიცე მეტრის საზღვრებში არსებობდეს“ (გივი გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, 1959).

ეს აზრი ეყრდნობოდა ქართული მთარგმნელობითი გამოცდილების ერთ ხაზს, მაგრამ იმთავითვე არსებობდა მეორე ხაზი, რომლის ნიმუშიცაა ჩვენ მიერ დასახელებული თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა, ველტ ველტმანის „ყველასადმი“, რომელიც თავისუფალგრაფიკიანი, დისმეტრული თავისუფალი ლექსით არის შესრულებული:

**ვინც არ უნდა იყვ —  
შენ —  
მე ვიცი,  
ბოდავ მოჩვენებათა გზაზე  
ყველაფერი, რასაც ფეხით სთელავ, ხელით ეხები —  
მხოლოდ ჩრდილია ჩრდილთა, რომელიც დნება  
და ქრება.**

ზვიად გამსახურდიას თარგმანების გამოჩენისას თითქმის მივიწყებული იყო საუკუნის დასაწყისის ქართული თავისუფალი ლექსის გამოცდილება, თუნდაც გალაკტიონის ლექსები. მიმდინარეობდა მწვავე პოლემიკა, სადაც გამოიკვეთა მხარეთა საერთო მახასიათებელი — ნაკლებგარკვეულობა თავისუფალი ლექსის სპეციფიკაში, რაც ობიექტურად იმით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობას საკითხი ჯერ არ

ჰქონდა საფუძვლიანად შესწავლილი. ასეთ ვითარებაში ზვიად გამსახურდიამ უცხოური სპეციალური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულება თავისუფალ ლექსზე, გამოკვლევაში „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“:

„თავისუფალი ლექსი გულისხმობს მეტრიკისადმი ნებისმიერ დამოკიდებულებას, სალექსო სტრიქონში მახვილების ნებისმიერ განაწილებას, რაც ნაკლებად ბორკავს პოეტს და მიმართავს მკითხველის ყურადღებას ლექსის შინაარსობრივი მხარისადმი. თავისუფალი ლექსი უფრო მრავალფეროვანია და ნაკლებად მონოტონური, ვიდრე ბოლორითმოვანი ლექსი. თუ ბოლორითმოვანი ლექსის სტრიქონში ტერფები მეტრული კანონის საფუძველზე ერთიანდებიან, თავისუფალი ლექსის სტრიქონი აერთიანებს სხვადასხვა ხასიათის ტერფებს, რომელთა შერჩევა და ურთიერთდაკავშირება პოეტის ინტონაციის საქმეა.

ასე რომ ამ შემთხვევაში პოეტი თავისუფალია ყოველგვარი მეტრულ-რიტმული დოგმებისაგან, მაგრამ აქაც უნდა იგრძნობოდეს მკვეთრი შინაგანი რიტმი.“

ეს დესკრიფციული ხასიათის განმარტება, ლექსთმცოდნეობითი თვალსაზრისით, ორიოდე ტერმინოლოგიური ცდომილების მიუხედავად, მთარგმნელისათვის კვლავ კარგი გზამკვლევაა თავისუფალი ლექსის რთულსა და მრავალმხრივ ბუნებაში გასარკვევად. მასზე დაყრდნობით შესრულებული თარგმანებით კი ზვიად გამსახურდიამ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ ქართულ ენაზე არათუ შესაძლებელია თავისუფალი ლექსის არსებობა, არამედ ამ მხრივ ჩვენი ენის პოტენცია ამოუწურავია.

\*\*\*

„თარგმანი ქალია, თუ ის ერთგულია, ლამაზი არ არის, ხოლო თუ ლამაზია, არ არის ერთგული“ — ამბობს ერთი მოარული აფორიზმი. და მართლაც, მთარგმნელობით საქმიანობაში, ამ მხრივ, ჩვენში რამდენიმე ნაკადი გამოიყოფა: პირველია შემთხვევები, როცა მთარგმნელი თითქოსდა ეტოქება ორიგინალის ავტორს და ქმნის ლამაზ ქართულ ლექსს, ბუნდოვან წარმოდგენას რომ ბადებს დედანზე. არსებობს ასეთი გამოცდილებაც: როცა ორიგინალურის ენა მიუწვდომელია მთარგმნელისათვის, იგი სარგებლობს უნამავალი (ჩვენი შემთხვევაში — ძირითადად, რუსული) ენით, შედეგად კი, საუკეთესო შემთხვევაში, კვლავ ლამაზი, მაგრამ ერთგული ანუ ორიგინალთან თითქმის დაუკავშირებელი ლექსი იზადება. დედნისადმი ერთგულების მაგალითების რიცხვი ჩვენში ძალზე მოკრძალებულია.

უაღრესად ფართო ერუდიციამ არა მხოლოდ ლიტერატურის, არამედ ფილოსოფიის, თეოლოგიის და ოკულტიზმის სფეროებში ზვიად გამსახურდიას, როგორც მთარგმნელსა და მკვლევარს, საშუალება მისცა, ღრმად ჩასწვდომოდა სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის, ესთეტიკური პოზიციის მქონე ამერიკელ ავტორთა ლექსების სიღრმეებს და 1971 წელს გამოცემულ კრებულში სწორედ ის მხარეები წარმოედგინა, რაც განმსაზღვრელი იყო მათი შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის.

ჩემი ფიქრით, ლამაზ თარგმანში უიტმენის ლექსები-სა, რაკი ქართველი მკითხველი ამ პოეტის შემოქმედებას უკვე იცნობდა ხარიტონ ვარდოშვილის, ვახტანგ კოტე-

ტიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა თარგმანებით, ზვიად გამსახურდია ინტერპრეტაციულ ვერსიას გვთავაზობს, როგორც ეს თვალნათლივია ამერიკელი პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნისადმი უიტმენის ცნობილ ლექს-რეკვიემში „ო, კაპიტანო“:

...ჩვენო კაპიტანო, მამავ საყვარელო!  
ჩვენთვის აღარ დარობს დარი,  
ეგებ სიზმარია, რომ შენ ამ გემბანზე  
გართხმულხარ ცივი და მკვდარი?

მაგრამ კაპიტანი აღარ მპასუხობს,  
დადუმებული უსისხლო ბავენი  
მამა საყვარელი ველარ გრძნობს შეხებას,  
მის მაჯისცემასაც ველარ მივაგენი.

იზეიმეთ ნაპირებო!  
მე კი მმართვეს გლოვა, ზარი,  
გემბანზე ხომ კაპიტანი  
ასვენია ცივი მკვდარი.

ორიგინალში ეს ლექსი შვიდტერფიანი იამბის რიტმს ეყრდნობა, მაგრამ უ. უიტმენი არ იცავს იდეალურ იამბურ სქემას. ცალკეულ ადგილებში, იქ, სადაც სამგლოვიარო ხასიათის დისკურსი ინტონაციურ პიკს აღწევს და არამეტრულ მახვილებს გამოკვეთს, იამბების ნაცვლად პირიქეები ჩნდება.

რაკი იამბური წყობა თანამედროვე ქართულ ლექსში, რუსულისგან განსხვავებით, წარმოუდგენელია, მთარგმნელი ირჩევს პოლიმეტრულ წყობას, რომლითაც იქმნება თავისუფალი რიტმის შთაბეჭდილება, ინარჩუნებს რითმათა კონფიგურაციას და საზომთა მონაცვლეობით ამგვარ ფლერადობას აღწევს:

ო, კაპიტანო, ჩვენო კაპიტანო, აღსდექ და  
ყური მიაპყარ ზარებს,  
აღსდექ — დღეს შენთვის ფრიალებს დროშა,  
შენთვის ვაქუხებთ ძლევის ნალარებს.  
ეს გვირგვინები, ბაფთიანი ყვავილწნულეები შენია,  
შენი!

...  
იზეიმეთ ნაპირებო,  
მე კი მმართვეს მძიმე ზარი  
გემბანზე ხომ კაპიტანი  
ასვენია ცივი, მკვდარი.

საფიქრებელია, რომ თუ აბრაამ ლინკოლნის გარდაცვალებით გამოწვეული მძიმე, უჩვეულო განცდები უოლტ უიტმენმა განსხვავებული რიტმული მდინარებით გადმოსცა, მთარგმნელის აზრით, ქართულ პოეტურ ტექსტსაც რაღაც უჩვეულო რიტმი და არა ინერციული, მონოტონური დინება ესაჭიროებოდა.

უიტმენის თარგმანისგან განსხვავებით, იმ ავტორთა ლექსებში, რომელთან შეხვედრაც პირველად უხდებოდა ქართველ მკითხველს, ერთდროულად, ზედმიწევნით და-

ცულია შინაარსი და მიკვლეულია ფორმის ოპტიმალური ადეკვატი, როგორც ვეიჩელ ლინდზის ამ ლექსში:

ლეგრის ჰქონდა ჯუბა—ბრინჯაოს ღილებით,  
სისხლისფერ პერანგზე — გველის ყელსაბამი,  
თხისებრი წვერი და წაზრდილი ფრჩხილები,  
მგლისფერი თვალები, კისერი— დაბალი,  
ლოყები — მოთეთრო, თევზის მუცელივით,  
კბილები — ვეება, პირბასრი ცელივით.

...  
ლეგრის ჰქონდა მუშტი — უჰ, უზარმაზარი,  
საცოდავ ზანგათთვის განკითხვა და ზარი,  
ნიღაბქვეშ თუ ჰქონდა ჯადო რამ, საზარი,  
მაგრამ საბოლოოდ ემმასთან წავიდა.

აქ ადვილად შესაგრძობია ზანგური ცეკვების რიტმი, რომელიც ქართულად დაქტილური წყობის თავისუფალი ვარიაციებით არის გადმოტანილი.

დედნისადმი ერთგულების სხვა — მაგალითის მოყვანამდე ერთი პატარა ისტორია გავისხენოთ. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელ პოეტს ედგარ ლი მასტერსს მეგობარმა ქალმა ანტიკური ეპიტაფიების კრებული აჩუქა. ამით შთაგონებულმა პოეტმა შექმნა ლექსების ცნობილი ციკლი „სპუნ რივერი“, რომლითაც სათავე დაედო ანგლო-ამერიკული პოეზიის ახალ ჟანრს — მოდერნისტულ-ეპიტაფიურ პოეზიას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ქმნის მთარგმნელი დედნის სტილის ანალოგს, ედგარ ლი მასტერსის „გორაკი“ და „ენ რუტლეჯი“ იკმარებდა, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო საყურადღებო მაგალითია თემატურად „სპუნ რივერთან“ ახლო მდგომი ლექსი თომას ელიოტისა, „წყალში სიკვდილი“, რომელსაც ეპიტაფიური ლაპიდარულობაც, სტრუქტურაც შენარჩუნებული აქვს, სამაგიეროდ, განასხვავებს მითო-პოეტური სიღრმე და სახეობრიობა.

ფინიკიელ ფლებასს, ორი კვირის მკვდარს,  
გადაავინყდა თოლიების კვნესა, ზღვაური,  
მონაგები და ნანაგები, წყალქვეშა დინება  
მისი ძვლები ჩაითრია ჩუმი მსუილით, იგი  
აღზევდა და კვლავ დაქანდა,  
განვლო სიჭაბუკის, ყრმობის ეტაპები  
მძვინვარე მორევში.  
წარმართი ხარ თუ ჰური, ო, მოგ ზაურო,  
საჭეს მართავ თუ, ქარს მინდობიხარ,  
მოიხსენიე ფლებას, რომელიც ერთ დროს  
იყო შენსავით მშვენიერი და ახოვანი.

ამ თარგმანში ზვიად გამსახურდიამ შექმნა დედნისეული თავისუფალი ლექსის ადეკვატი, რომელშიც ტრადიციული საზომი გამოკვეთილი არ არის, ვუალირებულა და მოქმედებს, ასე ვთქვათ, მიღმა რიტმული პლანნიდან.

აქ რომ მიზანმიმართულად არის მოშლილი ტრადიციული რიტმული კარკასი და მხოლოდ რიტმული პოტენციის სახით არის შენარჩუნებული. ერთი ასეთი, მცირე ექსპერიმენტიცაა ჩანს. საკმარისია ოდნავი ჩარევა ტექსტში, სიტყვათა გადაადგილება და ორიოდ სიტყვის შეცვლა სინონიმით:



**ფინიკიელი იყო ფლებასი. ორი კვირის მკვდარს გადაავიწყდა თოლიების კენესა, ზღვაური. და ყოველივე, მონაგები და ნანაგები, წყალქვეშ დინებამ მისი ძვლები ჩაითრია ჩუმი მხუილით. იგი აღზევდა და კვლავ დაქანდა, განვლო ყრმობის და სიჭაბუკის ეტაპები მძვინვარ მორევში. ო, მოგზაურო, წარმართი ხარ შენ თუ ჰურია, საქეს მართავ თუ ქარს მინდობიხარ, მოიხსენიე ფლებასი იგი, რომელიც ერთ დროს, იყო შენსავით ახოვანი და მშვენიერი.**

ამ მცირეოდენი ჩარევების შედეგად ტექსტი უკეთ მოერგო მოთხოვნებს, რასაც გ. გაჩეჩილაძე უყენებდა უცხოური ვერლიბრის ქართულ თარგმანებს, მაგრამ ამის შედეგად დაიკარგა სწორედ ის განსხვავებული თავისებურება — ეპიტაფიური ლაპიდარიზმი, რომელიც ელიოტის დედანს ახასიათებდა.

სათარგმნი მასალის სელექციისას, ზვიად გამსახურდიას მიიჩნევდა, რომ თომას ელიოტის გარდა, ეზრა პაუნდის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის ძალზე საჭირო და აუცილებელი იყო, რადგან მისი ფიგურის ორბიტაზე ლაგდება XX საუკუნის პოეტური კულტურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. ეპიტაფიური ჟანრის ნიმუშები ეკუთვნის ეზრა პაუნდსაც, რომელმაც ძველი ჩინური და იაპონური ლექსის არაერთი მოდერნიზებული სახეობა შექმნა და ამის გამო მას ელიოტი „ახალ ძველ ჩინელ პოეტად“ მოიხსენიებდა. პაუნდის ეპიტაფიური ჰაიკუ „ლი პო“ ზვიად გამსახურდიამ ასე თარგმნა:

**ლი პოც ნასვამი დაიღუპა.  
იგი მთვარეს გადაეხვია  
ყვითელ მდინარეში.**

ჩინურად ყვითელ მდინარეს „ხუან-ხე“ ეწოდება საკმარისი იყო აქ მდინარის ჩინური სახელის ჩასმა, მცირეოდენი ცვლილება, რომ თარგმანი ასეთი გამოსულიყო.

**ლი პოც ნასვამი დაიღუპა.  
ის ღამით მთვარეს  
ხუან-ხეში გადაეხვია.**

მაგრამ მთარგმნელმა პაუნდის მოდერნისტული ჰაიკუს ხასიათის შესანარჩუნებლად უარი თქვა ქართული ტრადიციული ლექსის რიტმზე და ამით თავისუფალი ლექსის კიდევ ერთი სახეობა გააცნო მკითხველს.

თუ თვალს გადავავლებთ ამერიკული პოეზიის თარგმანთა ბიბლიოგრაფიას, ერთ რამეში დავრწმუნდებით. ზვიად გამსახურდიას იყო პირველი, ვინც გაბედა და დასავლური მოდერნიზმის ერთ-ერთი მამამთავრის ეზრა პაუნდის შემოქმედება წარმოუდგინა მკითხველს არა მხოლოდ თარგმანების, არამედ თავისი გამოკვლევის მეშვეობით.

ეზრა პაუნდი მიუღებელი ავტორი და პიროვნება იყო საბჭოეთისთვის. და სათარგმნად აკრძალულთა რიცხვს

მიეკუთვნებოდა. რუსი მკითხველისათვის ის გამსახურდიას თარგმანების გამოჩენიდან თერთმეტი წლის შემდეგ (1982) გახდა ხელმისაწვდომი.

\* \* \*

ცალკე უნდა აღინიშნოს ზვიად გამსახურდიას წვლილი ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში. თავის გამოკვლევაში ტომას ელიოტის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების და ესეების განხილვისას, მან სწორედ იმ საკითხების შესწავლაზე გაამახვილა ყურადღება, რაც აქტუალური და პოლემიკური იყო 60-70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ: კრიტიკოსის სუბიექტურობა და ობიექტურობა, განსხვავება შემფასებლურ და ინტერპრეტაციულ კრიტიკას შორის, ლიტერატურული მემკვიდრეობის ახალი, ახლებური ნაკითხვების საჭიროება. ტრადიციისა და ნოვაციის პრობლემები, კრიტიკის როლი და შესაძლებლობანი მკითხველის გემოვნების ფორმირების საქმეში და ა.შ. რაკი ეს პრობლემები დღესაც იმავე სიმწვავეთ დგას ქართული ლიტერატურის წინაშე, დაინტერესებული მკითხველი კვლავ გვერდს ვერ აუვლის ზვიად გამსახურდიას ნაშრომს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსი მკვლევარის ა. ზვერევის წიგნი „მოდერნიზმი ამერიკულ ლიტერატურაში“, მხოლოდ 7 წლის შემდგომ გამოიცა და მასში ინფორმაციული სიმდიდრის მიუხედავად, ამერიკული ლიტერატურა ზვიად გამსახურდიას გამოკვლევისგან განსხვავებით, მაინც ცალმხრივად, საბჭოთა იდეოლოგიური პრიზმიდან განიხილებოდა, ცხადი შეიქნება, რომ მკითხველი საზოგადოება ამერიკული პოეტური სამყაროს გაცნობის თვალსაზრისით, სხვა საბჭოთა მკითხველებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დღევანდელ კონტექსტში, როდესაც ამერიკულ სამყაროსთან უშუალო კომუნიკაციის საშუალება მოგვეცა, მაგრამ კვლავ გვიჭირს მართებული ორიენტირება მულტიკულტურულობასა და სხვა ფაქტორების გამო ზვიად გამსახურდიას მთარგმნელობით-სამეცნიერო მემკვიდრეობა ახლებურ მნიშვნელობას იძენს, და არა მხოლოდ როგორც პრაქტიკული ნიმუში მთარგმნელობით პრობლემათიკასთან წარმატებული თუ წარუმატებელი ჟიდილისა, ან როგორც ქართულ ლიტერატურაში პირველი ნიმუშთაგანი თარგმანისადმი ერთდროული: შემოქმედებითი და ანალიტიკური, ანუ კომპლექსური მიდგომისა, არამედ როგორც საეტაპო მოვლენა კულტუროლოგიური თვალსაზრისით. რადგან მიუხედავად მანამდე არსებული სპონტანური, მცირე გამოცდილებისა, ზვიად გამსახურდიას ამ წიგნების გამოცემით მკაფიოდ გამოიკვეთა ამერიკული სამყაროსადმი მიდგომის, მისი გააზრების მეთოდური წინამძღვრები.

ამდენად, 1971-1972 წლები ზვიად გამსახურდიას ამ თარგმანებისა და გამოკვლევის გამოქვეყნებისა, ქართული ამერიკანისტიკის ისტორიის მთავარ, მკაფიო ნიმუშულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწორედ ამ დროს გაიჭრა სარკმელი ქართულ ცნობიერებისთვის იდუმალებით შებურული, შორი და მიუწვდომელი, ნამდვილად ამერიკული თვითმყოფადი პოეტური და კულტურული სამყაროსაკენ, საიდანაც არა ილუზორული, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედებითი, პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლების ჯანსაღი სიო უბერავდა.

პაატა ჩხეიძე

## რწმენა მარადიული ღირებულებისა

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, კლავსტიკლ ლუისის შესახებ ალბათ მხოლოდ სპეციალიტებს თუ სმენიათ ჩვენში, თუმცა მისი წიგნის “ნარნიას ქრონიკები” — მიხედვით გადაღებული ფილმი საკმაოდ პოპულარულია ჩვენს ბავშვებში. ლუისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ომის შემდგომ ევროპულ აზროვნებაზე და მისი გაცნობა ქართველი მკითხველისათვის უინტერესო არ უნდა იყოს.

დღემდე ვერ გადამიწყვეტია თუ როგორ უნდა დაინეროს ქართულად მისი სახელი და გვარი, სი ეს ლუისი (ჩ. შ. ენის) როგორც ინგლისელები იხსენიებენ, თუ მაინც კ. ს. ლუისი სჯობს, სხვათა შორის, ახლობლები და მეგობრები, მისივე სურვილით, მთელი სიცოცხლე ჯეკს ეძახდნენ.

კ. ს. ლუისი ირლანდიელი გახლდათ, ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვე მუშაობდა სიკვდილამდე, მაგრამ მთელი სიცოცხლე უცხოოდ გრძნობდა თავს ინგლისელებთან და ირლანდიელად დარჩა ბოლომდე.

კ. ს. ლუისის პოპულარობა, როგორც აღვნიშნე, “ნარნიას ქრონიკებს” უკავშირდება — ჩვენშიც და დასავლეთშიც; ეს წიგნი მილიონობით ტირაჟით გამოდის დღესაც და ფილმად გადაღებამ უფრო მოუხვეჭა სახელი; თუმცა ლუისი ლიტერატურის ათიოდე ყანრში მაინც ცდიდა კალამს: კრიტიკაში, ბიოგრაფიაში, ესეისტიკაში, პოეზიაში, სატირაში, სამეცნიერო პროზაში, აპოლოგეტიკაში ... და ყველა ამ ყანრში მოჩანს, რომ იგი პროფესორი იყო და რიტორისა თუ მენტორის ტონი არასოდეს დაუკარგავს.

ლუისი ობიექტივისტი გახლდათ; სწამდა, რომ რეალობა თავისთავად და დამოუკიდებლად არსებობს, იმისად მიუხედავად, თუ როგორ აღიქვამენ და რას ფიქრობენ მასზე. რეალობა ობიექტური, ამბობდა იგი, მაგრამ პიროვნებას არ ძალუძს ბოლომდე ჩანვდეს რეალობასო. ადამიანს სწამს აბსოლუტური რეალობა, მაგრამ ვერ სწვდება მას. ობიექტივისტი ესწრაფის, რომ ადამიანის სუბიექტური ფიქრები და განცდები მიუახლოვდეს ობიექტურ რეალობას; ანუ როცა შეცდომა მოგვდის, რეალობას უნდა მივმართოთ. სიმართლე რეალობა არ არის; სიმართლეა ჩემი დამოკიდებულება რეალობის მიმართ, რო-


დესაც რეალობაზე ვფიქრობ და სწორად განვსჯი; როცა მართალი არა ვარ და სიყალბეს ვამბობ, ვცილდები რეალობას და, რასაც ვამტკიცებ, არ არსებობს.

ემოციები შესაძლებელია ჰარმონიულად ეხამებოდეს ან განუდგებოდეს გონებასო, ამბობს ლუისი, ამიტომ სუბიექტის მნიშვნელობას არ უარჰყოფს და განიხილავს გრძნობებს, ჯანსაღ გრძნობებს, რაც შეესატყვისება ობიექტურ რეალობას.

საქმე ისაა, რომ ლუისის კრიტიკა მიმართულია არა სუბიექტურობის, არამედ სუბიექტივიზმის წინააღმდეგ. სუბიექტივიზმი ფორმალურ სუბიექტურობისა, რაც გარკვეული მომენტისათვის მოურიგებელი გამხდარა რეალობასთან და მხოლოდ იმას ხედავს, რაც სურს; აღარ ემორჩილება ონტოლოგიურ იმპერატივებს, თავისი ნებით ირჩევს გზას და მხოლოდ თავის არჩეულზე მსჯელობს და თავის არჩეულს ასაბუთებს. ამრიგად, სუბიექტივიზმი თვითონ ჰქმნის ფსევდორეალობას, იმის ნაცვლად, რომ რეალობაში ეძიოს თავისი სულის ნაკლოვანებათა გამოსწორება.

რეალობა უფრო რთულია, ვიდრე ადამიანის წარმოდგენა მასზე, ამიტომაც წერდა ლუისი, ყველა რეალობა იკონოკლასტური. კაცმა შეიძლება პიროვნული დაკვირვებით შეიქმნას წარმოდგენა რეალობაზე ან წიგნის, მონაყოლისა თუ გაგონილის მეოხებით ჩამოიყალიბოს; შესაძლოა მისი შეხედულებანი სწორი იყოს, მაგრამ მაინც

კლავსტიკლ ლუისი



ფრთხილად უნდა მოეპყრას, მეტისმეტად არ ჩაეჭიდოს, თორემ შესაძლოა საზიანოდ შემოუბრუნდეს. უფალს ურჩევნია დაარღვიოს მისთვის აგებული ტაძრის კედლები, რათა მასთან მისვლა შეეძლებინოს. “ვინროა სულის სამყოფელი, გააფართოვე და შეხვალ მასში”, იტყვის ავგუსტინე. ყოველ ნაცნობ სიმართლეს უნდა ჩავუღრმავდე, უნდა გავაფართოვო, სხვას შევეუდარო და, ზრდის პროცესში, არ დავინუნოთ, აქაოდა უფრო მეტი გავიგეთო; რეალობა დინამიური არ არის, მაგრამ რთულია. აი, რეალობის ჭეშმარიტი შეცნობა კი დინამიური უნდა იყოს. ყველა წარმოდგენა ფუჭია შემეცნების ზრდის პროცესში, დაიჟინებს ლუისი.

სუბიექტივისტი ვერ აღიქვამს რეალურ სამყაროს. მატერიალისტი, ვისაც არ სურს აღიაროს ზებუნებრივის არსებობა, სუბიექტივისტად უნდა ჩაითვალოს. სუბიექტივისტს არ ესმის, რომ გარკვეულ სიტუაციებში ზებუნებრივის სამუალებით უკეთ აიხსნება მოვლენები, ხოლო ზებუნებრიობის მომხრე უკეთ ერკვევა, როგორც ბუნებრივ, ისე ზებუნებრივ საკითხებში, ამიტომაც იგი უფრო გონებაგახსნილია, ვიდრე მატერიალისტი. და მაინც, ლუისი ფიქრობდა, რელიგიურ ადამიანებსაც ჩასაფრებია სუბიექტივიზმის საფრთხეო. მან იცოდა რომ ბოროტი და უბოროტესი კაციც კი შეიძლება იყოს რელიგიური. ის, ვინც

ესწრაფის მოკვდეს რწმენის გულისათვის, მზად არის მოკლას რწმენის გულისათვის. ლუისი უნდობლად უყურებდა იმგვარ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს, როცა მზად არიან ყველანირი საქციელი გაამართლონ სიტყვებით, “ასე სურს უფალს”. როგორც კი რელიგიური ფანატიკოსი საკუთარ მსჯელობაში გაიხლართება და გზა დაებნევა, სწორედ მაშინ ხდება სუბიექტივისტი, საკუთარ სიტყვას ღვთის სიტყვას უტოლებს და სავსებით ქრება ობიექტური გარემო; მოდი მერე და ასეთ კაცს რაიმე გააგებინე!

სუბიექტივიზმს ყოველნაირ საზოგადოებაში შეიძლება შევხვდეთ. ვინ არის ისეთი, ვინც შეძლებს თავი შეიკავოს და გონივრულობას არ გასცდეს თავისი ახირებული აზრის მტკიცებისას, საკუთარი თავი არ დაიყენოს მოწმედ და ბოროტებისაკენ არ მიიღრიკოს; ლუისის სწამდა, სუბიექტივიზმი ბოროტების გამოსარჩლება და გამართლებაა.

მხოლოდ ობიექტური ღირებულება უზრუნველგვყოფს საერთო ადამიანური ქცევის ნორმებითა და კანონით, რაც ერთნაირად აღემატება ყველა ჯურის მმართველებსა და მართულებს, და რომ მმართველობის იდეისათვის აუცილებელია დოგმატური რწმენა და მორჩილება ობიექტური ღირებულებისა, რაც არც ტირანია და არც მონობა. თავის ნაშრომში, “გაუქმება ადამიანისა”, ლუისის არქიტექტორის მაგალითი მოაქვს, ვინც დამკვეთს უთანხმებს თავის მიერ შექმნილ პროექტს და ორივე თანხმდება საერთო საზომებისა და სტანდარტების გამო; თუ ეს არ მოხდა, სახლი არ აშენდება. საზოგადოება შეიძლება შენობას შევადაროთ, სადაც თუ ობიექტური ღირებულებებით არ წარმართება ურთიერთობა, ანარქია გამეფდება. ანარქიის გამეფება კი უმძლავრეს ტირანიას მოიყოლებს თან.

ლუისის აზრით, თუ ჭადრაკის თამაშის წესები იცი, ყველა პარტიას ვერ მოიგებ, მაგრამ თამაშს კი აუცილებლად შეძლებ. გონების კანონები შეგაძლებინებს აღწერო მატერიალური და აზროვნების ობიექტები. მორჩილებისა და პატიოსნების შემწეობით საზოგადოების წევრი ხდები და თანხმობას აღწევს სხვებთან; ბოროტება კი მაშინ იჩენს თავს, როცა სუბიექტივიზმისაკენ გადაიხრები. მსჯელობისა თუ დისკუსიისას ზნეობის ობიექტური სტანდარტების უარყოფას მოსდევს რეალობის აღქმის დაკარგვა და შეთანხმება ველარ მოხდება ანუ დისკუსია უსასარულოდ გრძელდება; როცა კულტურა საერთო მოტივს უკუაგდებს, ჰკარგავს სასიცოცხლო ჰარმონიას.

ესეის, “სუბიექტივიზმის შესაბამის”, ლუისი იმით იწყებს, რომ გამოარჩევს ბოროტების ორგვარ წყაროს; ერთი მუდამ ადამიანთა შორისა და სიხარბის, ამპარტავნების, ვნებისა და სიბრაზის შედეგია. ყოველივე ეს დიდად არ გვანახებს, რადგან მათი არსებობა ვიცით და თუმცა მათ ბუნებას ვერაფერს ვშველით და ვერ გამოვასწორებთ, სამაგიეროდ, იოლადა ვცნობთ და ვერიდებით.

ბოროტების მეორე წყარო უფრო შენიღბულია, უფრო ცბიერი და პოპულისტა გონებაში მომნიჭებული ყალბი ფილოსოფიით იკვებება. უბედურება ისაა, რომ კეთილგონივრულსა და ღრმა აზროვნებას არ ძალუძს გადაგვარებული გამოსწორება, სამაგიეროდ, გამრუდებული მსოფლმხედველობა იოლად მოანგრევს ბოროტების შემაკავებელ ზღუდეებს და სიკეთისაკენ მიმავალ ბილიკს.

ლუისის აზრით სუბიექტივიზმი უკუჩვენებელი სენია. სამართლიანობისა და გონივრულობის ნიღაბს ამოფარე-

ბული ძირს უთხრის აზროვნების პროცესს, უმაღლესი პიედესტალიდან ძირს დაანარცხებს და იმის ნაცვლად, რომ აზროვნება სიმართლის მიგნებისა და შეფასების საუკეთესო გზა იყოს, შეგრძნებებს დაქვემდებარებულ მონად აქცევს; ეს იგივეა, საკუთარი თვალეები რომ ამოვიღოთ და დავათვალიეროთ, ამბობს ლუისი.

ჰკითხეთ სუბიექტივისტს, როცა რაიმე კონკრეტული მოვლენის გამო გაჯიუტდება, თუ რატომაა დარწმუნებული თავისი ნათქვამის სიმართლეში, და გიპასუხებთ, იმიტომ, რომ ასე ვფიქრობო, და შენც იგივეს დაგნამებს, ეგ მხოლოდ შენი აზრიაო; სუბიექტივისტისთვის არ არსებობს რაღაც ნიადაგი, რაზეც დააყრდნობს თავის განსჯას, ამიტომ თეორიული განსჯისას მისი სიცარიელე და არარაობა დასაწყისიდანვე ცხადი ხდება.

პრაქტიკული მსჯელობისას კი, როცა ყოველდღიურობაში ვცდილობთ გავერკვეთ თუ რა არის კარგი და რა ცუდი, სუბიექტივისტი, გვერდს აუქცევს მთავარ საკითხს და ეჭვს გამოთქვამს სხვათა შეფასებათა გამო.

სუბიექტივისტის აზრით, მსჯელობა ადამიანის ქმედებაზე არც სწორია და არც მცდარი ანუ არ არსებობს შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. კერძო შემთხვევებში ჩვენ ვმოქმედებთ იმ გავლენების ზემოქმედებით, რამაც შეგვამუშავებინა ღირებულებები და შეგნებულად თუ შეუგნებლად ვიღებთ გადაწყვეტილებას. ამდენად, ჩვენი მსჯელობა ჩვენი გრძნობებიდან მომდინარეობს, მომდინარეობს, იქიდან რომ რაღაც გამოვიარეთ, რაღაც ცოდნა შევიძინოთ და რაღაცა განვიცადეთ; სხვაგვარი რამ რომ განგვეცადა და სხვაგვარი გამოცდილება მიგველო, სხვაგვარად განვსჯიდით.

თუ ვინმეს ლოგიკურად მოეჩვენება ეს განმარტება, ისიც უნდა აღიაროს, რომ ორი ადამიანის მსჯელობა უიშვიათეს შემთხვევაში შეიძლება დაუახლოვდეს ერთმანეთს, რაკი თვითუღ ინდივიდს განსხვავებული გრძნობები და განსხვავებული გამოცდილება აქვს. და მხოლოდ საერთო მატერიალური თუ სასიცოცხლო ინტერესები თუ აიძულებთ, დაეთანხმონ ერთმანეთს.

თუმცა ლუისი თავის ესეიში არ გვიჩვენებს განსხვავებას “სიქველესა” და “ღირებულებას” შორის, მაინც ცხადია, რომ მას გაცნობიერებული აქვს ამ ტერმინებს შორის არსებული განსხვავება, რაც დიდად დამორეულია იმ მნიშვნელობისაგან, რასაც დღეს სიტყვა “ღირებულებაში” ათავსებენ.

თუკი ტერმინი “ღირებულებანი” მხოლოდ იმას ნიშნავს, “თუ რას ვფიქრობ ხალხის და, ამავე დროს, ჩემს მიერ არჩეულ სამოქმედო გზაზე,” მაშინ ველარ შევძლებთ განვსაზღვროთ თუ რომელი ქმედებაა “უკეთესი” ან “უარესი” სხვასთან შედარებით. დამოუკიდებელი სტანდარტის არარსებობა ხელს გვიშლის შევავასოთ რაიმე სახის ქმედებანი და სიტყვები “უკეთესი” ან “უარესი” მხოლოდ პერსონალური შეხედულების გამოხატულებად რჩება. თუ რაიმეზე ვიტყვით “უკეთესიაო”, მაშინვე გაჩნდება შეკითხვა “რატომაა უკეთესი?” თუ “უკეთესია -ზე” იგენაირი მტკიცებულებაა, როგორიც იქნებოდა “ჩაი მირჩევნია ყავას”, მაშინ მანანს, ვის დარწმუნებასაც ვცდილობთ, შეუძლია გვითხრას “მე სულაც კაკაო მირჩევნიაო”, ამბობს ლუისი.

მხოლოდ საყოველთაოდ შეთანხმებულ, მარადიულ ღირებულებებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული პრაქტიკული აზროვნება შეგვაძლებინებს ზნეობრივი პროგ-

## უცხოეთის ცხოვრება

რესის ბლიკზე შედგომას; სიტყვა პროგრესი წინსვლას ნიშნავს და შეუთანხმებელი მიმართულების გარეშე წინსვლა და უკუსვლა უაზრობა გამოდისო, ნუხს ლუისი.

მარადიული და აბსოლუტური სტანდარტების კონცეფციას უპირისპირდება არგუმენტი: თუ მას დავეთანხმებით, წარსულის რწმენებისა და ღირებულებების ტყვეობაში დავრჩებით, რაც “სტაგნაციით” გვემუქრებაო.

მაგრამ ლუისი ფრთხილი და დამაჯერებელი არგუმენტებით აბათილებს ამ ბრალდებას: “მოდით ჩამოვაცვილოთ რელატივისტურ უთანხმოებას არალეგიტიმური ემოციური ძალა, რაც სიტყვა “სტაგნაციას” ახლავს თავისი მინიმუმებითურთ გუბურებსა თუ დახურულ საცურაო აუზებზე. თუ წყალი დიდხანს იდგება, ამორდება. აქედან თუ დავასკვნით, რომ რაც დიდხანს დგას, ფუჭდება, მეტაფორის ტყვეობაში ჩავიგდებთ თავს. ზეცა არა ჰყარს თუმცა კი ოდითგან შენარჩუნებული აქვს საში განზომილება. ჰიპოტენუზის კვადრატის არ დაობებულა იმით, რომ დღემდე კათეტების კვადრატების ჯამს უდრის. სიყვარული ამალეზულობას არ კარგავს იმით, რომ ურღვევია... მოდით, ემოციურ ტერმინ “სტაგნაციას” შევუნაცვლოთ აღწერილობითი ტერმინი “პერმანენტული”. განა პერმანენტული ზნეობრივი სტანდარტი აუქმებს პროგრესს? პირიქით, უცვლელი სტანდარტის გარეშე პროგრესი შეუძლებელია.

თუ ფრთხილად მიმოვიხილავთ შემთხვევებს, როცა აბსოლუტური სტანდარტები თითქოსდა აფერხებენ პროგრესს, ვნახავთ, რომ ბრალი ედება არა მთლიანად

ზნეობრივ საფუძვლებს, არამედ იმას, რომ, ადამიანური ახირებულობის გამო, გაზვიადებულია რომელიმე სიქველეს ან ნაკლოვანება; მაგრამ არ შეიძლება რომელიმე სიქველის ამოგლეჯა და გამოცალკეება სხვა სიქველეთაგან; თუ რომელიმე ცივილიზაცია სიმამაცეს ყველაზე მაღლა დააყენებს, შებრალება დაქვეითდება; თუ პატრიოტიზმს გავაფეტიშებთ, შოვინიზმი მოგვეძალბება; მომჭირნეობა სიძუნუნედ გადაიქცევა და ასე შემდეგ. ფაქტია რომ ცალსახა თავყვანისცემას რაიმესადმი, გარდა ღმერთისა, კერპთაყვანისმცემლობამდე მივყავართ.

ლუისის წინასწარმეტყველებანი ახდა, რაც მას ფრიად დაამწუხრებდა, რომ მოსწრებოდა. დღეს მთელი მსოფლიო ადგება დამლუპველ გზას “ძველი” ღირებულებების აუცილებლად “ახლით” შეცვლისა. “ახალ” ღირებულებებს ხალხით იღებენ იმიტომ, რომ ახალია, და არავენ განსჯის, მართლაც ახალია თუ ძველის პაროდიაა; წინ იყურებიან, გვირაბში სინათლეს ხედავენ, მიეშურებიან და ყველაფერი, რაც ხდება გვერდით, ან რაც ხდებოდა უკან, სიბნელეს მოუცავს.

როგორც ლუისი შიშობდა, სუბიექტივიზმმა გამოაცოცხლა ზედაპირული განცდები, გზა დაუკარგა ადამიანის აზროვნებას და შხამი ჩაასხა ობიექტური აზროვნების ძველისძველ ჭებში. “ნარნია” წიგნსა და კინოფილმში დარჩება, თუ სუბიექტივიზმს დამორჩილებულ და მიძინებულ გონებას არ გამოვადვიებთ და სულს არ გავაფართოვებთ, სულის სამყოფელს.

## გამოსმაურება

ნინო ვახანია

# „კარბ საქმეზედა მიბაძვა“

□

### კიდევ ერთი ბიობრაფოსი — ზვიად კვარაცხელია

სხვისი ნიჭის აღმოჩენისა და დაფასების უნარი იშვიათი თვისებაა თვით გამოჩენილ კაცთა შორისაც კი. ილია ჭავჭავაძე ფლობდა ამ უნარსაც. ქართველი ხალხის წინაშე სხვა უამრავ დამსახურებას ესეც ემატება — ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველასთვის მწერლობაში გზის დალოცვა, უკვე გარდაცვლილი ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიის შეცნობა, არჩილ ჯორჯაძის მობრუნება ეროვნული ფესვებისკენ... ვინ იცის, კიდევ რამდენი ნიჭის ხელის შეწყობა და დახმარება. ჩვენს გულცივ დროში ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, რომ ვინმეს სხვაზე ზრუნვა და დაფასება, თუნდაც უბრალოდ აღიარება შეუძლია. ნამხდარა და

შეცვლილა ადამიანებს შორის ურთიერთობა. არადა, რალაც ორი საუკუნის წინათ ალექსანდრე ორბელიანიც მამაშვილურად ეალერსებოდა, ამხნევებდა და საიმედოდ დაიგულებდა ყველას, ვისაც ნიჭს და ქვეყნის სიყვარულს შეატყობდა. თუმცა, როგორც ჩანს, მაშინაც, ძველ საქართველოშიც იშვიათი უნარი უნდა ყოფილიყო სხვისი წარმატებით გახარება, და თუ იყო, საფუძვლად უთუოდ საერთო მიზანი — ერის განახლება და გაძლიერება ედო.

ერის წყლულის წყლულად მიჩნევა, ერის სიხარულის პირად სიხარულად განცდა, ერის მომავალზე ზრუნვა მძიმე ტვირთია და მხოლოდ რჩეულთა ხვედრი.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენს დროშიც არიან ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უხარიათ ნიჭიერი ახალგაზრდის გამოჩენა, კი არ ეშინიათ, კი არ ჩქმალავენ, კი არ ჩაკლავენ ახალფეხადგმულ სურვილებსა და მისწრაფებებს, სწორედ პირიქით, ხელს უწყობენ, პატივს მიაგებენ, იმედის თვალთ შეჰყურებენ და ზრდიან, წვრთნიან, აგულიანებენ მომავლის სახელით, კვლავ ერის განახლებისა და გაძლიერების მიზნით.

ზვიად კვარაცხელიას, შეიძლება ითქვას, გაუმართლა. მას შესხედნენ სწორედ ის იშვიათი, გამოჩენილი ადამიანები, გულანთებულნი რომ შეჰხარიათ ნიჭიერ და ქვეყნის მოყვარულ ახალგაზრდებს.

ფურნალმა „ჩვენი მწერლობა“ ფართოდ გაულო კარი ასაკით მრწემ, მაგრამ გონებით სრულ კაცს და მკითხველი მომსწრე ხდება როგორ იზრდება ზვიადი ნომრიდან

ნომრამდე, სტატიიდან სტატიამდე, წიგნიდან წიგნამდე. მისი კალამი უფრო მტკიცე ხდება, სიტყვა – უფრო მოქნილი. აზრის სინათლესა და გრძობის სინრფელეს, რაც პირველივე პუბლიკაციებიდან ახასიათებდა, ახლა დახვეწილი მწერლური სტილიც ამშვენებს. ამას მათქმევენებს „ჩვენი მწერლობის“ 2009 წლის 26 ნოემბერის ნომერში გამოქვეყნებული მოთხრობა „უშველეთ ბეთანიას!“ რომელიც, როგორც სქოლიოდან შევიტყუეთ ერთი თავი ყოფილა ზვიად კვარაცხელიას მხატვრულ-დოკუმენტური რომანიდან „ჩემი ფსიხატორიუმი (ცხოვრება და ღვანლი იონა მეუნარგისი)“.

ბიოგრაფიული რომანებისადმი საზოგადოების ინტერესი ამ ბოლო დროს ამკარაა. კარგად ვერ გამიჩვევია, მწერლები ასრულებენ საზოგადოებრივ დაკვეთას თუ პირიქით, კარგმა რომანებმა გაზარდა მკითხველის ინტერესი. თუმცა, ვფიქრობ, ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. „კარგ საქმეზედა მიბაძვა არარა დასაძრახია“. ზვიადიც იმათ „ჯოგიდანაა“, ვისაც მხატვრულობა და დოკუმენტურობა ერთმანეთთან საამოდ შეუზავებია მკითხველის გულის გასახარად. ამ ტიპის (მხატვრულ-დოკუმენტური) ნაწარმოებებს არა მარტო შემეცნებითი ფუნქცია აქვთ, უდიდესი ემოციური მუხტიც ახასიათებთ, ადამიანს ძალდაუტანებლად ეხმარებიან ზნეობრივი ორიენტირების შერჩევაში და იმ ერთი რამის სიყვარულს აღვივებენ, დაფარვა რომ სჭირდება.

ჩვენი ევროპელობით თავმოწონე ქართველებმა მთლიანად თუ არ უარყავით, დიდი ხნით მაინც მივივინყუეთ ნამდვილად ევროპული ტიპის მოღვაწე. მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ბიოგრაფიების შემდგენი, ყოველივე ქართულის მეტრფე და ქომაგი იონა მეუნარგია.

\*\*\*

- „— საიდანა ხართ, რუსეთიდან?
- არა, საქართველოდან.
- ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?
- არა მარტო ლამაზი ქალებით...“

რამოდენა თავმოწონება იგრძნობა ვიქტორ ჰიუგოსთან საუბარში. საქართველოს არარსებული სახელმწიფოს შვილს ქართველობით მოაქვს თავი. რუსეთის ხსენებაზე იქნებ სიცლის გუნებაზე დამდგარიყო დიდი „ფრანსიელი“, მაგრამ ქართველის ამ სიამაყესა და თავმოყვარეობას სიცლის რას შებედავს; რუსთაველით ინტერესდება: გამიგონია, თუმცა არ ვიცნობო, — გამოტყუდება.

ქართველთა წარსული ისტორიის, მწერლობის, ზნის, ადათის, სულიერი სიმდიდრის, შემოქმედების სხვების-

ვის, ევროპელთათვის გაცნობა ერთ უპირველეს მიზნად დაუსახავთ მე-19 საუკუნის მოღვაწეებს. მათ შორისაა იონა მეუნარგიაც, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი ჟიულ მურიესა და ცოლ-ქმარ ზუტენერებთან ერთად.

\*\*\*

„ბევრ შესანიშნავ ქართველ მწერალს შევხვედრივარ, ბევრის თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელდადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ“, — წერდა გენერლის „ადიუტანტად“ სახელდებული, ქართველი პოეტის მეხოტბე იონა მეუნარგია. თამარის ეპოქის მალმერთებელი, კვლავ მის აღდგენაზე მეოცნებე გრიგოლ ორბელიანი ეჭვით აღვსილიყო: „ვაჰ, თუ რაც ნახდეს...“

უშველეთ ბეთანიას, — ხელოვნების სახელით ივედრებოდა ჟიულ მურიე, — ხის ჭერი მაინც დაახურეთ თქვენს სათაყვანებელ მეფესო.

ვინ, თუ არა გრიგოლ ორბელიანმა იცოდა, თამარის ეპოქამდე მისასვლელი გზა რომ არ ჩანდა, „გზაშეუვალსა, უდაბურ ტყეში“ ჭვრეტდა დარღვეულ ტაძარს

ზვიად კვარაცხელია



— დარღვეული, გაჩანაგებული ქვეყნის სიმბოლოს. ქართული იერი, ქართველისთვის დამახასიათებელი შავი თვალები შეუმჩნევია ფრესკაზე ჟიულ მურიეს, ცივი და მახვილგონიერი თვალები. მხოლოდ გრიგოლისთვის არ უღირსებია შეხედვა თამარს — ვერ უცვნია ხმამიღებულის, დამცირებული, თავმოდრეკილი, მონობას შეგუებული ქართველი. რა გასაკვირია — მას ხომ ოდენ ლალი, ამაყი, თავმოწონე, საკუთარი თავმოყვარეობის დამცველი ქართველი ახსოვს. „ცად თვალნი გაქვს მიქცეული“... — ფრესკაზე შემორჩენილა სახე მეფისა — ქართველთა ისტორიული მეხსიერების სიმბოლო, მაგრამ იმ ეპოქამდე მისასვლელი გზა უნუგეშოდ ჩაკეტილა და ნუთუ ხსოვნაც უნდა ნაიშალოს?

ფიცრის უბრალო ჭერი დაახურეთ თქვენს დედოფალს, უშველეთ ბეთანიას, — ხელოვნების სახელით ივედრებოდა ჟიულ მურიე.

„თუმცა გზა საძაგელია, მაგრამ ჰლირს, რომ კაცი, მეტადრე ქართველი, წავიდეს ამ მონასტრის სანახავად არაერთხელ“, — წერდა გრიგოლ ორბელიანი არა მარტო ხელოვნების სახელით.

კვითხულობ ფრაგმენტს რომანიდან და არ მასვენებს ბედისწერად ქცეული კითხვა:

**და ქართველობა სიქადულად როდის ექმნება ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?**

იცით, რას ნიშნავს „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, ანდა „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“?..

მიხეილ კვესელავა წერდა: „მთელი მსოფლიოს მთარგმნელები რომ მიესიონ ამ ორად ორ სტრიქონს, პწკარედსაც ვერ გააკეთებენო“... ინესა მერაბიშვილისთვის ეს დიდ გამოწვევად იქცა, თუმცა მანამდე სხვაც ბევრი არსებობდა, ყველაზე მთავარს კი იმთავითვე ბაირონი ერქვა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტს, თბილისის ბაირონის სკოლის დირექტორს, საქართველოსა და ბრიტანეთის საზოგადოების საპატიო წევრს, საერთაშორისო ელჩის ორდენის კავალერს ლიტერატორთა და მთარგმნელთა წრეში საუკეთესოდ იცნობენ. მის შესანიშნავ თარგმანებს ბევრჯერ ეზიარა ჩვენი მკითხველიც, თუმცა ამჯერად იმ მეცნიერული მიღწევებისა და სიახლეების გამოც გვინდა მივუბრუნდეთ, რომელიც თანამედროვე მთარგმნელობით თეორიაში მის სახელს უკავშირდება. ქალბატონი ინესა დღეს ჩვენი რედაქციის სტუმარია და ათეული წლებით დაგროვილი ცოდნიდან და შემოქმედებითი გამოცდილებიდან ბევრ საინტერესოს გვიამბობს.

# სხვისი სამყაროს ერთგული მსახური

□

**რიტა ბაინდურაშვილს  
ესაუბრება  
ინესა მერაბიშვილი**

— ქალბატონო ინესა, ვიდრე საგანთა უარით გადახაზულ ოცნებას შეეხებოდით, მოდით, საზოგადოდ თარგმანზე ვისაუბროთ, მის მნიშვნელობაზე, მის წარსულსა და დღევანდლობაზე ჩვენში...

— თარგმანი კულტურათა შორის დიალოგია, რომლის ტრადიციაც, საბედნიეროდ, დიდი გვაქვს ქართველებს. ათონელი მამებიდან დაწყებული (მანამდე რომ არაფერი ვთქვათ), ივანე მაჩაბლით გაგრძელებული, XX საუკუნის 50-იან წლებში კი გივი გაჩეჩილაძის თეორიით გამყარებული, საკმაოდ ძლიერია ქართული მთარგმნელობითი სკოლა. ამ ტრადიციებს ჩვენ, თანამედროვე მთარგმნელებიც ფეხდაფეხ მივყვებით და ვცდილობთ, საკუთარი სათქმელი ვთქვათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მოღვაწეობით. მართალია, ლიტერატურულ თარგმანებს მთელ მსოფლიოში საუკუნეების ისტორია აქვს, მაგრამ დარგის თეორია, როგორც მეცნიერება, დასავლეთშიც XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. იმხანად გამოდის ასპარეზზე თარგმანის დიდი თეორეტიკოსი, ამერიკელი უიჯინ ნაიდა, ინგლისში — პიტერ ნიუმარკი, ანდრეი ფიოდოროვი — რუსეთში, ხოლო ჩვენში გივი გაჩეჩილაძის „თარგმანის თეორია“ ქვეყნდება. დღეს ჩვენ ამ თეორიაზე ვდგავართ და ტრადიციას მასზე დაყრდნობით ვაგრძელებთ.

— თუმცა თქვენი მოღვაწეობა თარგმანის თეორიაში გარკვეული მიგნებებით გამოირჩევა, კერძოდ, რაში გამოიხატება იგი?

— თარგმანის თეორიაში მე ლინგვისტიკით შემოვედი და ეს თეორია ლინგვისტიკის გარეშე დღეს უკვე აღარ მოიაზრება. საუბარია ტექსტის ლინგვისტიკაზე, რომლის მნიშვნელობაც ისე ამაღლდა, რომ თავისი პოპულარობით სხვა დონეები უკან ჩამოიტოვა. სტილისტიკას უჭირს მთლიანი ტექსტის ახსნა. ტექსტის ლინგვისტიკა გერმენევტიკას ანუ ტექსტის ინტერპრეტაციას ეფუძნება. სწორედ ტექსტის ლინგვისტიკა ჩადგა თარგმანის სამსახურში

და თარგმანის თეორია თვისობრივად გადაიზარდა თარგმანის ლინგვისტიკაში, რადგან პირველი მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის მონაპოვარს სჯერდებოდა იმ დროს, როდესაც მეორემ, ანუ თარგმანის ლინგვისტიკამ, თავის წინაშე უაღრესად საინტერესო კვლევის პერსპექტივა დასახა. საერთაშორისო ასპარეზზე თარგმანის მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა და ჩვენც მათ კვალდაკვალ მოძრაობა გვმართებს.



წლების მანძილზე მსოფლიოს გავლენიანი ავტორებისა და სწავლულთა ხელმძღვანელობით მუშაობისას ტექსტის ლინგვისტიკაში მიღებული შედეგები თარგმანს მივუსადაგე, რამაც ძალზე საინტერესო სურათი მოგვცა. ვგულისხმობ პარამეტრებს, რომლითაც თარგმანის ხარისხი უნდა განვსაჯოთ.

— და რა პარამეტრებია ეს ან როგორია კარგი თარგმანი?

— საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, თარგმანის ხარისხზე მისი კარგი ქართულის მიხედვით მსჯელობენ. ის, რომ ასეთი მთარგმნელები გვყავს, თავისთავად ძალიან კარგია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მოთხოვნა, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ სრულდება: კერძოდ, თუ რამდენად კარგადაა ასახული თარგმანში დედანი. მე სწორედ ამ თეორიის მიმდევარი ვარ და მის პოპულარიზაციას ვენევი. თარგმანი უნდა იყოს კარგი ქართულით სწორად ასახული დედანი. აუცილებელია, რომ ორიგინალში არსებული სამყარო და რეალიები, ავტორისეული ღირებულებანი მაქსიმალურად შევინარჩუნოთ, ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც, რამდენადაც გვესმის და განვიცდით მათ. კარგმა მთარგმნელმა უნდა იცოდეს, რას შეელოს და რას არა დედანში, ანდა რის ხარჯზე. აი, აქ მუშაობს თარგმანის თეორია, აქ მოვიშველიე ტექსტის ლინგვისტიკის ბოლოდროინდელი მიღწევები. დღეს ლინგვისტი ტექსტის ანალიზის დროს ისეთი შინაარსობრივი კატეგორიებით ხელმძღვანელობს, როგორცაა ფაქტობრივი ინფორმაცია, კონცეპტი და ქვეტექსტი. ეს კატეგორიები მე თარგმანის თეორიის შემადგენელ ნაწილად ვაქციე. 2005 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში

„პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ მრავალი მაგალითი მაქვს წარმოდგენილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ინარჩუნებს მთარგმნელი აღნიშნულ პარამეტრებს.

ამას გარდა ტექსტის ლინგვისტიკაში შემოვიტანე კიდევ ერთი დამატებითი კატეგორია — შინაარსის ხატობრივი ინფორმაცია, რომელიც ენისა და ცნობიერების საკითხს ეფუძნება. პოპულარული ენით რომ ვთქვათ, სიტყვაში გარესამყარო აისახება არა მარტო ცნებით, არამედ ხატით, რომელიც გრძობითი ხატის ლინგვისტურ ფორმაციას წარმოადგენს. უჩვეულო შესიტყვებათა შემთხვევაში ცნება იცვლება, მაგრამ ხატი უცვლელი რჩება და განაპირობებს კიდევ სიტყვის ხატოვნებას ტექსტში. ხატებით აზროვნება განსაკუთრებით XX საუკუნის პოეზიას ახასიათებს. ხატებით აზროვნებდა გალაკტიონი. თუ თარგმანის შემთხვევაში ხატები დაეკარგეთ, გალაკტიონს ასეთ ტექსტთან აღარაფერი ექნება საერთო. „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი“, „გადაუგდო ნიაცს ყელი“ ხატებით მოაზროვნე პოეტის სტრიქონებია და ასეთი სტრიქონები ისევ ხატებით უნდა ითარგმნოს, ოღონდ ამას წინ უნდა უსწრებდეს მათში მოქცეული ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია. ცნებისა და ხატის ურთიერთობის ანალიზს სემასიოლოგიური ცოდნა ანესრიგებს, ამიტომაც მიმანია, რომ ნიჭიერებასთან ერთად მთარგმნელი ტექსტისა და სიტყვის მკვლევარიც უნდა იყოს, ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე მეთოდოლოგიას დაუფლებული ფილოლოგი. ჩემი აზრით, ფილოლოგიური გამოკვლევა პლუს არტისტული შესრულება — ეს არის თარგმანის მართი ფორმულა. მაგისტრანტებსაც, რომლებიც თანამედროვე თარგმანის ხელოვნებას ეუფლებიან უნივერსიტეტში, ასეთივე მიდგომასა და მეთოდს ვაზიარებ.

**— პარამეტრებისა და ნორმების მიღმა მთარგმნელს იმ ავტორის, ეპოქისა თუ ღირებულებათა კარგად ცოდნაც მოეთხოვება, რომელსაც თარგმნის...**

— რა თქმა უნდა, მთარგმნელი ღრმა და მრავალმხრივი ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, რადგან მხოლოდ ნიჭიერება და შინაგანი ინტერპრეტაციის უნარი საკმარისი არ არის ღირებული თარგმანის მისაღებად. არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, როცა ძალიან დიდი პოეტი თარგმნის ტექსტს, მაგრამ გამოცდილ მთარგმნელს მაინც ბევრად უფრო წარმატებული გამოუდის. ჩვენში, და არა მარტო ჩვენში, ნიჭიერი პოეტი მეტია, ვიდრე ნიჭიერი მთარგმნელი. ნიჭიერი პოეტი თავის სამყაროს ემსახურება, მას აღმოაჩენს და ქმნის, მთარგმნელი კი სხვისი სამყაროს მსახურია და იგი ისე უნდა გადმოგვცეს, დაგვანახოს, როგორც თავად ავტორი განიცდის. ამიტომ არის მთარგმნელის ტვირთი ბევრად უფრო დიდი და პასუხსაგები.

**— თქვენ როგორ მიხვდით ამ ტვირთადე, ან როდის მიხვდით, რომ ასეთ როლს საქმეს მოერეოდით?**

— ოჰ, ეს დიდი ხნის წინათ მოხდა და ისეთი დიდი ადამიანის ხელდასხმით, რომ შეუძლებელი იყო, ამ ტვირთს ვერ მოვრეოდი... ჩემი პირველი თარგმანები მწერალ ოთარ ჩხეიძეს გავანდე, მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბატონი ოთარის კათედრაზე ვმუშაობდი. ბაირონისა და ედგარ პოს რამდენიმე ლექსი იყო, მახსოვს... ცოტა ხნის შემდეგ შემხვდა და შემაქო, მითხრა, ჟურნალ „ლიახვის“ პირველივე ნომერში დაიბეჭ-

დებო, თან ისეთი ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი გაუქეთა, ვიგრძენი, რომ საიმედო ხელში მოხვდა ჩემი თარგმანები. ეს საქმე შეიძლება კიდევ გადამედო, მაგრამ დამწყები მთარგმნელისთვის ასეთი დიდი პიროვნებისაგან შთაგონება მართლაც სერიოზული სტიმული აღმოჩნდა...

თუმცა მხოლოდ შთაგონებით არ შევდგომივარ ამ ტვირთს, თეორიული მომზადების დიდი გზა გავიარე. გამოჩენილი ანგლისტიკისა და სტილისტიკის ილია გალპერინის ხელმძღვანელობით დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ბაირონის ტექსტის კვლევას ეძღვნებოდა. ტექსტის ლინგვისტიკაში მუშაობაც სწორედ მან შემომთავაზა, მაშინ ეს დარგი ჯერ კიდევ იკაფავდა გზას. შევისწავლე თარგმანის თეორია. აქტიური ურთიერთობა დავამყარე რუსული ლინგვისტური და მთარგმნელობითი სკოლის ტიტანებთან (რუსული სკოლა, მოგესხენებათ, უძლიერესია მსოფლიოში). შევისწავლე აგრეთვე დარგის საერთაშორისო მდგომარეობა, ნავიკითხე ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ნამეკითხა მთარგმნელობით ხელოვნებაზე. და ასე, თეორიული ცოდნით გამყარებული, უკვე პროფესიულად, საფუძვლიანად მივადიე მსოფლიო ლიტერატურის გენიოსებს...

პირველი მნიშვნელოვანი აღიარება ლივერპულის საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოვიპოვე 1995 წელს, სადაც მოხსენებით გამოვედი და შექება თვით უიჯინ ნაიდსაგან დავიმსახურე. სიმპოზიუმს მთელი ევროპისა და ამერიკის ცნობილი მთარგმნელები და თარგმანის თეორეტიკოსები ესწრებოდნენ, რომელთა გაცნობამ და დაახლოებამ უფრო გააფართოვა ჩემი სამოღვაწეო არეალი. მას შემდეგ კონტაქტები კიდევ გაღრმავდა და დღეს ძალიან აქტიური, საქმიანი ურთიერთობები მაქვს არა მხოლოდ ინგლისურ სკოლასთან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა მთარგმნელობით საზოგადოებებთან.

...ბატონი ოთარის ყურადღება კი არც შემდგომში მომკლებია. ათიოდე წლის წინათ დამირეკა და მთხოვა, შექსპირის 66-ე სონეტი მეთარგმნა. გავიკვირვე, ვუთხარი, გივი გაჩეჩილაძემ და რეზო თაბუკაშვილმა ხომ დიდებულად თარგმნეს-მეთქი. მიპასუხა: „ამ სონეტის გამოქვეყნებიდან წელს 400 წელი სრულდება და მინდა, არსებულ ქართულ თარგმანებთან ერთად ახალი ქართული თარგმანიც დავბეჭდოთ.“ ბუნებრივია, ეს სონეტის ახლებურად ნაკითხვას, მის ახალ ინტერპრეტაციას ნიშნავდა. ბევრი ვიმუშავე, ცალკეული სიტყვებისა და სტრიქონების აკადემიურ, ბრიტანულ ინტერპრეტაციებს მე-18 საუკუნის ჯონსონის ლექსიკონთან ვაჯერებდი... ბატონი ოთარი თარგმანით კმაყოფილი დარჩა და მირჩია, იქნებ, ყველა სონეტი გეთარგმნათო... ეს კი, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შევძელი...

**— ბაირონის სკოლა, რომელსაც თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი, საერთაშორისო ურთიერთობების გამოხატულებად და ინგლისურენოვანი ლიტერატურის პოპულარიზაციის კიდევ ერთ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ?**

— ბუნებრივია, რაც უფრო მივეხლოვდებით ისეთ ტიტანებს, როგორც შექსპირია, ბაირონია, მით უკეთ გავიგებთ დასავლეთ ევროპული სამყაროს კულტურას, ცივილიზაციას, და პირიქით, გავიგებთ და გავაცნობთ ჩვენსას. სკოლაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სწავლობენ მოზარდები. აქ მხოლოდ ენის შესწავლაზე არ არის საუბარი, ისინი აქ იმ სამყაროს ღირებულებებს ეცნობიან და ითავისებენ, რომლითაც მდიდარია დასავლური კულტურა.

ახლახან ბაირონის ქალიშვილის, ადას, სახელობის მცირე თეატრიც გავხსენით სკოლაში, სადაც ჩვენი მოსწავლეები ინგლისურ ენაზე ლიტერატურულ და თეატრალურ ღონისძიებებს მართავენ და ეს მათ შესწავლილი მასალის აღქმაში ეხმარებათ. მართალია, მათგან ყველა მთარგმნელი და ლიტერატორი ვერ დადგება, მაგრამ იმ მადლს მაინც ეზიარებიან, რასაც მაღალი დონის ლიტერატურა ჰქვია. მით უფრო, რომ გარემოც ყოველმხრივ სათანადო შეეუქმენით. აქ ხშირად გვსტუმრობენ დიპლომატიური საზოგადოების წარმომადგენლები, ელჩები, უცხოელი სტუმრები, ჩვენი საზოგადოების გამორჩენილი ადამიანები...

— დიას, აქ მართლაც არაჩვეულებრივი გარემოა განათლებული თაობის აღსაზრდელადაც და კლასიკური ლიტერატურის პოპულარიზაციისთვისაც, რაც უდავოდ დიდი შრომის შედეგია. თქვენი საზოგადოებრივი თუ მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა ახლა უშუალოდ თარგმანებსა და საგანთა უარით გადახაზულ ოცნებას მივუბრუნდეთ... გარდა იმისა, რომ ქართულად თარგმნით ევროპელ ტიტანებს, თქვენ ინგლისურად ააჟღერეთ გალაკტიონი. გამოეცით ნიგეი, „გალაკტიონის ენიგმატი“, რომელშიც პოეტის ხატებსა და სიმბოლოებზე, უჩვეულო, შეუთავსებელ გამონათქვამებზე მსჯელობთ. როგორ ახსენით თუნდაც ის სტრიქონები, „მთელი მსოფლიოს მთარგმნელებიც რომ ვერაფერს მოუხერხებდნენ“?

— ძალიან უბრალოდ, ანუ ისე, როგორც თვითონ გალაკტიონი გულისხმობდა. რა არის ოცნება? ოცნება გლობალურია, დიდია, მაგრამ ამავე დროს აბსტრაქტული, ხოლო ყოფა კონკრეტულია, საგნებით არის შემდგარი. ეს ყოფა ბევრ რამეზე გვეუბნება უარს და ჩვენი ოცნებაც იხაზება, იკანონება საგანთა უარით, ანუ საგნებით, რომლებიც ჩვენ რეალურად არ გვეძლევა. არ ეძლეოდა არც გალაკტიონს, ერთი ზამთარი პალტოც კი არ ჰქონდა, რომ გარეთ გამოსულიყო. მისი ოცნება გადახაზული იყო მრავალგზის უარით, უარით და უარით... ასეთი იყო მისი ოცნება, ასეთია ადამიანური ოცნება ხშირად, იმ საგნებით გადახაზული, რომლებიც მას არ ეძლევა... გალაკტიონი ხატებით აზროვნებს, ხატებით ფიქრობს და, თუ სწორად მიუხვდით, გაიგე მისი აზროვნების გასაღები, მაშინ ადვილად ხსნი ამ, ერთი შეხედვით, შეუთავსებელ ფრაზებს. ინგლისელი პოეტი და მხატვარი, უილიამ ბლეიკი, ამბობდა: ნახატში ვერ მონახავთ ბალახის ერთ ღეროსაც, ქვიშის ერთ ნამცეცსაც, რომელიც მხატვარს არ ჰქონდეს ჩაფიქრებული... არც ლექსში ხდება შემთხვევით არაფერი, ნახეთ, რა საოცარი, გეომეტრიული სიზუსტით აგებს ლექსს ედგარ პო, ანდა სონეტს — შექსპირი. მათთან ყველაფერი გათვლილია და არაფერი არ უნდა დაიკარგოს. ასევეა გალაკტიონიც. ამიტომ თარგმნისას ვცდილობ მაქსიმალურად შევინარჩუნო და გადავიტანო ის ხატები და სიმბოლოები, რომლითაც ასე თვითმყოფადია პოეტი. მაგალითისთვის ავიღოთ “მთაწმინდის მთვარე”: „აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით, ფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...“ — წერს გალაკტიონი.

„In the cemetery filled with a sorrow deep, *With a daisy and a rose under merry stars...*“ — ეს ჩემეული ინგლისური თარგმანია. მიაქციეთ ყურადღება ვარდსა და გვირილას. ზოგი მთარგმნელი ვარდს თარგმნის, მაგრამ გვირი-

ლა აღარ გადმოაქვს, ზოგიც — პირიქით. ზოგი ვარდსა და გვირილას ნითელი ყვავილებით ცვლის: “И увенчана могила алыми цветами”, — ასე თარგმნა ეს სტრიქონი ივანე ქვაჩაიამ.

ქრისტიანულ ფილოსოფიაში ვარდი ღვთისმშობლის სიმბოლოა, გვირილა კი — ყრმა ქრისტესი. გალაკტიონმა „მთაწმინდის მთვარეში“ ღვთისმშობელი ყრმა ქრისტესთან ერთად გამოსახა. პოეტური ტექსტის შინაარსი მრავალნაზნაგოვანია. მშვენიერი ყვავილების მიღმა სხვა სურათიც გამოისახება. ვარდში გალაკტიონი კიდევ დამატებით შინაარსს ავითარებს: მისთვის ვარდი გონების გვირგვინია, ანუ შედეგია. გავისხენოთ ლექსი, „გულო, რა გემართება?“ („შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან. ვარდები არ არიან, მაგრამ რა მევარდება? სულო, რა გემართება? გულო, რა მოგივიდა?“).

ეს ლექსი გალაკტიონმა 36 წლისამ დაწერა. სიმნიფის ასაკში მყოფი პოეტი ცხოვრების ამ ხანას შემოდგომად მიიჩნევს. შემოქმედებით დიდებას ის შემოდგომის ყვავილებით, ანუ სიმნიფისას შექმნილი ნაწარმოებებით ეგებება. თუმცა, აქვე იმასაც ნაღვლობს, რომ ამ ყვავილებს შორის არ არიან ვარდები, ე. ი. აღარ არიან შედეგები. კაცობრიობის მიერ შექმნილ შედეგებს მიუძღვნა პოეტმა ლექსი „ვარდებიც“.

რა არის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“? რატომ თქვა ეს გალაკტიონმა? ამაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ არ უკვირდებიან და არ ამჩნევენ ამ ორ სიტყვას შორის არსებულ კავშირს „ანუ“, რაც ერთსა და იმავეს ნიშნავს. აბა, სამჯერ, მიყოლებით გაიმეორეთ სილაჟვარდე. ეს ხომ იგივეა, რაც სილაში ვარდი. გალაკტიონმა ვარდი წინ გადმოიტანა და კიდევ უფრო გააბუნდოვანა ენიგმა. ასეთი ქარაგმებით გვეთამაშება პოეტი. ასე გეთამაშება ანტიკური ხანის პოეტი, ასე გეთამაშება შექსპირი — ხან რეზუსებით, ხან ქარაგმებით... ასე გელაპარაკება გალაკტიონიც, ოღონდ იგი ძალიან სუფთაა, ძალიან ჰარმონიული და ამალღებული, რაც მას XX საუკუნის ყველა გენიოსისაგან გამოარჩევს. სამწუხაროდ, მსოფლიო ნაკლებად იცნობს გალაკტიონს და ჩემი მცდელობაც მისი პოეზიის თარგმნისა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. პირველი გამოცემა, რომელიც მისი ოცდახუთი ლექსის ორენოვანი ვარიანტია, 2005 წელს გამოვიდა ინგლისური რედაქციით და ინგლისელთა დიდი ინტერესიც დაიმსახურა. მას შემდეგ კიდევ ოცდახუთი დაგუმატე და ახლა 50 ლექსის თარგმანი მზად მაქვს, აგრეთვე, ბაირონის „სიზმარი“ და ლირიკა, რომლებსაც, ალბათ, უახლოეს მომავალში გამოვცემ.

— ნარმატებებს გისურვებთ... დარწმუნებული ვარ, თქვენს ახალ თარგმანებს ერთნაირი ინტერესით ელოდება როგორც ქართველი, ასევე ინგლისურენოვანი მკითხველი...

P. S. გალაკტიონის პირველი ინგლისური გამოცემის შესახებ ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორი, რიჩარდ კარდველი, წერს: „ლექსების თარგმანი ქართულიდან ინგლისურად განაფული და ფაქიზი ხელითაა შესრულებული. ინესა მერაბიშვილმა ნარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, ხოლო დედნისეული ტექსტის რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ისე, რომ თარგმანებში მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას“...



## დილოგი

ამერიკელმა დიპლომატმა რობერტ ჯ. გიბსონმა კი აღნიშნა:

„რომ არ მცოდნოდა, ჩემს წინაშე თარგმანია, უთუოდ ვიფიქრებდი, რომ ყოველივე ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია, თუმცა იქ საქართველოზეა საუბარი... ეს ხომ ძალზედ იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, პოეზიაში.“

მსურს, მაძლობა ვუთხრა მას იმისათვის, რომ მაზიარა გალაკტიონს, რომლის შემოქმედება, უდაოდ, გაცილებით უფრო ფართო აღიარებას იმსახურებს. ინესა მერაბიშვილის – რო-

გორც საქართველოს კულტურის ელჩის – სამსახური და ღვაწლი ლიტერატურაში მომავალშიც დიდხანს ემსახურებათ.“

**P. P. S.** მთარგმნელის ოსტატობაც სწორედ ეს გახლავთ... ესაა ტვირთი, რომელსაც სხვისი სამყაროს მსახურება ჰქვია და იმდენად რთულია და პასუხსაგები, რომ ხელაღებით, დაუდევრად მიახლოებას ვერც კი შეჰბედავ. ნლების წინათ ქართველი კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის, „კურთხევამ“ ქალბატონი ინესა დაუზოგავი შრომისა და თავდადებასთვის განაწყო და ეს თავდადება დღესაც სასიამოვნო სიახლეებს ჰპირდება მკითხველს.

## წუთები და წლები

მერაბ კალანდაძე

# „ღმერთო, იტალია გაანთავისუფლე“

□

### ალექსანდრე ორბელიანი იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე

ალექსანდრე ორბელიანი უდავოდ ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში. მან ღრმა კვალი დატოვა იმ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, ამ პერიოდის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი აღიარებულ თავკაცად, ლიდერად, გვევლინება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანის სახით ილია ჭავჭავაძეს ღირსეული წინამორბედი ყავდა. ალექსანდრე ორბელიანი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი სულიწამდგმელი და აქტიური მონაწილე.

რომის ისტორიასთან ერთად, იტალიის წარსულში ყურადღებას იპყრობს და დიდ ინტერესს იწვევს აღორძინების ეპოქა და რისორჯიმენტო. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულება იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მისი საინტერესო წერილი „სიტყვა იტალიისათვის“, რომელიც დაწერილია 1859 წლის 18 მაისს, მას მიაკვლია და პირველად გამოაქვეყნა როსტომ ჩხეიძემ. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ორიოდ სიტყვით შევჩერებულიყავით მასზე.

ეტყობა, ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ კარგად იცნობდა და ჩახედული ჩანდა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიის პერიუტიკებში. მისი წერილები „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“ და „სიტყვა იტალიისათვის“ ნათქვამის დასტური უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა ეს წერილი იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ: ალექსანდრე ორბელიანი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართულ სინამდვილეში იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების ინიციატორად მოგვევლინა. ალექსანდრე ორბელიანის ეს წერილი, როგორც უკვე ითქვა, დაწერილია 1859 წელს, ხოლო ილიას ლექსი „მესმის, მესმის“ 1860 წელს. მათ ეს დაინტერესება სხვადასხვა ფორმით გამოხატეს. ალექსანდრე ორბელიანმა პუბლიცისტური, ხოლო ი. ჭავჭავაძემ პოეტური. ალბათ, არის რაღაც სიმბოლური, რომ ამ მოვლენას აღფრთოვანებული შეხვდნენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ლიდერები.

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, რითი იყო გამოწვეული ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესება იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ინტერესი ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მეფის რუსეთის უღელქეშ მოქცეული საქართველოსთვის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის იყო აქტუალური თემა და დიდ ინტერესს იწვევდა. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო განპირობებული იტალიის, ირლანდიის, სლავების, ბურების და სხვა ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ყურადღების გამახვილება. უდავოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე იყო. ფაქტობრივად ალექსანდრე ორბელიანისთვის ეს მიმდინარე პოლიტიკა გახლდათ. ცხადია, ყველაფერი ეს სტიმულს აძლევდა იტალიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისადმი ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესების გაღრმავებას.

ამ პატივად, მაგრამ საკმაოდ შინაარსიანი წერილის მნიშვნელობას პირველ ყოვლისა განსაზღვრავს მისი ანალიტიკური მუხტი, რომელიც იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტობრივი მასალის კარგ

ცოდნას ემყარება. ეს მას პუბლიცისტიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს. ფაქტობრივად ალექსანდრე ორბელიანის ეს პატარა წერილი წარმოადგენს ქართულ სინამდვილეში იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გააზრების, შეფასების ერთ-ერთ პირველ მცდელობას.

წერილი დაწერილია 1859 წლის მაისში, როდესაც იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და მიმდინარეობდა. ამის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ალექსანდრე ორბელიანის წერილის გაცნობისას რაიმე უკმარისობის გრძნობა გიჩნდება, ეს მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამითაა გამოწვეული.

უწინარესად საჭიროა გამოვარკვიოთ ალექსანდრე ორბელიანის კონცეფცია. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მოძრაობის შეფასებისას ალექსანდრე ორბელიანი უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული და მისი წერილი თავისუფლებისათვის იტალიელი ხალხის ბრძოლისადმი ღრმა სიმპათიითაა გაჯერებული. „ვინ იცის რავედნი მთების, რავედნი მინდვრების, რავედნი მდინარეების და დასასრულ რავედნი ზღვების აქეთ ვიძახი მე ამას და შევძახი ღმერთს ამასა გულმტკივნეული: ღმერთო! იტალია განთავისუფლე!“

ამგვარი მიდგომა უპირატესად ევროპულ რეალობებზეა გათვლილი, მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს და იმდროინდელი ქართული სინამდვილის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.


საინტერესოა, რა ინფორმაცია მოუპოვება ალექსანდრე ორბელიანს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ამ საკითხის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მასზე ალექსანდრე ორბელიანის წერილი არანაირ მინიშნებას არ შეიცავს და რამის მტკიცება ძალიან ჭირს. ამიტომ იძულებული ვართ ჰიპოთეზებით შემოვიფარგლოთ. სავარაუდოა, რომ ის იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე ინფორმაციას იღებდა პერიოდული პრესის მეშვეობით, რომელიც ამ საკითხს საკმაოდ აქტიურად ეხმებოდა და დაწვრილებით განიხილავდა. რა თქმა უნდა ძირითადად ვგულისხმობთ რუსულ პრესას.

\* \* \*

შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანს საკმაოდ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული იტალიის მოდერნიზაციის, თავისუფალი მენარმეობის განვითარების თავისებური ხასიათი. სპეციფიკა, საქმე ისაა, რომ

იტალიაში აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდროდ იყო გადახლართული იტალიის გათავისუფლების საკითხთან, იტალიელი ისტორიკოსები გაერთიანებისათვის ბრძოლის მთელს ამ პერიოდს რისორჯიმენტოს ანუ განახლების ხანას უწოდებდნენ.

განახლებისათვის ბრძოლას მძლავრი სტიმული მისცა საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა. ნაპოლეონის ბატონობის წლებში იტალიაში ყალიბდება საფრანგეთზე დამოკიდებული რესპუბლიკები. მწვანე შუქი მიეცა იტალიის მოდერნიზაციის პროცესს. ფართოდ მოიკიდა ფეხი საფრანგეთის რევოლუციის იდეებთან გაერთიანების



ალექსანდრე ორბელიანი

სურვილმა. ნაპოლეონის რეფორმებმა კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა იტალიაში თავისუფალი მენარმეობის განვითარება, წინსვლა, და მაინც, მიუხედავად ამისა, იტალიაში ნაპოლეონის რეჟიმის უსაშველო განდიდება, როგორც ამას ხაზს უსვამს ფრანგი ისტორიკოსი ალფრედ პენგო, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სორელი ხაზს უსვამს, რომ ფრანგებმა თავიანთი პროპაგანდის წყალობით შეამზადეს ნიადაგი ფართო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაშლისათვის ევროპაში. საფრანგეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ეროვნული მოძრაობა დაუპირისპირეს. იტალიაში ყალიბდება კარბონართა ფარული ორგანიზაციები. XIX საუკუნის 30-40 წლებში იკვეთება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის

ტალღის ახალი აზვირთება. იტალიურ რისორჯიმენტოს ისტორიაში ყალიბდება რამდენიმე მიმართულება, 1831 წელს მარსელში ჯუზეპე მაძინის ძალისხმევით შეიქმნა ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია“. უკვე მომდევნო წელს კი გამოდის ამავე სახელწოდების გაზეთი. მათ სურდათ რესპუბლიკის საფუძველზე იტალიის გაერთიანება.

იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალურ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა სარდინიის სამეფო. მის მომხრეებს თანამედროვეებმა მეფის კარლ-ემანუელის საპატივცემულოდ „კარლისტები“ უწოდეს. მათ გაერთიანებული იტალია კონსტიტუციურ მონარქიად ჰქონდათ წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, ძალიან კარგი იქნებოდა თავისი წერილი „სიტყვა იტალიისთვის“ ალექსანდრე ორბელიანის იტალიის გაერთიანების წინაშე ისტორიით დაეწყო. ეს ნაბიჯი გამართლებული იქნებოდა როგორც შემეცნებითი, ისე მეცნიერული თვალსაზრისით და მის პატარა, მაგრამ საკმაოდ საინტერესო წერილს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა, კარგ შესავალს დაურთავდა. ასეთი ფონის უქონლობა ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ.

წერილში ძალუმად იგრძნობა თავისუფლებისათვის იტალიელი ხალხის ბრძოლისადმი კეთილგანწყობა და ავსტრიელი დამპყრობლებისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება. ეს მისი წერილის დიდი პლუსია, „ვინ იცის რავდენი მთების, რავდენი მინდვრების, რავდენი მდინარეების და დასასრულ რავდენი ზღვების აქეთ ვიძახი მე ამას და შევძახი ღმერთს ამასა გულმტკივნეული: ღმერთო! იტალია გაანთავისუფლე!“ ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, ადვილი გასაგებია და მასში უპირატესად ქართული რეალობის ანარეკლი უნდა დავინახოთ, იტალიელებსა და ავსტრიის დაპირისპირებაში ის საქართველო-რუსეთის ბრძოლის ანალოგიას ხედავდა. სწორედ ეს ანიჭებს ალექსანდრე ორბელიანის პატარა წერილს პოლიტიკურ დატვირთვას, მნიშვნელობას. ეს მისი კიდევ ერთი ღირსებაა.

წერილის დასაწყისში ალექსანდრე ორბელიანი ეხება ფრიად საინტერესო და აქტუალურ თემას — ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანი ამ საკითხში ჩახედული ჩანს და ქართულ საზოგადოებას საგულისხმო ინფორმაციას აწვდის, რომელიც მას აღნიშნულ თემაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა, რაც იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამავე დროს ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიგებული არ უნდა იქნას, „გაზეთებში ჩანს, მცირის სარდინიის აღჭურვა, სამშობლოს იტალიისათვის, რომელმაც ამისთვის შეირყა სიმხნე პატიოსანმა ფრანციამ და მიმართა მხედრობითა თვისითა, ავსტრიის სამხედროსა, ვისაცა ჰყავს იტალია ბორკილს ქვეშ დაპყრობილი. ეს ამხედრება არის ჭეშმარიტი, სამართლიანი ავსტრიაზედ. მიმართეს ორთა მოკავშირეთა: ფრანკო სარდინიამ, იმ ავსტრიელმა. ამ შეჯახებულ მოპირდაპირეთ უყურებს, იდაყვზე დაბჯენილი, ზღვისპირს გამჯდარი. ანგლია — „თუ ვითარ იქნება ბრძოლა იმათი?“ — იტყვის იგი. — „უკეთესამოსნისა იტალიისა, მიხარის და ღმერთს ვევედრო მისთვის, რადგან თავისუფლება, ოჰ, რა კარგია! უკეთუ დასაპყრობელად ფრანციისაგან, ვაი საცოდავო ევროპელთა სისხლო; უნდა მივესივნოთ ერთმანეთსა, უნდა შევიჭიდნეთ, შუაზე განხეთქილი ევროპა და ვწყვიტოთ ერთმანეთი გაუკითხავად... ამ საშინელები-საგან ღმერთო დაგვიფარე! ამით დაასრულა ანგლიამ“

ინგლისის პოლიტიკისადმი რეალისტური დამოკიდებულება ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია, ინგლისის ორჭოფობა უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ მას არ სურდა საფრანგეთის გაძლიერება.

ალექსანდრე ორბელიანის წერილში ცენტრალური ადგილი უჭირავს საფრანგეთის დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი. თემა მეტად საინტერესო და აქტუალურია და მისი წინ წამოწევა — სავესებით გამართლებული. ამგვარ მიდგომაში გასაკვირი არაფერია და ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ ალექსანდრე ორბელიანი ნატრობდა საქართველოსაც გამოჩენილ და ასეთი მეგობარი და მფარველი.

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობა უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

„შენ დიდო ღმერთო! გული მეფეთა ხელთა შინა ღვთისათა არს. შენ მიეც, იმ დიდს იმპერატორს ფრანცუზებისას (იგულისხმება ნაპოლეონ III — მ. კ.) ის შენი ღვთიური გული! იტალია გამოიხსნას და მისცეს საკუთარი თავისუფლება, რომ ის იმპერატორი ნაწილგაც გაგვეყოს ყველას, და თავყვანის საცემლად გვეკონდეს იმისი განწირული ნაწილები ხმელეთისა ერთა. მაშინ ფრანცია და იმისი ძენი ამალღებინან, ხარისხისა მალაღსა სვეტსა და იტყვიან ქვეყნის დასრულებაზე ესრეთ. დიდი ხარ იმპერატორი ლუდოვიკ! — და დიდ არიან შენი ფრანციელი ერი! — განთავისუფლებისათვის იტალიისა.“

დამონებული იტალიელები უსამართლო ავსტრიელებისაგან, ვინძლო, ასე რიგად გამოიდოთ და გამოიჩინოთ თავი თქვენის სამშობლოს იტალიის გამოსახსნელად, რომ ყველას მოაწონოთ თავი, ამასთან ღმერთი მადრიელი ამყოფოთ, და ფრანციელი იმათის სახელმწიფოთურთ დიდად მადლობელი ჰყოთ თქვენის მამულის ჭეშმარიტი სამსახურისათვის“.

ალექსანდრე ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთის და სახელდობრ იმპერატორ ნაპოლეონ III-ის დახმარების მნიშვნელობას იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მართლაც, საფრანგეთმა და იმპერატორმა ნაპოლეონ III გარკვეული პერიოდის განმავლობაში იტალიის გათავისუფლების საქმეში დადებითი როლი შეასრულეს, მძლავრი სტიმული მისცეს იტალიელთა პატრიოტულ აღტკინებას, ხელი შეუწყვეს ავსტრიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას. ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება და ეს ალექსანდრე ორბელიანის შეხედულების პოზიტიურ მარცვალს წარმოადგენს.

ამ პოლიტიკის პიკი იყო 1858 წლის 21 ივლისს პლომბიერის შეთანხმება საფრანგეთსა და სარდინიის სამეფოს შორის, რომლის თანახმადაც ისინი ერთობლივი ძალებით განდევნიდნენ ავსტრიელებს იტალიიდან. სარდინიის სამეფოს შეუერთდებოდა ლომბარდია, ვენეცია და სხვა ტერიტორიები, კომპენსაციის სახით საფრანგეთი მიიღებდა ნიცას და სავოიას. 1859 წლის აპრილში დაიწყო ავსტრია-იტალია-საფრანგეთის ომი, საფრანგეთის და სარდინიის სამეფოს ჯარებმა 1859 წლის ივნისში მაჯენტასა და სოლფერინოსთან ბრძოლებში სასტიკად დაამარცხეს ავსტრიელები და თითქმის მთელი ლომბარდია გაათავისუფლეს. 1860 წლის 11 ივლისს საფრანგეთმა იტალიის ზურგს უკან ხელი მოაწერა ავსტრიასთან ვილაფრანკის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, დამარცხებულმა ავსტრიამ შეინარჩუნა ვენეციის ოლქი. საფრანგეთის ამ ნაბიჯმა იტალიელთა უკმაყოფილება გამოიწვია და შელახა საფრანგეთის და ნაპოლეონ III-ის ავტორიტეტი, ავსტრიის გავლენა იტალიაში ისევ ძლიერი იყო.

შესაძლოა ალექსანდრე ორბელიანი საფრანგეთის და ნაპოლეონ III-ის პოლიტიკას იტალიაში ცოტა შეღამაზებულად, ვარდისფერებში ჭვრეტდა, რაც ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ საფრანგეთის პოლიტიკამ იტალიაში მკვეთრი სახეცვლილება განიცადა. მისი წერილის (1859 წლის 18 მაისი) დაწერის შემდეგ. საფრანგეთი-

სა და ნაპოლეონ III-ის პოლიტიკისადმი ალექსანდრე ორბელიანის ამდაგვარ დამოკიდებულებაში მისი პროფრანგული და პრობონაპარტისტული განწყობილების ანარეკლი შეიძლება დავინახოთ. ამავე დროს იგი ოცნებობდა, რომ საქართველოსაც გამოეჩინოდა ამგვარი ქომაგი.

„შეხედეთ იტალიანელებო, ვინ მიგიძღვით თქვენ? - ღვთისაგან მოვლენილი თქვენთვის, დიდი კაცის ძმისწული იმპერატორ ლუი და მასთან საფრანგეთის დიდი მხედრობა! — და ამისთვის რა გამართებთ თქვენ? — ემსახურებით იტალიანელებო, თქვენს მამულს მსხვერპლად, რომ მონამეთა თანა შეირაცხენით და საუკუნოდ იხსენიებდეს სახელი თქვენი დიდებისა მთელს ქვეყანაზედ!“

ლუი ნაპოლეონ III-ის მოღვაწეობის მაღალი შეფასება საყურადღებოა და მასში ნაპოლეონ პირველისადმი ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობილების არაპირდაპირი გამოვლინება მოჩანს.

ალბათ, უპრიანი იქნებოდა ორიოდ სიტყვა თქმულიყო იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი მეფის რუსეთის დამოკიდებულებაზე. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის პატარა და საინტერესო წერილს. ეს ფრიად აქტუალური თემაა და მის წამოწევას, წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად, ძლიერი პოლიტიკური მუხტი ექნებოდა. რუსეთი ძალიან წინააღმდეგობრივ პოლიტიკას ატარებდა. თავდაპირველად ის მხარს უჭერდა ავსტრიის დამარცხებას და სურდა იმპერატორ ფრანც-იოსების დამცირება. ამავე დროს ცარიზმს სერიოზულად აფიქრებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის აზვირთება იტალიაში. ალექსანდრე ორბელიანს შეეძლო გამოეკვეთა რუსეთის ორმაგი პოლიტიკისა და ემხილებინა მისი კურსის არათანმიმდევრულობა, მაგრამ ის რატომღაც ასე არ მოიქცა და ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე მიწუსდა მიგვაჩნია.

ისტორიკოსები პირობით ორ პერიოდად ყოფენ იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობას, თავდაპირველად, 50-იან წლებში, მას სათავეში ჩაუდგნენ ლიბერალური წრეები. მათი თავკაცი იყო სარდინიის მეფე ვიტორიო ემანუელი და მისი მინისტრი კამილო ბენსო კავური; და მეორე ხანა, 60-იანი წლები, როდესაც იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მკვეთრად გამოკვეთილი დემოკრატიული ხასიათი მიიღო და მას სათავეში ჯუზეპე გარიბალდი ჩაუდგა.

ვფიქრობთ, ალექსანდრე ორბელიანს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის ისტორიული მნიშვნელობა, როდესაც იტალიის გათავისუფლება მიმდინარეობდა ზემოდან ლიბერალური წრეების ძალისხმევით, სარდინიის სამეფოს მეთაურობით. „მაგალითი თქვენი. თქვენი კაროლი ევმანიულ! უბედურის შეილის ალბერტისა, რომელმაცა შემოგწირათ თავი. ბოლოს გადავარდნილი ისპანიაში, იქ იმ უცხო ქვეყანაში მოკვდა მწუხარებით, თქვენის უბედურებისათვის იტალიანელებო და წმინდა მონამეთათა ალირიცხა ისიც. ნურაფერზე ნუ მოიწყენთ იტალიანელებო, იმ მონამის ალბერტის ჩრდილი მიგიძღვისთ ნინ თქვენს მხედრობას და მისი წამებული მონამეობა მოგცემთ უთუოდ გამარჯვებას, ხოლო თქვენი ძლიერის თავგამოდებით“.

ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ალექსანდრე ორბელიანი თითქოს აკნინებდა საკუთარი სამშობლოს გათავისუფლების საქმეში თავად იტალიელთა წვლილს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ალექსანდრე ორბელიანის ეს მსჯელობა ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. ალექსანდრე ორბელიანის სიტყვები სარდინიის სამეფო და მისი მეფეების კარლ ალბერტის (1831-1849) და ვიტორიო-ემანუელის (1849-1878) აპოთეოზად ჟღერს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ალექსანდრე ორბელიანი ხაზს უსვამს სარდინიის სამეფოს როლს იტალიის გათავისუფლების საქმეში. ეს არის სწორი მიდგომა. ამდაგვარი პოზიცია საინტერესოა და უდავოდ შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, უმთავრესად ევროპულ რეალიებზე ორიენტრებული, საინტერესოა ალინიზმის, რომ იტალიური ისტორიოგრაფია, ბენედეტო კროჩეს თავკაცობით, განადიდებს და ხოტბას ასხამს იტალიის ზემოდან გაერთიანებას და მის ინიაციატორებს — სარდინიის სამეფოსა და მინისტრ კავურს. შესაძლოა ალექსანდრე ორბელიანის წერილში იგრძნობა იტალიის გათავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფოსა და მისი მეფეების — კარლ-ალბერტის და ვიტორიო-ემანუელის — როლის რომანტიკული გაიდვალება, რაც, სხვათა შორის, არც ევროპული ისტორიოგრაფიისთვის არის მთლად უცხო. იტალიის გათავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფო როლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მათი დამსახურების გაფიქრება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ამდაგვარ მიდგომაში ალოგიკური არაფერია და მასში კონსტიტუციური მონარქიისადმი ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობილების ანარეკლი მოჩანს, გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ალექსანდრე ორბელიანის ერთიანი იტალიის მოწყობის საუკეთესო ვარიანტად შესაძლოა კონსტიტუციური მონარქია ესახებოდა.

იტალიის გათავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრის კავურის წვლილისადმი გვერდის ავლა ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო და შინაარსიანი წერილის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებებიდან გამომდინარე, გამორიცხული არაა, რომ იგი კავურის ღვანლს ამ საქმეში დადებულად შეაფასებდა. ამიტომ გასაკვირი უნდა იყოს, წერილში რატომ არსად არ ძრავს კრინტს კავურის როლზე, რომელსაც იტალიური ისტორიოგრაფია, ბენედეტო კროჩეს მეთაურობით, უსაზღვროდ განადიდებს და ხოტბას ასხამს; რითი იყო გამონეწეული ალექსანდრე ორბელიანის ეს ნაბიჯი, ძნელი სათქმელია. კავურის წვლილის მოკლედ აღნიშვნა შინაარსობრივად კიდევ უფრო გამდიდრებდა ალექსანდრე ორბელიანის წერილს და ქართულ საზოგადოებას აღნიშნული საკითხის გაცილებით ადეკვატურ სურათს დაუხატავდა.

წერილში ყურადღებას იპყრობს იტალიის გათავისუფლების საქმეში ჯუზეპე მაძინის ღვანლისადმი თავისებური მიდგომა, რაც იმით გამოიხატება, რომ ის მაძინის სახელს არსად არ იხსენებს. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოსდა იგი არ იცნობდა მაძინის მოღვაწეობას. მაშინ რაშია საქმე? ალექსანდრე ორბელიანის დუმილი ფრიად სიმპტომატური ჩანს და ფაქტობრივად მის პოზიციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულება ჯ. მაძინის მოღვაწეობისადმი

მკვეთრად ნეგატიურია. ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები პირველ ყოვლისა ალექსანდრე ორბელიანის მსოფლხედველობაში უნდა ვეძიოთ. მისთვის მიუღებელია მადინის ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, მონოდებები ტერორისა და ძალდატანებითი საქმიანობისაკენ. ეს გასაგებობაა. ამგვარი ქმედება აშკარად ცილდებოდა ალექსანდრე ორბელიანის პოლიტიკურ იდეალებს. მის პოზიციას გააჩნია მოქალაქეობის უფლება და კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას.

საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულება ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობისადმი, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი და პირველ რიგში კი მისი აღიარებული ლიდერი ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. ალექსანდრე ორბელიანის წერილში ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობა ფაქტობრივად არც კი მოიხსენიება, რაც ნაწილობრივ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გარიბალდის საქმიანობა განსაკუთრებულად ინტენსიურ ხასიათს იღებს 60-იან წლებიდან. ე. ი. მას შემდეგ, რაც 1859 წლის მაისში დაინერა ალექსანდრე ორბელიანის ეს მცირე წერილი. 50-იან წლებში ის შედარებით ჩრდილში იდგა, ხშირად არ იმყოფებოდა იტალიაში. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გარიბალდის საქმიანობა ვერ მოექცა ალექსანდრე ორბელიანის თვალთახედვის არეალში.

ფრიად საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის მიმართვა იტალიელი ხალხისადმი. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური დატვირთვა აქვს და იტალიელი ხალხის საერთოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი ღრმა სიმპათიითაა გაჯერებული. „იტალიანებო! მტრის გულისად არ გახდეთ ბრძოლაში. თქვენი ზურგი მტერმა არ უნდა ნახოს, რომ თქვენმა ფეხმა უკან არ დაინიოს ერთი მცირედი ვერშოკი. იცოდეთ ან ადგილობრივ დაიმარხნეთ ერთიანად, ან არადა თქვენი მამული გაათავისუფლოთ ავსტრიელებისაგან, რომელმაც აღგზარდათ ძენი იტალიამ და ვეება ვაჟკაცები მიქცათ მამულს. თქვენგან აქვს დიდი იმედი იტალიას და თქვენის შეურყველის ვაჟკაცობით მოელის იტალია, უთუოდ, თქვენგნით გაათავისუფლდეს“.

ალექსანდრე ორბელიანის წერილის დასასრული მეტად მრავლისმეტყველია და მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი ავტორის მიზნები, მთავარი საზრუნავი. საქართველოს დახსნა რუსეთის ბატონობისაგან. „იმ დაუსაბამოს, იმ დაუსრულებელს მამას! გევედრები გულგახურებული, რომ რის მდგომარებაში ანუ რის შემწეობითაც კი ეხლა იტალიელები მიეხნივნით, ჩემი შვილებიც იმ მდგომარეობაში, იმ შემწეობით მენახოს მიხწვენილი ჩქარა“. ეს მსჯელობა მეტად საინტერესოა და შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის მონოდების — „ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!“ — უვერტიურად გაიჟღერა.

\* \* \*

ამრიგად, იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში ფართო რეზონანსი ჰქონდა, XIX საუკუნის შუა ხანების მონინავე ქართული საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალს აპენინების ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებს, ალექსანდრე ორ-

ბელიანის პატარა, მაგრამ საკმაოდ შინაარსიანი წერილი ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ალექსანდრე ორბელიანის ეს წერილი საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დავაზუსტოთ ქართულ სინამდვილეში იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების ათვლის წერტილი. დიდ ხნის მანძილზე ასეთად მიჩნეული იყო ილიას ლექსი „მესმის მესმის“ (1860), ახლა გამოჩნდა ალექსანდრე ორბელიანის წერილი „სიტყვა იტალიისათვის“ (1859) და ამ თარიღმა ერთი წლით გადაწია.

ალექსანდრე ორბელიანის წერილი „სიტყვა იტალიისათვის“ საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. საქართველოში იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების, პოპულარიზაციის მოთავეებად ალექსანდრე ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე გვევლინებიან.

იტალიის ისტორიაზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, არამედ დღესაც არ ვართ განებივრებული. ალექსანდრე ორბელიანის მისწრაფება, შეეცხო ეს ხარვეზი, ცხადია, მისასაღმებელია, და ძალიან კარგია. ალექსანდრე ორბელიანის წერილის „სიტყვა იტალიისათვის“ ფასეულობის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი შემეცნებითი დანიშნულება, უნდა ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას ალექსანდრე ორბელიანმა ურიგოდ როდი გაართვა თავი. მან ქართველ მკითხველს მიაწოდა საინტერესო ინფორმაცია იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაზე, რომელიც აღნიშნულ საკითხზე ქართულ საზოგადოებას ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. ეს იმდროინდელი ქართული სინამდვილის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულების იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი მკვეთრი პროგრესული ელფერი დაკრავს, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ძირითადად ევროპულ რეალებზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეფასებისას ალექსანდრე ორბელიანი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება მისი კეთილგანწყობილება იტალიის ზემოდან გაერთიანებისადმი, სარდინიის სამეფოსადმი, მეფეების კარლ-ალბერტის და ვიტორიო-ემანუელისადმი. გაკვირვებას იწვევს კავურის წვლილისადმი გულგრილი დამოკიდებულება. აქვე უნდა დავიძინოთ, რომ საფრანგეთის პოლიტიკის და ნაპოლეონ III თავისებური აღქმა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას ქართული რეალობა ედო სარჩულად. იგი ოცნებობდა, რომ საქართველოსაც გამოჩნოდა ასეთი ძლიერი ქომაგი და მფარველი. თუ მას საფრანგეთის და ნაპოლეონი III-ის მიმართ რაიმე ილუზია გააჩნდა, ამის გასაღები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობაში მცირე კორექტივების შეტანა გამორიცხულად არ მიგვაჩნია, მაგრამ ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს მის შეხედულებათა მნიშვნელობას და მას ღირსებები უფრო მეტი მოეპოვება, ვიდრე ნაკლი.

ალექსანდრე ორბელიანის წერილის „სიტყვა იტალიისათვის“ ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა, სწორედ ამასი მდგომარეობს.

ეკა ბუჯიაშვილი

# ქართულ ფიჭასავით...

□

**გია კობახიძის  
პოეზიის საღამო**

ეს იყო ერთ-ერთი წარმატებული დებიუტი თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რომლის კარიც ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული ლექსებით შეაღო და არაერთი საინტერესო გამოსმაურებაც მოჰყვა ლიტერატორთა მხრიდან.

პროფესიით ექიმი, თუმცა მრავალმხრივი ნიჭით გამოირჩევა და როცა გაიცნობ, აღარც მისი პოეტური ძიებები გიკვირს, რადგან გია კობახიძე ის ადამიანია, რომელმაც იცის, რომ სალბუნი სულსაც ისევე სჭირდება, როგორც ხორცს... და ამ მაკურნებელი ძალების ძიებაში სხვადასხვა მუზასთან იყრის ნიღს.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში კი იგი მისი პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს შეხვდა და შვილებთან ერთად გიტარის თანხლებით შესრულებული სიმღერებისა და ანსამბლ „შვიდკაცას“ ხმების ფონზე, უკვე ნაცნობ ლექსებთან ერთად, ახალი ნიმუშებიც წაიკითხა.

– ამ ლექსებს არ სჭირდება არანაირი შეღავათი, – თქვა შეკრებაზე **როსტომ ჩხეიძემ**, – ამიტომაც მოვალენი ვართ ყველანაირად შევუწყოთ ხელი გია კობახიძის შესანიშნავი პოეტური ნიმუშების დამკვიდრებას ჩვენს სინამდვილეში. ვინც თვალს ადევნებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში მიმდინარე პროცესებს, შესაძლოა დიდად სახარბიელო შთაბეჭდილება არ რჩება, მაგრამ პირადად მე მაინც არ ვიზიარებ აზრს, თითქოს პოეზია დღეს კრიზისშია. ვფიქრობ, საკმაოდ ნაირფერიც არის, მაგრამ ეს ნაირფეროვნება მაინც ერთ წრედში იკვრება – განსჯა, ფიქრი, ანალიზი... რაც, ცხადია, აუცილებელია პოეზიისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ამ ყველაფერმა გადაწონოს გრძნობა და განცდა. ეს ნაკადი აუცილებლად გამოკვეთილი უნდა იყოს და გია კობახიძის ლექსები ამ მხრივაც არის საყურადღებო – როგორც აღნიშნული ტენდენციის შემაჯერებელი და განმამტკიცებელი ჩვენს სინამდვილეში (რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რომ თავისთავადი მოვლენაც არის).

გვიან დავინწყე გამოქვეყნებაო, – ამბობს ბატონი გია და ეს დებიუტი (რომლის წარმატებაშიც თავისი წვლილი მიუძღვის პოეზიის განყოფილების გამგეს მაკა ჯოხაძეს, ვინც გემოვნებით შეარჩია და დააღაგა ეს ლირიკული რკა-

ლი) გვარწმუნებს, რომ ადამიანმა ყოველთვის შეიძლება მიავნოს თავის მოწოდებას. ის მრავალმხრივი პიროვნებაა – წარმატებული ექიმი, მომღერალი... და უცებ ასეთი ასპექტითაც გაიბრწყინა მისმა ნიჭმა – არა როგორც დამატებამ, არამედ მისივე სხვა უნართა თანაბარი ძალით გამოკვეთილმა პოეტურმა ნაკადმა, რომლის ცალკეული სტრიქონები ლიტერატურული ფორმულებივით გამახსოვრდება.

დაიბეჭდა თუ არა, მაღევე მოჰყვა შესანიშნავი ლიტერატორების გამოსმაურებები: **თამარ ღონღაძის** და **ნინო ვახანიას** სტატიები, რომელშიც ეს ლექსები ძალზე საეჭვო სხმოდ არის შეფასებული და ისეთი დეტალებია წამოწეული, მთავარი ღირსება რომ მგონია გია კობახიძის შემოქმედებისა.

თითქოს ყოფითია მისი პოეზია, მაგრამ ამ ყოფითობაში განზოგადება – არა აბსტრაქტული, განყენებული, არამედ ისეთი, გულს რომ ხვდება და ამითაც დასაფასებელია ეს ლექსები. მგონია, რომ ამ დებიუტს საინტერესო გაგრძელება მოჰყვება წარმატებული პუბლიკაციების სახით.

\* \* \*

**„მიდის ქუჩაში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს: ეს კაცია ლექსის მწერალი, მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული ეს ჩემი ტვინი, დასაწავი ტვინი ვერანი“**, – პაოლო იაშვილის ამ სტრიქონებს რომ გაიხსენებს შეკრებაზე ქალბატონი **მაია ჯალიაშვილი**, იმასაც იტყვის, რომ სწორედ პოეზიის ცეცხლში გახვეულ სხეულთან ასო-

ცირდება მისთვის გია კობახიძე, ადამიანი, რომელსაც თავისი ოცნება – რაღაც მიუწვდომელზე – გამოარჩევს სხვებისგან.

– ახლახან ნავიკითხე ძალზე კარგი წიგნი იოსიფ ბროდსკისა, გია ჯოხაძის მიერ თარგმნილი, – აღნიშნავს იგი, – იქ ერთ-ერთ წერილში ბროდსკი წერს, რომ პოეზიას აქვს ძალზე დიდი მნიშვნელობა და ამასთანავე ის ფუნქციაც, რომ ინახავს ენას, რომელიც პოეზიით ცოცხლობს.

ბატონი გიას სადა და დახვეწილი ლექსები იმ მისიასაც ასრულებს, ენის შენახვა რომ ჰქვია.

ის წერს მარადიულ თემებზე: სიკვდილი, სიცოცხლე, სიყვარული, ლალატი... მაგრამ ეს ყველაფერი მოაქვს მსუბუქად, იუმორის თანხლებით. მართალია იგი ამბობს: სევდიანი არ ვარო, მაგრამ... ამ ლექსებს ეს გრძნობა მაინც ახლავს, ისე, როგორც გოდერძი ჩოხელი ამბობს: სიცოცხლე არის სევდა ადამიანად ყოფნისა... და სიკვდილიც სევდა, ადამიანად არყოფნის სევდაო.

ბევრი სტრიქონი ფრთიანი ფრაზასავით გამახსოვრდება გია კობახიძის ლექსებიდან. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... აი, თუნდაც ეს სტროფი, შამვის გალობას რომ აღწერს:

**ათასი ბგერა მიჰქონდა ცაში  
და ათასნაირს გალობდა შამვი.  
თუ დამიჯერებ, მე ახლაც მჯერა,  
რომ ანგელოზი იყო აქ მაშინ.**

...და მინდა გითხრა, რომ ჩვენ ამის გვეჯერა, ბატონო გია“.



ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელ სიფაქიზეს, ლირიკულ სინატიფეს და სინათლისაკენ მთელი არსებით სწრაფვას გამოარჩევს გია კობახიძის პოეზიაში სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი **თამთა ყალიჩავა**:

„– მისი შემოქმედება სიცოცხლისა და სიყვარულის საგალობელია. იგი ცდილობს ადამიანებს აპოვნინოს სიცოცხლის, წონასწორობისა და სიყვარულის შენარჩუნების უნარი. თვითონაც მპოვნელია, ღვთის მადლს და სულის სინათლეს იმკის გზადაგზა. პოეტს სჯერა სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალის, ამიტომაც სწორედ სიყვარული უქცევია პოეზიის სათავედ და სტიმულად.

მისი ლექსები ყველა თაობის მკითხველისათვის სულის საგზალია. ვისაც გულით უყვარს საქართველო, უყვარს მოყვასი, ამ პოეზიას ადვილად გაიხდის მეგობრად და ჩვენს დროებით თავშესაფარში არსებობას გაილამაზებს...

დიდი და ქრისტესმთავარი სიყვარულის გამოვლინებაა ბატონი გიას სიმღერაც, რადგან „მარტოდენ მდიდარ სულიერ სამყაროში იბადება მელოდია, რომელიც შემდეგ ლექსის სახით განსახიერდება“ (აკაკი განერულია).

„და ღვთაებრივ ხმებს გამოსცემს ყელი...“

სასიამოვნოა და დასაფასებელი ადამიანური თვისებების გადარჩენისთვის გია კობახიძის მიერ სიტყვითა თუ საქმით განეული ღვანლი...“

**მაკა ჯობაძე:**

„ამ დარბაზს ბევრი ლამაზი საღამო ახსოვს და ეს შეხვედრაც ერთ-ერთი გამორჩეულია.

როსტომმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეირჩა ეს ლექსები. უნდა გითხრათ, რომ ერთხმად. ამას აქვს თავისი მნიშვნელობა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, დროის იმ კონტექსტს, რომელშიც ვცხოვრობთ და გვინებს მუშაობა. პირადად მე მომხიბლა ლექსების სისადავემ, გამჭვირვალეობამ, ერთი შეხედვით ტრადიციულმა, მაგრამ მაინც ახალმა ხმამ იმ ფონზე, რომელიც დღეს გვაქვს პოეზიაში.

რაგინდ უცნაურადაც უნდა ჩანდეს რედაქციაში გაცილებით დიდი ნაკადი შემოდის ლექსებისა, ვიდრე მოთხრობებისა, განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობენ. ვინც თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, ლიტერატურულ ჟურნალებს თვალს ადევნებს დამეთანხმება, რომ მათი სახით ერთგვარად გაბრაზებული, ხშირ შემთხვევაში აგრესიული თაობა მოდის და ეს იგრძნობა არა პირად ურთიერთობებში, არამედ სწორედ მათ შემოქმედებაში. ჩნდება განცდა, რომ ერთგვარი შურისმაძიებლობა ქვეცნობიერად ყველაფერზე ვრცელდება, მათ შორის რა თქმა უნდა პოეზიაზეც. კონვენციურ, ტრადიციულ ლექსს გააფთრებით ესხმიან თავს. ამ მხრივ განსაკუთრებით ინტერნეტისივრცე გამოირჩევა. ეს თავდასხმები მათივე თაობის არაერთმა ნიჭიერმა პოეტმა იწვნია. ზოგი მათგანი დაფრთხა კიდევ. შეწყვიტა პოეზიაში მუშაობა. ზოგმა ხარკის გაღება გადანიშნა ე.წ. „ახალი“ ცნობიერებისა და ფორმებისადმი.

არადა უცნაურია — აუკრძალო ადამიანს რითმიანი ლექსის წერა, ეს ხომ იგივეა, აუკრძალო კაცს საყვარელი მოტივის ლილინი, ხეს — ყვავილობა, ნაყოფს — მოსხმა...

ამაში, რა თქმა უნდა, გარემოა დამნაშავე, ის წლები და ცხოვრების ის წესი, რომელიც პოლიტიკურმა სივრცემ, პოლიტიკურმა, რბილად რომ ვთქვათ, თამაშებმა მოგვახვია თავს. უკვე ათეული წლებია ყველანაირად ვიხარშებით ამ წვენში.

ამ წუთებში, როცა ბატონი გიასა და მისი ვაჟიშვილები სიმღერას ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ საქართველო, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ერთი ულამაზესი სურათია, ჩარჩოში ჩასმული ფიჭა თავისი თავლით. როგორც კი მუშა ფუტკარებს აღარ დაახვედრებ ხეებს, მინდვრებს, ყვავილებს, რომელთა გულუბსაც ეკონებიან, და მათგან სუბსტანციას იღებენ, ამზადებენ თავლს და ათავსებენ არქიტექტურულ საოცრებაში (ლანდშაფტით ეროვნული, მშობლიური და ნატურალური რომაა), ფიჭა გამოშრობას იწყებს და იფიტება.

ეს საღამო ჩემთვის თავლითაა სავსე. ამ ბრძენი, დარბაისელი, მშვიდი და თავლითი ქარვისფერი ხმებით, „შვიდკაცა“ რომ გამოსცემს და მალამოდ ეფინება გულს. ნასახი არ არის დღევანდელ საღამოზე იმ ე.წ. ეგზოტიკურობისა, ბუტაფორულობისა, რითაც ხშირად უცხოელი ხედავს და აღიქვამს შენს სამყაროსა და შენს ფასადს.

დღეს აქ ყველაფერი ძალიან ბუნებრივი, გახსნილი და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანი, რადგან ასეთი ღრმა და ემოციურია თაობათა ურთიერთობა, შვილებისა და მამის ურთიერთობა. ჩვენ ვუსმენთ და ვუყურებთ ნამდვილ თბილისურ, ქართულ, უფრო მეტიც, გადარჩენილ ოჯახს, რომელშიც იციან ნამდვილი ღირებულების ფასი, რომელშიც შვილები პატივს მიაგებენ მამებს და მამები, თავის მხრივ, შვილებს. და როცა ასეთ მღვრიე დროში „ქლიავისფრად“ დაბურულ (ამ ფერის ყველაზე სევდიანი და დეკადენტური გაგებით) სამყაროში შესძლებს ოჯახი ასეთი შვილების გაზრდას, რა თქმა უნდა ეს გამირობის ტოლფასია.

ბატონო გია! თქვენს ბიოგრაფიაში, თქვენს შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანმა ღირებულებებმა, ადამიანის, ქალაქის, სამშობლოს, ლექსის სიყვარულმა თავიანთი ნათესაყუდელი ჰპოვეს და გადარჩნენ. რა თქმა უნდა, თქვენც ამიტომ გადარჩილ და შეინარჩუნეთ ფორმა როგორც პროფესიონალმა და როგორც ნამდვილმა კაცმა.

ღმერთმა ქნას, იმრავლოს სიყვარულითა და სიბრძნით სავსე ოჯახებმა. მაშინ ამ ულამაზეს სურათს სამყაროს რუკაზე, საქართველო რომ ჰქვია სახელად, ქართულ ფიჭასავით ტკბილსა და გონიერს გადაშენება არ უნერია.“

**მარინე ტურავა:**

„პირველი, რაც ქალბატონ ნინო ვახანიას ვუთხარი, ეს საჩვენო პოეზიაა, ძალიან ახლობელი ლექსებია-მეთქი. გია კობახიძე არ ცდილობს მკითხველის გულში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ათავსვარი ხრიკებითა და პიარ-აქციებით, მრუმე და ნაცრისფერი განწყობითა და ბნელი ქვეცნობიერით. მისი სიხარულიც და სევდაც არის ნამდვილი, ნაღდი, მისი ცრემლი გულწრფელია.

ვილაცისთვის იქნებ მოულოდნელიცაა ამ ასაკში პოეტური დებიუტი, რადგან არსებობს სტერეოტიპი, რომ ყველაფერი საუკეთესო პოეზიაში ადრეულ ასაკში იწერება. ცნობილ პოეტთა უმრავლესობა ადრეულ შემოქმედებაში აღწევს მწვერვალს, შემდეგ კი საკუთარი ლექსების ზეგავლენისაგან განთავისუფლებას ცდილობს. ამის მაგალითად თუნდაც არტურ რემბო გამოდგებოდა, ცხრამეტი წლისამ გადატრიალება რომ მოახდინა არა მხოლოდ ფრანგულ სიმბოლიზმში, არამედ მთელ ევროპულ და მსოფლიო პოეზიაში. თუმცა სტერეოტიპები იმისთვისაც არსებობს, რომ დაიმსხვრეს. ამ ასაკში დებიუტს თავისი პლუსები აქვს: დამცხრალია ვნება, ასპარეზზე ნამდვილი გრძნობები და ემოციები გამოდის, გემოვნება დახვეწილია, სტრიქონი კი რაფინირებული.

## რეპორტაჟი

გია კობახიძემ გაგვახსენა ლექსი-მეტაფორა, რომელიც ყველას ძალიან მოგვცნატრა. მისი პოეტური სახეები ისეთი ხატოვანი და დასამახსოვრებელია, რომ ადვილად აგეკვიტება და თან დაგყვება. პოეტისათვის დამდნარი თოვლი არ არის გუშინდელი უბრალო წყალი, ყანებს თმები უშრებათ, წვიმა არ მოდის, რადგან კახელივით ჯიუტია, პოეტს არ უნდა ბევრი ფული, რადგან მისი სიმდიდრე გალუმპული ტყეებია.

ხშირად ნაცნობი განწყობები და მელოდიებიც გაიჟღერებს, მაგრამ ნამდვილი პოეზია ხომ ძველის, ტრადიციულის განახლებაა, რასაც გია კობახიძე წარმატებულად ახერხებს.

ეს ლექსები ადვილად, სასიამოვნოდ იკითხება და გიჩენს ხელმეორედ მიზრუნების, გადაკითხვის სურვილს, ამიტომაც არის საჩვენო და ახლობელი“.

ქალბატონმა **ლუბა ელიაშვილმაც**, სხვების მსგავსად, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე აღმოაჩინა გია კობახიძე, როგორც მეტად საინტერესო პოეტი.

„მე ლექსის პროფესიონალი შემფასებელი არ ვარ და არ შემძლია ახლა მის ზომზე და რიტმზე ვილაპარაკო, მაგრამ ერთი რამ კი ვიცი: როცა წავიკითხავ ლექსს და სტრიქონები მამახსოვრდება, ე.ი. ჩემთვის საინტერესო ავტორი აღმოვაჩინე.

ჩემს ლექსებს ლიტერატურულ საიტზე ვდებ ხოლმე. მკითხველს კარგა ხანს პატარა ბიჭი ეგონა მათი ავტორი და დავრწმუნდი, რომ პოეზიას არ აქვს სქესი და ასაკი, მუზა მოვა მაშინ, როცა შეუყვარდები... და კიდევ: ძალიანაც მომწონს ვერლიბრი, მაგრამ კონვენციური ლექსი მაინც ყველაზე მეტად ქართული მგონია. როცა შინაგან რიტმს გრძნობ, რომლითაც ქართული ლექსი სულს სწვდება, ფიქრობ: რა ბედნიერებაა, რომ საქართველოში კიდევ ინერება პოეზია, რომელსაც შეუძლია თუნდაც ის ერთი დღე გაგილამაზოს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის ბატონ გიას, – თქვა ქალბატონმა ლუბამ.

ხოლო დღე, ერთი კი არა, ბევრი გაულამაზებია იმ ადამიანებისთვის, ვინც მას ახლოს იცნობს. ამიტომაც იტყვის ექიმი, ასევე მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება **ლადო კახაძე**:

„ერთხელ დავწერე: ნეტა ანბანის ასოები როგორ ძლებენ ერთმანეთის გვერდით, ისინიც ხომ ქართველები არიან-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ხმოვნების მეოხებით ახერხებენ ამას. გოროზად და ზურგშეკცევით მდგომ თანხმოვნებს შორის ჩადგებიან და ქმნიან მარცვალს, მეორე მარცვალს რომ უკავშირდება და იქცევა სიტყვად, რომელიც სხვა სიტყვას გამოძებნის... და ასე შემდეგ.

საზოგადოებაც ასეთია. მას ხმოვანი ბგერებით ადამიანები აერთიანებენ. ასეთმა კაცმა ამპარტავანთა სამწყსოში უნდა გაიაროს, თავისი სათქმელი თქვას, იმღეროს, ამოლექსოს... და შეკრას, გააერთიანოს სამყარო...

გია კობახიძეც ასეთი „ხმოვანია“ ჩვენ შორის. ამიტომ ვუძღვენი მას ერთი ასეთი ჩანაწერი სათაურით: „შენდობის გარეშე დარჩენილი შინაური მღვდელი“.

ზაფხულის მეზღვაურებს არ ვემეტები შემოდგომის ნაპირზე გადასასმელად. ჩემო გია, არაფერი დაგინერია ახალი? რანაირი კაცი ხარ, როგორ ამოილექსებ-ხოლმე, ფილოსოფიის სოუსში ამოურევ სიტყვას, ფიქრის გარნირით შეამკობ და ისე მიიტან დეგუსტატორთა სუფრაზე... შენი ლექსი პირველივე ამოსუნთქვით იპყრობს მკითხველს. ჰოდა, მოდი ამოვლექსოთ, ვიმღეროთ, ვიქეიფოთ, შვილების და შვილიშვილების თანხლებით, ალიონის შეგებებით, სანამ გვექეიფება, სანამ ზაფხულის მეზღვაურებს ჩვენი შემოდგომის ნაპირზე გადასვლა გადაუფიქრებიათ...

უფლის სადიდებლით დავინყოთ...“

## კრიტიკა

ქეთევან ტომარაძე

# ომრი — მთელი ცხოვრება

„ომრი – სიცოცხლე, ერთი კაცის ცხოვრება. ადამიანის სიცოცხლის მთელი ხანგრძლივობა.“ ამგვარი განმარტებით იწყება ფრიდონ ხალვაშის მემუარული ჟანრის წიგნი, რომლისთვისაც ავტორს „ომრი“ უწოდებია. „ომრი“ თურქულიდან შემოსული, ქართული ენის აჭარულ დიალექტში დამკვიდრებული სიტყვაა. ფრიდონ ხალვაშის წიგნში მან ფილოსოფიური ელფერი შეიძინა და მწერლის ცხოვრების ტკბილმწარე ამბებით აღსავსე ვრცელი თავგადასავალი მოიცვა.

მწერალი უშუალოდ, გულწრფელად მოგვითხრობს შემოქმედი კაცის მიერ განვლილ დღეებზე და კონკრეტული მაგალითებითა და ეპიზოდებით გვიხატავს სამყაროს მატერიალური და სულიერი არსის განზოგადებულ სურათს. მისი მწერლური სტილისტიკისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებებით წიგნის ავტორი ამდიდრებს და ორიგინა-

ლური სახეებით ავსებს ნაღობით მიღებულ შთაბეჭდილებებს და საკუთარ შეხედულებებს გარემოსა და ადამიანებზე იმგვარი ნიუანსებით წარმოაჩენს, რომ მკითხველს მრავალ ფაქტსა თუ მოვლენაზე უცილობლად დააფიქრებს. შემოქმედი ადამიანის განცდათა მრავალფეროვანი სპექტრი, რომელიც სათუთად არის „ომრში“ მონოდებული, ხშირად პოსტიმპრესიონისტული აქცენტებით ივსება და, გარესამყაროს რბილი და თბილი ტონები, რომლითაც კამერულ განწყობას ქმნის ავტორი, დროდადრო იმგვარ ჟღერადობასა და სიღრმეს იძენს, რომ მკითხველი აჭარის უმშვენიერესი კუთხის მკვიდრთა სადღეისო პრობლემებს ძალდაუტანებლად ითავისებს.

ტრივიალურ, ცხოვრებისეულ პასაჟებშიც კი ფრიდონ ხალვაში ყოფიერების ჭეშმარიტ თვისებებს წამოწევს წინა პლანზე და შემთხვევითსა და წარმავალს მუდმივი განახლების თანამდევ თვისებად მოიაზრებს. მწერალი ბრძნული სიმშვიდითა და თანმიმდევრულად აღწერს ახალგაზრდობის, სიჭაბუკისა და სიჭარმაგის წლებს და ყოველივეს, დღიურის ამონარიდებით, უტყუარი ფაქტებითა და საინტერესო მოსაზრებებით მეტ დამაჯერებლობას მატებს. არაერთი მშვენიერი ლექსის ავტორი არც პროზაში ივინყებს პოეზიას და სამყურებად ახუნძლული სტრიქონებით მკითხველის აღქმას კიდევ უფრო მეტ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს.



თხრობის მიმზიდველი მანერის ფონზე თვალწინ წარმოგვიდგება ორი კონფესიის, ორი სამყაროს გადაკვეთაზე ჩამოყალიბებული გამრჯე კაცის ხასიათის თავისებურებები, პიროვნებად ფორმირების პროცესი, მწერლის მთელი შემოქმედებითი ლაბორატორია.

“ომრში” აღწერილი ამბებით, ერთი კაცის მიერ განვლილი ცხოვრების მაგალითზე, მწერლის შემოქმედების თავყვანისმცემელთა ვრცელი აუდიტორია იმ ქართველთა ყოფასაც გაითავისებს, ბედისწერამ დანარჩენ საქართველოს რომ მოწყვეტა და ეროვნული თვითიდენტიფიცირების საკითხი — როგორც არსებობის საზრისი — საფრთხის ქვეშ დააყენა.

წინიდან ირკვევა, რომ ცხოვრების გზაჯვარედინებზე ავტორი, მრავალ სიკეთესთან ერთად, არაერთ გაუგებრობასაც გადაყრია. ზოგ მაღლიანს ლარიბი, მაგრამ ცოდნის სიყვარულით ანთებული, ნიჭიერი ახალგაზრდისთვის ხელი შეუშველვია, ზოგიერთს კი, შეგნებულად თუ უნებლიეთ, სიცოცხლის ძვირფასი წუთები დაუმძიმებია. თუმცა “ომრიდან” კარგად ჩანს, რაოდენ წარბეჭდვითად იღებს მწერალი ყოველივეს — არც არავის კიცხავს, არც არავის განიკითხავს. ამგვარი მიდგომა უცხოა ფრიდონ ხალვაშის მწერლური და პიროვნული პრინციპებისთვის. მისი წიგნებიდან აღამიანისა და სიცოცხლის სიყვარულის დადებითი ფლუიდები მოჩქევს და ურთიერთ მიმტეველობისა და შემწყნარებლობის კეთილშობილ გრძნობებს აღვივებს, რაც, თავის მხრივ, წიგნის ავტორის თვითშენახვისა და თვითგადარჩენის ძლიერ ინსტინქტზე მიაწინებს.

როგორ აყურადებდნენ დედასამშობლოს ძახილს მუსლიმი ქართველები რამდენიმე ათეული წლის წინათ და მშობლიურ გარემოს ხელოვნურად მოწყვეტილი შვილებისთვის რაოდენ მძიმე აღმოჩნდა სხვა კულტურულ-რელიგიური გარემო; როგორ ზიდა აჭარელმა კაცმა გაუცხოების საშიში ტვირთი. ხალვაშის წიგნში ამგვარ კითხვებზე პასუხს, მათ მხატვრულ ინტერპრეტაციასაც ვხვდებით, რაც განსაკუთრებით ზრდის წიგნის მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურულ სივრცეში.

“ომრი” მშვენიერი მხატვრული ტექსტია, პირიქითა ქართველებზე მრავალ საინტერესო ინფორმაციას რომ გვანდის. ამ თვალსაზრისით, წიგნი აუცილებელი საკითხავია ყველასთვის, გამორჩევი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც წიგნში აღწერულ მრავალ ფაქტით ახლოს გაეცნობიან იმ პრობლემებს, აჭარასა და ძირძველ ქართულ მიწებზე მცხოვრებთ რომ აწუხებდათ ოდითგანვე და არანაკლებ აქტუალურია დღესაც. ნათლად დაინახვენ, რომ აჭარა არა მარტო საკურორტო და ტურისტული რეგიონია. ფრიდონ ხალვაშის შეგვახსენებს, რომ ჩვენი ქვეყნის ეს კუთხე, უპირველეს ყოვლისა, ქართული სულის ნაწილია, რომლის უწინდელი თუ შემდგომი ბედი მთელი ქვეყნის ბედთან არის გადაჯაჭვული. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც არ კარგავს აქტუალობას ამ მხარის ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა, თითოეულ მის დასახლებულ პუნქტში საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრების გაძლიერება, მრეწველობისა და ხელოსნობის აღორძინება.

ფრიდონ ხალვაშის მემუარული ჟანრის წიგნი ამ თვალსაზრისითაც საინტერესო კულტურული ფენომენია, სადაც ორი ქვეყნის რელიგიურ, ენობრივ გამოცდილებას ნაზიარევი მწერლის მრავალი საგულისხმო ინფორმაცია და მოსაზრებაა ასახული. ამიტომ შეუძლებელია “ომრის” მი-

მართ გულგრილი დარჩეს არა მარტო ის მკითხველი, ვისთვისაც “სამშობლო ხატი,” “სახატე კი მთელი ქვეყანაა”, საქართველოს წარსულითა და მომავალით დაინტერესებული ყველა პირი, ქართველი იქნება ის თუ უცხოელი.

“ომრში” ავტორის პიროვნული პორტრეტის დღემდე უჩინარი შტრიხებიც გამოიკვეთა. კაცისა, რომელსაც მწერლობა პროფესიად უქცევია, თუმცა მშობლიური კუთხის მიწაზე ზრუნვას ვერ შელევიდა. თავისი სოფლიდან, გეგელიძეებიდან იღებს ფრიდონ ხალვაშის უშრეტ სასიცოცხლო ენერჯიას. სულიერების წყაროს სათავეც ის ადგილია, სადაც დაიბადა და დღემდე მის მთებსა და ველებს ყმანვილკაცური აღფრთოვანებით ეტრფის. ყველაზე უკეთ ეს მხარე უმაგრებს საძირკველს ცნობიერებაში აღბეჭდილ, მამა-პაპის მიერ მოტანილ ღირებულებებს. თხიბთა და სანერ-კალმით შეიარაღებული მწერლისთვის გლეხკაცის ყოველდღიურ გარჯაში კონტურებად იკვეთება და მრავალგზის დასტურდება წინაპართა გამოცდილებისა და ნაანდერძევის ჭეშმარიტი ძალა და ხიბლი.

მწერალი არაჩვეულებრივი სიმსუბუქითა და უბრალოებით აღწერს ეპიზოდს, სადაც ყმანვილში მომხდარი სერიოზული გარდატეხაა აღწერილი. უსამართლობის განცდა, რასაც სულ რაღაც ორიოდ ფრაზით გადმოსცემს ავტორი, დიდხანს გაჰყვება მკითხველს. არც ბავშვის მიერ ღირებულებათა შკალაზე ქვეცნობიერად აღბეჭდილი პირველი ნიშნული დაავინყვება. არაბულად მოზუზუნე ცბიერი და ფარისეველი ხოჯას მიშტერებული ყმანვილისთვის, უცხო სიტყვები მძიერს რომ უნდა გაეზეპირებინა და ხალიჩაზე დამხობილს ალაპისადმი აღვლენილი ლოცვა დღეში, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც გაემეორებინა, ერთმა ეპიზოდმა რწმენასა და სარწმუნოებაზე წარმოდგენა მთლიანად შეუცვალა. მწერალი იმდენად ზუსტად ხატავს ხოჯას პორტრეტს, რომ მკითხველს შეზარავს უფლისა და კაცისაგან მიტოვებულ მთიან სოფელში თბილად მოკალათებული მუსლიმი “განმანათლებლის” სწრაფვა პირადი კეთილდღეობისაკენ და სულზე ხორცის განუყოფელი ზეობა. ამ ეპიზოდში კარგად გამოიკვეთა ტრაგედია, რაც ჩვენი ქვეყნის ულაამაზესმა რეგიონმა რამდენიმე საუკუნე საკუთარი მხრებით ზიდა. - “როცა ვხედავდი, თუ ხოჯა როგორ აავლეჯდა მოხარულ დედას ბარკალს და როგორ გამოიძრობდა პირიდან ცარიელ ძვალს, თავი ველარ შევიკავე, - ავფლიკვინდი. ხოჯამ ცალი ხელით თხილის გრძელი ნედლი ნკეპლა მოაცოცა, ცალთვალმოჭუტულმა ზედ კვინდის თავზე დამიმიზნა. წნელის წვერის კვალი ზურგზე კაიხანს მეტყობოდა, მაგრამ იმ დერსიდან გაქცეული მედრესეში უკვე ველარ მიმიყვანეს”. ასე ამოძვრა ფანატიზმის ბლანტი ჭაობიდან პატარა გონიერი ბიჭი, რომელსაც “პარტიამ და საბჭოთა მთავრობამაც” სულზე მიუსწრო და “ჯამე-მედრესეობას მოუხაზა”.

თუმცა ახალი პოლიტიკური რეალობაც ძალზე დამაფიქრებელი და არაერთი საფრთხის შემცველი აღმოჩნდა და მთიანი აჭარა კვლავ იმავე საშიშროების წინაშე დააყენა. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და ბინძურმა პოლიტიკურმა ინსინუაციებმა ეროვნულობის განცდა რამდენადმე გააფერმკრთალა და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემები ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნაში ჩაიკარგა. მავანნი და მავანნი მზად არიან, იმ ხოჯასავით, პირში ქათმის ბარკალი ასე დაუნდობლად რომ გამოისვა, ქვეყნის ინტერესებს პირადი კეთილდღეობა ანაცვალონ.

ვერ დანყნარდა, ვერ დამშვიდდა აჭარა. კვლავ უტყვენ, არ ასვენებენ. სამეგობროდ მოსულნი ვერცხლის მოყვა-


რულთა გულბალიშობით სარგებლობენ, გაუთავებლად რალაც საქმეებს აგვარ-აკვარახტინებენ. ცდილობენ, დასავლეთისკენ შებრუნებულ აჭარას, პირი კვლავ აღმოსავლეთისკენ უქციონ.

აჭარის მთებში დღესაც დასუნსულე-ბენ მუსლიმური სამყაროდან მოვლენილი ემისრები, რომლებიც ტკბილ სატყუარას უხვად გასცემენ ახალგაზრდების მისაზი-დად. უმნიფარ ყმანვილებს აგროვებენ, მედრესეებში ანანილებენ რელიგიური განათლების მისაღებად და მოლუბად უბრუნებენ თავ-თავიანთ ადგილ-საცხოვრებ-ლებს. ეკონომიკური კრიზისის ფონზე მარტოოდენ ცარიელი სიტყვები და გულში მჯღღის ცემა ვერ ახდენს სასურველ ეფექტს. ამგვარი ვი-თარებით გულნატკენი მწერალი გადამწყვეტ ნაბიჯებს ელის მათგან, ვისაც ვითარების გაჯანსაღება ხელეწიფება. თვითონ კი კვლავ ლექსს უხმობს საშველად, “ბასრ მახვილს” სტრიქონებზე კინძავს და ყველას გასაგონად მიმართავს ერის სულიერ წინამძღოლს: “უნმინდესო ილია, ნათ-ლული გეხვეწები, - კარგია, თუ გვეწვევი, ან სიტყვით შეგ-ვეწვევი.-კვლავ სულის დამბუგველი გვიკიდა ცეცხლები. სახლს მედრესედ მართავენ, აჭარას კვლავ გვართმევენ, ყიდულობენ ყმანვილებს, მიჰყავთ ჩვენი მართვენი. მონა მოლად რომ მოვა, აქ რალას იქართველებს?!”

ყოველი მოვლენა გარკვეული ფსიქო-სოციალური და ისტორიული საყრდენით არის შემავრებული, რასაც “ომ-რის” მხატვრულ ქვეტექსტში დაკვირვებული თვალი უცი-ლობლად გამოარჩევს და იმ პანია, გამჭვირვალე, შუშიანი სარკმლიდან, საიდანაც მწერლის ომრი იწყება, მთელი ქვეყნის ტკივილის ჭეშმარიტ არსს გაისიგრძეგანებს.

თურქეთის ქართველებთან შეხვედრის ამაღლევებელი დეტალებით მკითხველი ორ სხვადასხვა საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეს შორის კონტრასტს უკეთ აღიქვამს, მით უმეტეს, მწერალი თითოეულ მათგანს დააკონკრეტებს და ერის სატიკვარსაც ამ გზით შეგვახსენებს.

ამაღლევებელი პასაჟებითა და საინტერესო დაკვირ-ვებებით ფრიდონ ხალვაში პირიქითა საქართველოში დარ-ჩენილ თანამემამულეთა უკიდევანო დარდზე დაგვაფიქ-რებს. ერთი ასეთი გულდარდიანი, სამშობლოს სიყვარუ-ლით გულანთებული კაცი, უდავოდ, ახმედ მელაშვილი იყო, რომელშიც, მწერლის გამონათქვამი რომ მოვიშველი-ოთ, “მთელი მუსლიმური საქართველოს ტკივილი შერწყ-მულიყო”. დასანანი, რომ აქტიური საზოგადო მოღვაწე და დიდი მამულიშვილი, ვისი საქმიანობაც სრულიად ამოვარდ-ნილი იყო მეზობელი სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტი-კური ინტერესების კონტექსტიდან, ზვარაკად შეენირა ქართველებში ეროვნული ცნობიერების გაღვივებისა და სამშობლოში წამდვილი, სულიერი დაბრუნებისთვის ზრუნვას. ახმედ მელაშვილმა მრავალი კეთილი საქმე ითა-ვა და მრავალიც ბოლომდე მიიყვანა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დარჩა განუხორციელებელი. “ომრში” აღწერილი, მე-17 საუკუნის ხელნაწერის მიკროფიზის, — “გორგვალას” — ისტორია, მშვენიერი ნოველაა, რომლითაც მწერალი იმ მძიმე გარემოსა და სირთულეებთან გვაახლოებს, რომელ-თა გადალახვას, უთუოდ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.



შეუძლებელია აუღლევებლად ნაიკითხ-ოთ ეპიზოდი, სადაც აღწერილია მწერლის შეხვედრა უცნობ მამიდასთან. ეს არის ერთი ვრცელი რომანის თემა, რომლის შექმნაც მწე-რალმა თვითონვე უნდა იტვირთოს, მით უმე-ტეს, რომ ფაბულის მონახაზი მას უკვე მშვე-ნივრად აქვს წიგნში მონიშნული. მეორე მხრივ, უაღრესად აქტუალურია ამბავი ქარ-თველი ქალისა, მთელი შეგნებული ცხოვრება უცხოობაში რომ გაუტარებია, კიდევ დაოჯა-ხებულა, შვილებიც დაუზრდია და ოთხმოც წელს გადაცილებული, მონაგართი მდიდარი საბოლოო განსასვენებელს მშობელ მინაში ეძებს: „ეს ძალიან დეისხომე: რაცხამფრათ ნიმიყვანეთ, აქ არ დამტოოთ, მოკვდები და იქ

ბაბა-ნენეს მინაში ჩამფალით. აჰა, ამას გეხვეწები მარტვაი, სხვა ააფერს”. ასე-ბიბის ბედი, რომელიც მრავალზე მრავალ-მა ქართველმა გაიზიარა, ამბავი, რომელსაც მოხუცებული არქაული მეტყველების სტილით კიდევ უფრო ამძაფრებს და შთამბეჭდავს ხდის მწერალი, უთუოდ დააფიქრებს მკითხ-ველს ყველა იმ ქართველის ყოფაზე, დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხიზნებად რომ ქცეულან.

მაგრამ ცხოვრება საკუთარ სტრატეგიას გთავაზობს და ყოველდღიურობის ფუსფუსში გვითრევს, რათა ძლიერმა სუ-ლიერმა ტკივილებმა არ დაგვთრგუნოს, არ დაგვაბეჩაოს, ტრა-დიციული ორიენტირები, რამაც დღემდე მოგვიყვანა, არ დაგ-ვაკარგვინოს. ამ თვალსაზრისით “ომრში” კარგი მიგნებები, ასევე ზუსტი აქცენტებია დასმული და ის სასიცოცხლო ველია მონიშნული, კაცს ამ ცოდვილ მინაზე რომ აძლებინებს.

ფრიდონ ხალვაშს უამრავ სახელოვან ადამიანთან ჰქონდა და აქვს შეხვედრები და პირადი ნაცნობობა. ის აქ-ტიურად არის ჩართული ქვეყნის კულტურულ-საზოგადო-ებრივ ცხოვრებაში და მოკრძალებული წვლილი შეაქვს მის წინსვლაში, ქვეყნის დადებითი იმიჯის შექმნაში. შემთხვე-ვითი არ არის, რომ რუსეთის სამხრეთით მდებარე, განაპი-რა რესპუბლიკა, საქართველო, საბჭოთა რეჟიმის პირო-ბებში, უცხოელთა თვალთ იდეოლოგიური წნეხისგან ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ სივრცედ მოიზარებოდა. ამიტომაც იყო დიდი ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და ა.შ. “დიადი საბჭო-ეთის” მრავალი რესპუბლიკიდან, განსაკუთრებით კი რუ-სეთიდან, საშუალება ეძლეოდათ თბილისსა და საქართვე-ლოს სხვადასხვა რეგიონებში გაემართათ შემოქმედებითი საღამოები, გამოფენები და კონცერტები, გამოეცათ წიგ-ნები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში დღის სინათლეს ვერასოდეს იხილავდნენ. როდესაც ლაპარაკია ქართულ ფაქტორზე საბჭოთა სისტემის დაშლის პროცესში, გასუ-ლი საუკუნის მეორე ნახევრის კულტურული ცხოვრება უცილობლად გასათვალისწინებელი პოსტულატი. ამ ფე-რიდონის არსი და თავისებურება კარგად გამოჩნდა ფრი-დონ ხალვაშის წიგნის ფურცლებიდან. სხვადასხვა შეხვედ-რებზე, კონფერენციებზე და ყრილობებზე ლიტერატური-სა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაციებს განსაკუთრე-ბული პატივისცემით ხვდებოდნენ მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. იქ არა მარტო ჩვენი ქვეყ-ნიდან, უცხოეთიდანაც უამრავ ცნობილ პიროვნებას ინ-ვევდნენ. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების-

თვის კი, ეს იყო საკუთარი შემოქმედებითი ღვაწლის წარმოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა.

ამგვარი ეპიზოდების გაცნობისას არაერთ ცნობილ სახელს შეხვდება წიგნში მკითხველი: ლუი არაგონი, ანდრე ჟიდი, ელზა ტრიოლე, ლილი ბრიკი, ალბერტო მორავია, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა და ვის აღარ შეგახსენებთ “ომრი”. ბათუმიც ხშირად მასპინძლობდა უცხოელ მწერლებს და ვინ იქნებოდა მათი მეგზური, თუ არა ფრიდონი, რომელიც წლების მანძილზე აჭარის შემოქმედებით ცხოვრებას ღირსეულად წარმართავდა. მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ამერიკელი მწერლების სტუმრობა აჭარაში, როკფელერის ქალიშვილის, აღნიშნული ვიზიტი რომ დააფინანსა, გამორჩეული აქტიურობა. რუსი სტუმრების აღფრთოვანება ქედური პომიდვრის გემოთი და სურნელით. თბილისიდან, რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩასული მწერლების საქმიანი საუბრები და მოლხენა: “თვალშისაცემი იყო ერთი უცნაურობა”, გამოყოფს ზოგ დეტალს მწერალი, “ამერიკელები გაცილებით ცუდად ჩაცმულები ჩანდნენ, ვიდრე საბჭოთა კავშირელი მწერლები”. ასეთები იყვნენ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი შვილები. განსხვავებულნი ჩაცმულობისა და საერთოდ, ცხოვრების წესით. მაგრამ ჩაცმა-დახურვითა და სიტყვა-პასუხით მათ როდი ჩამოუვარდებოდნენ ქართველები.

ამიტომაც იყო, რომ ყველაზე მეტად სწორედ საქართველოსკენ მოისწრაფოდნენ, ჩვენი ქვეყანა იზიდავდათ და ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს სამეგობრო ხელს უწვდიდნენ მეზობლები თუ სტუმრები შორეული საზღვარგარეთიდან. ქართველები ვალში არ რჩებოდნენ, ოპერატიულად თარგმნიდნენ უცხოელი კოლეგების ნაწარმოებებს. ასე უთარგმნია და დაუსტამბავს იოსებ ნონეშვილს როკფელერის ქალიშვილის ორიოდ ლექსი, რომლის მხატვრულ ღირებულებაზე მწერალი შეგნებულად არ ჩერდება. მაგრამ ამ ამბების აღწერით “ომრის” ავტორის ფიქრები ისევ და ისევ სამშობლოს დასტრიალებს და ლოგიკურად აგრძელებს აზრებს, რომლებიც დღიურში ასე სევდიანად აუსახავს: „30.12.06. ხვალსაღამე ახალწლობაა. რა მიხარია და რა მწყინს? მწყინს, რომ ჩემი სამშობლო ასე დაფუშული და ფუხარაა. და, რომ რუსეთის ე.წ. “სამშვიდობო მისია” ისაა, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლო **მისია**. ხოლო სამშვიდობო აქცია ისაა, იმ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრებნი რუსეთის მოქალაქეებად რომ **აქცია**.”

სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ურთიერთობა, შეხვედრებისას გამოკვეთილი საერთო ინტერესები და კიდევ უფრო დაახლოებისა და სამომავლო გზების ერთად ძიების წუთები, საუბარში დაბადებული საინტერესო იდეები, რომლებსაც ფრიდონ ხალვაში განსაკუთრებული მოქალაქეობრივი სიფრთხილით ეკიდება. ზოგჯერ ელემენტარული გაუგებრობა თუ დაუდევრობა აფუჭებს ურთიერთობებს და მწერალი ეძებს გამოსავალს. გამოსავლის ძიებას კი, ისევ და ისევ, ურთიერთდასდობის, მეტი სიყვარულისა და თანადგომის აუცილებლობისკენ მივყავართ.

მშვენიერია ეპიზოდი, სადაც ავტორი სომხეთიდან ბათუმში, მშობლებთან ჩასულ ლევონ მიკირტიჩიანთან შეხვედრას აღწერს. შეხვედრისთანავე ლევონი მწერალს მონივნებითა და სიამაყით გადასცემს მდიდრულად გამოცემულ “სევდის წიგნს”, მათე საუკუნის დიდი სომეხი პოეტის, გრიგორი ნარეკაციის ლექსების კრებულს. ეს ფაქტი მწერალში

მრავალ ფიქრს წამოშლის და საინტერესო განსჯისკენ უბიძგებს: „ხშირად მიფიქრია ჩვენი ორი ძველი ხალხის ურთიერთდამოკიდებულებაზე და, გულახდილად გეტყვი, ხშირად გული მტკენია. ეს ორი ხალხია კავკასიაში და, გნებავთ მთელ მცირე აზიაში, ქრისტიანული. (დიდი ცოდვია მგონი ჩადენილი, — ქრისტიანობის მართლმადიდებლურ-კათოლიკურ-გრიგორიანულ-პროტესტანტულად დანანევრება). ქართველს სომეხი და სომეხს ქართველი ყოველთვის ძალიან ჭირდება. ყველაზე უფრო დღეს ვჭირდებით ერთმანეთს. ორივე ხალხის დიდმა ერისკაცებმა ერთად, ბრძნულად, მეზობლურად, ძმურად, თავ-თავის ისტორიებისა და გამორჩეული კულტურების ხათრით თუ პატივისცემით, უნდა გამოიხატონ ახალი ნება, ფორმა, ერთმანეთის გადასარჩენად”.

მახსენდება, სომეხი პოეტის, რაჩია ქოჩარის ქალიშვილმა, ცნობილმა თურქოლოგმა, უგანათლებულესმა პიროვნებამ მერი ქოჩარმა თბილისში სტუმრობისას მეც მაჩუქა ნარეკაციის ის გამოცემა. დიდხანს ვისაუბრეთ საერთო ინტერესებზე, ქართველ და სომეხ ხალხებს რომ აკავშირებთ. ისიც გავიხსენეთ, რაოდენ ახლოს არის ერთმანეთთან დავით აღმაშენებლის “გალობანი სინანულისა” და “სევდის წიგნი”, დიონისე არეოპაგელის ნააზრევმა როგორ გააერთიანა ერთ მარადიულ სევდად ორი დიდი ფიქრიანი კაცის მიერ დანახული სამყარო და ადამიანი. რაოდენ დიდი როლი აკისრია მწერლობასა და კულტურას ხელოვნურად შექმნილი ბარიერების დაძლევაში. რა გამაერთიანებელი როლი ეკისრებოდა მისტიციზმს შუა საუკუნეებში. როგორ მიისწრაფოდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხები ერთმანეთისკენ და როგორ ეძებდნენ საერთო იდეურ-ესთეტიკურ და კონფესიურ საწყისებს. მაშინდელი ჩვენი დასკვნა უნისონში მოდის ფრიდონ ხალვაშის სიტყვებთან იმის თაობაზე, რომ: “სომეხმა და ქართველმა, უძველესი ენებისა და დამწერლობის მქონე ორმა კავკასიელმა ხალხმა, დიდი იმპერიების სათამაშოდ ან ერთმანეთზე წასაკიდებლად არ უნდა დავანებოთ თავი”. რა დასანანია, რომ იმპერიის დაშლამ, ცალკეული რესპუბლიკების ბრძოლამ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. მათ შორის მერი ქოჩარისა და მისი მსგავსი არაერთი პიროვნების, ვისაც ჩვენ ორ ხალხს შორის სამომავლო ურთიერთობების საინტერესო ხედვა ჰქონდა ჩამოყალიბებული, რაც დიდ პერსპექტივას შლიდა.

მაგრამ ისევ ფრიდონ ხალვაშის “ომრს” მივუბრუნდეთ. ახლა შოლოხოვისა და მასთან შეხვედრებს გაიხსენებს მწერალი და საინტერესო კუთხით წარმოაჩენს დიდი ბელეტრისტიკის მოსაზრებებს იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, ვის ხელშიც აღმოჩნდა „დიადი საბჭოთა ქვეყნის“ მრავალმილიონიანი მოსახლეობის ბედი. ხრუმოვსაც გაკიცხავს და ბელადთან შეხვედრასაც აღწერს. “წყნარ დონზე” მუშაობისას სტალინის შოლოხოვისთვის რამდენჯერმე მიუწერია და თავისი მოსაზრებანი გაუზიარებია, რაც მწერალს დიდად გამოდგომა. განსაკუთრებით რუსული ხასიათის მისეულ ღრმა ცოდნას გაუოცებია და ხელიც შეუწყვია რომანის წერისას. ფრიდონ ხალვაშის მიერ დიდი ექსპრესიით აღწერილი ეპიზოდი მკითხველს განუახლებს ეპოქის მძიმე, უცნაურ და მრავალი წინააღმდეგობის შემცველ სურათებს, წარმოიდგენს მრისხანე მმართველის პარადოქსულ, ძლიერ ფიგურას, ხშირად მაღალ პროფესიონალიზმს რომ ავლენდა ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას. მიუხედავად მრავალი პიროვნული თვისებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებისა,

## პრიტიკა

შეუძლებელია არ დაეთანხმოდით დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის მიერ, ხრუშჩოვის მმართველობის ეპოქაში წარმოქმნილ გულწრფელ სიტყვებს, რომელიც ფრიდონ ხალვაშს მოგონებების წიგნში მოჰყავს: „სტალინის ნიჭიერებით, ნაკითხობით, განათლებულობით და ლიტერატურული შემოქმედების ურთულეს ნიუანსებში საოცარი განჭვრეტელობით, მოხიბლული ვიყავი და ახლაც ვარ.“

დრო იცვლება და, ისტორიასთან ერთად, ისიც თავის დანომრილ უჯრებში ანაწილებს პიროვნებებსა და მოვლენებს, ტყუილსა და მართალს ერთმანეთისგან გამიჯნავს და ყოველივეს კუთვნილ ადგილს მიუჩენს. საზოგადოების დაგმობისა და გაკიცხვის, მკაცრი განაჩენის მიუხედავად, შემდგომშიც მრავლად გამოჩნდნენ პიროვნების კულტის მიმბაძველები. მაგრამ დროის დიდი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს, კომიკური და ხანმოკლე აღმოჩნდა აჩრდილების გაცოცხლების ამგვარი, იმთავითვე განწირული მცდელობა. თუმცა, ვინ იცის, მომავალი რას გვიქადის.

ფრიდონ ხალვაშის „ომრი“ ადამიანების, ჩვენი ქვეყნისა და მწერლობის სიყვარულით არის გაჯერებული. მწერალი სამართლიანად დასძენს, რომ: „აჭარის ცხოვრებაში ქარ-

თული მწერლობის როლი თვით პოლიტიკურ სისტემათა როლზე უფრო დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია და ეს ამბავი, მე მგონია, ჯერ კიდევ შესაფერ შეფასებას საჭიროებს.“

შესაფერ შეფასებასა და ყურადღებას იმსახურებს ფრიდონ ხალვაშის მოგონებათა წიგნიც, რომელიც ძალზე საინტერესო პერსპექტივას შლის აჭარისა და მთელი საქართველოს კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების წარმოსაჩენად გასული საუკუნის მოვლენებით ესოდენ მდიდარ ეპოქაში. ომრი ნიჭიერი კაცისა, რომელიც იტყვის: „წიგნი ბევრია, შენ მითხარ კითხვა, ლაპარაკი ბევრია, შენ მითხარ სიტყვა, ქუდი ბევრია, შენ თავი მითხარ“.

პატიოსნად და ღირსეულად ატარა კაცობის ქუდი პროზაიკოსმა და პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა და მოგონებათა ამ მართალი წიგნით კიდევ ერთხელ დაადასტურა მარტივი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება: „რაც მერგებოდა, არ მომეცა, რაც მაქვს გედიდა, გული მტკენოდა ხომ გინდოდა, აჰა, მეტკინა, მაგრამ ბედი მაქვს, არმოცემით უფრო მეტი მაქვს“. უფრო მეტი, უპირველეს ყოვლისა, მაღლიერი მკითხველის გულწრფელი სიყვარულია, ამქვეყნად ყველაზე დიდი მოსახვეჭელი.

## გამოხმაურება

მოვიდა 2009 წლის გაზაფხული და გავიდა კიდევ, იმედა, რუსტიკოც დაბრუნდა უცხო ქვეყნიდან... იქნებ არც დაბრუნებულა?... ელის ჯანო ჯიქიძე „ევროპულ სოფელ“ მერცხალს, მერცხალი ხომ სიმბოლოა: იმედისა, სიხარულისა და ბედნიერებისა.

„იმედი ნუ მოგიშალს ღმერთმაო“ — ქართველ კაცს უთქვამს გაჭირვების უამს და ავტორიც ელის იმედს (რუსტიკოს).

ნინო ვახანიას შესანიშნავად ესმაურება ამ მოთხრობას „რუსტიკო და მისი ჯანი“ წერილით — „ჩვენი ბოდიში მერცხლებს (ჯანო ჯიქიძის თავანწყვეტილი სილაღე)“.

წერს: „თუ მერცხალი იმედის სიმბოლოა, ვისთვის არის მისი ვერდაბრუნება ტრაგედია? ჩვენთვის თუ რუსტიკოსთვის?“ მართლაც მხოლოდ ეს ტრაგედია არაა საშინელება.

ვთქვათ და დაბრუნდა რუსტიკო, მას დახვდება თავისი ძველი სახლი (ბუდე), აივნის კუთხეში, მაგრამ სხვები... რას იზამენ, როცა დაბრუნდებიან? იქ ახლა ბუდე კი არა, ის შენობაც, ის სახლიც აღარა დგას, სადაც ბუდე იყო, საცოდავი კუდმაკრატელა მერცხლისა.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, მწერალს ეს რა დამართნიაო?... თუმცა სანამ მკითხველი ამის გაფიქრებას მოასწრებს, ავტორი ასწრებს თქმას: „მაშინ გავგიჟდი და დავიწყე ლოდინი“ — მართლაც რომ ავტორის „თავანწყვეტილი სილაღეა“ — ნინო ვახანიას თქმისა არ იყოს.

აბა, სიგიჟე არაა?! რა დროს მერცხლის სიბრალეულია, ამ საშინელ ყოფაში, როცა ხალხი არავის ებრალება... და მერცხალი? მაგრამ მერე კი ხვდები...

მერცხალი რუსტიკო და მისწარიები ხომ სოფელი მერცხლები არიან? შეძლებენ კი ქალაქში ცხოვრებას? მართალია რუსტიკომ შეძლო ეს, ის კი არა ორცოლიანობასაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ...

2006 წელს თურმე მეზობლის კატას შეუშინებია რუსტიკო, ავტორის თქმით: „არ ვიცი, ცოლმა და ქმარმა შვილები როგორ გახიზნეს, ალბათ მხრებზე შეისვეს და ისე ნაიყვანეს, როგორც თამარაშენიდან, კარალეთიდან და სხვა სოფლებიდან გამოიქცეოდნენ მტრისგან შეშინებული დევნილები“ —

მიუხედავად ამ სამწუხარო შემთხვევისა, რუსტიკო მაინც დაბრუნებულა თავის კარმიდამოზე, მაგრამ დაბრუნდებიან კი დევნილები თამარაშენში? თუმცა ჯერჯერობით... იმედი ნუ მოგიშალს ღმერთმა, იმედი რწმენისა...

ნინო ვახანიას შესანიშნავად დაუნახავს ის, რაც მოთხრობაშია ნაგულისხმევი, ისიც ელის — „იმედის, წარსულის და მომავლის დაბრუნებას ელის და ელის“.

ნინოც ხომ ლტოლვილია რუსტიკო მერცხალივით? ისიც ელის დაბრუნებას და ცხოვრობს იმედით.

ეს წერილი ერთ-ერთი საუკეთესოა მის მრავალრიცხოვან რეცენზიებსა და გამოხმაურებებს შორის.

„სოფელი“ ფართო ცნებაა. ეს თვით ავტორმაც შესანიშნავად იცის და ნინო ვახანიამაც... და თუ არა მერცხლები? ვინ ვართ ჩვენ ამ წუთისოფელში, რამდენი რამ უნდა მოასწროს ადამიანმა ამ წუთიერყოფაში.

ისე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა რუსტიკომ ბევრი რამ მოასწრო ადამიანთან შედარებით, რამდენიმე პირი ბარტყების დაზრდა და დაფრთიანებაც კი, მაგრამ ყველა ადამიანი ხომ ერთნაირი არაა?

კარგია, როცა რაღაც მნიშვნელოვანის თქმა გსურს, რაიმე მიზნის მიღწევა გინდა და შენს სათქმელს, შენს მიზანს, ვინმეს პირით ან მოქმედებით გამოხატავ.

ჯანო ჯიქიძეს შესანიშნავად გამოუყენებია ეს ხერხი თავის მოთხრობაში. იგი რუსტიკოს სახით, მისი საშუალებით ბევრ ისეთ პრობლემას ეხება, რაც დღეს ჩვენთვის ასე ძალიან მტკივნეულია.

„მწერლის თავანწყვეტილი სილაღეში იმედიც იკითხება და მომავლის წინასწარმეტყველებაც, ეჭვაც და ნდობაც“ — წერს ქალბატონი ნინო. მართლაც რომ ასეა, რუსტიკოს სახე იმდენად ნათელია და კარგად დახატული, რომ არაერთ ცხოვრებისეულ ნიშან-თვისებას მოიცავს და რწმუნდები, რომ მერცხლის გამეტება ადამიანის გამეტებას გულისხმობს.

**ნინო ოქროშიაშვილი**

შოთა ბოსტანაშვილი

# შენი ამინდი

□

## სიტყვა ვახტანგ დავითაიას

**შენი ამინდი** მარტო მეტაფორა არ არის, ის შენი ცნობიერებაა, ნებაა, სიმბოლოა და გამორჩეული ნივთია შენს კაცურ ავლადიდებაში, შენს ხუროთმოძღვრულ ქონებაში და გონებაშიც — შენს ნაირგვარ და მრავლისშემქმნელ უნართა შორის. შორი გზიდან მოვდივართ ერთად და **შენი ამინდის** მეტაფორა მეც მექცა მეგზურად და გზის მამალად, ალაღად რომ დამყივლა ჩემს ხუროთმოძღვრულ ალიონზე. გზას კიდევ ერთ ხარკს გადავუხდი და იმასაც ვიტყვი, რომ მას შემდეგ **გზაზე დამანყდა თვალები**. ხომ ვიცოდი რომ ეს გაუთავებელი და გაუუთოებელი გზები ყველგან და ყოველთვის ლაბირინთია, და მაინც...

ჩვენც ლაბირინთში შევხვდით ერთმანეთს - პროფესიული ძიებების, ტრადიციების, განვითარებული სოციალიზმის და კიდევ ბევრი რალაციების და რალაციზმების გზაჯვარედინებზე, - იქ ვიკარგეთ და იქ დავიკარგეთ, იქ ვიპოვეთ ერთმანეთი და ისევ... და ისევ ხელახლა... და ახლა შენი, კიდევ ერთი, დღესასწაულის მოედანზე, შენივე საპარადო ძეგლივით მდგარი პირადად და პირნათლად მოგესალმები **შენი ამინდიდან** მოსული კაცი.

გზისა არ იყოს და ბევრ წყალს ჩაუვლია ჩვენში, - ბევრ წლებს - უკვე ორმოცს - ორმოც დაუტოვებია და ბორცვიც; ჩავარდნაც და ამაღლებაც. დღესდღეობით მორცხვი ქვეყნის შვილები ვართ სახუროთმოძღვროდ და მაინც ბევრჯერ შევდექით დიდ საამქრო გორზე. "ჩავარდნით" კი, მიზეზთა გამო, ჩვენს განუხორციელებულ პროექტებზე ვლაპარაკობ, კომბლებივით ჭერში შემონყობილზე.

ყველაფერთან ერთად კარგი პუბლიცისტი ხარ და იცი მეთაური მეტაფორის ფასი, მერე მთელს ტექსტს რომ დააჯდება დალად, მორთავს და მართავს, ზოგჯერ სხვა წ(ყ)ლებშიც ჩაიტანს და ჩართავს მედინ დროს, თუნდაც მის ერთ ნაკადს, ან შხეფებს და წამებს მაინც გადაარჩენს, თუ ენას ენება.

\* წარმოთქმულია ვახტანგ დავითაიას 75 წლის საიუბილეო საღამოზე 2009 წლის 22 დეკემბერს.



შოთა ბოსტანაშვილი და ვახტანგ დავითაი

ნებისუფლებით მეც ვისარგებლებ და ვიტყვი: **შენ ამინდს ქმნიდი** - ცოტა იქნებოდა რომ მეთქვა; შენ შენი ამინდი გყავდა; მუდამ თან დაგყავდა ხელჩაკიდებული, ბავშვივით. ცელქი ბავშვი იყო, მოუსვენარი - რასაც მიადგებოდა თავის ხელს დაატყობდა. თავის სათამაშოდ აქცევდა, **ქვას ქვაზე არ დატოვებდა, წყალსაც გამოადენდა** და დაკვეთასაც. **ქვაც ბევრი დადო ქვაზე**, ბევრი მადლი და სხვა სილამაზე - სხვა ქვებიც ლაღებდნენ ამაზე.

კაი მთქმელის გამგონე იშვიათობაა და რალა დარჩა მოლაპარაკე ქვებთან განდობილი მინდიასი. გახსოვს მუხრანის მემორიალზე, ერთმა ძირძველმა მინდიამ — ასე მინდაო: მაკეტი და პლანშეტით რო გვარწმუნებთ კარგი გამოვაო,

არა მჯერაო თქვენი ფიცის, ფიცრის გააკეთეთო, ნატურაშიო. რაშიო, რაშიო? — გააოცა კომპეტენტური კომისია... მაგრამ ხომ დააეჭვა. შენ არ დალოდებიხარ ამინდს ზღვის პირას. როგორც ყოველთვის, შეხვედი ეჭვით აგორებულ, თუ აღელვებულ რალაციებაში და გადაარჩინე ის მემორიალი, გრიალ-გრიალით რო გავიდა მერე საერთაშორისო პრემიაზე. მერე იყო და ქუთაისის მემორიალზე, მეორე მინდიამ გვირჩია - ჩია მაკეტით და ამ ნახაზებით ამხელა ქვები როგორ განდოთო, ჯერ ალუმინში გააკეთეთო.

თო. აქაც შეიცვალა ამინდი, კომისია აყაყანდა, კედლებიც ექოს გამოსცემდნენ: განდო... განდო... აქაც **შენმა ამინდმა** აჯობა და სახელმწიფო პრემიაც დავიმსახურეთ.

**შენს ამინდის** სითბო საერთო ღრუბლიანობაში უფრო დამამახსოვრდა. რუსთაველის პრემიაზე წარვსდექით და კულტურულ რეპლიკებზე და ეჭვებზე (საამისოდ ძალიან ახალგაზრდააო) აი რა გიპასუხია: ამ ობიექტს თუ ეკუთვნის პრემია, ის ასევე ეკუთვნის შოთასო. მერე იყო და მხატვართა კავშირის ერთი ჩინოსანი მინდია, ისევ შენი გარჯით მიღებულ სახელოსნოს მედავებოდა. აქაც **შენმა** აჯობა. დამარცხებულმა, მერე შენზე შემომჩივლა — დედის "მანდილი" დამახურაო. მერე იყო და ჩემი "პოეზიის სასახლეზე" აყაყანებულებს სალაპარაკო პირში შეაგებე შენი მაგარი სტატია. რომელია **შენი ამინდი** და მთავარი არქიტექტორები ერთი პერიოდი პანტა-პუნტით რო იცვლებოდნენ და თავისი პრობლემები ვერ მოეგვარებინათ, შენ შესწილი თვითოეულ მათგანს: იცით შოთას სამუშაო არა აქვსო. ამას თავად მიყვებოდნენ მერე ღიმილით.

ისევ ღრუბლიანი შემთხვევა მინდა გავისხენო. ერთი სადავო შენობის წარმომავლობაზე განსხვავებული აზრი მქონდა. შენ მოგმართეს ჩემთან თანხმობის მისაღწევად. **შოთა ტყუილს არ იტყვის, გამორიცხულიაო** - ეს მათთვის გითქვია, მე კი მიჩიე: შენ სხვა იდეალების კაცი ხარ, ვფიქრობ მაგ საქმეს თავი უნდა დაანებო. ალბათ დღემდე არავინ იცის, რომ გადაამწყვეტი როლი ითამაშე იმ დავის "მშვიდობიან" დასასრულში.

**შენი ამინდი** შენი დიდი სამეგობრო იყო. ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი, ელგუჯა ამაშუკელი და რობერტ

## შტრიხები პორტრეტისათვის

სტურუა, სხვანი და სხვანი, და ანზორ სალუქვაძე - ოლია, შენი სახელოსნოს კარის მეზობელი, საქეიფოდ რომ გაგვიხმობდა ხოლმე მე და გიული გეგელიას. ერთი ასეთი განწვევა ბოლოს ოთარ ჭილაძესთან სტუმრობით დამთავრდა გამთენიისას და ბოლოს ჩვენი მეგობრობითაც. მეორე დღეს ხომ მუშაობაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი, ვიცოდი როგორ დაგვსიტყვავდი და დაგვსეტყვავდი, მაგრამ მყარი მენტალური არგუმენტი გვქონდა - ჩვენ ხომ **მართლა პოეტთან** ვიყავით და ჩვენც ხომ რალაც პოეტები ვიყავით, არქიტექტურისა მაინც. შენი "ტოტალიტარიზმი" და "ავტოკრატია" მხოლოდ შრომით დისციპლინაზე ვრცელდებოდა. შემოქმედებითი თავისუფლება კი სასჯელივით გვქონდა მოსახდელი.

ახლა ვიხსენებ იმ დროს და გაკვირვებული ვეკითხები ჩემს თავს. ინსტიტუტის საპროექტოში ვმუშაობდით, და ეს გასაგებია, მაგრამ შენს პირად დაკვეთებზე რატომ მინგვედი შემოქმედებით პარტნიორად? **ეს შენ ხარ**, და სხვა პასუხი არ გამაჩნია. შენთან შედარებით ნამდვილი ეგოსტი ვარ, მარტო მირჩევნია. შენ ჩემი თავისუფლება არასდროს შეგილახავს და ამიტომ შენი დამსახურებაა ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა. შენ სხვათა ნიჭით გახარების და მათთან თანამშრომლობის ნიჭიც გაქვს — ეს არის **შენი ამინდი**.

**შენი ამინდი** ბევრად მეტია, ის უფრო შორს დამხვედრია, ჩვენი ქვეყნის გარეთ.

**შენი ამინდი** შენი ორი ახალი ნიგნია - შენი ავლა-დიდების ორი ანარეკლი.

**შენი ამინდი**, ვისთვის ამინდია და ვისთვის უამინდობა. შენი "რიყე" რომ განხორციელებულიყო გაიზრდებოდა **შენი ამინდი**;

საცხრააპრილო, "გახერხილი მილოსელი" - გაიზრდებოდა **შენი ამინდი**;

საბიზნესცენტრო, "გეომეტრიული აბლაბუდა" - გაიზრდებოდა **შენი ამინდი**;

ან/და "სამზიურო" ერთი კომპლექსი - ქვეყნის ამინდი გაიზრდებოდა.

(სახელების გამოგონება უნდა მომიტევეო, როგორც ნერილის ავტორს).

შენ არ ელოდებოდი ამინდს ზღვის პირას, შედიოდი და გამოგყავდა ამინდი. გინდა შედი და გინდა გამოდი, შეიცვალა ჯემალ ამინდი, აცივდა, ამოდი!

### პოსტმოდერნისტული ფინალი:

მართალი ხარ, **ავკარგია**ნი კაცი ვარ (შენი ახალი ნიგნია). ახლა კარგი დღეებია და **კარგი** შევაგროვე, ამასობაში **ზ**-ც გაიზრდება. სათავეში მოექცევა და **ზ/ავი** გამოვა.

იუბილეს გილოცავ ჩემო ჯემალ.

ძმური სიყვარულით, შენი შოთა.

## სპორტი

# როცა ჰიმნი გიხმობს

□

## ნიწო დეკანოიძეს ესაუბრაბა ზურაბ აზმაიფარაშვილი

ჭადრაკის უცოდინარობის მიუხედავად, თუ მაინც დაგევალება სარედაქციო სამუშაოდ დიდოსტატთან საუბარი ჩაინერო, თანაც მეორედ და კვლავაც სახელდახელოდ, უმჯობესია ხერხს მიმართო. მითუმეტეს, საერთაშორისო კლასის დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი თუ არის რესპონდენტი, კაი მოლაპარაკე, ვერაფერს კი ვერ გამოაპარებ... მიუხედავად ამისა, პირველივე აცდენილ კითხვაზე ისე ბეჯითად და ამომწურავად გიპასუხებს, არ შეემჩნევა, „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“, თუ გაიფიქრა.

– ზურაბ, მოგზაურობთ ძალიან ბევრს, აღმოსავლეთში რომ შეიძლება ეგულებოდეთ, აღმოგაჩენენ დასავლეთში. ან აქვე, ამიერკავკასიაში. ალბათ, მეტად შთამბეჭდავია „მომთაბარე“ ცხოვრება ცივილიზებულ მსოფლიოში.

– რა თქმა უნდა, საინტერესოა. მოგზაურობა არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის. სასიამოვნოცაა, შეჩვევაც იცის, გამოცდილებას იძენ. მითუმეტეს, შეიძენიანი კონტრაქტი

არ ამომწურვია სინგაპურში, სადაც ჭადრაკის პედაგოგადა ვარ მიწვეული, თუმცა ასეთი ურთიერთობა არ მზლუდავს საჭადრაკო ტურნირებსაც დავესწრო ევროპაში.

– სინგაპურის მაგალითით, როგორია აღმოსავლეთი. თქვენ იმ რეგიონში გაშინაურებულად გადაადგილდებით.

– მთლად ისეთი არაა აღმოსავლეთი, აქედან რომ ეგზოტიკად მოჩანს. იქ რომ ცხოვრობ, პირველ რიგში გაკვირვებს და ცოტათი გალიზიანებს კიდევ ადამიანური ურთიერთობანი. რალაცნაირ იდუმალებაში ეხვევი. თითქოს მუდამ ვილაცის თვალთვალს გრძნობ და ამას განიცდი. გულისითად, ახლობლურ კავშირებს თავს არიდებენ. ერთი სიტყვით, პრაგმატულ გარემოში გინევს ყოფნა და, რასაკვირველია, ეჩვევი და არავითარ შემთხვევაში ემსგავსები. მათ ცხოვრებისეულ ყაიდას თუ მაინც ეგუები, ინფრასტრუქტურაა მაღალ დონეზე და გამალიზიანებულ ფაქტებს მალე ივინყებ. ნებისმიერი სოციალური ფენისთვის იქ ცხოვრება სიხარულია.

შარშან, აგვისტოში ვიეტნამში გახლდით. ერთ-ერთი აზიური ზონალური მსოფლიო პირველობის შესარჩევად. ხოშიმინში დავბინავდი სასტუმროში, რომელიც ცნობილ პირველ კვარტალში მდებარეობს.

(აქ კითხვას რომ დაუუსვამ აზმაიფარაშვილს, იმასაც ვთხოვ გაითვალისწინოს, რაც მისთვის ხელისგულზეა, ჩემთვის უცნობია მკითხველისთვისაც ალბათ საინტერესო).

– დასახლება ცნობილი იმითაა, არ იბომბებოდა ამერიკელთა მიერ, ამიტომაც არქიტექტურული კომპლექსები შენარჩუნებულია XX საუკუნის დასაწყისისა და ყოველივეს, როგორც ეროვნულ საგანძურს, სასოებით უფრთხილდებიან. ხოშიმინი თორმეტმილიონიანი ქალაქია. გადასერილი განიერი ქუჩებით, სადაც ტრანსპორტისთვის ოთხი

ზოლია. ძირითადად მოტობაით გადაადგილდებიან. ცეროდენა მანქანებია ეს მოტობაები და გეგონება, ხოჭოები მოძრაობენ წინ და უკან, შეუჩერებელივით.

მომწუხსხავად საინტერესოა კატაკომბები – გუჩის ეძახიან. ესაა მიწისქვეშა კონსპირირებული ქალაქი, სადაც წლობით ცხოვრობდა მოსახლეობა ომის დროს. მხოლოდ ღამით ამოდიოდნენ მიწისპირზე და ისიც ტერორისტული აქტებისათვის... კატაკომბების ახლანდელ სტუმრებს, ძირითადად ექსკურსანტებს, წინასწარ საგანგებოდ აფრთხილებენ, მძიმე მოგზაურობა რომ ელით და შესაფერისი ჯანმრთელობა უნდა უწყობდეთ ხელს.

საოცარი ერია. ორ მილიონზე მეტი ადამიანი დაკარგეს ომის დროს და, მიუხედავად ამისა, ამერიკელებთან ამჟამად ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ. კეთილი ერია, მიმტევებელი და სახელმწიფოც კეთილად აქვთ მოწყობილი და მოწესრიგებული.

– თქვენ თუ თამაშობთ იქ ჭადრაკს და ხომ არ ჩაერთვებით ხოლმე ტურნირებში? ან ჩვენი მოჭადრაკეები თუ გამოჩნდებიან ხოლმე სხვადასხვა ასპარეზოებზე?

– სამწუხაროდ, ჩამოვშორდი აქტიურ ჭადრაკს. მე მხოლოდ ფიდეს წარმომადგენლად ვესწრები სხვადასხვა ტურნირს.

შარშან ჩინეთის ქალაქ ნანჯიკოში (ეს ის გეოგრაფიული პუნქტია, სამოქალაქო ომის დროს 300 000 ჩინელი ერთ ღამეში რომ დახოცეს) გაიმართა გრანპრის II ტური. საქართველოდან მონაწილეობდა ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე. სხვათა შორის, მარტო ჩამოვიდა, არავინ ახლდა. რახან იქ ვიმყოფებოდით ნონა გაფრინდაშვილი და მე, შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდექით. საღამოობით ჩემთან, სასტუმროს ნომერში ვარჩევდით ნათამაშე პარტიებს. თუმცა ნანა გამორჩეულად გაბედული, პრინციპული და ჯიუტი მოჭადრაკეა. რჩევას იოლად არ დაჰყვება. ამ ტურნირში II ადგილი მოიპოვა. ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონი ქსიუ იუხუა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვება ღვთის წყალობა იყო, რადგან ნანა მოინამლა და წინა ღამე თეთრად გაათენა.

ტურნირის დასასრულს, საზეიმო ცერემონიაზე ქსიუ იუხუამ კეთილმოსურნე სამადლობელი სიტყვა ემოციურად დაასრულა: „მადლობა ნანჯიკს, ჩემს ხსოვნაში დარჩება ქალაქად, სადაც მე დავებრუნდი ჭადრაკს“ (იგი დედა გახდა და გარკვეულ ხანს აღარ თამაშობდა).

– ილბლიანობით გამორჩეული თქვენეული ქალაქი თუ გაგაჩნიათ?

– სტამბოლში გავხდი ევროპის ჩემპიონი, თუმცა ვერ დავიჩემებ, რომ ამ კუთხით გამორჩეული იყოს ჩემთვის ეს ქალაქი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სად გავხდი, მართალი



ზურაბ აზმაიფარაშვილი ვიეტნამურ კატაკომბებში

გიტხრა, აღარც მახსოვს. ნანჯიკი კი დარჩება სასიამოვნო შთამბეჭდაობად მოულოდნელი შეხვედრებისა. ერთ-ერთზე შევჩერდები. იქ სრულიად შემთხვევით გავიცანი 1999 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში რობერტ მანდელი. ბელგიელია. ჩინეთის მთავრობის ეკონომიკური მრჩეველი დიდ კაცადაა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ მოუცლელია, ჭადრაკის სიყვარულით ნანჯიკელთა მიპატიჟებას, საჭადრაკო ტურნირის გახსნას დასწრებოდა, უარი არ უთხრა, გვერდიგვერდ აღმოვჩნდით და ჩემი ქართველობა რომ შეიტყო, გაუხარდა, იენისში ვიყავი თქვენს ქვეყანაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიწვევით, ალფრთოვანებული ვარ ქართული ღვინით.

– ახლა რომ გისმენთ, მრჩება შთამბეჭდილება, რომ მოჭადრაკისათვის ასაკს გულისწყვეტის გარდა, ახლავს მომხიბლაობა. განუწყვეტელი მოგზაურობა, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, დღიურებს თუ ანარმოებთ, მემუარებზე ხომ არ გიფიქრიათ?

– კარგი წინადადებაა, ვიფიქრებ. ისე სხვა ყაიდის წიგნზე ვზრუნავ, ამჯერად არ დავაზუსტებ...

– ზურაბ, აზერბაიჯანის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდმა თქვენი თავკაცობით შარშანდელი წელი გამარჯვებით დააგვირგვინა. რას იტყვით ამის შესახებ. მათ ხომ ჰყავთ კასპაროვი, თქვენ რატომ დაგიძახეს?

– კასპაროვმა განვიცტა ურთიერთობა ისტორიულ სამშობლოსთან. ეს მიპატიჟება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. მანამდე სომხეთში გახლდით, გრანპრი გაიმართა ვაჟებს შორის საკურორტო ქალაქ გუკში. ერევნიდან 180-200 კილომეტრზეა მთებში. მკაცრი და ლამაზი ბუნებაა, მწვანე მთები, მინერალური წყლები, ჩვენი ბავშვობის ბორჯომი გაგახსენდებათ: მშვიდ გარემოში მოსიერნე დამსვენებლები, ყელმოღერებული ფაიფურის ფინჯნებით...

ლონისძიების დახურვას პრეზიდენტი სერჟ სარქისიანიც ესწრებოდა. ის ამავე დროს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტიცაა. ილუმინოვის თანდასწრებით სომხეთის პრეზიდენტმა ჩემი სადღეგრძელო გამორჩეულად შესვა, ხაზგასმით გამიხსენა: კალვიაში გმირული ხასიათი აჩვენე, კავკასიელობა ასახელო...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გუკში გულითადად გვიმასპინძლეს. დაგვათვალთვინეს ღირსშესანიშნაობანი: სხვათა შორის, უძველესი აკადემია, მსგავსი გელათისა. ნაკრძალები აქვთ ჩინებულად დაცული. ჭოგრიტით ათვალთვინებენ ფაუნას, არცთუ მდიდარსა და მრავალფეროვანს, მაგრამ საუკეთესოდ დაცულს. მთებში ისეთი ღვინო გამასინჯეს, ჩვენს ტანინიან წითელ ღვინოს რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა. ბოლოს სერჟ სარქისიანი ჩამეძია, კატლენტი თუ გიყვარსო. უფრო თავაზიანობისთვის არ ვიუარე. მისთავანმა გამიხმო და განდობილად მითხრა: მისგან დი-

## სპორტი

დი პატივია, რუსეთის პრემიერ-მინისტრს მასპინძლობს ხოლმე კატლეტებითო.

– **კატლეტებიდან პოლიტიკისკენ გზა ხომ არ დაახლოვდება?**

– არაფრის გულისთვის. ისე რალაცა კუთხით იქ ყოფნისას შევეცადე სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ამინდი ჭადრაკით დამთბარიყო. იმ ჯერზე არ გამოვიდა, მაგრამ ყველაფერი წინაა...

სწორედ სომხეთში ყოფნისას, გამომგზავრებამდე ორი დღით ადრე შევიტყვე, აზერბაიჯანში რომ დამიძახებდნენ ფინალურ ტურნირზე ბაქოში. მთხოვეს გუნდის კაპიტნობა. ვიცე-პრეზიდენტი, სოკარ ჯორჯიას გენერალური დირექტორი მაირ მამედოვი დამიკავშირდა. აგრეთვე შევხვდი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს (აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი) ელმან რუსტამოვს.

გუნდში ჯანსაღი ატმოსფერო არ სუფევდა. გულითადი ერთსულოვნების მაგივრად, რაც გამარჯვებისათვის უმთავრესია, ქიშპობა და შუღლი. გუნდს ხუთი ვარსკვლავიც რომ ჰყავდეს, მაინც დამარცხებისთვისაა განწირული თუ პრინ-

ციპი არაა დაცული. ვერ დავიჩემებ, რაიმე რეცეპტი შევექმენი-მეთქი. უბრალოდ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. პირველად თავი მოვიყარეთ ზაქათალაში, ოლიმპიურ კომპლექსში 20-25 წლის ახალგაზრდები არიან. სავსებით მომენდნენ. შესაბამისად გადასაწყვეტიც გადაწყდა. სერბეთში, ნოვისადში აზერბაიჯანელებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს – 38 მოასპარეზე გუნდს შორის პირველი ადგილი. თითოეულ მოჭადრაკეს დაუფასდა ამაგი და თავდადება, აზერბაიჯანის სახელმწიფომ სოლიდური თანხით დააჯილდოვა.

– **მაინც?**

– ჩვენთან რომ ვერც იოცნებებ.

– **ფულადი ნახალისება გამარჯვებისთვის არის თუ არა აუცილებელი?**

– რა გითხრათ. ჭადრაკი არაა კომერციული, სპორტის სხვა სახეობათა მსგავსად. როცა ოჯახი გყავს, უამრავი ყოფითი პრობლემა მოსაწესრიგებელი, შესაბამისად გინევს ფიქრი, ნუხილი, იხარჯები. გამარჯვებისათვის შეგულიანება საჭიროა, მაგრამ მერწმუნეთ, როცა შენი სამშობლოს ჰიმიი სასპარეზოდ გიხმობს, მაშინ არც ცოლი გახსოვს, არც შვილი.

## პოეზიის მერიდიანები

ოქტაი ქაზუმოვი

# რელსებს შუა — სიყვარულის შმაგი წერილი

□

### სალიმ ბაბულაოღლის ერთი ლექსის ირგვლივ

*და სიტყვა იგი შენს მშვენიერას თუკი არ აქებს,  
ჩათვალე ფშვინვად, მთლად როყიო ყოფილა რახან.  
გაზი ბურჰან ედ-დინი (XIVს.)*

თოკს დაკიდული ნოხი ფრიალებს;  
ვარდს ქედს უხრის ვაზის ფოთოლი;  
ტირიფი თმას იშლის;  
ჭიანჭველებს ემშვიდობება ვაშლის ყვავილი;  
ხელისგულა მდელი ქვიშნარში “არა“, “არა“-ს  
ეუბნება ფარფატა პეპლებს;  
ბაღლინჯოები თავზე იყრიან მტვერს ნაცარყრილში;  
მაღემსრბოლებს უშვებს გვირილა ოთხსავე მხარეს;  
წკირი მიწკრიალებს ერთ მოჭრილ კუნძზე;  
გაუსწრო სადგურზე ხმამ მატარებელს;  
ბორიალობს რელსებს შუა

სიყვარულის შმაგი წერილი –

ქარი ქრის და  
შენ რომ ტყუილი არ წამოგცდეს, ხმას იკმენდ ისევ.

ქარი ბუნების ისეთ მოვლენათაგანია, რომელიც პოეტ-პროზაიკოსთა შემოქმედებაში განსაკუთრებულად დომინანტი, მძლავრი სახე-ხატია. განა რა გამოსახავს პოეტის

შინაგან, ამბივალენტურ დრტივინებს ისე კარგად, როგორც ქარი?

მისი ხსენებისას უმალ წარმოგვიდგება ანცი თუ სასტიკი, მსუსხავი თუ საამო; განწყობილებებში – მოწყენილობის, მარტოობისა თუ ყველაფრის ამრევ-დამრევი, ანდა რომანტიკულ განწყობათა, სიხარულის მომნიჭებელი ქარი. ის თითოეულ შემოქმედთან ამ და უფრო მეტი აზრობრივი თუ გრძნობიერ-სულიერი დატვირთვით მოიხმობა. მას აქვს იდუმალების ძალა იმდენად, რამდენადაც არ ვიცით, თუ საიდან ჩნდება და სად მიდის. ერთი კია, რომ ლექსში ქარის სახე ძირითადად ცვალებადობას გულისხმობს, ცვალებადობასთან იგივედება. ე.ი. ქარი სახეა, ხოლო „სახე არის ის, რაც მეტყველებს“ (რევაზ სირაძე).

აღბათ არ არსებობს პოეტი, რომელსაც თავის სტრიქონებში ერთხელაც არ მიემართოს ამ მრავლისდამტევი ხატისთვის, რომელიც, თავის მხრივ, თითოეულ მათგანთან მეტ-ნაკლები ინდივიდუალურობით არ აღბეჭდილიყოს, როგორც იდუმალის გარეგამოვლენა რა თქმა უნდა.

სალიმ ბაბულაოღლის წინამდებარე ლექსიც ქარს, უფრო ზუსტად კი მის ორ სახეს, ნიშან-თვისებასა და მხარეს ეძღვნება, თუმცა ჯერ უპრიანია საკუთრივ ავტორსა და ზოგადად მის შემოქმედებაზე მოგახსენოთ, ოღონდ ჩემი კი არა, აზერ-



ბაიჯანელი კრიტიკოსის – თეირან ალიმანოლის — სიტყვებით:

“სალიმ ბაბულაოლიმ პირველი ლექსები 1990-იან წლებში გამოაქვეყნა, მაგრამ მისმა პოეტურმა იმიჯმა მას შემდეგ დაიწყო ფორმირება, რაც მთარგმნელობით საქმიანობას სერიოზულად მიჰყო ხელი. რეალური ყოფის უშუალო აღქმა, გამინაგანებელი რუსული ლექსის ვერსიფიკაციულ ფასეულობათა მეშვეობით უაღრესად ჰარმონიულად არის გადმოცემული: ეს უკვე ლექსის ახალი შესაძლებლობანია, ახალ ტექნოლოგიებზე აგებული. პოეზია ლირიკული გმირის სულის ორომტრიალის მრავალი შტრიხის წარმოჩენის საშუალებას იძლევა“.



სალიმ ბაბულაოლი

ამ მოკლე შეფასებაში ნათლად ჩანს სალიმის მოღვაწეობის მიმართულეობა-სფეროები, მისი ინტერესები, რომელიც უკვე კარგა ხანია ქართულ მწერლობასა და აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც გადმოსწვდა. თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, რასაც ამ მცირე წერილის დედააზრი სულაც არ გულისხმობს.

მაშ ასე, ლექსი ეძღვნება ქარს, რომელიც ამოძრავებს ყველაფერს – ნოხი, ვარდი, ვაზის ფოთოლი, ვაშლის ყვავილი, ხელისგულა მდელი ქვიშნარში ქარისგან ატალღებული „არას“, რომ ეუბნება ფარფატა პეპლებს და ა.შ. რომელიც ერთ დიდ სურათზე პეიზაჟივით მოცემულ ბუნებას (ე.ი. სტატიკურს) მასში შეჭრილი ყოფითი ელემენტებით – თოკით და ნოხით — კინოკადრივით აცოცხლებს, მედინს ხდის. შედეგად კი ჩვენს თვალწინ „ვარდს ქედს უხრის ვაზის ფოთოლი“, „ტირიფი თმას იშლის“, „გვირილა მალემსრბოლს უშვებს ოთხსავე მხარეს“, „წკირი მიწკრიალებს ერთ მოჭრილ კუნძზე“, „გაუსწრო სადგურზე ხმამ მატარებელს“.

მაგრამ ამ ფონზე, როცა საქმე ჭეშმარიტ გრძნობათაგან აღძრულ გულისნადილს ეხება, საქარ-ქაროდ ნათქვამი სიტყვა სულაც არ გახლავთ გასამართლებელი, კეთილსაინოდ მისაჩნევი, შესაწყნარებელი რამ, რადგან ადამიანი თუკი სიტყვას არ დაატანს იმ უმთავრესს, რისთვისაც იგი უხმობს მათ, მაშინ ასეთი უშინაარსო სიტყვა დაემგვანება მხოლოდ ფილტვთაგან გადმოსროლილ ბგერათა ერთგვარ კომბინაციას, რომელიც პოეზიაში გადატანითი მნიშვნელობით შედარებულია ქარის ქშუტუნს, ფშინვასა და ა.შ. რასაც ათასწილ ისევ დადუმება სჯობს („და სიტყვა იგი, შენს მშვენებას თუკი არ აქებს, ჩათვალე ფშინვად, მთლად როყიო ყოფილა რახან“), რადგან „დუმილი ოქრო არს რჩეული“. დუმილის ესთეტიკა მთელ შუასაუკუნეობრივ მსოფლმხედველობას ასულდგმულებს და კვებავს, რაც დიდი შეგნების, მაღალსულიერების მარჯვენებელია. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვწერდი, ამ ლექსში ქარს ორი სახე, ორმაგი დატვირთვა აქვს-მეთქი.

დუმილი თავისთავადაა მრავლისმეტყველი ფენომენი – ნამოხი იმ დიდი შეგნებისაგან, რომელიც ჩამწვდარა რა სამყაროს შემოქმედის უდიადესობას, ყურს უგდებს რა სიყვარულის ამ მოძახილს, ნეტარებას მისცემია და მით მდუმარებს, რადგანაც უწყის, რომ განცდით მოცემული სიტყვებზე არ დაიყვანება, სიტყვებზე არ დაიხურდავება (აქაც საყურადღებოა, რომ სიტყვა, რომელიც თვითონვეა სასწაული, ხშირ შემთხვევაში ანუ როცა საქმე გვაქვს რალაც დიდთან, შეუცნობელთან, უძლურებით იხვეს უკან). მდუმარებს, ოღონდ მხოლოდ სიტყვიერად, მხოლოდ ხმიერად, რადგან ამ ჰარმონიაში მთელი არსებით ჩაბმულს ღალადისისთვის არ სცალია და ამიტომ ყოველი სულისმიერი თრთოლვა, ყოველი სულისმიერი რხევა მისი სამეტყველო ენაა.

**და სიტყვა იგი შენს მშვენებას თუკი არ აქებს, ჩათვალე ფშინვად, მთლად როყიო ყოფილა რახან.**

საუკუნეთა მიღმიდან მოისმის გაზი ბურჰან ედ-დინის, მეფე-პოეტის, მიერ ღვთისთვის აღვლენილი სავედრებელი, ნასაზრდოები შუასაუკუნეობრივი ესთეტიკით, დუმილის ესთეტიკით ნაკარნახევი.

**გაუსწრო სადგურზე ხმამ მატარებელს... ქარი ქრის და შენ რომ ტყუილი არ წამოგცდეს, ხმას იკმენდ ისევ.**

ჩვენს ყოფითობას ასე აღწერს XXI საუკუნის პოეტი სალიმ ბაბულაოლი. ამ ორივე ლექსში საერთო გახლავთ ის, რომ, ჯერ ერთი, ორივე თავისი ეპოქის შესაბამის დასკვნებს იძლევა, და მეორეც, ორივე ლექსს, რომლებიც თავისი არსით არ განსხვავდებიან, სწორედ ეპოქა ანიჭებს ორიგინალურობის ელფერს, ეპოქა სძენს განსხვავებულობას.

ახლა გასაგებია, თუ რა კავშირშია ქარის ქროლვა და ხმის ჩაკმენდა, რადგანაც ის ლირიკული პერსონაჟის შინა-

გან დაუდგრომლობაზე მიანიშნებს. თითქოსდა ქარი მის სულშიც მოქშუის, იგრძნობა, მაგრამ ხელშესახებს ვერაფერს აწვდის ტყუილის გარდა, რაც არსებითად უარსო, ამდენად გამოუსადეგარი, ცარიელი სიტყვებია, რადგან უსწრებენ გრძნობებს ისე, როგორც ხმა მატარებელს.

ასე რომ, ისევ დუმილი სჯობს, რომელიც ამ ლექსის ლოგიკური დასასრული კი არა, ლოგიკური გაგრძელებაა, ჩემი აზრით, და თანაც ისეთი, თავისთავად რომ გულისხმობს პოეზიას – დამემონებთან რელსებს შუა მოპორიადე სიყვარულის შმაგი წერილები.

ორშაბათს, 25 იანვარს  
ლიტერატურულ არტ კაფე  
„ქარავანში“  
გაიმართება წარდგინება  
მანანა ღარიბაშვილის  
მიერ თარგმნილი  
კატულუსის  
პოეტური კრებულისა  
დასაწყისი 19 საათზე  
ფურცელაძის 10

ო' ჰენრი

# სალიფა<sup>1</sup>, კუპიდონი<sup>2</sup> და საათი

ვალელუნას მომავალი მთავარი, თავადი მიხეილი პარკში თავის საყვარელ მერხზე ჩამოჯდა. სექტემბრის გრილი საღამო ისე აცოცხლებდა და ახალისებდა თავადს, თითქოს საუცხოო ღვინოს ეწავებოდა. მერხები თითქმის დაცარიელებულიყო. პარკის მცონარები ადრეული შემოდგომის სუსხს შეენუხებინა და შინ გაკრეფილიყვნენ. აღმოსავლეთით ოთხუთხედად შეკრული სახლების სახურავები ის-ის იყო მთვარეს გაენათებინა. პარკში საამოდ ჩუხჩუხებდა შადრევანი. მის გარშემო ბავშვები თამაშობდნენ და მხიარულობდნენ. დაჩრდილულ ადგილებში ფავნები<sup>3</sup> და ტყის ნიმფები<sup>4</sup> არშიყობაში გართულიყვნენ და მოკვდავთ ვერ ამჩნევდნენ. იქვე ახლოს, შესახვევში უკრავდა არღანი. მისი მელოდია თეატრის დურგლის დიდი ოსტატობის ნყალობით ბულბულის სტვენად მოისმოდა და სმენას ატკობდა. პატარა პარკის ჯადოსნური მესრის ირგვლივ, ქუჩაში მანქანები და მეტროს ვაგონები ისე დაგრუნუნებდნენ, იფიქრებდით, ლომ-ვეფხვნი დაყაილობენ და პარკში შესასვლელს დაეძებნენ. ხეებს ზემოთ ძველი შენობის კოშკზე დიდი მრგვალი საათის ციფერბლატი ბრწყინავდა.

თავადის დაგლეჯილ ფეხსაცმელს დაოსტატებული მენალის ხელიც აღარ შეეველებოდა. სამოსიც დაკონკილი ეცვა. სახეზე ჯაგარივით დასდებოდა ორი კვირის გაუპარსავი წვერი, ათასფრად აჭრელებული მუსიკალური კომედიის მომღერალთა გუნდის მსგავსად. თავსაბურს თუ იკითხავთ, ვერ ნახავდით მეორე ასე მდიდარ კაცს, ვინც მსგავსი უხეირო ქუდის ტარებას მოახერხებდა.

თავადი მიხეილი საყვარელ მერხზე ჩამოჯდა და გაიღიმა. თავის აურაცხელ სიმდიდრეზე დაფიქრდა. რაზე არ მიუწვდებოდა ხელი, თუნდაც რომელიმე სახლზე იმ უზარმაზარი განახლებული შენობებიდან, მის წინ რომ ჩამწკრივებულიყვნენ, დიდძალ ოქრო-ვერცხლზე, ეკი-პაჟზე, ძვირფასეულობაზე, ხელოვნების ნიმუშებზე, უძრავ ქონებასა და მამულებზე. დიდებული მანჰეტენის<sup>5</sup> სხვა კრესოსების<sup>6</sup> დარად, მასაც შეეძლო ხელი არ გაენძრია და ფეხი ფეხზე გადადებულს მხოლოდ აქციებით ეცხოვრა. გვირგვინოსანი მონარქების ამ დოსტს კი, სამეფო სადილებზეც სიამოვნებით რომ მიიწვევდნენ, სულ სხვა არჩევანი გაეკეთებინა და ამქვეყნიურ კეთილდღეობისთვის პარკში გლახასავით ჯდომა ერჩია. არად ჩაეგდო საზოგადოებრივი მდგომარეობა, ხელოვნებისა და მშვენიერების სამყარო, ბომონდი, საყოველთაო თავყანისცემა, ბრძენთა ქება-დიდება, პატივი, განცხრომა, ფუფუნება და სახელი. ეს ამქვეყნიური სიამენი გოლელუივით სკაში ელოდა თავად მიხეილს იმ დრომდე, როცა ისურვებდა, მის სიტკბოს დაწაფებოდა. ცხოვრების ხის ნაყოფი უკვე გაესინჯა და მისი სიმწარე ეგემა. ამიტომაც ედემის ზღურბლისთვის გადაეხიჯებინა და ახლა კაცობრიობის

გულის ფეთქვას ისმენდა, მის მაჯისცემას აყურადებდა. ამაში ეძებდა შვებას და ლხენას.

ამგვარი ფიქრები ეძალეობდა მთვლემარეს. ფერადოვანი წვერის ქვეშ მოცინარი პირი მოუჩანდა. უღარიბესი მათხოვარივით დაკონკილს პარკში ეპოვა მყუდრო სავანე, დღენიადაგ იქ დასეირნობდა, უკვირდებოდა და სწავლობდა ადამიანთა ბუნებას. სიქველეში მეტ სიამოვნებას ნახულობდა, ვიდრე სიმდიდრესა, თავის მაღალ მდგომარეობასა და ყველა იმ სიამეში, განგებას რომ არ დაეშურებინა მისთვის. ბედნიერი იყო იმით, რომ ადამიანებს სატკივარს უმსუბუქებდა და უამებდა, დახმარების ხელს უწვდიდა გაჭირვებულთ, თუკი მათ ამის ღირსად მიიჩნევდა. ხშირად დაუხვევია თავბრუ უპოვართათვის მოულოდნელი, ჭეშმარიტად მეფური საჩუქრებით. ამას დიდი სიბრძნითა და კეთილგონიერებით აკეთებდა.


თავადმა მიხეილმა კოშკის დიდი საათის განათებულ ციფერბლატს მიაპყრო მზერა. უცბად სათნობის გამომხატველი ჩვეული ღიმილი სახეზე შეაცვივდა. ამ ნათელი და ამალელებული აზრების კაცს ჩვეულებრივ პანიკური შიში შეიპყრობდა ხოლმე, როცა გაიფიქრებდა, როგორ მონურად ემორჩილება კაცობრიობა ჟამთასვლის ამ ტირანს საზომს. ადამიანების გამალელებული მიმოსვლა, მათი ყოფა-ცხოვრების დაქვემდებარება დროჟამისადმი, საათის პატარა ლითონის ისრებით რომ აღირიცხებოდა, თავად მიხეილს ყოველთვის ანალვლიანებდა.

ცოტა ხანში პარკში საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკი გამოჩნდა და ორი მერხის გამოტოვებით ჩამოჯდა. ნახევარი საათი ნერვიულად სიგარას ეწეოდა, შემდეგ ხეებს ზემოთ საათის კაშკაშა ციფერბლატს დაუწყო ცქერა. აფორიაქებული ჩანდა. თავადმა მიხეილმა, მისდა სავალალოდ, ივარაუდა, რომ ახალგაზრდა ვაჟის შემფოთება სწორედ საათის მოზოხინე ისრებს უკავშირდებოდა რალაცით.

მისი აღმატებულება წამოდგა და ჭაბუკის მერხისკენ გაემართა.

“მაპატიეთ, რომ შემოგეჭერთ”, - მიმართა მას, - “მაგრამ ვგრძნობ, რალაც განუხებთ. ასე თამამად და კადნიერად იმიტომ ვიქცევი, რომ თავადი მიხეილი ვარ, ვალელუნას სამთავროს ტახტის მემკვიდრე. ინკოგნიტოდ დავიარებო, რასაკვირველია, როგორც ჩემი გარეგნობითაც დაასკვნით. მუდამ მსურს დავხმარო ღირსეულთ. აი, ეხლაც ასე მგონია, თქვენს შეჭირვებას ერთობლივი ძალისხმევით ადვილად გავუმკლავდებით-მეთქი”.

ახალგაზრდა ვაჟმა თავადს ცნობისმოყვარეობით ახედა და გაიცინა. ერთი წუთით სადარდებელი დაივიწყა, თუმცა სევდამ შუბლი მაღვე შეუჭმუნა.



“მოხარული ვარ, რომ გაგიცანით”. - ჭაბუკს ხმაში კეთილგანწყობა ემჩნეოდა. - “დიახ, ვხედავ, რომ ინკოგნიტოდ ჩნდებით. ეს სავსებით გასაგებია ჩემთვის. მადლობელი ვარ დახმარების შემოთავაზებისთვის, მაგრამ არა მგონია, რამე მოახერხოთ, რადგან ჩემი სანუხარი ძალზე პირადულია. ყველა შემთხვევაში მადლობას მოგახსენებ”.

თავადი მიხეილი ჭაბუკს გვერდით მიუჯდა. უარი ხშირად უთქვამთ მისთვის, მაგრამ ურიგო არასოდეს არაფერი უკადრებიათ. მისი დახვეწილი ქცევა და სიტყვა-პასუხი არ აძლევდა ადამიანებს უფლებას, უდიერად მოქცეოდნენ.

“გაკვირდებოდით და ვხედავდი, რა დაჟინებით უცქერდით საათს. იცით, რა მინდა გითხრათ, ის კაცობრიობას ხელ-ფეხს უბორკავს, ჩარჩოებში აქცევს და თავისუფალ მოქმედებას უშლის”, - თქვა თავადმა, - “საათის ციფერბლატი ტირანია, მისი ციფრები, ისევე როგორც ლატარიის ბილეთებისა, მუდამ გვატყუებენ. ისრები კი თალღითი მესაჭეებია, პაემანზე სულიერი ნგრევის ფასად რომ მიგვიძღვიან. ნება მომეცით, გთხოვოთ, გათავისუფლდით ამ ხუნდებისაგან, დაწყვიტეთ ეს არტახები და ნულარ დაემორჩილებით სპილენძისა თუ ფოლადის ამ სასტიკ, არაადამიანურ მონიტორს”.

“ჩვეულებრივ ასეც ვიქცევი”, - მიუგო ჭაბუკმა, - “მაჯის საათს მხოლოდ მაშინ დავატარებ, როცა საგანგებოდ გამოვეწყობი ხოლმე”.

“მერწმუნეთ, ადამიანებსაც ისევე კარგად ვიცნობ, როგორც ბუნების სამყაროს”. - დიდი სიამაყით განაცხადა თავადმა. - “ფილოსოფიის დოქტორი ვარ, ხელოვნებაშიც ვერკვევი და ფორტუნაც<sup>7</sup> მწყალობს. მხოლოდ ზოგიერთ ავბედით შემთხვევას არ შემიძლია გავუმკლავდე. გთხოვთ, რჩევასა თუ დახმარებაზე უარი არ მითხრათ. ნუ გამანბილებთ, თქვენს სახეზე ხომ ნაღველთან ერთად პატიოსნება და კეთილშობილებაც ამოვიკითხე. ჩემი გარეგნობით ნუ იმსჯელებთ და დამიჯერეთ, შემიძლია გიშველოთ”.

ჭაბუკმა კვლავ საათს შეავლო მზერა და მოიღუშა. შემდეგ მოკაშკაშე ციფერბლატს თვალი მოაშორა და დაჟინებით შეაცქერდა აგურის ოთხსართულიან სახლს, მის პირდაპირ, შენობების მსკრიფში რომ იდგა. სახლის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ, ფარდებს მიღმა ბევრ ოთახში მკრთალი შუქი კიაფობდა.



მხატვარი კარლო ფაჩულია

“ცხრას ათი წუთი უკლია!” - წარმოთქვა ვაჟმა. სახეზე უიმედობა აღებეჭდა, სახლს ზურგი შეაქცია და ორიოდ ნაბიჯი სწრაფად გადადგა წინ”.

“შეჩერდით!” - უბრძანა თავადმა ისეთი ძლიერი ხმით, რომ ჭაბუკი შეწუხებული შემოტრიალდა და უკმაყოფილოდ გაიცინა.

“ათ წუთსაც ვაცლი და თავს დავანებებ.” - ჩაიბურცყუნა თავისთვის. შემდეგ თავადს ხმამაღლა გასძახა: - “მართალი ბრძანდებით, ჩემო მეგობარო, ყველა საათი წყევლას იმსახურებს, ისევე როგორც ქალები”.

“დაბრძანდით”. - მიმართა თავადმა მიხეილმა წყნარად. - “ქალების ასეთ მკაცრ შეფასებაში ვერ დავგეთანხმებით. მათი ბუნება საათს ვერ ჰგუობს, ქალი სწორეთაც რომ მის მხარეზეა, ვინც ამ მონსტრისგან გათავისუფლებას ცდილობს. საათი ხომ სიამოვნებასა და ცხოვრებით ტკობაში ხელს გვიშლის. თუ გასურთ, ასე შორს წავიდეთ, იქნებ თქვენი ამბავი მომითხროთ”.

ჭაბუკი მერხზე შესტა და რალაც უაზროდ გაიცინა.

“კეთილი, გიამბობთ, თქვენო სამეფო უმაღლესობავ”, - მიუგო მან ირონიული

პატივისცემის ტონით, - “ხედავთ იმ სახლს, აი, იმას, ზედა ფანჯრებში შუქი რომ ჭიატობს? ექვს საათზე სწორედ იქ ვენვი ჩემს სატრფოს, უფრო სწორად, საცოლეს. მას ჩემი უწესო საქციელი შეეცყო და მიწყრებოდა. მე, რა თქმა უნდა, პატიებას ვთხოვდი. ჩვენ ხომ მუდამ ამას ვემუდარებით ქალებს, ასე არ არის, ჩემო ძვირფასო პრინცო”?

“მოსაფიქრებლად დრო მჭირდება”. - მითხრა მან. - “იცოდე, ან ყველაფერს გაპატიებ ან ველარასოდეს მნახავ”. შემდეგ დაუმატა: “ცხრის ნახევარზე, ზუსტად ცხრის ნახევარზე ამოხედე ჩემი სართულის ზედა შუა ფანჯარას. თუ პატიება გადავწყვიტე, ფანჯრიდან აბრეშუმის თეთრ ხელმანდილს ჩამოვუშვებ. ამით მიხვდები, რომ ყველაფერი ძველებურადაა და შეგიძლია დამიბრუნდე. თუ ხელმანდილს ვერ იხილავ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა”. აი, რატომ შეეცურებ საათს”. - დააბოლოვა ჭაბუკმა მწარედ, - “ნიშნისთვის დათქმული დრო ოცდასამი წუთის წინათ ამოიწურა. განა გასაკვირია, ცოტათი შეწუხებული ვიყო, დაკონკილთა და წვერიანთა პრინცო”?!

“ნება მომეცით, გაგიმეოროთ,” – კვლავ მიმართა თავადმა დამაჯერებელი ხმით – “ქალები ბუნებით საათის მტრები არიან. საათი ბოროტებაა, ქალი კი სიკეთე და ღვთის წყალობა. ნიშანი ჯერ კიდევ შეიძლება გამოჩნდეს”.

“არა, თქვენო უდიდებულესობავ,” – განუმარტა სასომიხილმა ჭაბუკმა, – “თქვენ ხომ არ იცნობთ მერიენს. მას დაგვიანება არ სჩვევია, არც ერთი წუთით. სწორედ ამ თვისებით შემაყვარა თავი, ამით მომხიბლა. ცხრის ნახევარი შესრულდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი მატარებელი უკვე გავიდა. ხელმანდილის ნაცვლად პანლური მივიღე. თამაში დასრულდა. ამაღამ, თორმეტ საათზე ჯექ მიღებერთან ერთად დასავლეთისკენ გავემგზავრები. ჯექის რანჩოს უნდა ვესტუმრო ცოტა ხნით. იქნებ კლონდაიკითა<sup>8</sup> და ვისკით გავიქარავო ნალევლი. მშვიდობი-ით, პრინცო”.

თავად მიხეილს სახეზე იდუმალი და სანდომიანი, საზრიანი ღიმილი მოეფინა. თვალების ელვას თვლემის სურვილი უქრობდა. მან ჭაბუკს პიჯაკის სახელოზე წაავლო ხელი.

“დაიცადე, სანამ საათი დარეკავს“- სთხოვა სერიოზულად თავადმა. – “უმდიდრესი, ძლიერი და ყოვლისმცოდნე კაცი კი ვარ, მაგრამ რატომღაც საათის რეკვის მეშინია. დარჩი ჩემთან ცხრა საათამდე და მერწმუნე, ის ქალი შენი იქნება. ენდე ვალელუნას მემკვიდრე პრინცის სიტყვას. ქორნილის დღეს კი ასი ათას დოლარს და ჰუძონზე<sup>9</sup> წამოჭიმულ სასახლეს გაჩუქებ. დაე, იმ სასახლეში ერთი საათიც ნუ იქნება, რომ ბედნიერება არ შეგიზღუდოთ. ისინი ხომ ნეტარებას არ გვაცლიან. არ მეთანხმებით?”

“რა თქმა უნდა, გეთანხმებით“, – მიუგო ჭაბუკმა მხნედ. – “ასე თუ ისე, მუდამ ხელს გვიშლიან, ნიკნიკებენ, რეკენ და სადილზე გვაგვიანებენ”.

მან კვლავ ახედა კოშკის საათს. ცხრას სამი წუთი უკლდა.

“ცოტა თვალს მოვატყუებ. დავიქანცე დღეს”. – თავადი მიხეილი ჩვეულებისამებრ მერხზე წამოწვა დასაძინებლად.

“თუ ჩემს ნახვას ისურვებთ, ამ პარკში მიპოვით. აქა ვარ ხოლმე მუდამყამს, როცა კი დარია.” – თქვა რულმორულმა თავადმა. – “ქორნილის დღეს მინახულეთ და დაპირებულ ჩეკს მოგართმევთ”.

“გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ“- მიუგო ჭაბუკმა სერიოზულად. – “რადაც არა მგონია, ჰუძონზე სასახლე დამჭირდეს, მაგრამ მაინც მადლიერი დაგრჩებით ამ სიკეთისა და გულუხვობისთვის.”

თავადმა მიხეილმა ღრმა ძილს მისცა თავი. გაცვეთილი ქუდი მერხიდან მიწაზე ჩამოუგორდა. ჭაბუკი დასწვდა, ჭუჭყიან სახეზე დაადო და თან უხერხულად მოკეცილი კიდურები გაუშალა. “საბრალო“- ჩაილაპარაკა თავისთვის, როცა თავადს მკერდთან დაკონკილი ტანსაცმელი გაუსწორა.

ცხრა საათზე პარკში სასიამოვნო მელოდიამ გაიჟღერა - კურანტი<sup>10</sup>

უკრავდა და მუსიკალურ ჰანგს ჰფენდა იქაურობას. ჭაბუკმა კვლავ ამოიხრია, სასონარკვეთილმა უკანასკნელად მიხედა სახლს და ხმამაღლა ალტაცების წმინდა სიტყვები აღმოხდა - შენობის ზედა შუა ფანჯრიდან

ბინდ-ბუნდში ნარნარად ეშვებოდა პატიების ნანატრი სიმბოლო, თოვლივით თეთრი, უმშვენიერესი, ღვთაებრივი. მოფარფატე ნიშანი ჭაბუკს მოახლოებულ ბედნიერებას ამცნობდა.

შორიახლოს მსუქანი, მშვიდი სახის მოქალაქე შინისკენ მიიჩქაროდა. მან, ცხადია, არაფერი იცოდა იმ ციური ნეტარებისა, აბრეშუმის ხელმანდილის რხიალმა რომ მოჰგვარა ჭაბუკს მთვარის შუქით განათებულ პარკში.

“ვერ მეტყვი, რა დროა, სერ”? – ჰკითხა მას ჭაბუკმა. მოქალაქემ მაჯის საათს დახედა და უპასუხა:

“ცხრის ნახევარს ნახევარი წუთილა უკლია, სერ”.

შემდეგ, ჩვეულების გამო, ზევით აიხედა და შესძახა:

“წმინდაო გიორგი! კოშკის საათი ნახევარი საათით წინ წასულა, ათი წელია არ მახსოვს, ზუსტი დრო ეჩვენებინოს. მაჯის საათს კი ჩემთვის ჯერ არ უმტყუნია...”

მაგრამ თანამოსაუბრე სადღაც გამქარალიყო. მოქალაქე შემოტრიალდა და დაინახა ჭაბუკი, უკანმოუხედავად რომ მიჰქროდა განათებულ ფანჯრებიანი სახლისკენ და საკუთარი ჩრდილი ასდევნებოდა.

მეორე დილით პარკში ორი პოლიციელი გამოჩნდა და უბნის შემოვლას შეუდგა. პარკი ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი მერხიდან მძინარე დაკონკილი კაცი ჩამოცოცებულიყო. პოლიციელები შეჩერდნენ მასთან და დააკვირდნენ.

“ეს ხომ მიკია, უგონოდაა ამდენი წვეისგან”. – თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. – “ოცი წელია, პარკში დაეხეტება და აბოლებს. მალე, ალბათ, ფეხებს გაჭიმავს”.

მეორე პოლიციელი დაიხარა და მძინარეს ხელში რაღაც მაგარი დაჭმუჭნილი საგანი დაუნახა.

“ჰეი, – შესძახა. – “ორმოცდაათდოლარიანი ჩეკი კი უშოვია და! ნეტავ ვიცოდე, რას ეწეოდა ასეთს?”

“ტყაპ, ტყაპ, ტყაპ!” – გაისმა პარკში. თავად მიხეილს, ვალელუნას სამთავროს ტახტის მემკვიდრეს ფეხსაცმლის ძირებზე ხელკეტს ურტყამდნენ.

**ინგლისურიდან თარგმნა  
აია ცერცვაძე**

1. მუსულმანთა ფეოდალური მმართველი, ხელთ ეყვრა სასულიერო და საერო ხელისუფლება.
2. იგივე ამური, სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში, წარმოდგენილი ჰყავდათ მშვილდოსანი ფრთოსანი ბიჭის სახით.
3. ანუ ფავნუსი, ნაყოფიერების ღმერთი, მინდვრების და ტყეების მფარველი რომაულ მითოლოგიაში.
4. მეორეხარისხოვანი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში, რომლებიც ბუნების ამა თუ იმ ძალას განასახიერებენ.
5. კუნძული და ნიუ-იორკის ხუთიდან ერთ-ერთი რაიონი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს თავად მანჰეტენის კუნძულს და სხვა რამდენიმე კუნძულსა და კონტინენტის მცირე ნაწილს.
6. ლიდის ნახევრად ლეგენდარული მეფე, რომლის სახელი სიმდიდრის სინონიმად იქცა.
7. ბედ-იღბლის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.
8. პოპულარული ბანქოს თამაში.
9. ქალაქი და მდინარე ნიუ-იორკის შტატში.
10. კოშკის ან კედლის ძველბური საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს; ასეთი საათის მუსიკალური მექანიზმი.

## რაც სარედაქციო ფოსტას შემორჩა

1.

22 დეკემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ გაიმართა გამოჩენილი არქიტექტორის **ვახტანგ დავითაიას** შემოქმედებითი საღამო. იმავდროულად წარდგინდა მისი ნივთებიც: **„პროცესი“** და **„არქიტექტურა: ოცნება და სინამდვილე“**. ღონისძიება ხელოვანის საიუბილე თარიღს – დაბადების 75-ე წლისთავს – დაემთხვა და შესაბამისად საზოგადოების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი შეიკრიბა სააქტო დარბაზში.

საღამოს უძღვებოდა პოლიტიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანი **გოჩა მიქიაშვილი**.

ღვანულამოსილ არქიტექტორს მიესალმნენ: **გიგა ბათიაშვილი, შოთა ბოსტანაშვილი, დავით აბულაძე, ლია სტურუა, რევაზ მიშველაძე, გიორგი სალუქვაძე, როსტომ ჩხეიძე, ლენა კალანდაძე, დავით ანდრიაძე**. თითოეული მათგანის სიტყვა ვახტანგ დავითაიას პიროვნული თუ პროფესიული ღვაწლის წარმოჩენისა და დაფასების გულმოდგინებით იყო გაჯერებული, შესაბამისად ემოციურიც.

უჩვენეს **მერაბ გუჯაბიძის** ფილმი, სადაც ლაკონიურად, თუმცა შთამბეჭდავად და ასახული არქიტექტორის შემოქმედებითი გზა – ძიების პროცესიდან შედეგამდე.

აღინიშნა სასიამოვნო და საქებარი ფაქტები: ვახტანგ დავითაიას აღიარებანი საზღვარგარეთ – მნიშვნელოვან კონკურსებზე, ბიენალეებზე... შინ – გზადაგზა, შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში, პრემიები და ჯილდოები, ახლახან კი ქართულ არქიტექტურაში განსაკუთრებული წვლილისათვის არქიტექტორთა კავშირის მიერ ოქროს მედლით დაჯილდოება.

საიუბილეო საღამომ კულტურის ცენტრის მცირე დარბაზში გადაინაცვლა. სადაც გამოფენილი იყო ვახტანგ დავითაიას პროექტები და ესკიზები, სხვადასხვა ჩანახატი.

ღონისძიება მოუწყინრად გაახანგრძლივა იქვე გაშლილმა ულამაზესმა შედეურმა სუფრამ სურნელოვანი ქართული ღვინითურთ.

2.

24 დეკემბერს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი დაეთმო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (დირექტორი **გიორგი უშიკიშვილი**) თაოსნობით დაარსებული ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას.

ღონისძიება გრანდიოზულად და მასშტაბურად წარმართა, რაც უდავოდ სახელმწიფოებრივ ზრუნვას ადასტურებდა მაღალ რანგში.

გამოვლინდნენ ლაურეატები:

ხალხურ საზომსა და თემატიკაზე შექმნილი ლექსებისათვის **გაბრიელ ჭინჭარაული**;

ხალხურ საწყისებზე შექმნილი ორიგინალური შემოქმედებისათვის **არნოლდ თეთრუაშვილი**;

ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შესრულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის **ენვერ ქალდანი**;

ქართული ხალხური ცეკვის ტრადიციული შესრულებებისათვის ხულოს რაიონის სოფელ აგარის ქორეოგრაფიული ჯგუფი **„ბერმუხა“** (ხელმძღვანელი **ავთანდილ ბოლქვაძე**);

ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციულ შესრულებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიას ხალხური სიმღერის ანსამბლი **„ბეჟაში ლალი“**;

ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის **ალექსი ჭინჭარაული**;

წიგნისათვის „შენდობით მომხსენიე“ **ეთერ თათარაიძე** და **ამირან არაბული**;

ბოლო დროის საექსპედიციო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობისათვის **ნატო ზუმბაძე**;

ქართული ხალხური ცეკვის ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნებისათვის სვანურ ანსამბლ **„რიპოს“** (ხელმძღვანელი **კანდი მერლანი**).

გარდა **გიორგი უშიკიშვილისა**, ჯილდოების გადაცემაში მონაწილეობდნენ და სიტყვა წარმოთქვეს: თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი ხუბუამ**, კულტურის მინისტრმა **ნიკოლოზ რურუამ**, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ **ზაალ სამადაშვილმა**, პარლამენტარმა **რუსუდან კერვალიშვილმა**, თეატრმცოდნე **მანანა ახმეტელმა**, მხატვარმა **რადიმ თოდრიამ**, მწერალმა **როსტომ ჩხეიძემ**, ქორეოგრაფმა **რევაზ ჭანიშვილმა**.

ფოლკლორის ცენტრის სტიპენდია დაენიშნა რაჭული ხალხური სიმღერისა და ცეკვის შემსრულებელს **თორნიკე სხიერელს**.

3.

27 დეკემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის ექსპერიმენტული დარბაზი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ ვოკალისტთა ერთ ჯგუფს დაეთმო (პედაგოგი **ლიკა ორჯონიკიძე**).

საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულმა ყმანვილებმა, ბუნებრივად რომ მოიხდინეს და შეიფერეს სცენა, წინასახალწლო კონცერტი აჩუქეს მიზატიყებულ თანატოლებს, ახლობლებს, განსაკუთრებულად – დედებს, უჩვეულო გულისფანცქალით რომ აყოლებდნენ იმედისთვალს „პატარა ვარსკვლავებს“ და ფოტო თუ ვიდეოაპარატურით აღბეჭდავდნენ დასაწყისს – ოცნებიდან რეალობისაკენ... ვინ დათვალოს აქედან გზა მათი ბედნიერი ცხოვრებისა... სიმღერის სიყვარულს ხომ აუცილებლად წაიმძღვარებენ, სიფაქიზესა და კდემამოსილებას ეზიარებინან. მათი პედაგოგის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ რეპერტუარი შერჩეული იყო ქართველ პოეტთა და კომპოზიტორთა საბავშვო ნაწარმოებებით, რაც უდავოდ მისასაღებელია. „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო“.

საიმედოა, რომ ტრადიციულ გარემოში ამ სენტენციას არ ალაღატებინებენ პატარა ქართველებს. და აი ისინიც, კონცერტის ცხრავე მონაწილე: **ხატია ბეგიაშვილი, ნინო ბერიშვილი, თორნიკე კვიციანიძე, ნანა მამალაშვილი, თაკო ნოსერიძე, ნინო ქირია, ელისაბედ ჩხეიძე, მედეა ჭელიძე** და **ნინო ჭიჭალა**.

\* \* \*

სახელმწიფო გადატრიალება მომხდარია და ქვეყანას ხუნტა დაპატრონებია.

ყველგან გამოიცვლებიან ხელისუფლების წარმომადგენელი და გორი რალა გამონაკლისია – მისი თავკაცობა ვალიკო დოლიაშვილს ერგუენება.

ურჩევენ: სასურველია, თეატრალურ წარმოდგენებს თუ დაესწრებიო.

ისიც რჩევას ყურად იღებს, როგორც ჩანს, მისთვის საპატივსაცემო კაცმა გაუზიარა ეს მოსაზრება და კიდევ ესტუმრება თეატრს, სადაც იმ საღამოს ალექსი ჯაყელის სპექტაკლია – „ჭინჭრაქა“. გიორგი ნახუცრიშვილის ცნობილი პიესის ახალი დადგმა უცდია რეჟისორს და გულისფანცქალით მოელის, როგორ შეხვდება საზოგადოება მიხეილ თუმანიშვილის დაუვინყარი სპექტაკლის შემდეგ.

ფინალში დიდი ნგრევაა განზრახული – სცენა უნდა აყირავდეს, გრგვინვა-გრიალმა ყოველივე წალეკოს და კვამლი სცენიდან დარბაზსაც მოედლოს.

ასეთი ფინალი ერთხანს ძალზე მოდური გახდა და ქართულმა თეატრმა და კინემატოგრაფმაც გადაუხადა ამ მოდას ხარკი, თუმც ზოგჯერ გამართლებულიც გახლდათ ეს ხერხი, არა ხელოვნურად მიკერებული, არამედ



ბუნებრივ დაბოლოებად წარმოდგენილი.

ალექსი ჯაყელის დადგმისთვისაც სწორედ ეს ბუნებრიობა გახლდათ ნიშანდობლივი.

ქალაქის მერი თავის გარემოცვიანად პირველ რიგში დაბრძანებულა და ცნობისმოყვარედ ადევნებს თვალს სცენაზე დატრიალებულ ამბებს, რომლებიც ადვილი აღსაქმელია და ახალ თავკაცს უკვირს, რატომ უნდა უძნელდებოდეს ხელმძღვანელ მუშაკს სპექტაკლზე დასწრება.

მაგრამ, აი, ფინალური სცენის დრო დგება.

ქუხილი მოსკდება, აფეთქების ხმაც ისმის და დარბაზში კვამლიც გადმოიფრქვევა.

ქალაქის მერიც ერთბაშად დაიზაფრება და მისი გარემოცვაც, აღარ იციან, რა ილონონ, მაგრამ ისევ ვალიკო დოლიაშვილი მოგება გონს, რევოლვერს დააძრობს, სხვებსაც იარაღის ამოდებისაკენ მოუწოდებს, კარისაკენ გაჩ-

ქარდება და იყვირებს:

– ჯერ ქალები და ბავშვები გაატარეთ!..

და სცენას მისჩერებია გაფაციცებული, რაკილა ხიფათი იქიდანაა მოსალოდნელი.

– ახ, დახვენილი პროფესიონალიზმი, – იტყოდა გურამ დოჩანაშვილი, შემთხვევით ამ სურათს რომ შესწრე-

\* \* \*

ოლეგ გოლიაძე მეცნიერულსა და ბოჰემურ ცხოვრებას ისე ვერ მოარიგებდა, რომ ნაშრომები დაეხვავებინა.

ეს წესი კი მტკიცედ ერწმუნა და ერთგულადაც აღასრულებდა – ლექციაზე ოდნავ ნასვამიც არასოდეს შესულა.

უგვიანდებოდა დისერტაციის დაცვა და თამაზ ტყემალაძე ესუმრებოდა: შენ ოლეგი კი არა, ალექო უნდა გერქვას, ნახე, რა ზუსტი და მოხდენილი გვარ-სახელი გექნებოდა, ალექო გოლიაძეო.

დაგვიანება დაგვიანებად და ბოლოს მისი გადისერტანტების ჯერიც დადგებოდა. საკანდიდატოსაც დაიცავდა, სადოქტოროსაც, თუმც აღარაფერში წაადგებოდა დოქტორის სახელი.

ეს ზეზვა მედულაშვილი კიდევ ცალკე გამოსდებდა ენას:



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

**ამ სიბერეში, ოლეგო, თავს რომ იწონებ ხარისხით, აქამდე რომ არ დაგიცავს, მოსაკლავი ხარ ხარის რქით.**

ამ ეპიგრამის წარმოშობაში ჩახედული ადამიანები ამტკიცებენ, პირვანდელი ვერსია უფრო მწვავეაო, თუმც ხარის რქით მოკვლაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც დამამშვიდებელი.

ივანე ამირხანაშვილი მცირეოდენ შესწორებას შეიტანდა, „რქას“ „ყბით“ შეცვლიდა და ამ კონიუქტურის აუცილებლობას ასე დაასაბუთებდა:

– ბიბლიურ ასოციაციას გამოიწვევს და კონტრასტი უფრო სახალისოს გახდის, არ გახსოვთ, სამსონმა ვირის ყბით რომ გაჟლიტა ფილისტიმელინი?

და შესაბამის პასაჟსაც დაიმონებდა ზეპირად მსაჯულთა ნიგნიდან.

აგერ უცხოთესლს მოუნადინებია მისი შეპყრობა, მაგრამ გადმოსულა სამსონზე სული უფლისა და კიდევ:

„და პოვა ლანვი ვირისა მდებარე, მიყო ხელი მისი და მოილო იგი და მოსრა მით ათასი კაცი.

და თქუა სამსონ: ლანვითა ვირისაითა აღხოცით აღხოცე იგინი, რამეთუ ლანვითა ვირისაითა მოვსარ ათასი კაცი.

და იყო, რაჟამს აღასრულნა სიტყუანი ესე, დააგდო

ლანვი იგი ხელისაგან მისისა და უწოდა ადგილსა მას მუსრვაი ლანვითა“.

სჩვევია ასეთი დამონებანი ჩვენს ივანეს. ახლა მთავარია, ავტორი იყაბულებს თუ არა ამ შესწორებას.

თუმც ავტორს რალა ნება აქვს თავისი უფლებანი მოითხოვოს – ეპიგრამა უკვე ხალხშია გასული და ხალხი თუ ამჯობინებს ვარიანტულ სახესხვაობას, ვინ დაუშლის... თანაც ასერიგად შემაგრებულს ისტორიულ-რელიგიური წყაროთი.

\* \* \*

ირაკლი აბაშიძე როინ მეტრეველს იხმობს თავისთან.

ერთი იმჟამად ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორია, მეორე – მისი მოადგილე.

რედაქტორი ძალიან შეფიქრიანებული ზის, მგონი შენუხებულიც, ფულზე ქესეტადაა და აღარ იცის, რა იღონოს. და მოადგილეს დარდს თუ გაუზიარებს:

– როინ, თუ ძმა ხარ, მითხარი, ქრთამს არ გვაძლევენ თუ ჩვენ არ ვიღებთ?!

იუმორი არასოდეს აკლდა, არც ფრთიან, მოსწრებულ სიტყვას მოისაკლისებდა ხოლმე, და საქართველოში სტუმრად მყოფი ჯონ სტაინბეკი – ვინც, ცხადია, გათვითცნობიერებული ვერ იქნებოდა ჩვენი სამწერლო ცხოვრების კულუარებში – ენამახვილობის უნარით ახსნიდა ირაკლი აბაშიძის ხანგრძლივ თავმჯდომარეობას მწერალთა კავშირში.

ისე ფული თუ შემოგაკლდებათ, მოხდენილი კალამბური ან მახვილი სიტყვა მოძებნეთ და სანუხარიც შეგიმსუბუქდებათ.



\* \* \*

1990 თუ 91 წელია.


შიდა ქართლი ცეცხლის ალშია გახვეული და თამარაშენიდან თუ ერედვიდან გორში რეკავენ რაციით, სამხედრო შტაბში. რაციები აგროპრომის გამოშვებაა, ოსებსაც ისევე აქვთ, როგორც ქართველებს, ამიტომაც კონსპირა-

ცია აუცილებელია, ხაზზე გენერალი გივი კვანტალიანია და ესმის ხმა:

- კენჭები გვითავდება.
- ყველაფერი რიგზე იქნება, – ამშიდებთ გენერალი,
- თქვენ მხოლოდ ის მითხარით, რომელი ყალიბის კენჭები გინდათ: ხუთი ორმოცდახუთიანი თუ შვიდი სამოცდაორიანი?..

იმავე საუკუნის დამდეგს გიორგი დეკანოზიშვილი – პარიზში ქართული ჟურნალის დაარსებისა და ჟენევის ინტერპარტიული კონფერენციის გამართვის ერთ-ერთი თაოსანი, ხოლო გემ „სირიუსით“ იარაღის ფარულად შემოტანის მთავარი ორგანიზატორი – დაშიფრულად რომ სწერდა სოციალ-ფედერალისტების კომიტეტს: ამდენსა და ამდენ ვაშლსა და ამდენსა და ამდენ ჯოხს გიგზანითო, – რევანგაბაშვილი თავის მემუარებში ირონიულად „ისტორიულ დოკუმენტს“ უწოდებს ამ წერილს და ეცინება: ეს განა რა ძნელად გამოსაცნობი საიდუმლო შიფრი უნდა ყოფილიყო ჟანდარმებისთვის?!

ნუთუ კონსპირაციას ვერა და ვერ უნდა ავუღოთ ალღო?



მხატვარი ბადრი გაგნიძე

აკვანი კაცობრიობისა

გატაცებით კითხულობდა პიეტრო დელა ვალესა და არქანჯელო ლამბერტის, ადამ ოლფარიუსისა და ჟან შარდენის, ანდრეას გრიფიუსისა და კარლო გოლდონის თხზულებებს, სადაც აღწერილი იყო შორეული საქართველოს ამბები. ოცნებობდა, რომ თავისი თვალთ ენახა ეს საოცარი ქვეყანა, ახლოს გაეცნო ერთი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა, ხოტბა შეესხა მისი რჩეული შვილებისათვის, გმირებად თუ წმინდანებად რომ ევლინებოდნენ კაცობრიობას; მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თუკი ბედი წილად არგუნებდა ამგვარ ბედნიერებას, თავისი ფუნჯით აემტყვევებინა ზვიადი მთები კავკასიისა, დაუდგარი და წყალუხვი მდინარეები და, რაც მთავარია, დაეხატა ულამაზესი ქართველი ქალები. ფიქრობდა, ისე როგორ მოკვდები, რომ ერთხელ მაინც არ ვიხილო ეს ზღაპრული ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვიაო.

ინგლისელ მხატვარს რობერტ კერ პორტერს (1775-1842) ფერწერა შეუსწავლია ლონდონის სამეფო აკადემიაში. 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ I-მა რუსეთში მიიწვია და სამეფო კარის მხატვრის წოდება უბოძა. მომდევნო წელს პორტერმა ფინეთსა და შვედეთში იმოგზაურა, მერე ესპანეთი და პორტუგალია მოიარა, 1811 წელს რუსეთში დაბრუნდა. მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა საოცნებო საქართველო, ევროპელმა ავტორებმა რომ დაუხატეს მიმზიდველი ფერებით და სამუდამოდ შეაყვარეს.



თბილისი XIX საუკუნის დამდეგს

და აი, 1817 წლის აგვისტოში იწყება პორტერის ხანგრძლივი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, როდესაც მან სანატრელი საქართველოც მოინახულა (იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში).

თავისი სამწლიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი პორტერმა ქალაღზე გადაიტანა და 1822 წელს ლონდონში გამოაქვეყნა ორტომიანი წიგნი „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში“ (ავტორისეული ილუსტრაციებით).

პორტერის თხზულებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ქალაქ თბილისის აღწერილობას, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებსა და სამოსელს. ინგლისელი მხატვარი გულისყურით ათვალიერებს ტაძარსაც და ბაზარსაც, აბანოსა თუ მთავარმართებლის სასახლეს.

პორტერის სიტყვით, ბაზარი წარმოადგენდა ერთობ გრძელსა და მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩას, ორსავე მხარეს ჩამწკრივებული ათასნაირი ღუქნებით: ბაყალთა, მზარეულთა, ბაზაზთა, დალაქთა, სარაჯთა, მეიარაღთა და სხვ. (ღუქანი იყო როგორც სავაჭრო, ასევე სახელოსნო ნაგებობა).

მიუხედავად იმისა, რომ საქონელი გარეთ გამოეტანათ, ქუჩაში თავისუფლად მიმოდიოდნენ არა მარტო ქვეითნი, არამედ – ცხენოსნებიც, დატვირთული სახედრები; ინგლისელი მოგზაურის თვალწინ კამეჩების ნახიროსაც კი შეუფერხებლად გაუვლია. დილიდან შებინდებამდე ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა და იდგა ერთი ალიაქოთი. ბაზრიდან არცთუ მოშორებით მდე-

ბარეობდა სამსართულიანი, ოვალური ფორმის ქარვასლა, სადაც თბილისში ჩამოსული ვაჭრები ბინადრობდნენ. ეზოს შუაგული ვაჭართა ცხენებითა და ჯორებით იყო სავსე, ხოლო მათი საქონელი გროვად ეყარა ქვიან თუ მიწურ იატაკზე.

ბაზრის დათვალიერებისას პორტერის ყურადღება განსაკუთრებით ხაბაზის ღუქანს მიუპყრია, სადაც სტუმრისათვის უჩვეულო ხერხით აცხოვდნენ პურს: ხაბაზმა ჩვეულებრივი პირსახოცის სიგრძე-სიგანეზე თხლად გააბრტყელა ცომი, მერე დაიღო ხელისგულზე და „აღმაფრთოვანებული სიმარჯვით“ გასტყორცნა თონის კედლისაკენ, რომელსაც ცომი მყისვე მიეკრა. თონის ძირიდან ნაკვერჩხლები განუწყვეტილად აცხელებდნენ კედლებს. ორიოდე წუთში ლავაში უკვე მზად იყო და ხაბაზმა ამოიღო ჯოხის წვერით (ინგლისელმა მხატვარმა თავისი თვალთ ნახა ცხოვა იმ პურისა, ყველაზე გემრიელი რომ იყო მთელ მსოფლიოში – როგორც ამტკიცებდა ფრანგი ვაჭარი შარდენი).

პორტერი აღნიშნავს, რომ მაღალი მთის წვერზე დგას ძველი დროიდან შემორჩენილი ეკლესია, საიდანაც იშლება თბილისის მიდამოების ყველაზე ვრცელი ხედი. ეკლესია ერთი მხრიდან გადაჰყურებს მთელ ქალაქს მისი ციტადელითურთ, ბაღებსა და ქუჩებს, ხოლო მეორე მხრიდან, ჩრდილოეთისკენ, მტკვრის ზიგზაგებს და ვრცელ ლანდშაფტს, რომელიც მოიცავს არა მარტო მთების ჯაჭვს კახეთიდან

ვიდრე ყაზბეგამდე, არამედ მათ გასაოცარ მწვერვალებსაც, ერთიმეორეზე მაღლა რომ აზიდულან ცაში.

პორტერი ასკვნის: „დედამიწის და კუთხეს სამართლიანად უწოდებენ კაცობრიობის აკვანს. და უხსოვარ დროთა მოგონებანი თავდაპირველ საცხოვრისზე მოიპოვება ძალზე შორეული ქვეყნების ხალხთა შორის. საყმანვილო ზღაპრებშიც კი გვხვდება მინიშნებანი იმისა, რომ დედამიწის ზურგზე მიმოვანტული ყველა მოდგმა წარმოქმნილია ამ პატრიარქალური სამშობლოდან. უძველეს წერილობით ძეგლებში იხსენიება ქვეყნები ევქსინისა და კასპიის ზღვებს შუა, როგორც სახელგანთქმული ასპარეზი ყველაზე გმირული და სასწაულებრივი ამბებისა. აღნუსხულია მოვლენები, რომლებშიც არა მარტო ადამიანები, არამედ ზებუნებრივი თუ არაბუნებრივი ძალებიც ასრულებენ თვალსაჩინო როლს. აღმოსავლეთსა და დასავლეთშიც გვსმენია და წავიკითხავს კავკასიის მთებისა და გარშემორტყმული ქვეყნების შესახებ – ისტორიაში, მითებსა და პოეტთა ხილვებში. მედია თავის მაგიურ ჯადოს სწორედ ამ მიდამოებში ამზადდება და, ეთეროვან ნივთიერებათა მეოხებით, ანახლებდა ადამიანის დაძაბუნებულ სხეულს, ანიჭებდა მშვენებას და სინორჩეს.“

როდესაც კითხულობ პორტერის თხზულებაში დამონმებულ მასალას საქართველოსა და ქართველების შესახებ, აღარ შეგაცბუნებს ამ ბოლო ხანებში ჩვენში გამოთქმული უადრესად თამამი ჰიპოთეზა, რომ ქართული კომპოზიტი „დედაენა“ მხოლოდ მშობლიურ ენას რადი ნიშნავს, არამედ – მთელი მსოფლიოს ენათა მშობელ დედას.



მატა ჰარი

მატა ჰარი – ასე იცნობენ მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმულ ჯაშუშ ქალს, რომელიც სინამდვილეში თურმე არც კი ყოფილა ჯაშუში!

რამხელა პარადოქსია, არა?! ასეა თუ ისე, სწორედ ამ ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამენ ამერიკელი მკვლევარები ნორმან პოლმარი და ტომას ალენი თავიანთ წიგნში „შპიონაჟის ენციკლოპედია“ (1997 წ.).

ისინი აღნიშნავენ, რომ მატა ჰარი იყო ძალზე გულუბრყვილო ქალი, ვისი მოტყუებაც ერთობ იოლად შეიძლებოდა. და პირველი მსოფლიო ომის წლებში სწორედ ასე ეპყრობოდნენ მას ვითომმეგობრებიცა და მტრებიც.

ინგლისური ენის ოქსფორდული ლექსიკონი მატა ჰარის უწოდებს „მაცდური ჯაშუში ქალის პროტოტიპს“.

მატა ჰარი (ნამდვილი სახელი – მარგარეტა გერტრუდა ზელლე) დაბადებულია 1876 წელს ჰოლანდიაში შექმლებული მედუქნისა და ლამაზი იაველი მეტისის ოჯახში.

ყმანვილქალი პედაგოგიური სასწავლებლიდან გაურიცხავთ სკოლის დირექტორთან ინტიმური ურთიერთობის გამო. მერე 18 წლის მარგარეტა ცოლად გააჰყოლია ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერს, რომელიც ოცი წლით უფროსი ყოფილა მასზე. ქორწინებიდან ცოტა ხნის შემდეგ ისინი



მატა ჰარი

საცხოვრებლად გადასულან ჰოლანდიის ისტ-ინდოეთში. მარგარეტას ორი შვილი გაუჩენია; 1906 წელს ცოლ-ქმარი გაყრილან.

ქმარგაყრილმა მარგარეტამ დაირქვა „მატა ჰარი“ (თვალთგარიჟრაჟისა) და გაეშურა პარიზს, სადაც თავს ასაღებდა იაველ პრინცესად და სახელი გაითქვა ეროტიკული ცეკვებით. მისი დებიუტი შედგა აღმოსავლეთმცოდნეობის მუზეუმში, ამას მოჰყვა გასტროლები მთელს ევროპასა და ეგვიპტეში. ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ მის ხელოვნებას. მატა ჰარიმ გაიჩინა რამდენიმე გავლენიანი და მდიდარი მიჯნური.

პირველი მსოფლიო ომი დანებებული იყო, როდესაც სერიოზული რომანი გააჩაღა 25 წლის რუს მფრინავთან, რომელიც იბრძოდა საფრანგეთის ფრონტზე. ეს იყო კაპიტანი ვადიმ მასლოვი, შვილი რუსი ადმირალისა. 1916 წელს მასლოვი დაჭრეს და მატა ჰარიმ თხოვნით მიმართა სამხედრო ხელისუფლებს, ნება დაერთოთ მოენახლებინა მასლოვი ფრონტისპირა ჰოსპიტალში. მეორე ბიურომ ანუ საფრანგეთის გენერალური შტაბის სადაზ-

ვერვო სამმართველომ ნება დართო იმ პირობით, რომ ჯაშუშობას გასწევდა გერმანელთა წინააღმდეგ და გამოიყენებდა თავის პირად ნაცნობობას კრონპრინცთან. ამგვარი სამსახურისთვის მას შეჰპირდნენ მილიონ ფრანკს!

მატა ჰარიმ მიიღო დავალება და ესპანეთის გავლით გაეშურა ნეიტრალური ჰოლანდიისაკენ, სადაც უნდა გადაეკეთა გერმანიის საზღვარი და ჩაეღწია კრონპრინცის ადგილსამყოფელამდე. მაგრამ ჰოლანდიას მიმავალი გემი დააკავეს ინგლისის ერთ ნავსადგურში. მატა ჰარი დააპატიმრეს და დაჰკითხეს. ბოლოს ბრიტანეთის ხელისუფლებმა გააფრთხილეს იგი, რომ ხელი აეღო გერმანიაში სწრაფვაზე და გააბრუნეს ესპანეთში. იქ მატა ჰარიმ გაიცნო გერმანიის სამხედრო ატაშე, მაიორი კალე და ახლა მასთან გააჩაღა რომანი. მალე მაიორმა კალემ ბერლინში გაგზავნა დამიფრული დეპუტა, რომელშიც აღნიშნა, „იქს-21“ ფასდაუდებელი აგენტი არისო.

ფრანგებმა ხელთ იგდეს ეს დეპუტა, გაშიფრეს და მატა ჰარის „გამოთვლა“ არ გასჭირვებიათ. იგი 1917 წლის 4 იანვარს დაბრუნდა პარიზში, სადაც 13 თებერვალს დააპატიმრეს. ფრანგები და ინგლისელები ბრალს სდებდნენ ჯაშუშობაში გერმანიის სასარგებლოდ, მაგრამ დამაჯერებელი მტკიცებულებანი არ მოეპოვებოდათ. ეჭვიმტანილის ოთახში

აღმოაჩინეს მხოლოდ ბუმბუტულა სიმპათიკური მელნით, რაც იმხანად ძალზე სერიოზულ სამხილად ითვლებოდა. მატა ჰარიმ განაცხადა, რომ სიმპათიკურ მელანს იყენებდა მაკიაჟისათვის. მერე აღიარა, რომ გერმანელთაგან დიხხაც იღებდა ფულს, ოღონდ ეს სექსის საფასური იყო და არა – შპიონაჟისა.

და მინც გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს, რომელმაც მიიჩნია დამნაშავედ და სიკვდილი მიუსაჯა.

1917 წლის 15 ოქტომბერს დასახვრეტად გაიყვანეს. მატა ჰარიმ იუარა თვალეების ახვევა და არც ბოძზე მიბმა ინება. სიცოცხლეში ექსტრავაგანტური ქალი სიკვდილსაც ექსტრავაგანტურად შეეგება. ვიდრე შაშხანების ზალკი ააფეთქებდა მდუმარე გარიჟრაჟს, მატა ჰარიმ წარმოაჩინა სიმბოლოები კოცნა გავაგზავნა დამხვრეტა რაზმის 12 ჯარისკაცისათვის.

არც ყოფილ მიჯნურებს და არც ოჯახს არ მოუთხოვიათ მატა ჰარის ნეშტი, რომელიც უწყალობეს პარიზის საავადმყოფოს ანატომიურ თეატრს – სტუდენტ-მედიკოსთა „საჯიჯგანად“.

ქრონიკა

11 იანვარს არტ-კაფე „ქარავანში“ გაიმართა მარიამ ნიკლაურის წიგნების „ნანინებისა“ და „ნატვრისთვალ მზისაო“ („პეგასი“) პრეზენტაცია. პოეტი ქალი უკვე რამდენიმე ლირიკული და საყმანვილო კრებულის ავტორია. მარმან კონკურსში „ლიტერატურული მესხეთი“ გრანტიც მოიპოვა ლექსისათვის „ოქროს თევზი“.

„ნანინები“ 12 ნანინასაგან შემდგარი კრებულია, ახლავს აუდიოდისკი (კომპოზიტორი ზურაბ მჟავია). ტექსტს ავტორი კითხულობს. მხატვრულად გააფორმა გია ცხადაიამ.

„ნატვრისთვალ მზისაო“ – ესეც საბავშვო ლექსების კრებულია, მიდრეკილი იმისკენ, რომ ყმანვილებს ფაქიზი განცდები გა-

უმდიდროს და გაუმყაროს. ეს მომხიბლავი წიგნი ეროვნული, რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და საერო რიტუალების გამოშვურებას ემსახურება. ამავე დროს წარმოაჩენს სიმბოლოურ გზას „შობიდან შობამდე“, ანუ ბავშვის დაბადებიდან ადამიანში ღვთის მარადიულ შობამდე.

ისაუბრეს არტ-კაფეს კულტურული პროგრამების მენეჯერმა ლელა შუბითიძემ და გამომცემელმა მარინე ცხადაიამ.

თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ძველი ქართული რიტუალები გაცოცხლეს. ღონისძიების კომპოზიცია მოამზადა რეჟისორმა ივანე ხუციშვილმა.